

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ფოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი

მერი გუგუშვილი

თეიმურაზ პირველი

შემოქმედებითი პორტრეტი



მეცნიერება
თბილისი
1981

8FI-19(€41)

83-3FPI-469-3(2P)

899/962.1.092[თეიმურაზ პირველი] +9(47.922)

გ 927

წიგნი ეხება ძველი ქართული მწერლობის თვალ-საჩინო წარმომადგენლის, სახელმწიფო მოღვაწისა და პოეტის თეიმურაზ პირველის შემოქმედებას.

ნაშრომში ნაჩვენებია, რომ თეიმურაზის შემოქმედება თავისებური ეტაპია ქართულ მწერლობაში, მდიდარია ახალი თემებითა და ახალი ენარებით.

თეიმურაზის, როგორც მეფისა და პოეტის ბედი, დაკავშირებული იყო დიდ ეპოქალურ ძვრებთან, მის შემოქმედებაშიც ეპოქის მაჯისცემა და სულისკვეთება გამოიხატა, რის ასახვასაც წიგნში დიდი ადგილი ეთმობა.

რ ე და ქ თ ო რ ი ს ა რ ბ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი

შესავალი

თეიმურაზ პირველმა ცხოვრების მძიმე გზა განვლო, რაც, პირველ რიგში, მისივე ქვეყნის ტრაგიკული ხვედრით იყო გამოწვეული. მაგრამ, მიუხედავად დიდ პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობისა, ხანგრძლივი შეუპოვარი ბრძოლისა უცხოური აგრესიის წინააღმდეგ, თეიმურაზს უპოვია ძალა და დრო ახალი ქლერა მიეცა ქართული პოეზიისათვის, გულშიჩამწველომი პოეტური სიტყვით გამოეხატა როგორც იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრების მთავარი მომენტები, ქვეყნის ჭირ-ვარამი, ისე პირადული ადამიანური განცდები, დიდი სულიერი ტკივილები. თეიმურაზის, როგორც მეფისა და პოეტის, ბედი დაკავშირებული იყო დიდ ეპოქალურ ძვრებთან, თავისი ერის დიდ ტრაგედიასთან, ამიტომ მისი შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ეპოქის სწლისკვეთებას გამოხატავდა, რაც ძირითადად იბედისწერის საშინელებისა და წუთისოფლის მუხტლობის აღიარებაში განხორციელდა. ყველა მოტივი, რომელიც გაისმის თეიმურაზის პოეზიაში, სატრაგიკო-სამიჯნუროც კი, თავს იყრის იმ უსასორო პესიმიზმში, რასაც პოეტის შემოქმედებაში მისი დროის სოციალ-პოლიტიკური ვითარება და პირადი ტრაგედია განაპირობებდა.

თეიმურაზმა გაამრავალფეროვნა ქართული პოეზიის შინაარსი, ჯაამდიდრა იგი ახალი თემებით და განსაკუთრებით ახალი ენარეზით, რომლებიც შემდეგ დაინერგა აღორძინების ხანის (XVI—XVIII სს.) ქართულ მწერლობაში. ასეთებია: გაბაასება, მაჯაბა, ქ. კეკელიძე თეიმურაზის ზიერ შემოტანილ ენართა შორის ასახელებს „მდურვა სოფლისას“ არა როგორც გაკვრით გამოთქმულ მოტივს, რომელიც ქართულ მწერლობას საუკუნეების მანძილზე გასდევდა, არამედ როგორც მთლიან დამოუკიდებელ თხზულებას, როგორცაა, მაგალითად, თეიმურაზის „სოფლის სამდურავი“¹. თეიმურაზია პირველი პოეტი, რომელმაც ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის დამუშავებას მოჰკიდა ხელი, მან ჩაუყარა საფუძველი საისტორიო ეპოსს („წაჰეება ქეთევან დედოფლისა“). გარდა ამისა, თეიმურაზმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში მცირე ლექსი და გაბედულად ამოუყენა

¹ ქართული ლიტერატურის ისტორია, II. თბ., 1958. გვ. 571.

გვერდში ეპიკურ ტილოებს. ის არის ალორძინების ხანის პირველი ლირიკოსი.

ნაშრომი ეძღვნება თეიმურაზის შემოქმედების ძირითადი თემებისა და მოტივების გამოვლენას, მის მიერ შემოტანილი ჟანრების შესწავლას. წიგნში გამოვეყოფთ ექვს თავს:

I. ისტორიულ-ნაციონალური თემატიკა თეიმურაზის შემოქმედებაში.

II. გაბაასების ჟანრი თეიმურაზის პოეზიაში.

III. „მაჯამა“.

IV. თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებული პოემები.

V. სოფლის სიმუხთლის თემა თეიმურაზის პოეზიაში.

VI. რუსთველის გავლენა თეიმურაზის პოეზიაზე.

ისტორიულ-ნაციონალური თემატიკა თეიმურაზის
უმოკვეთებში

„წამება ქეთევან დედოფლისა“

XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ისტორიულმა პოემამ. ისტორიული პოემა ისეთ მოვლენას ასახავს, რომელიც ეპოქის მნიშვნელოვან ფაქტს გამოხატავს და ისეთ გმირთა ცხოვრებაზე მოგვითხრობს, რომლებიც პროგრესულ როლს ასრულებენ ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში. საისტორიო ეპოსის წარმოშობას და პოპულარობას ისტორიული ძეგლები განაპირობებენ. საქართველოშიც მე-17 საუკუნის სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ დააყენა დღის წესრიგში ამ ქანრის განვითარება. პირველი პოეტი, რომელმაც ხელი მოჰკიდა ისტორიულ-ნაციონალურ თემატიკის დამუშავებას, არის თეიმურაზ პირველი. მისი „წამება ქეთევან დედოფლისა“ ანუ „ქეთევანიანი“ იწყებს აღორძინების ხანაში ისტორიულ პოემათა რიგს. ზმართალია, ამ პოემის შექმნას ჰქონდა ინტიმური საფუძველი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის თეიმურაზის შემოქმედებაში კონკრეტულ-ისტორიული და ნაციონალური სინამდვილისადმი მიძღვნილი ერთადერთი ნაწარმოები. მას გვერდში უდგანან თეიმურაზის ლირიკული ლექსები: „თამაზის სახე დავით გარეჯას“—ხოტბა მიძღვნილი მეფე-ქალის სიღიადისა და სიმშვენიერისადმი, „გრემის სასახლეზედ“— თეიმურაზის მიერ გრემში აგებული სასახლის ქება და „ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა“— თავისი ასულისა და სიძის— იმერეთის მეფის ალექსანდრესადმი მიძღვნილი ხოტბა— „მაჯამის“ მერვე თავი.

ამრიგად, ისტორიულ-ნაციონალური თემატიკისათვის თეიმურაზს რამდენიმე ნაწარმოები მიუძღვნია, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანია „ქეთევანიანი“, რომელშიც თეიმურაზი იმდროინდელი ისტორიული ვითარების ფონზე აგვიწერს ნეტარხსენებული დედოფლის მოწამებრივ ღვაწლს. ჩვენც ამ ნაწარმოებს ისტორიული წყაროების ცნობებსა და დედოფლის წამებისადმი მიძღვნილ სხვა ნაწარმოებებთან მიმართებაში განვიხილავთ.

1. კახეთის სამეფო კარის ვითარება XVII საუკუნის დასაწყისში და
ქეთევანის ბიოგრაფიის საკითხები

* თეიმურაზ პირველის დედა ქეთევან დედოფალი ქართლის ფეოდალის აშოთან მუხრანბატონის ასული იყო. ჭვახუშტის ცნობით, ეს აშოთან მუხრანბატონი დაიღუპა ფხოველებთან ბრძოლაში ქორ. ჩუბა, რაც ნიშნავს 1571 წელს. „მოუკდენ ფხოველნი მუხრანს ხოლო აშოთან ძემან ბაგრატ მუხრანბატონისამან ბრძოლა უყო და მოსწყყნა იგი და აოტნა. გარნა მოიკლა იგიცა მათ მიერ“¹. ამრიგად, ამ ცნობის მიხედვით, ქეთევანი 1571 წლამდე უნდა დაბადებულიყო. სხვა ცნობა ქეთევანის დაბადების შესახებ არ შემონახულა. ჯალბათ, ამ ცნობებზე დაყრდნობით ტ. რუხაძე თვლის მას 1570 წელს დაბადებულად². ალ. სავანელი ქეთევანის დაბადების თარიღად 1573 წელს ასახელებს³. ლ. ასათიანი — 1575 წელს⁴, რაც დამკვიდრდა შემდგომ სამეცნიერო ლიტერატურაში.

* ქეთევანი გარეგნულად ძალიან მოძიბლავი ქალი ყოფილა.⁵ გრიგოლ ხუცესმონაზონი-დოდორქელის ცნობით, „იყო ესე [ქეთევანი] ნეტარი ხილვითა ხატისაჲთა ფრიად შუენიერ და ბრწყინვიდა პირი მისი, ვითარცა მზე და პაეროვნება მისი დაჰფარვიდა პირსა ყოვლისა ქუეყანისა“⁶. წ. კასტელის სიტყვით, მისი გარეგნობა „თვით ანგელოზს შეშურდებოდა; ამასთანავე იგი სულიერად წმინდანივით ბრწყინავდა“⁷. ამავე კასტელის თქმით, იგი „ძალიან მკერამეტყველი იყო და არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი“⁸. ისტორიული წყაროებიც ასევე ახასიათებენ დედოფალს. ბერი ეგნატე-შვილის სიტყვით, „ქეთევანი იყო გონიერი“⁹. სხვაგან აღნიშნულია „ესე იყო ლუაწლ-მრავალი და სამგზის სანატრელი დედათა შორის ანოვანი დედოფალი და მოწამე ყოვლად ქებული ქეთევან“⁹.

¹ ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1973, გვ. 407.

² ტ. რუხაძე, ქეთევან დედოფლის უცნობი ლექსები, ლიტერატურული გაზეთი, 1956, № 35.

³ ალ. სავანელი, ცხოვრება ქეთევან დედოფლისა, ცისკარი, 1857, № 12.

⁴ ლ. ასათიანი, ძველი ქართველი პოეტი ქალები, თბ., 1936, გვ. 31.

⁵ ტ. რუხაძე, ახლად აღმოჩენილი „ცხოვრება და წამება ქეთევან დედოფლისა“, ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 249.

⁶ დონ ქრ. დე კასტელი, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1977, გვ. 41.

⁷ იქვე, გვ. 183.

⁸ ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1959, გვ. 382.

⁹ იქვე, გვ. 538.

გრიგოლ ხუცესმონაზონი-დოდორქელი ქეთევანს ახასიათებდა როგორც ყოველგვარი კეთილი საქმის მოქმედს, ქვრივთა და გლახაკთა ნუგეშისმცემელს. „თვით დედოფალი ქეთევან იქმოდა, ვითარცა შეუენოდა, ყოველსა კეთილსა საქნესა. ეკლესიათა შენებასა, ობოლთა შეწყნარებასა და ქვრივთა ნუგეშისცემასა, და გლახაკთა და დავრდომილთა კელის-აღპყრობასა და თვთ პატივითა მით სამეფოთა იყოფოდა“¹⁰.

ლ. ასათიანის ცნობით, ქეთევანი 14 წლის გაათხოვეს 1589 წელს¹¹, დოდორქელით, ის 12 წლის გაუთხოვებიათ¹². გათხოვებით, შესაძლოა. ქეთევანი მართლაც 1589 წელს გაათხოვეს, თეიმურაზი ჩვენი გამოანგარიშებით 1590 წელსაა დაბადებული, მაგრამ ჩვენ დაუზუსტებლად მიგვაჩნია ქეთევანის დაბადების თარიღი. თუ სწორია ვახუშტის ცნობა და აშოთან მუხრანბატონი დაიღუპა ფხოველებთან ბრძოლაში 1571 წელს, მაშინ ქეთევანი 1571 წლამდე უნდა დაბადებულიყო. თეიმურაზი ქეთევანის უფროსი შვილი იყო. ძმა ბაგრატი და და ელენე მისი მომდევნოები ყოფილან. თეიმურაზის პირველი სიგელი — ყმების წყალობის წიგნი — 1606 წლითაა დათარიღებული¹³, რის საფუძველზეც ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ თეიმურაზი 1606 წელს გაზეფდა 16 წლის¹⁴. ამას ადასტურებს ისკანდერ მუნშიცი, როდესაც იგი მოგვითხრობს ჰიჯრის 1014 წელზე, ამბობს: „ამ წლის დასასრულის ამბებს, რომელიც ყარაბაღში ლაშქრობის დროს მოხდა, ეკუთვნის კახეთის გადაცემა ალექსანდრე ხანის შვილიშვილის თეიმურაზისათვის“¹⁵. ჰიჯრის 1014 წლის დასასრული 1606 წლის აპრილს შეესაბამება. ამრიგად, თეიმურაზი 1606 წელს გამეფებულა. ამ დროს ის თექვსმეტი წლის იყო, მაშასადამე, სავარაუდოა, 1590 წელს დაბადებულა. ამრიგად, ქეთევანის გათხოვების თარიღად დაახლოებით შეიძლება ვივარაუდოთ 1589 წელი, თუმცა წყაროებში დოკუმენტურად ეს დადასტურებული არ არის.

¹⁰ ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 250.

¹¹ ძველი ქართველი პოეტი ქალები, თბ., 1936, გვ. 31.

¹² ლიტერატურული ძიებანი, V, 1944, გვ. 249.

¹³ ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის. კრ. XIV—XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1964, გვ. 104; შდრ. საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 146.

¹⁴ ი ვ ა ნ ე ქ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, V, 1953, გვ. 5.

¹⁵ ისკანდერ მუნშიცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი ელ. ღუთურიძისა, თბ., 1969, გვ. 60.

ქეთევანი საქართველოს ისტორიაში დიდად ცნობილი პიროვნებაა. იგი ძლიერი ნებისყოფის, ჭკვიან და გონიერ ქართველ ქალად წარმოგვიდგება, რომელიც სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირული მებრძოლია და რომელმაც თავისი ხალხისა და ქვეყნის საკურთხეველზე საკუთარი სიცოცხლეც კი მიიტანა მსხვერპლად.¹⁶

კახეთის სამეფო კარზე XVII საუკუნის დასაწყისში დიდი ტრაგედია დატრიალდა. 1601 წელს ავადმყოფ მამას დავით ბატონიშვილმა — ქეთევანის მეუღლემ — სამეფო ნიშნების გამოგზავნა მოსთხოვა. ალექსანდრემ შეიღს სამეფო დროშა, გვირგვინი, სარტყელი და ხმალი გამოუგზავნა, თვითონ კი მონაზვნად აღიკვეცა. დავითი კახეთის მეფედ დაჯდა 1601 წლის ოქტომბერში. უკვე 1602 წელს „მეფე კახთა დავით და დედოფალი ქეთევან ძენი მათნი თეიმურაზ და ბაგრატ გლეხებს სწირავენ ნინოწმინდას“¹⁶. როგორც ქართული ისტორიული წყაროები, ისე რუსი ელჩები დავითს უარყოფითად ახასიათებენ. როგორც ჩანს, უკმაყოფილო ფეოდალთა რიცხვიც არ ყოფილა მცირე და გიორგი ბატონიშვილი დაითანხმეს დავითის წინააღმდეგ შეთქმულების ხელმძღვანელობაზე. შეთქმულება განუღვენდა. დავითმა გიორგი „თორღას ციხეში პატიმარ-ყო“, ხოლო თორმეტი მასთან შეფიცული კახელი ჭოეთის ციხიდან გადმოყარა, მეფობაწარმეული მამაც და შეთქმულების სხვა მონაწილენიც დააპატიმრა და კახეთს თვით განაგებდა. მაგრამ დავითმა მხოლოდ ექვსი თვე იბატონა, მალე იგი რაღაც საშინელი სენით გარდაიცვალა 1602 წელს. სამეფოს მართვას პატიმრობიდან გამოსული მეფე ალექსანდრე შეუდგა. ალექსანდრემ საპყრობილედან გამოიყვანა გიორგი ბატონიშვილიც — კახეთის მომავალი მეფე და მისი ერთადერთი დასაყრდენი. როცა ერევნის აღების შემდეგ შაჰმა ალექსანდრე თავისთან დაიტოვა, როგორც არასიმედო პიროვნება, კახეთს ფაქტიურად გიორგი ბატონიშვილი უკვე განაგებდა.

ამ ფაქტს არ შეიძლება არა შეეფოთებინა ქეთევან დედოფალი. აქვე შევნიშნავთ, რომ არ არის მართებული ვახუშტის ცნობა, რომ „დავითს დაშთა ქეთევანის თანა ძე მხოლოდ თეიმურაზ“¹⁷. თეიმურაზს, როგორც ითქვა, ძმაც ჰყოლია და დაც. ქეთევანი ზრუნავდა მათ მომავალ ბედზე.

კახეთის სამეფო კარზე დატრიალებულმა მდგომარეობამ ქეთე-

¹⁶ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, II, 1897, გვ. 432.

¹⁷ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 581.

ვან დედოფლის და უფლისწული თეიმურაზის გარშემო ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის მოწინააღმდეგე თავადებს მოუყარა თავი. მეფე ალექსანდრე უკვე ხანდაზმული იყო. მაზლის — გორგის ერთგულებაში ქეთევანს ეჭვი ეპარებოდა. ირანის შაჰი თავის საფარველს თავაზობდა თეიმურაზ ბატონიშვილს. მეფე ალექსანდრეც, რომელიც შაჰმა თან იახლა ერევნის ალების შემდეგ, იტყობინებოდა, რომ მისი საქართველოში დაბრუნება და ქვეყნის უსაფრთხოება უფლისწულის ირანში გაგზავნაზე იყო დამოკიდებული¹⁸. ამ ცნობას ადასტურებს არაქელ დავრიეციც: „ალექსანდრე მეფე შაჰმა თავისთან დაიტოვა და დაბრუნების ნება არ მისცა. შემდეგ წაიყვანა, ყველგან თან ჰყავდა და მძევალს სთხოვდა. ამიტომ ალექსანდრე იძულებული შეიქმნა მიეყვანა თავისი შვილიშვილი, სახელად თეიმურაზი, რომელიც ყრმა იყო ასაკით და მძევლად მიეცა შაჰისათვის“¹⁹.

ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს: როდესაც დავითი მოკვდა და კახეთი გორგის დარჩა, შეშინდა ქეთევანი „ახსოვდა, ოდეს დაიჭირა დავით ძმა მისი გიორგი და დაატყვევა ციხესა შიგან, ეშინოდა ქეთევანს ძმისა მისა ნისთვს, და წარგზავნა ყრმა თვისი, ყაენთან. შიშისათვის გიორგისა, რამეთუ ეშინოდათ გორგისაგან, მაზლისათვისსა, და მისთვის გამოგზავნა ყაენთანა და თანა გამოატანა შერმაზან ჩოლოყაშვილი“²⁰.

დაახლოებით ასეთივე ცნობას იძლევა ვახუშტი: „ვინამთგან მოხუცებული იყო ალექსანდრე, ამისთვის განიზრახა ქეთევან, რამეთუ თუ მოკუდეს ალექსანდრე, დაიპყრას გორგიმ კახეთი და შურაგოს ძესა ჩემსა. ამისთვის მოიყვანა ჩოლოყაშვილი შერმაზან, აფუცა და წარატანა ძე თვისი და წარგზავნა წინაშე შააბაზისა“²¹. თეიმურაზი და მისი და ელენე ირანში გაიგზავნენ. ს. ბელოკუროვის მიერ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, შვილებს თან გაჰყოლია დედა ქეთევანიც²². მაშასადამე, ქეთევანი უკვე 1604 წლისათვის პირველად იყო ირანში.

როგორც ითქვა, ერევნის ალების შემდეგ შაჰმა ალექსანდრე მეფე ირანს წაიყვანა და მხოლოდ მას შემდეგ დააბრუნა, როცა უფ-

¹⁸ С. Белокуров, Сношения России с Кавказом, в. I, М., 1889, гл. 584.

¹⁹ არაქელ დავრიეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შესავალი და კომენტარები კარლო კუციასი, თბ., 1974, გვ. 14.

²⁰ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 382.

²¹ იქვე, IV, გვ. 581.

²² С. Белокуров, СРК, I, гл. 492.

ლისწული თეიმურაზი გაუგზავნეს. კახეთს ამ დროს გიორგი ბატონიშვილი განაგებდა. შაჰ-აბასს კარგად ესმოდა ალექსანდრესა და გიორგის პოლიტიკა — მოსკოვის მთავრობაზე დაყრდნობით თავი დაედწიათ ირანისა და ოსმალეთის ბატონობისაგან, ამიტომ არ უფიქრია შერიგებოდა კახეთის სათავეში ალექსანდრესა და გიორგი ბატონიშვილის ყოფნას. შაჰის კარზე თეიმურაზს გარდა კიდევ ერთი უფლისწული იმყოფებოდა. ეს იყო ალექსანდრე მეფის ძე კონსტანტინე. რომელიც „გაეზარდა შაჰ-აბაზს და გაწვრთნა სჯულსა ზედა მაჰმადისასა“ (ბერი ეგნატაშვილი)²³.

1605 წლის თებერვალში შაჰმა ერთად გამოისტუმრა ალექსანდრე და კონსტანტინე. კონსტანტინეს შირვანი უწყალობა, რომელიც ჭერ კიდევ ოსმალეთს ეჭირა და მის დაპყრობაში ალექსანდრე უნდა დახმარებოდა²⁴. შაჰმა საიდუმლოდ დამოძღვრა კიდევ გაზრდილი: „წადი და მოკალ მამა-შენი და ძმა-შენი და კახეთიც შენ დაიჭირე“ (ბერი ეგნატაშვილი)²⁵. ეს იმ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, თუ კონსტანტინე მამასა და ძმას „ლალატს“ შეამჩნევდა. გიორგი ბატონიშვილმა მართლაც დაიწყო ყოყმანი შირვანზე გასალაშქრებელი ჯარის მიცემაზე. კონსტანტინეს დრო დაუდგა. უნდა აესრულებინა შაჰის ბრძანება და კახეთი ხელთ ეგდო. ამით კახეთის სამეფოს საკითხი ირანის სასარგებლოდ წყდებოდა, რამდენადაც შაჰის კარზე იმყოფებოდა ტახტის ერთადერთი მემკვიდრე თეიმურაზიც. კონსტანტინესა და გიორგი ბატონიშვილს შორის ბრძოლა მოსკოვისა და ირანის ინტერესთა აშკარა შეჯახებას წარმოადგენდა.

1605 წლის 12 მარტს კონსტანტინე მირზამ დახოცა მამა და ძმა და მათი მოკვეთილი თავები შაჰ-აბასს გაუგზავნა, თვითონ კი კახეთის ტახტი დაიჭირა. ეს კახეთის ირანის სახანოდ გადაქცევის უდრია. კონსტანტინე მეფე ოჯახის ღირსების შეურაცხყოფასაც არ დაერიდა. კაცი მიუგზავნა რძალს — ქეთევანს და მაჰმადიანთა წესისა და ჩვეულების მიხედვით ცოლობა სთხოვა. „მამინ მიუგზავნა რძალსა თვისსა ქეთევანს კაცი, რომელი იყო ცოლი დავითისა და დედა თეიმურაზისა და შეუთვალა, ვითარმედ: შეგიერთავ ცოლად და შენც მორჩილ მექნენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაჰმადისა“ (ბერი ეგნატაშვილი)²⁶. „მერე მიუგზავნა ქეთევანს, ცოლსა

²³ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 382.

²⁴ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1975, გვ. 220.

²⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 382.

²⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 383.

დავით ძმისა თვისისა: რამეთუ ჳერ არს სჯულსა მაჰმადისასა შერთვა რძლისა და აწ მე დავიპყარ კახეთი ნებითა ყუენისათა, შემირთვე და იყავ კულადცა დედოფალი და, უკეთუ არა ინებო, მე ძალით ვყო ესე. ამის მსმენელსა ქეთევანს შეუძნდა ესე და ვევედრა კახთა: რათა შეეწიონ არა ყოფად ამისად და, უკუეთუ არა, წარვიდეს სამშობლოსა თვისსა ქართლს. ამისთვის კახნი შემოკრბნენ წინაშე ქეთევანისა და ყვეს ფიცა და აღთქმა ღმრისა ამის არა-ყოფისათუს“ (ვახუშტი)²⁷. ამრიგად, ქეთევანმა მოუწოდა კახელებს აჯანყებისაკენ, კონსტანტინეს უკეთური ზრახვების წინააღმდეგ გალაშქრებისაკენ, თუ არა და იგი თავის გარიდებას და ქართლში — თავის სამშობლოში გადასვლას ფიქრობდა.

ვახუშტისავე ცნობით, მოხდა ბრძოლა კახელებსა და კონსტანტინეს შორის და მოიკლა ამ ომში კონსტანტინე და „მოვიდნენ კახნი გამარჯვებულნი წინაშე ქეთევანისა“ და ამ დროიდან კახეთს განაგებდა ქეთევანი, რომელიც გრემს იჭდა. ქეთევანმა ალექსანდრე მეფისა და გიორგის ცხედარი ალავერდს დაასაფლავა: „ამანვე მოილო ალექსანდრე ძით გიორგიით და დაფლა ალავერდს“²⁸.

ბერი ეგნატაშვილიც ასევე გვიამბობს, რომ ქეთევანმა მოუწოდა კახელებს და შეეხვეწა მოველოთ ამ საქმისათვის. „მაშინ მისცეს კახთა პირობა და შეპტიცეს, რომე შენს მეტი ბატონი ჩუენ არა გვინდაო. და შეიყარნენ და შეიბნენ. და მისცა ღმერთმან ძლევა ქეთევანს და განუმარჯვა კონსტანტინესა ზედა და მოკლეს კონსტანტინე კახთა და გამოაქცივეს ჳარი ყიზილბაშთა“²⁹.

ამრიგად, ქეთევანი სათავეში ჩაუდგა კახეთის მესვეურებს, ქართველები კონსტანტინეს თავს დაესხნენ, როცა ის შირვანის ქალაქ შემახას აღებას ცდილობდა. აქ კონსტანტინემ თავს უშველა, მაგრამ ბელაქნის ველზე 22 ოქტომბერს ქართველებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს და კონსტანტინე მოკლეს.

გრ. ხუცესმონაზონი-ღოდორქელი, აღფრთოვანებული ქეთევანის საქციელით, გვეუბნება: ქეთევანმა „სიძნენე მამაკაცებრივი აჩვენა“, არ მიიღო მაზლის წინადადება, „არამედ აღირჩია სიკვდილი, ვიდრე-ლა ბოროტისა მის კაცისა თანა შეერთება“³⁰.

ანტონ ფურცელაძის სიტყვით, „ქეთევან დედოფალმა ცხადათ დაგვიმტკიცა, რომ ქალი ღირსეულად იცავს თავის ვალს. როდესაც

²⁷ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 583.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე, II, გვ. 383.

³⁰ ლიტერატურული ძიებანი, V, 1944, გვ. 253.

იმას მიენდობა საქვეყნო საქმენი. იმის მოკლე მართვის დროს კახეთი იღვიძებს, ფხიზლდება, ძღაერდება. ის არჩევს თავის თანამშემწედ სა-
შეფოს მმართველად და მთავრებად გამოჩენილსა და სახელოვანთა
პირთა, რომელნიც იჩენენ დიდს გონივრებას და ძალას სამეფოს მოვ-
ლასა და მტრის პასუხისგებაში“³¹.

შაჰ-აბასს დიდად ეწყინა ეს ამბავი, მაგრამ არ დაიმჩნია. ირან-
ოსმალეთის ომი მიმდინარეობდა და მას ამ ამბისათვის ყურადღების
ნისაქცევად არ ეცალა. 1606 წლის გაზაფხული იყო. შაჰმა ყარაბა-
ლი აიღო და ქეთევან დედოფლის ელჩებიც ეახლენ, თემურაზი კა-
ხეთის მეფედ სოხოვეს. „კახთ წარგზავნეს მოციქული ყაენთანა,
შეეზვეწნენ და ითხოვეს ბატონი თეიმურაზ“³².

ამასვე ადასტურებს ისკანდერ მუნშიცი: „ქართველი დიდებული
აზნაურები, რომლებიც კონსტანტინე ხანს ეწინააღმდეგებოდნენ და
მის მოსპობას ცდილობდნენ, შაჰის კარზე მოვიდნენ, მორჩილება გა-
მოუცხადეს ხელმწიფეს, ითხოვეს თავიანთი დანაშაულის პატიება და
შევედრნენ, რომ თეიმურაზი დაუდ-ხანის შვილი და ალექსანდრე
ხანის შვილიშვილია, რომელიც ხელმწიფის სამსახურში იყო, იმ
ქვეყნის [ე. ი. კახეთის] მმართველად დაენიშნა“³³. შაჰმა დიდად იწ-
ყინა კახელების აჯანყება, მაგრამ არ დაიმჩნია, „სოფლის საფერი-
სად ასრე ბრძანა: ხელიმც შერჩებისო, მამის მკვლელს უარესი უნ-
და დაემართოსო“, — გვიამბობს ფარსადან გორგიჯანიძე³⁴. შაჰ-აბას-
მა დროებით უკან დაიხია და კახეთის ტახტზე თეიმურაზი დაამტკი-
ცა. იგი, ალბათ, იმასაც იმედოვნებდა, რომ სპარსულ კულტურას ნა-
ზარება სპარსული ლიტერატურისა და პოეზიის საუკეთესო მცოდ-
ნე თეიმურაზი სპარსული ორიენტაციის მომხრე იქნებოდა საქარ-
თველოში.

ქეთევანი სიხარულით შეეგება კახეთის მეფედ წარმოგზავნილ
შვილს. უფლისწული ბოღბეს ეკურთხა მეფედ. სამეფოს ფაქტიურ-
რად ქეთევან დედოფალი განაგებდა. ეს მოხდა 1606
წელს. ამავე წლის გაზაფხულზე შაჰმა ქართლის მეფედ უეტრად
გარდაცვლილი მეფე გიორგის ძე, 14 წლის ლუარსაბი დაამტკიცა.

³¹ ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად და საქართველოს შესაერთებლად ანუ
გორგი სააკაძე და მისი დრო, ტფ., 1892, გვ. 143—144.

³² პარსების ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველომსა, ზ. ჰიქინაძის გამოცემა, თბ.,
1903, გვ. 24.

³³ ისკანდერ მუნშიცის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი
ქართული თარგმანითა და შესავლითურთ, გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 60.

³⁴ ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 19.

შაჰმა ქართლის ციხეებიდან (ლორე. აღჯაყალა, დმანისი, თბილისი) ოსმალები განდევნა და შიგ ყიზილბაში მეციხოვნეები ჩააყენა. ქართლ-კახეთის სამეფოები ირანის ვასალებად ითვლებოდნენ. ორივე სამეფო ვალდებული იყო საჰიროების შემთხვევაში ირანის მხარეზე ჯარით გამოსულიყო. ქართლიდან წასული შაჰ-აბასი შემახას ციხეს შემოადგა და თეიმურაზი იხმო. თეიმურაზს ჯარით გამოსვლას სთხოვდა, მაგრამ ახალგაზრდა მეფემ თავი აარიდა, ბოდიშის მოხდით ლაშქრობისაგან გათავისუფლება ითხოვა. შაჰმა განმეორებით იხმო თეიმურაზი, მან ისევ თავი აარიდა და შაჰს ქეთევან დედოფალი ეახლა ათასკაციანი რაზმით. შაჰმა იწყინა, მაგრამ არ დაიმჩნია. დედოფალი პატივით მიიღო, ხოლო ჯარისათვის საომარი დავალება არ მიუცია. ეს ცნობები ისკანდერ მუნშისაგან მომდინარეობს. იგი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს: „ამ დროს გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ თეიმურაზ-ხანი მოსულიყო გაწყობილი ჯარით შემახას ციხეზე და [შაჰის] სამსახურად დამდგარიყო. მაგრამ მან, ზოგიერთი იმ ბოროტგანზრახველის მიერ ცთუნებულმა, რომელნიც მუდამ აცდენდნენ უეცისა [და] გამოუცდელ [თეიმურაზს] სწორ გზას და არწმუნებდნენ მას, არ წასულიყო ციხის მსგავს სასახლეში [შაჰის კარზე], ყალბი ბოდიში მოიხადა და ითხოვა, რომ გაეთავისუფლებინათ ამჟამად მალალ კარზე ხლებისაგან და რომ გამოგზავნიდა თავის დედას, დედოფალს, რომელაც [მისი] ქვეყნის მთავარი საქმეების გადამწყვეტი იყო, რამდენსაც შეძლებდა და მოახერხებდა [იმდენი] ლაშქრით. დიდებულმა ხელმწიფემ ბრძანა: ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, რომ დავეთანხმოთ მის თხოვნას, მაგრამ, ვაი თუ მისი არ მოსვლა ზერელე ჭკუის ადამიანებს ერთგულებისა და მორჩილების ნაკლებობად მოეჩვენოთ, ყველამ მასზე ეჭვი იქონიოს, რომ განდგომილია და გახდეს [სხვა] მხარეების მმართველთა შეშფოთება-შეშინების მიზეზი და მათაც საბაზად გამოიყენონ ესო. შესაფერისი ის იქნება, რომ ის მარტო მსუბუქად გვახლოს სამსახურად. მიიღებს უკან დაბრუნების ნებართვას და შემდეგ, როცა წაევა, თავის დედას გამოატანოს იმდენი ლაშქარი, რამდენსაც შესძლებს.

[თეიმურაზმა] ბოროტგანზრახველების წაქეზებით ამჯერად საპატიო მიზეზის გარეშე უარი სთქვა [მოსვლაზე] და [შაჰის] სამსახურის ბედნიერებას არ ეუზიარა. რამდენიმე დღის შემდეგ მალალ ურდოში მივიდა დედამისი ქართველთა ჯარის ერთი რაზმით, რომელიც სულ ათასზე მეტი კაცისაგან არ შედგებოდა, და შესაფერის ადგილზე დადგნენ. თუმცა ხელმწიფეს ეწყინა ეს უხამსი საქციელი

[თეიმურაზისა], მაგრამ იმ პატიოსანი მანდილოსნის ხატობით, ის ხელმწიფური ალერსით და მოფერებით პატივცემული და ამაღლებული გახდა. [თეიმურაზის დედა] გაბედნიერებული იქნა ხელმწიფის პარამხანის მანდილოსნებთან შეხვედრით და [ბევრი] უალერსეს და პატივი სცეს, ხოლო ქართველთა ჯარი, რამდენ ხანსაც არ იყო დიდებულ ბანაკში, არავითარ საქმეზე არ დაუნიშნაეთ³⁵.

ისკანდერ მუნშის ცნობით, ეს ამბავი 1607 წელს მოხდა. ამრიგად, ქეთევანი შაჰ-აბასს ხლებია. თუ ის ცნობა სწორია, რომ ქეთევანი თეიმურაზს თან ახლდა შაჰ-აბასთან მისი გაგზავნისას 1604 წელს, მაშინ გასაგებია ქეთევანის წასვლა შაჰთან 1607 წელს შვილის ნაცვლად. ქეთევანი უკვე იცნობდა შაჰ-აბასს. ირანის ლომს მართლაც დიდი პატივით მიუღია დედოფალი,— გვამცნობს ისკანდერ მუნში და თვითონაც პატივისცემით მოიხსენიებს ქეთევანს.

ქეთევან დედოფლის ინიციატივით და დიდებულთა რჩევით თეიმურაზმა 1607 წელს ცოლად შეირთო გურიელის მშვენიერი ასული ანა³⁶.

შემდეგ ისტორიულ წყაროებში ქეთევანს ვხვდებით შაჰ-აბასის პირველი შემოსევის დროს. 1613 წლის გაზაფხულზე შაჰ-აბასმა თეიმურაზი და ლუარსაბ მეფე ნადირობის საბაბით მაზანდარანს მიიწვია. მეფეები არ ენდვნენ მას და არ წაჰიღნენ. ისკანდერ მუნშის ცნობით, შაჰმა დასაჯა მეფეები და „სამღეთო ომისათვის საქართველოსაკენ დაიძრა“³⁷. იგი დიდი ლაშქრით განჯაში მოვიდა და თეიმურაზისაგან მძევლები მოითხოვა, თან ხმას ავრცელებდა ოსმალეთზე საბრძოლველად მივიდვიარო. თეიმურაზი ხედავდა „არა იყო ბრძოლა ოსმალთა“, იცოდა შაჰ-აბასის სიბოროტე, შვილი არ ემეტებოდა და შეყოყმანდა. კახელების დაჟინებით თეიმურაზი იძულებულად შეიქნა შაჰისათვის მძევალი მიეცა და უმცროსი შვილი ალექსანდრე გაგზავნა, თან დედა-ქეთევანი გააყოლა „უფრო მეტ პატივს დამდებს და არას აწყენს შვილსა ჩემსაო“³⁸. ახსოვდა 1607 წელს შაჰისაგან ქეთევანის პატივით მიღება. მართლაც, გრიგოლ ხუცემონაზონი-დოდოქრელი შემდეგნაირად მოგვითხრობს ამ ამბავს:

შაჰ-აბასი განჯას მოვიდა და მოციქული შემოუგზავნა თეიმურაზს შეახლო. მიხვდა თეიმურაზი არაკეთილი განზრახვა ჰქონდა

³⁵ ისკანდერ მუნში ი... გვ. 69—70.

³⁶ არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, თბ., 1937, გვ. 35; პარიზის ქრონიკა..., გვ. 26; ს. კ ა ვ ა ბ ა ძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1926, გვ. 19.

³⁷ ისკანდერ მუნში ი..., გვ. 81.

³⁸ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 292.

შაჰს. მოითათბირეს კახთა, მოახსენეს თეიმურაზს დედოფალი ქეთევანი და თქვენი ძე ალექსანდრე „მიეგებოს წინაშე მისსა და გვიქსნას პირისა მისგან მხეცისა ბოროტისა“.

შეწუხდა მეფე და ტირილით მოუთხრო ქეთევანს ყოველივე. „მაშინ შეწუხდა ქეთევან და მანცა იწყო ტირილად და თქუა ესრეთ: შვილო ჩემო სასურველო და ნათელო თვალთა ჩემთაო, მრავალჯერ მიქსნია ქვეყანად ესე კახეთისაჲ დედობრივითა უბლურებითა ჩემითა. უკეთუ წარვიდე მეცა, არა ინებებს მეფე აგი უსჯულო მშვიდობას ყოფად ჩუენდა, რამეთუ არს იგი მოუმდოვრებულ“³⁹.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვითაც ქეთევანი წასვლის წინა-აღმდეგია, რადგან არ ენდობა შაჰს, მაგრამ დიდებულებმა დაიყინეს და მაშინ ქეთევანმა მიმართა მათ სიტყვით, მოუწოდა სიმტყიცისაკენ, თვითონ შეჰპირდა თუ შაჰი ჩემს სიტყვებს შეიწყნარებს ვეტყვი, თუ არ ისმენს ქრისტეს სახელისთვის თავს დაედებო. ახსენა თეიმურაზიც, რომელსაც „მრავალგზის ზიეცეს თავი თვისი განააცდელთა და ჭირთა შინა, სარგებლობისათვის მამულისა და მშვიდობით დაცვისათვის თქუენისა“⁴⁰. მართლაც, შაჰმა დიდი პატივით მიიღო ქეთევანი. „რა მივიდა დედოფალი ქეთევან, სცა პატივი დიდი“ (ბერი ეგნატაშვილი)⁴¹, მაგრამ განრისხდა, ძიძა ხომ არა ვარ, რატომ უფროსი შვილი არ გამომიგზავნაო. შემოუთვალა თეიმურაზს „წარმომივლნე ძე შენი უკუეცი, უკეთუ გნებავს ერთობა ჩემთანა, და მე ვსცე პატივი დედასა შენსა და უკან-ვიქცე“⁴². შაჰი ასე უთვლიდა, მაგრამ გუნებაში სულ სხვა რამ ჰქონდა განზრახული. ვახუშტი შენიშნავს, „რამეთუ ენება სრულად ყოველთა ხელთგდებადო“⁴³. მართლაც, ვითარება მძიმე იყო. ქეთევან დედოფალმა ალლო აულო პატიუაიკის და შემოუთვალა თეიმურაზს, რომ უფროსი შვილი აღარ გაეგზავნა. თეიმურაზსაც არ უნდოდა ლევანის გაგზავნა, მაგრამ არ დაეთანხმნენ კახელები: „ნუ მოსწყვედ კახეთს ერთისა ყმისათვისო“⁴⁴ და ძალად გააგზავნინეს შვილი.

„პარზის ქრონიკა“ ასე გადმოგვცემს ამ ამბავს:

„გაგზავნა ბატონმა თეიმურაზმა თავისი დედა და ორი შვილი დედანი და ალექსანდრე, სხვა მრავალი ფეშქაში გაუგზავნა და სა-

³⁹ ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 259.

⁴⁰ თეიმურაზ ბატონიშვილი, მოწმობა წმიდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა, ცისკარი, 1872, გვ. 331.

⁴¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 392.

⁴² იქვე, IV, გვ. 586.

⁴³ იქვე.

⁴⁴ იქვე.

ხვეწარი წიგნი კიდევ მისწერა, ყაენს იამა იმათი მისვლა და დიდი პატივი და დიდი საქმე მიაპყრა და უბრძანა დედოფალს, თქვენ აქ მოხვედით და მნახეთო და მრავალი წყალობა უქადა და ახლა შენს შვილს ბატონს თეიმურაზს წიგნი მისწერეო. მოვიდეს მნახოსო. მრავალ წყალობას უზამო და შენც და იმას თქვენსავე საბატონოში გაგისტუმრებთო. და ყაენმა დაბრუნებაც მოინდომა და ყიზილბაშთ უფროს კაცებს ეს ლაშქრობა არ უნდოდა, მაგრამ ქართველნი და კახნი ვინცა ვინ ყაენის კარზე იყვნენ დაიწყეს ლაპარაკი, ყაენი და ერანის ლაშქარა აქამდისინ გარჯილხართო. სამის დღის სავალი დარჩომილაო, ჩვენ და ჩვენი შვილები აქ მზევლათ შეგვინახეთო, თუ თქვენ ლაშქარს დაუმარცხდეს რამეო, ყველას თავები დაგვაყრევინეთო, რადგან ხელმწიფე აქამდისინაჲ მობრძანებულაო, საქართველოს მიბრძანდეს და ნახოსო და თავისი ერთგული და ორგული იცნოსო“⁴⁵.

თოთქმის ასევე გადმოგვცემს ამ ამბავს ფარსადან გორგიჯანიძე: „დიდის რისხვიანობითა და მრავლის ლაშქრით ყაენი ყარაბაღში მოვიდა რა ეს ანბავი ბატონმან თეიმურაზ გაიგონა, თავისი დედა ქეთევან დედოფალი და თავისი და ელენე და თავისი ორი შვილი ლევანი და ალექსანდრე სხვის მრავალს ფეშქაშითა, სახეეწარაი წიგნები ყაენს მიაგება. ყაენს იამა და დაბრუნება მოინდომა და არც ყიზილბაშთ უნდოდა ეს ლაშქრობა, მაგრამ ვინც ქართველნი და კახნი ყაენს ახლდნენ, დაუწყეს ყაენს ხვეწნა, რომ ჩვენი შვილნი და თავადები აქ მზევლად მოგვისხამსო, თუ შენს ლაშქარს დაუმარცხდეს რამეო, ყველას თავები დაგვაყრევინეთო, რადგან აქამდისინ მობრძანებულხართო, საქართველო ინადირეთო და რომელიც გეპრიანების, ისრე გაარიგეთო და მასუკან ნადირობითა და შექცევით დაბრუნდითო“⁴⁶

თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობითაც, შაჰმა რომ თეიმურაზს უფროსი ძე მოსთხოვა, ქეთევანმა უპასუხა, ისიც პატარაა და რად გინდა ჩვენი სამეფოს ამოწყვეტა, ეს ბრძოლას გამოიწვევსო, მაგრამ შაჰი დაჟინებით ითხოვდა უფროს ვაჟს ლევანს „ხოლო დედოფალი კვალად არა თანახმა იყო ამასა ზედა“⁴⁷. მაშინ დედოფალმა აცნობა თეიმურაზს. რომ შაჰს განზრახვა ბოროტი აქვს, ნუ გამოგზავნი

45 პარიჟის ქრონიკა..., გვ. 38.

46 ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 1926, გვ. 21.

47 თეიმურაზ ბატონიშვილი, მოწმობა წმიდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა, ტისკარი, 1872, გვ. 338.

შვილს, თორემ უმემკვიდროდ დარჩებო. მეფემ უფროსი ვაჟიც გაგზავნა, მაგრამ ახლა თვითონ თეიმურაზს უბრძანა შაჰმა მეახლეო. ახლა კი არ ენდო თეიმურაზი ირანის მბრძანებელს და კახელებიც დარწმუნდნენ მის სივერაგეში.

შაჰ-აბასის ისტორიკოსი ისკანდერ მუნში თავისებურად გადმოგვცემს ამ აზბაუს. შაჰს არ უნდოდა მის კარზე გაზრდილი თეიმურაზისათვის ყურადღება მოექლო და დაიბარა. ის კი შიშით არ ეახლა და „დედამისი თავისი ორი პატარა ვაჟითურთ რამდენიმე საპატიო აზნაურთან და ქართველ ეპისკოპოსთან და ბერებთან ერთად, შაჰის კარზე გაგზავნა, რათა მათ ეშუამდგომლათ მისი დანაშაულის შეცოდების პატიება. თან ითხოვა, რომ [შაჰს] ამჯერად არ დაესაჯა ის და ენება გაბრუნება. სხვა დროს, როცა ცხადი გახდებოდა, რომ ხელმწიფემ მაპატიო და დაემშვიდდები, მაშინ მოვალ ბედნიერების ბუჯქში — შაჰის კარზეო“⁴⁸. „თეიმურაზის დედა და იმ სამეფო გვარის მანდილოსნები შაჰის კარს ეახლნენ და ხელმწიფური ყურადღებით იქნენ მიღებული“⁴⁹. ისკანდერ მუნშის აზრით, შაჰმა მათი შუამდგომლობით აპატიო თეიმურაზს დანაშაული, ისკანდერ მუნშს თეიმურაზი ყოველთვის დამნაშავედ გამოყავს, იგი გვიამბობს, თითქოს თეიმურაზმა ბაგრატი-ხანს რაღაც შაჰის საწინააღმდეგო წერილი მისწერა, ბაგრატიმა კი ეს წერილი შაჰს წარუდგინა, რამაც შაჰი განარისხა და შუამდგომლობამ ვეღარ გაჭრა. „თეიმურაზის დედა და ვაჟები, მათთან მყოფ მსახურებთან ერთად, სანდო კაცებით ერაყში გაგზავნა“⁵⁰.

თეიმურაზი არ ეახლა შაჰ-აბასს. იგი განრისხებული დაიძრა კახეთისაკენ. ქეთევან დედოფლის დიპლომატია უშედეგო გამოდგა. გამძვინვარებულმა შაჰ-აბასმა საშინლად დაარბია ქვეყანა. კახეთმა მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა, ნანგრევებად იქცა ქალაქები და სოფლები, ქვეყანა ვავერანდა. თეიმურაზი იმერეთში გაიქცა. ყიზილბაშებმა უამრავი ტყვე წაიყვანეს, ქვეყანა დახარკეს, მეფისა და ეკლესიის განჭეულობა მოიტაცეს. იმერეთის ელჩები აფხაზეთის კათალიკოსი და ლევან აბაშიძე ეახლენ შაჰს. სთხოვეს ლუარსაბსა და თეიმურაზს შერიგებოდა. შაჰმა ხელი აიღო თეიმურაზზე, არას ვერჩიო და ლუარსაბის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. ყარაიაში ნადირობის საბაბით გაიტყუა, დაატყვევა და შემდეგ მშვილდის საბლით მოაშთო-შინა. კახეთში თეიმურაზის გამაჰმადიანებული ბიძაშვილი, გიორგი ბა-

48 ისკანდერ მუნში... გვ. 83.

49 იქვე.

50 იქვე, გვ. 84.

ტონიშვილის ძე — ისა-ხანი დანიშნა, თეიმურაზის დედა ქეთევანი და შვილები შირაზს გაგზავნა. რობერტო გულბეკიანის ცნობით, ქეთევან დედოფლისა და მისი შვილიშვილების ლევანისა და ალექსანდრეს დაევა დავალებული ჰქონდა ალავერდი-ხანს⁵¹. სხვა წყაროებით. ალავერდი-ხანს კი არა მის შვილს იმამყული-ხანს. მალე ირან-ოსმალეთის ომი განახლდა (1615 წლის 22 მაისი), კახეთში აჯანყება დადგა ღლის წესრიგში. ისა-ხანი ირანში გაემგზავრა და კახეთი შაჰისაგან მის მოადგილეებად დანიშნულ ნოდარ ჯორჯაძეს და დავით ჯანდიერს ჩააბარა. ეს უკანასკნელნი კი აჯანყებას ჩაუდგნენ სათავეში და თეიმურაზი იმერეთიდან გადმოიყვანეს. კახეთს შირვანიც აპყვა და ციხე-ქალაქი შაჰის ჯარებისაგან გაათავისუფლეს. შაჰ-აბასმა აშკარად დინახა აჯანყებაში ოსმალეთის ხელი და 15 ათასიანი არმიით ალი-ყული-ხანი გამოგზავნა. თეიმურაზმა დანაშაულები და გააქცია ალი-ყული-ხანი. ამ გამარჯვებამ თავისი ძალებისადმი რწმენა შექმნიდა თეიმურაზს, მაგრამ გააცოფა ირანის ლომი, რომელიც 1616 წლის გაზაფხულზე უზარმაზარი არმიით გამოემგზავრა საქართველოსაკენ. იგი ჯერ ქართლში შემოვიდა. ქართლის მმართველად ბაგრატ-ხანი (დაუთ-ხანის შვილი) დანიშნა, კახეთში გადავიდა და დაბანაკდა. თეიმურაზი მარტო აღმოჩნდა გამძვინვარებული შაჰ-აბასის წინ, ოსმალთა ლაშქარი არ მოეშველა. ქვეყანა გაპარტახდა. თეიმურაზი ისევ იმერეთში გაიქცა და დიპლომატიური მოქმედება გააჩაღა. იღუმენი ხარიტონი ორჯერ (1617, 1618) გაგზავნა ოსმალეთში და დახმარება სთხოვა ხონთქარს. ხონთქარმა ამ ელჩობის შედეგად გონიერა და ზოგი სხვა ადგილი უბოძა. 1618 წელს თეიმურაზი მონაწილეობდა ოსმალეთის მხარეზე ირანის წინააღმდეგ ომში და მუქარას უთვლიდა სპარსეთის შაჰს, რომ სამაგიეროს მიუზღავდა, მაგრამ იმედები არ გაუმართლდა, ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. თეიმურაზმა რუსეთისაკენ აიღო გეზი. თეიმურაზი მხოლოდ დიპლომატიურ დახმარებას თხოულობდა რუსეთისაგან, რადგან მას კარგად ესმოდა, რომ ამ დროს (1618) რუსეთს აქტიური სამხედრო დახმარების გაწევა არ შეეძლო, მაგრამ რუსეთი მაინც დადებითად შეხვდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენას და უარი არ უთქვამს თავის ვალდებულებებზე გამოსულიყო საქართველოს დასაცავად⁵².

⁵¹ ი. ტაბაღულა, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1974, № 1, გვ. 113.

⁵² Н. Н а к а ш и д з е, Грузино-русские политические отношения в первой половине XVII века, Тб., 1969, гл. 75.

მალე, 1621 წელს რუს ელჩებს ევალიბოდათ შაჰისაგან მოეთხოვათ კახეთი თეიმურაზისათვის დაებრუნებინა, საქართველოში მტრული მოქმედება შეეწყვიტა და თეიმურაზის დედა—ქეთევანი და შვილები გაეთავისუფლებინა. შაჰ-აბასი კი თეიმურაზის ოსმალეთისაგან ჩამოშორებას მოითხოვდა. ირანის ელჩი რუსან-ბეგი ყოველთვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ შაჰის გაბრახება თეიმურაზის თურქებისადმი მიმართობამ გამოიწვია⁵³. ამ დროს მოსკოვის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა ირანთან კეთილურთიერთობის შენარჩუნება იყო. თეიმურაზის სულთანთან დაკავშირების ცდები რუსეთს ნისი გამოქომაგების საფუძველს აკლიდა. ირანის შაჰიც რუსეთის მეფეს უცხადებდა, თეიმურაზი ჩემთან გამოცხადდეს და დედასა და შვილებს დაეუბრუნებო⁵⁴.

თეიმურაზი არ ენდობოდა შაჰ-აბასს, ამიტომ მეტი გზა აღარ დაჩინოდა, ოლთისს დატოვა დედოფალი ხორეშანი და თვითონ ოსმალეთს წავიდა. რათა პირადად ეთხოვა დახმარება სულთანისათვის. თეიმურაზი სტამბოლში 1622 წლის გაზაფხულზე ჩასულა და შეხვედრია ახალ სულთანს მუსტაფა I-ს, მაგრამ უკან იმედგაცრუებული დაბრუნებულა⁵⁵. თეიმურაზის ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირმა შაჰ-აბასის შურისძიება გამოიწვია. მან დაასაჭურისა თეიმურაზის ძენი ლევანი და ალექსანდრე. ყმაწვილებმა ვერ გაუძლეს საშინელ წამებას, უმცროსი იქვე გარდაიცვალა, უფროსი კი ქუვიდან შეიშალა. შემდეგ კი შაჰ-აბასმა ქეთევანი ამოიღო მიზანში და 1624 წელს წამებით მოკლა.

ასეთია არსებული წყაროების მიხედვით თეიმურაზის დედის ქეთევანის ბიოგრაფია.

2. „ქეთევანიანი“ და ავტორის ზანცვარი

თეიმურაზ პირველს „ქეთევანიანის“ შინაარსი ასეთია: ავტორი პოემის შესავალში მიმართავს ლმერთს, ღვთისმშობელს, წმინდანებს

⁵³ Т. Тивадзе, Материалы по внешнеполитической истории Грузии перной половины XVII века, содержащиеся в Архивном фонде «Сношения России с Персией». კრ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, თბ., 1973, გვ. 152-6.

⁵⁴ თ ა მ ა რ ტ ი ე ა ძ ე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის II მეოთხედში, თბ., 1977, გვ. 29.

⁵⁵ მ. ს ე ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1971, გვ. 278-279.

და სთხოვს გახადონ ის ქეთევანის წამების აღწერის ღირსი, შეად-
ლებინონ ამ საქმის დაძლევა:

მზის ქეთევანის წამება ეცოდე რაცა სმენითა
ღირსმეჲც ცოცალი მე ესე, რომ მათქმევინო ენითა (6. 3—4).

ამბავი იწყება კახეთისაკენ შაჰ-აბასის წამოსვლით, რომელსაც მიენდო დედოფალი თვითონ და უძღვნა ალექსანდრე და ლევანი—თეიმურაზის ძენი. შაჰმა ისინი განჯაში დატოვა, თვითონ შემოესია კახეთს და ააოხრა. პატიმრები განჯიდან შირაზს გაიგზავნენ, სადაც ქეთევანი ზრდიდა ყმაწვილებს. ხუთი წლის შემდეგ შაჰმა თეიმურაზის ძენი აწამა. დედოფალმა მწარედ დაიტირა შვილიშვილები. ქეთევანმა ტყვეობაში ათჲ წელი გაატარა. შემდეგ შაჰმა შირაზის ხანს, რომელსაც თეიმურაზი ქებით მოიხსენიებს, დაავალა ქეთევანისთვის ან მამალიანობა მიეღლებინებინა, ან არა და სიკვდილით დავსაჯა. სან თვეს ვერ გაამხილა ეს ამბავი შირაზის ხანმა. ბოლოს იძულებული შეიქნა გაეცხადებინა ბრძანება. შეერთა ქეთევანი, ღმერთს მიმართა ვედრებით, სიმტკიცე მოევილია მისთვის, მერე ეზიარა და განემზადა სატანჯველისათვის. შემდეგ აღწერილია ქეთევანის წამების სცენა. შეშინებული მოახლეები დედოფალს სთხოვდნენ, თავს ნუ გასწირავო. თინათინმა საშინელი კივილი მორთო, ჯალათებმა შიშველი გარეთ გააგდეს, მაგრამ წინ გივი შემოეყარა და შალში გაახვია. შედრკა დედოფლის სულიერი მოძღვარი გიორგიც. ქეთევანმა მამაცურად აიტანა წამება და სული განუტევა. ერთი წლის შემდეგ ახადეს სამარხს და შიგ მისი სხეული ველარ ნახეს, ზოგი ფიქრობდა „ზეცას წასულაო“, ზოგი კი „ფრანგნი მოიპარავდნენო“ ჯვარისმოსავნი ცდილობდნენ მისი ნეშტის შექენას, მაგრამ შაჰ-აბასი არავის აძლევდა. პოემა თავდება ავტორის განცხადებით, რომ, თუ ვინმე ლექსს დაუმატებს, მომდურავი არ ვიქნებით. ასეა პოემაში წარმოდგენილი ქეთევანის წამების ამბავი.

ქეთევანის წამების ამბავთან ერთად თხზულებაში გადმოცემულია როგორც წამებულის დედოფლის ღრმა სულიერი განცდები, ისე თვით ავტორის თეიმურაზისა. პოემა ეხანრობრივ სიახლესთან ერთად გარკვეულად უკავშირდება ძველი ქართული მწერლობის ისეთ ტრადიციულ დარგს, როგორც მარტილობაა და გადმოგვცემს წმინდანის მოწამებრივ ცხოვრებას. ამასთან საგულისხმოა, რომ პოემის ავტორი წამებულის დედოფლის ღვიძლი შვილია. ყოველივე ამის გამო ბუნებრივია მისი ღრმა სულიერი განცდები წარმოჩენილიყო ნაწარმოებში. მართლაც „ქეთევან დედოფლის წამებაში“ თეიმუ-

რაზის სევდისა და მწუხარების განწყობილება მძლავრად გამოვლინდა. შესაჯალში პოეტი მიმართავს ღმერთს, წმინდანებს, მოსტკვამს:

იესოვ, შენ გვედრები, მარიაჲ ქრისტეს დედაო,
აბრამ, ისაკ და იაკობ, ელია—ამაზედაო,
ფრიალნი სევდა-ნაღველი ღამერთო ზედი-ზედაო,
იმ თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ ამაყდაო! (5).

კახეთის აობრების ანბოს აღწერისას პატრიარქი დედა აგონდება და თავის სიშორეს განიცდის. „ყოველთა საქებარი“ დედოფალი რომ ბორკილებიდან იხსნას „სადა ყვა ხელმწიფე-შვილი, ანუ მხლებელთა ჭარიო“ (12,2).

ღედის წამების დღის მოგონება ადრე გადატანილ გასაჭირს ავიწყებს, თუმცა ადრე უბედურმა მამამ ორი შვილის დალუპვა გადაიტანა („ვა მე იმ დღესა მხსენესა, დამეიწყდა ღღენი წინანი“ — 67,1). პოეტი ცრემლს ღვრის და სინანულს ვერ უშკლავდება იმის გამო, რომ ჭვარცმული ქრისტეს გვერდით წამებული ავაზაკივით თვითონ არ ეცვა ჭვარს ღედის გვერდით.

მე ავაზაკი შემოდე ახლოს არ ვიყავი, ვინანი,
მარჯვენიო ჭვარსა არ ვეცი, ამაღ ვარ ცრემლთა მღინანი (67).

სინანული და ცოდვათა აღიარებაა გამოხატული ნაწარმოების ბოლო სტროფებშიც. მეფე-პოეტი ჩივის რომ „ოდითგან ცოდვით მოსილა“; ვერ განიწმინდა „ცოდვანი სულთა ნუგეშის ცემისა“, თავს იმის ღირსად არ თვლის, რომ ზეცას გაუსწოროს თვალი.

ესე დღე აღსასრულისა ეამთა და წელთა ჩემისა,
ვერ განეწმინდე ცოდვანი სულთა ნუგეშის ცემისა,
ძვირის ვნებითა ვნებული, გინება მისდა ცემისა,
სულთა და ხორცთა გაყრაში, რალა ეთქვა მის დაცემისა! (81).

ოდესმე წაუდგე შიშველი, ქედ დახრით დაყმუნებული,
ოდღეგან ცოდვით მოსილი, არ მაღლით გაბრწყინებული,
ორგნითვე ხელ-ფერხ შეკრული, გარესკნელ წარდგინებული,
მიმელის მატლი უძილო და ცაცხლი აღტყინებული (82).

ჭერ, ღმერთო, არა ვარ ღირსი თვალთა მე ზეცად ახილვად,
ჭეროვნად მზისა, მთვარისა, მალღისა ცისა დახილვად,
რაჟამს მოვიდეს გაბრეულ ცოდვათა ჩემთა დახილვად,
მას თვალნი ელარ შევადგენ, ეიყო კელა დაღმა დახილვად (83).

ცოდვილს უწოდებს თეიმურაზი თავის თავს ნაწარმოების შესაჯალშიც. ღმერთს სთხოვს: „ღირსმყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმე-

ვინო ენითა“ ქეთევანის წამებაო. ნაწარმოების დასასრულს კი ბო-
დიშს იხდის, რომ „ბრძენთ გასაჩინელ“ საწმეს მოკიდა ხელი. მაგ-
რამ სევდით „ცრემლთა მდენელი“ ვიყავი და იმან მათმეენა, თო-
რემ „მას უხმდეს მეტყველად თვით იოვანე სინელიო“.

აჲ ესე მივირს, რამცა ექენ საქმენი გასაჩინელი,
მე ვეადრე ხელს მიყოფა. იყო ბრძენთ გასაჩინელი,
თუცა მსუროდა. სევდითა ვიყვენით ცრემლთა მდინელი,
თვარე მას უხმდეს მეტყველად თვით იოვანე სინელი (84)

სევდისა და მწუხარების მოტივი თეიმურაზის შემოქმედებაში
მარტო „ქეთევან დედოფლის წამებისათვის“ არ არის დამახასიათე-
ბელი. ეს მოტივი თეიმურაზის მთელ შემოქმედებას გასდევს და ამის
საფუძველი მისი პირადული და საქვეყნო ტრაგედია იყო. არა მარ-
ტო შემოქმედებაში, არამედ თავმდაბლობითა და დაკნინებით იხსე-
ნიებს თეიმურაზი თავისთავს სიგელებშიც: მე „ყოველთა მეფეთა
უნარჩევსმან არა საქმეთა მიერ კეთილთა, არამედ მოწყალებითა
ლ^ათისაჲა გუი^რგუინოსანმან“, — ამბობს ის მცხეთის ერთ სიგელში
1631 წელს. ან: „მე ყოვლად უსრულმან ცნობითა, ქცევითა ყოვლად
ნაკულუღევანმან კეთილ-გარნა სასოებით და წრწოლით ბრალთაგან
ყოვლად განკროთომილმან, ზეფედ დადგინებულმან ძისა შენისაგან
არათუ გამორჩევით, არამედ უნაჩევსმან, მსასოებელმან შენმან და
მონამან მდაბალმან, უნდომან თეიმურაზ“. თეიმურაზის სიგელების
ეს სიტყვები „შეჯარად ეხმაურება მის პოეზიას და მათ შორის „ქე-
თევან დედოფლის წამების“ ზემოთ ციტირებულ სტროფებს.

ივ. ჭავჭავიძე უნდობანს, რომ „ასეთნაირად თავის პიროვნე-
ბის დამცირება მეფეთა სიგელებში არ გვხვდება და მხოლოდ თეი-
მურაზს აქვს პირველად ნახმარი... ეს ბერძონაზუნის კილო და ენაა
და არა ქვეყნის მმართველის მეფისა და მეომრის“⁵⁶. მაგრამ ან
დროს ბერძნისაგან ჯერ შორს იყო თეიმურაზი.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაუცხრომელი მებრ-
ძოლისა. თავდადებული მეფე მხედრის ავტოპორტრეტში თავმდაბლო-
ბითა და დაკნინებით აღსაესე სიტყვების გაჩენას თ. ნატროშვილი იმ
წარუშლელი კვალით ხსნის, რომელიც წუთისოფლის უკულმარობამ
დატოვა თეიმურაზის სულში⁵⁷. მართლაც, პირადი გულისტკივილისა
და მწუხარების გამოსახატავად თეიმურაზს მრავალი საფუძველი
ჰქონდა. ალბათ ბევრს არ რეგებია წილად იმდენი ტკივილი და გასაჭი-

⁵⁶ ი. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, V, თბ., 1953, გვ. 9.

⁵⁷ თ. ნატროშვილი, მამრიყიდან მალრიბამდე, თბ., 1974, გვ. 147.

რი. საკუთარი თუ საქვეყნო, რაც თეიმურაზს შეამთხვია წუთისოფელ-
მა, ყოველივე ეს უიღბლო მეფისა და უპირველესი რაინდის პოეტურ
სულში გადატყდა და იმ უსასოო პესიმისმში გამოვლინდა, რაც მეტ-
ნაკლებად გაისმის ყველა მის ნაწარმოებში და რასაც გამოხატულება
მეფის მ-ერ გაცენულ სიგელებშიც უპოვია. ამდენად, სავსებით ბუნებ-
რივია ცოდვათა აღიარება და სინანულის ცრემლები „ქეთევან დე-
დოფლის წამებაშიც“. სხვაგვარი აზრისაა ზურაბ ავალიშვილი. იგი თე-
იმურაზის დიდი სინანულის მიზეზს, რომელიც გამოთქმულია პოემა-
ში, იმაში ხედავს, რომ თვით თეიმურაზია ერთგვარად დამნაშავე
დედისა და შვილების მძევლად წაყვანაში. თეიმურაზმა ირჩია შაჰს
არ ხლებოდა და ამან განაპირობა ქეთევანისა და უფლისწულების
მძევლად წაყვანაო. მკვლევარი განიხილავს 67-ე სტროფს:

ვა მე იმ დღისა მხსენესა, დამოუწყა დღენი წინანი,
მკერდით ზურგადინ გააელეს გახურებულნი რკინანი,
მე ავაზაკი შემოკდე ახლოს არ ვოყა. ვინანი,
მარჯვენით ქეარსა არ ეცეო, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი (67).

და ასკვნის, რომ თეიმურაზის დედისა და შვილებს რომ არაადამიან-
ური წამება ერგოთ წილად. ეს თეიმურაზის ოსმალეთთან კავშირ-
მა განაპირობა და, ამდენად, ამ სახით გამოთქმული თეიმურაზის სი-
ნანული, აქ ცოტა ნაძალადეგია და ხელოვნური, თუმცა ეს არ ითქმის
მთელ პოემაზე, წამება დიდი დრამატიზმითაა დაწერილი⁵⁸.

აქ უნდა გავიხსენოთ შემდეგი:

შაჰ-აბასის ორგზისი შენოსევის შემდეგ თეიმურაზი იძულებუ-
ლი იყო მოკავშირეების ძებნა დაეწყო, ამან განაპირობა მისი ოსმა-
ლეთთან დაკავშირება. რამაც გაამძვინებარა შაჰ-აბასი და კატეგო-
რიულად მოითხოვა თეიმურაზის ოსმალეთისაგან ჩამოშორება. რო-
გორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ირანის ელჩი რუსან-ბეგი ყოველ-
თვის ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ შაჰის გაბრაზება თეიმუ-
რაზის თურქებისადმი მიმხრობამ გამოიწვიაო⁵⁹. ოსმალეთმა თეიმუ-
რაზს იმედები არ გაუმართლა, სათანადო დახმარება ვერ მიიღო,
ახლა თეიმურაზმა რუსეთისაკენ აიღო გეზი და დიპლომატიური დახ-
მარება ითხოვა, რუსეთი დადებითად შეხვდა რუსეთ-საქართველოს
ურთიერთობის აღდგენას და მალე რუს ელჩებს მიეცათ დავალება
შაჰისაგან მოეთხოვათ, კახეთი თეიმურაზისათვის დაებრუნებინა. თე-

⁵⁸ ზ. ავალიშვილი, თეიმურაზ პირველი და მისი პოემა „წამება ქეთე-
ვან დედოფლისა“, პარიზი, 1938, გვ. 43—44.

⁵⁹ Т. Тивадзе, Материалы..., გვ. 152—156.

იმურაზის დედა და შვილები გაეთავისუფლებინა⁶⁰. შაჰი კი რუსეთის მეფეს უთვლიდა, თეიმურაზი ჩემთან გამოცხადდეს და დედასა და შვილებს დაეუბრუნებო. თეიმურაზმა კარგად იცოდა, რომ შაჰის მიზნებში კახეთის მეფის პირადი მოსპობაც შედიოდა, რაც მისი აზრით. კახეთის სამეფოს სრული მოსპობით დაგვირგვინდებოდა. ამიტომ არ ეახლა შაჰ-აბასს და ისევ ოსმალეთისაკენ აიღო გეზი. პირადად ეწვია ახალ სულთანს მუსტაფა პირველს. თუმცა იმედგაცრუებული დაბრუნდა უკან. სწორედ ამ ნაბიჯებმა — თეიმურაზის ოსმალეთთან და რუსეთთან კავშირმა გამოიწვია შაჰ-აბასის შურისძიება. თეიმურაზის მოქმედება მართლაც გახდა მისი დედისა და შვილების წამების მიზეზი. მაგრამ უცხოური აგრესიის წინააღმდეგ დაუცბრომელ მებრძოლს, თავისი ქვეყნისა და ხალხის პატრონსა და მეფეს განა შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. მას უნდა ებრძოლა შაჰ-აბასის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მოკავშირე და თანამდგომი ესაჭიროებოდა. როცა თეიმურაზი დახმარებას თხოულობდა, მას არ ავიწყლებოდა თავისი შვილებისა და დედის უნუგეშო ხვედრი. რუსეთის ხელმწიფისაგან ის დიპლომატიურ დახმარებასთან ერთად დედისა და შვილების გათავისუფლებას ითხოვდა, ხოლო ქეთევანის წამების შემდეგ აყვედრიდა, დახმარება დაგვიანდა და შაჰმა დედაჩემი აწამაო. თეიმურაზის სულიერი განცდები, ტკივლები და წუხილი დედისა და შვილების განწირვის გამო გადმოცემულია, როგორც მის წერალებში, ისე პოეზიაში და მათ შორის განსაკუთრებით „ქეთევანიანში“. ეს ბუნებრივიც იყო, იმიტომ, რომ თეიმურაზი აქ მოგვიტანს უშუალოდ ქეთევანის მოწამებრივი ღვაწლის შესახებ. ვინაიდან თეიმურაზის დედისა და შვილების გაგზავნა მაინც თეიმურაზისავე გადაწყვეტალებით მოხდა, თუმცა ისტორიული წყაროები ერთხმად აღიარებენ: თეიმურაზს არ უნდოდა შვილების გაგზავნაო, ბუნებრივია, სინანული ამ ნაბიჯის გამო სწორედ „წამებაში“ უნდა გამოთქმულიყო და გამოითქვა კიდევ დიდი გულისტკივილით. არ ჩანს მართებული ზ. ავალიშვილის მოსაზრება, რომ ამ განცდების გამოხატვა ნაძალადევი და ხელოვნური. პირიქით, „წამება ქეთევან დედოფლისა“ ქეთევანის წამების აღწერასთან ერთად, გადმოგვცემს წამებულის ღვიძლი შვილის, ქეთევანის წამების აღმწერის, მეფე-პოეტის, თეიმურაზის პირად მწუხარებას, სევდას და კიდევ სინანულს, გულისტკივილს იმის გამო, რომ უნებურად დედისა და შვილების გამწარავი შექმნილა უბედური მეფე კახეთისა.

⁶⁰ Т. Тивадзе, Материалы .., гл. 152—156.

ქ თეიმურაზი თავის პოემას შაჰ-აბასის საქართველოზე ლაშქრობების აღწერით იწყებს და შემდეგ ქეთევანის შირაზის ტყვეობაში ყოფნის ამბავს მოგვითხრობს. განვიხილოთ თეიმურაზის ცნობები ქეთევანის ტყვეობასთან დაკავშირებით ისტორიულ წყაროებთან შეპირისპირებით. თეიმურაზი წერს:

1 რალას ვაგრძელებ, გაგზავნეს ქვეყანას შირაზისასა,
ქაჯთ უმაგრესსა ციხესა ჩასმას ედრებდა მზისასა, //
თვალთა სინათლის სანაცლოდ, შეიღებესა სკვრეტდა მისასა,
ეგვიპეთს ყოფნა არად ჩნდა, ზრდიდა ნაყოფსა მისასა (15).

არა საქმე არა ჰქონდა, იგი ზარდა წელსა ხუთსა,
მსახურებდის, ეთ საწუთრო ხელმწიფესა დანახუთსა,
მათის ჰკრეტით იბრუნევედის სულსა ყელში დანახუთსა.
სხვას წამალსა არ ეძებდის, არ ფაზარსა დანახუთსა (16).

ქაჯეთის ციხეზე უმაგრეს ციხეში მყოფ დედოფალს, მასთან ერთად ტყვეობაში მყოფი თეიმურაზის შვილების ჰკრეტა უმსუბუქებდა კირს. ტყვეობა არად მიაჩნდა, ვინაიდან „ზრდიდა ნაყოფსა მისასა“. ხუთი წელი იყვნენ დედოფალთან შვილიშვილები და „მათის ჰკრეტით იბრუნევედის სულსა ყელში დანახუთსა“, სხვა წამალს არ ეძებდა და არც თხოულობდა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ნუგეშით სავსე დღეები. ხელმწიფისაგან საშინელი ბრძანებამოესმა, ყმაწვილებს ითხოვდა გამძვინვარებული აბასი. „შენივე თეიმურაზი გადმოგვცემს დედოფლის განცდებს, გრძნობებს, კენესას და ოხერას. ღვთისადმი შეფარვით გამოთქმულ პირველ საყვედურს („იტყვის, ღმერთო, ეს რა მიყავ, მომივლინე აწ, ახ. რანი?!“ — 18,4), აგვიწერს ორ საფლავთან მიმჭდარი დედოფლის „ნიწყევ ცრემლ-შეუშრობელ“ ყოფას. გადმოგვცემს მის მოთქმას და ყმაწვილების დაკარგვით გამოწვეულ უზომო განცდებს.

ვა, თქვენ იყვენით აქამდის ჩემის გულისა მდებელნი,
წახვედით, მარტო დამაგდეთ, სულ ქვეყნის ცეცხლთა მდებელნი,
თვალთა წამართვეს სინათლენ, დაბნელდეს ცადა მდებელნი,
არ დარჩა სოფლის სასჯელი ჩემზედა მოუდებელნი (20).

ახ, წაეხე, ახ, დავიარგე, პირსა სად მოველ ზღვისასა,
აჰა, ჩავარდი ჯურღმელსა, უყსა მას უფსკრულისასა,
სახლ-სამყოფ-სამკვიდრებელსა ჩემსა არა ვარ, სხვისასა,
ვა, აღუქსანდრეს გაყრილსა, ვერ მჰკრეტსა ლევანისასა (21).

დედოფალი მწარედ დასტიროდა თავის ხვედრს, ნუგეშს ლოცვასა და შემოქმედისადმი ედრებაში ჰპოვებდა მხოლოდ.

✦ დღე და ღამე გაასწორის, ლოცვა ჰქონდის, წიგნის კითხვა, ✧
ვედრების შემოქმედსა, უნდა მისგან განაკითხვა,
არ შესცეალის სჯული მისი, მოიგონის განაკითხვა,
შეიღოს ამბავი ენატრების, არა უნდა მას სხვა კითხვა (24).

და მაინც თავს იჩენს ეკვი: იქონიოს იმედი დაიხსნის მისი ღმერ-
თი იესო? — „პო. ნე, რითა მაქვს იმედი, რომ გამომიხსნას ისა-
მან?“ (26.4). ✦

შირაზის ტყვეობაში, პიეტრო დელა-ვალეს ცნობით, ქეთევან დე-
დოფალს თავისი სამლოცველო ჰქონია, რომელიც შემკული ყოფილა
საეკლესიო ჭურჭლით და ხატებით. ამას გრიგოლ ზუცესმონაზონი—
დოდორქელიც ადასტურებს: „ყოველნი საღმრთონი, ხატი და ნაწი-
ლნი წმიდათა თანა აქუნდეს მცველად თესად, და ეკუდერიცა მცირე
ალაშენა სალოცავად თესად და იყოფოდა ლოცვითა და ვედრებითა
დღე და ღამე წინაშე ღმრთისა“⁶¹.

შირაზის ტყვეობაში ქეთევანის ნაქონი ლოცვანი, რომელიც
დედოფლის შეკვეთით 1609 წელს გადაუწერია ქვათახევის წინამ-
ძღვარს იოანე ავალიშვილს, აღწერილი აქვს თედო ქორდანიას:

წიგნის „მე-5—12 ფურცელს ქვემო აშიაზე ატყვია ცრემლთაგან
დარჩენილი ლაქა. აქა-იქ სხვაგანაც და სანთელის ნალევნით. ერთ
ალაგას ატყვია სისხლის წვეთი და იქვე ზემო აშიაზე ლაქა ცრემლ-
თაგან“⁶².

✦ ამრიგად, ✧ ქეთევან დედოფლის ცრემლებით დაღობილი ლოც-
ვანი ოსევე მოხვედრილა სამშობლოში და დიდხანს უარსებია ✧

თეიმურაზი ქეთევანის ღვთისადმი აღვლენილი ლოცვის აღწე-
რის შემდეგ თვით დედოფლის წამების აღწერაზე გადადის, მაგრამ
ამაზე ქვემოთ. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ თეიმურაზის
პოემაში მოხსენიებულ პირებზე და თეიმურაზის ცნობებს
განვიხილავთ ისტორიული წყაროების მონაცემებთან ერთად.

✧ თეიმურაზის პოემაში, ~~გაბრიელ~~ გამოყვანილია ქეთევანის
გარდა რამდენიმე ისტორიული პირი: მეორე მხრივ, მოიპოვება
ცნობები დედოფლის მსლებლების შესახებ შირაზის ტყვეობაში.
✧ ისტორიულ პირთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ შაჰ-
აბას პირველი. პოემაში მოკლედ მოთხრობილია შაჰ-აბასის შემოსე-
ვის შესახებ და შემდეგ თეიმურაზი მას ახასიათებს, როგორც სის-
ხლისმსმელსა და ბოროტ ხელმწიფეს, ქრისტიანების მტანჯველს.

⁶¹ ლიტერატურული ძეგანი, V, 1949, გვ. 260.

⁶² ქრონიკები, II, გვ. 438.

✕ არ დააჯერა ამას მძლავრმან უწყალომ მეფემან,
ქრისტანეთა მტანჯელმან უბრალოს სისხლთა მჩქედელმან, ✕
ეროდის წილ მჭდომელმან, არ ლობიერმან სეფემან,
მან არ შესცვალა მცნებანი სურვილთა მოიფემან (14).

შაჰ-აბასის ეს დაწასიათება ძალზე ნიშანდობლივია. ასევე ახა-სიათებენ შაჰ-აბას პირველს ქართული ისტორიული წყაროები. ვახუშტის მიხედვით, იგი ყოფილა „მცბერი, ხვანჯიანი, უნდო და მტერი ყოველთა მემკვიდრეთა“⁶³. ბერი ეგნატაშვილითაც „კაცი მცბიერი და მოყვარე მზაკეარობისა“⁶⁴. ირანის შაჰის ავკაცობა და სისამაგლე მთლიანადაა გამოვლენილი 29-ე სტროფში. შაჰ-აბასი უთელის შირაზის ხანს:

✕ შენ ქეთევან დედოფალსა ნუ აცოცხლებ დიდსა ხანსა,
ვირ არ შეესვამ სისხლსა მისსა, არ ავიღებ დასტახანსა.

✕ „წამებაში“ მოხსენიებულია და არა მარტო მოხსენიებულია, არამედ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია შირაზის მმართველი იმამყული-ხანი. პოემიდან ჩანს და ისტორიული წყაროებითაც ცნობილია, რომ ქეთევანი იმამყული-ხანის განკარგულებაში იმყოფებოდა. სწორედ მას შეუთვალა შაჰ-აბასმა ზემოთ მოყვანილი სიტყვები. შაჰ-აბასი კონკრეტულ დავალებას აძლევდა შირაზის ხანს:

თუ მუსურმანი შეიქნეს ეგე ლალი და ჭანია,
შაჰმადის რჯულზედ მოიქცეს, აზრაელს მისცეს ჭანია,
მე მურთუხალი მიფიცავს, არ უყო ისკანჯანია,
არა გმოს იესო ქრისტე—მიეციოთ დიდი რჯანია (30).

იმამყული-ხანმა ეს საზარელი ამბავი რომ გაიგო, გაუყვირდა, რა საკადროსია, ვიცი არ გათათრდება და „თეიმურაზის დედასა ვით ეკადრო უკადრონია“.

იმამყული-ხანს რა ესმა საქმენი საზარონია,
მეტლდ გაკვირდა, ესე თქვა: მისი რა საკადრონია?
ვიცი, რომ არ გათათრდების, თუცა არა აქვს დრონია,
თეიმურაზის დედასა ვით ეკადრო უკადრონია (31).

აქ ორი მომენტი აქცევს ყურადღებას. იმამყული-ხანი ამბობს „ვიცი რომ არ გათათრდების, თუცა არა აქვს დრონია“. ეს სტრიქონი უნდა ნიშნავდეს არ გათათრდება, რადგან მაგის დრო უკვე არა

⁶³ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 586.

⁶⁴ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 281

აქვსო. ეს სიტყვები, ჩანს ქეთევანის ხანდაზნულობაზე მოუთითებს. ბერი ეგნატაშვილის ცნობითაც, როცა შაჰ-აბასმა იმამყული-ხანს შეუთვალა, „ქეთევან დედოფალი თუ გაათორდეს, ნურას აწყენო და, თუ არ გაათორდეს, აწამე და სასჯელით მოჰკალიო“⁶⁵, შირაზის ხანს მოციქული გაუგზავნია შაჰისათვის და შეუთვლია: „ბერი დედაკაცი არისო და ახლა ეს არ გაათორდების, და რას აქნეთო ამის გაათორებასაო, დაეცენითო, თქვენთვის სირცხვილი არისო ამისი სიკვდილი“⁶⁶. გარდა ამისა, 31-ე სტროფში ყურადღებას იქცევს თეიმურაზის სიტყვები თავისი მისამართით თქმული. თითქოს შირაზის ხანმა განაცხადა: „თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრონია“. ამ სიტყვების საფუძველს თეიმურაზს, ალბათ, ის დამოკიდებულება აძლევდა. რომელიც მასა და იმამყული-ხანს შორის იყო და რომელზეც ჰევმით გვეჩვენა საუბარი. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თეიმურაზის პოემა ამ თვალსაზრისით წყარო გამხდარა შემდგომი დროის მწერლობისათვის. თეიმურაზ ბაგრატიონს დაუწერია „მოწმობა წმიდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა“, რომელშიც წერს, როცა იმამყული-ხანმა შაჰ-აბასის ბრძანება მიიღო. შეწუხდა, რადგან „არა ჯერ არს შეხებად კელია სასჯელად და ძვრის ყოფად შენდა დიდებულისა და სახელოვანისა მეფისა თეიმურაზის დედისა“⁶⁷. ეს სიტყვები აშკარად თეიმურაზის ზემოთმოყვანილი სიტყვების გამოძახილია.

სამი თვე უმაღლესად შირაზის ხანი დედოფალს შაჰის ბრძანებას, განიცდიდა: „ვით უამბო, ვით შევეკადრო ტყვესა ჩემსა ანაბარსაო“ (33,1), აკვიანებდა, ჩანს, თავისი გავლენის იმედი ჰქონდა და ფიქრობდა გადაეთქმევიანებინა შაჰისათვის საშინელი ბრძანება. მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა და მოციქული გაუგზავნა, ამცნო დედოფალს შაჰის ბრძანება. †

ნუ გცულს რჯული მამადისა, იგი მოკცემს ენა-პირსა,
მორევშიგან ჩანაჭერი, გაგიყვანოს შენ ნაპირსა (34).

რჯული ეს არის, გეიჯირავს მამადის დანაწესია,
შენცა მოიქვეც, გათორდი, ვითამც არ უარესია,
იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყრება შენ აუ ესია,
სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესია (35).

⁶⁵ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 401.

⁶⁶ იქვე.

⁶⁷ თეიმურაზ ბატონიშვილი, მოწმობა წმიდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა, ცისკარი, 1872, გვ. 12.

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ შირაზის ხანი ცდილობდა დედოფლის გადარჩენას. სურჩევდა მაჰმადის რჯული გადაგარჩენს, გათათრდი, ვინაიდან სანამ შაჰ-აბასის ხელში ხარ იესო ქრისტე ვერ გიშველი-სო: ამრიგად, პოემის მიხედვით. შირაზის ხანი დედოფალს მაჰმადიანობის მიღებას თავის გადარჩენის მიზნით თავაზობდა. ჟამასვე ადასტურებს ისტორიული წყაროები. არაქელ დავრიეცი მოგვითხრობს, რომ ხანი კარს უკან დადგა და ისე ელაპარაკებოდა ტყვეს: „ხელმწიფის ბრძანებით გვევლება გამაჰმადიანება. თუ თანახმა ხარ, მით უკეთესი: მაგრამ თუ თანახმა არა ხარ, ენით მაინც თქვი თანხმობა და შენი რჯული გულში დაიმარხე. ხალხის თვალში ისე დაიჭირე თავი, თითქოს ირწმუნე მაჰმადის სარწმუნოება, ფარულად კი ემსახურე შენს რჯულს, რომ ჩვენც ვიხსნათ თავი ცოდვისაგან, რომელიც შენგან მოგველის“⁶⁸.

თეიმურაზის პოემის მიხედვით, ამის გაგონებაზე შეერთა დედოფალი და:

ბრძანა: თუ რჯული დავაგდო, რას მიმუქმებენ დარეა, ჯ
პატივსა ვინმე მიჩვენებს. ხელზე სწორ უპოვარესა,
ან ვინმე ჩემსა სამკედროს მიმიშვებს. მიმაკარესა? (36).

არაქელ დავრიეცის ცნობითაც, დედოფალმა უარი განუცხადა მოციქულს რჯულის შეცვლაზე: „თუნდა შენი ხელმწიფე ყველა სულდგმულის უფალი იყოს და მთელი თავისი სახელმწიფო მე მომცეს, არ ვუარყოფ ქრისტეს, ჩემს უფალს და არ ვუღალატებ სიყვარულს, რომელიც მისდამი მაქვს, შენ კი რასაც იზამ, შენ იცი“⁶⁹.

ამას ქეთევანის წამება მოჰყვა. იგი საშინელი წამებით აწამეს შირაზში, სწორედ იმამყული-ხანის ჯალათებმა. იმ იმამყული-ხანის, რომლის შესახებ თეიმურაზი „ქეთევანიანის“ 32-ე სტროფში ამბობს:

შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი,
მდაბალი, ტბილი, მოწყალე, აქებენ სრულად ქვენანი,
ღირსეულია ღეთისაგან, მითა სცაეს ძალთა ზენანი,
სამს თვესა არ გაუცხადა, ამისი ჰქონდა ჩენანი.

შირაზის ხანის ამგვარი ქება თეიმურაზისაგან ზ. ავალიშვილის სამართლიან გაკვირვებას იწვევს და ეძებს მიზეზებს, რას უნდა გა-

⁶⁸ არაქელ დავრიეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თარგმანი, შედგენილი და კომენტარები კარლო ქუციასი, თბ., 1974, გვ. 42.

⁶⁹ იქვე, გვ. 43.

მოწევა თეიმურაზის მხრივ იმ კაცის ქება, რომლის ქალათებმა აწამეს დედამისი. ზ. ავალიშვილი ფიქრობს: „თეიმურაზის ქების საფუძველი იმაშია, რომ თეიმურაზს შირაზელ ძლიერ გათათრებულ ქართველ ბატონებთან უფრო მჭიდრო და პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონოდა“⁷⁰. მეკლევარი მოგვითხრობს ინგლისის ელჩის სტუმრობის შესახებ შირაზში, რაც აღუწერია ამ ელჩობის უმცროს წევრს თომას ჰერბერტს. ზ. ავალიშვილის აზრით, თომას ჰერბერტის მიერ დასახელებული თრების ხანი, რომელიც ესწრებოდა შირაზის ნადიმს „ნუგეშმოწყვეტილი საქართველოს პრინცი, გულოვანი გვამი. ლაშქრობაში გამოცდილი და მტკიცე ქრისტიანი“ არის თეიმურაზ პირველი. კითხვაზე. თუ რამ მოიყვანა თეიმურაზ პირველი შირაზში, სადაც რამდენიმე წლის წინ დედამისი აწამეს, უპასუხებს „პოლიტიკამ იცის ამგვარი ფარული და აღკრძალული გზებით სიარული“. ზ. ავალიშვილის ცნობით, ინგლისის ელჩის სტუმრობა შირაზში მომხდარა 1628 წელს, თ. ნატროშვილის მიხედვით, სპარსეთის ყურადღან ისპაჰანს მიმავალი ინგლისის ელჩობა შირაზში ჩავიდა 1627 წელს.

1626 წელს ბაზალეთის ტბასთან ომი მოხდა თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ომში ოსმალეთი სააკაძეს უჭერდა მხარს, როგორც შაჰ-აბასის შეურიგებელ მოწინააღმდეგეს, ეს ბრძოლა მოურავის დამარცხებით დამთავრდა. გიორგი სააკაძე ოსმალეთში გაიქცა და იქ დაიღუპა. 1627 წლის ირან-ოსმალეთის ზავით აღმოსავლეთ საქართველო ისევ ირანის სამფლობელოდ იქნა ცნობილი.

შაჰ-აბამა თეიმურაზის შემორიგებაზე ზრუნვა დაიწყო. თეიმურაზის ოსმალეთთან სიახლოვე მას არ აწყობდა და ცდილობდა თეიმურაზს თურქული სამოსი გაეხადა და ყიზილბაშური ჩაეცა. მოსკოვის მეფის შეამდგმლობით შაჰი თეიმურაზისაგან ოსმალეთთან კავშირის გაწყვეტას მოითხოვდა და სამაგიეროდ ტყვედ წაყვანილი ქართველების უკან დაბრუნებას ჰპირდებოდა. თეიმურაზთან მოლაპარაკება დაუდ-ხან უნდილაძეს დაევალა. დაუდ-ხან უნდილაძე თეიმურაზის სიძე (დის ქმარი) და იმამყული-ხან უნდილაძის ძმა იყო. ისინი გამაჰმადიანებული ქართველის, გამოჩენილ სამხედრო მოღვაწის, ირანის პირველი ყულარალასის ალავერდი-ხანის შვილები იყვნენ. ალავერდი-ხანი ყიზილბაშებს ბავშვობაში გაუტაცნიათ. იგი დაწინაურებულია სეფიანთა სამეფო კარზე და დიდი როლი შეუსრუ-

⁷⁰ ზ. ავალიშვილი, თეიმურაზ პირველი და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“, პარიზი, 1938, გვ. 88.

ლებია ირანის ტახტზე შაჰ-აბას პირველის განმტკიცებაში. ალავერ-დი-ხანის სიკვდილის შემდეგ, ალბათ პირადი დამსახურების გამოც, რადგან ირანში ეს თანამდებობა მემკვიდრეობით არ გადადიოდა, ფარსის ბეგლარბეგობა მის შვილს იმამყული-ხანს მიუღია. იმამყული-ხანი თვალსაჩინო ფიგურა გახდა შაჰ-აბასის დროინდელი ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. პიეტრო დელა-ვალე იმამყული-ხანს მთელს ირანში შაჰ-აბასის შემდეგ ყველაზე ძლიერ პიროვნებად თვალს⁷¹. ინგლისელი თომას პერბერტი, ფრანგი ჟან ბატისტ ტავერნიე, იტალიელი პიეტრო დელა-ვალე და გერმანელი ადამ ოლეარიუსი ერთხმად ახასიათებენ იმამყული-ხანს, როგორც ძლიერ, გულუბნე, სიმდიდრითა და ქველმოქმედებით სავსე პიროვნებას. იგი ზრუნავდა მეცნიერებისა და ხელოვნების სუვავებაზე: ამანებდა სასწავლებლებს, ქარვასლებს, გზებს, ხიდებს, აწყლავებდა ქრისტიანობისადმი სიყვარულს. აი, ამ იმამყული-ხანს ახსენებს თეიმურაზი ქებით. რასაკვირველია, მართო ის რომ იმამყული-ხანი წარმოშობით ქართველი იყო არ იქნებოდა ამ ქების მიზეზი. ამ ქების საფუძველი იმ ურთიერთობაში უნდა ვეძებოთ, რომელიც უნდილაძეებს ჰქონდათ თეიმურაზთან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თეიმურაზთან მოლაპარაკება 1626 წლის შემდეგ დაუდ-ხან უნდილაძეს თეიმურაზის სიძეს და იმამყული-ხანის ძმას დაევალა. ისკანდერ მუნშის სიტყვით, დაუდ-ხანმა თეიმურაზთან მოლაპარაკების შემდეგ დიდებულ ხელმწიფეს მოახსენა: „თეიმურაზი მორჩილებისა და გამგონობის შარავზას ადგასო“⁷². ამ შერიგების შემდეგ შაჰმა თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ სცნო. ახლა ირანის მბრძანებელი ერთგვარად კომპრომისის გზას დაადგა და საქართველოს საკითხში ის დათმო, რასაც ადრე არასგზით არ სთმობდა.

(ამრიგად, დაუდ-ხანის მეშვეობით თეიმურაზი და შაჰ-აბასი შერიგდნენ. თეიმურაზთან შერიგებაში გაწეული სამსახურისათვის შაჰმა დაუდ-ხანს განჯის ბეგლარბეგობა უბოძა. სოლო თეიმურაზისაგან მოითხოვა, როგორც ჩანს, სრული მონაწილეობის ნიშნად ირანს ჩასულიყო. თეიმურაზი მართლაც ჩასულა ირანში, მაგრამ შაჰთან შეხვედრა არ შემდგარა, იგი სტუმრებია შირაზის ხანს და დასწრებია იმამყული-ხანის მიერ ინგლისის ელჩის პატივსაცემად გამართულ მეჭლისს. შირაზის-ხანთან თეიმურაზის სტუმრობა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო. ეს იმ კეთილგანწყობილებაზე მიუთითებს, რომელიც რო-

⁷¹ ივერია, 1879, № 3,

⁷² ისკანდერ მუნში ..., გვ. 141.

გორც ჩანს, არსებობდა თეიმურაზისა და შირაზის ხანს შორის. ეს გამოჩნდა თეიმურაზის პოემაშიც. რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ისტორიკოს შემდეგ აჩვენა, რომ შირაზის ხანსა და თეიმურაზს შორის ურთიერთგაგება დამყარდა. აქ უნდა მოვიგონოთ შემდეგი ფაქტი. 1632 წელს თეიმურაზმა და მასთან ძმადშეფიცულმა დაუდხან უნდილაძემ განჯა-ყარაბაღის მხარე დაარბიეს და არეზსაქეთა ტერიტორია ააოხრეს. თეიმურაზის მხრიდან ეს შაჰის ვასალობის საწინააღმდეგო ნაბიჯი იყო. ფაქტიურად თეიმურაზმა ირანთან ომი დაიწყო. დაუდ-ხან უნდილაძე შაჰ-სეფის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს ეკუთვნოდა. იგი ირანის სამეფო კარზე გამაჰმადიანებულ ქართველთა იმ დაჯგუფებას მეთაურობდა, რომელიც როსტომ-ხანის მოწინააღმდეგე იყო. ქართველების ის დაჯგუფება, რომელსაც უნდილაძეები მეთაურობდნენ, იმამყული-ხანის მიერ გაზრდილი შაჰ-აბასის ღვიძლი შვილის გამეფებას აპირებდა. როსტომ-ხანმა შაჰ-სეფის საწინააღმდეგო აჯანყება ჩააქრო და მისი გახელმწიფება მოახერხა. ამით დიდი გავლენა მოიპოვა შაჰის კარზე, საიდანაც დაუდ-ხანი გაძევებული იქნა. 1630 წლიდან დაუდ-ხანი განჯაშია და 1632 წლის გაზაფხულზე თეიმურაზთან ერთად შაჰ-სეფის წინააღმდეგ ილაშქრებს. ყარაბაღის მხარის დალაშქერაში თეიმურაზთან ერთად მონაწილეობას იღებდა იმერეთის ლაშქარი ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით, ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით და თავად-აზნაურები მესხეთიდან. ამრიგად, მთელი საქართველო აღსდგა შაჰის წინააღმდეგ. ეს ლაშქრობა, რომელიც მოაწყვეს თეიმურაზმა და დაუდ-ხან უნდილაძემ შაჰ-სეფის საწინააღმდეგო აჯანყებასთან იყო შეთანხმებული. თეიმურაზმა და დაუდ-ხანმა იმამყული-ხანთან შეთანხმებით ირანის ტახტზე იმამყული-ხანის მიერ გაზრდილი შაჰ-აბასის შვილის დასმა გადაწყვიტეს. მათ შირვანისა და ერევნის ამირებს მისწერეს, რომ სულ მალე ტახტის ნამდვილი მემკვიდრის დროშას აღმართავდნენ. ეს წერილები ხელთ ჩაუვარდა შაჰ-სეფის და შირაზის ხანი იხმო. როცა თეიმურაზი და დაუდ-ხანი ყარაბაღში შეიჭრებოდნენ, შირაზის ხანს სამხრეთიდან უნდა შეეტია. იმამყული-ხანს პორტუგალიელთა დახმარების იმედი ჰქონდა, რომელთაც წართმეული ორმუხის დაბრუნებას შეჰპირდა, მაგრამ, რადგან პორტუგალიელთაგან დახმარება ვერ მიიღო გადაწყვეტ მომენტში შირაზის ხანი არ აჯანყდა. მორჩილების გზას დაადგა და შურისძიების მსხვერპლი

გახდა⁷³. სიკვდილით დაისაჯა შირაზის ბეგლარბეგი იმამყული-ხანი და მისი შვილები. დაისაჯნენ დაუდ-ხანის შვილებიც. დაუდ-ხანი ოს-მალეთში გაიქცა. შაჰი თეიმურაზს შემოსწერა და 1632 წელს ქართ-ლი როსტომს მისცა.

ამრიგად, ასეთია თეიმურაზის პოემაში ქებით მოხსენიებული იმამყული-ხანის თაეგადასავალი. თეიმურაზისაგან იმამყული-ხანის ქების საფუძველი, როგორც ჩანს, იმ მოკავშირეობაში მდგომარეობ-და, რაც არსებობდა თეიმურაზსა, იმამყული-ხანსა და დაუდ-ხან უნ-დილაძეებს შორის.

„ქეთევანიანში“ გარდა შაჰ-აბასისა და იმამყული-ხანისა მოხსე-ნიებულია ქეთევანის თანმხლები პირებიც, რომელთა შესახებ ზოგი სხვა ცნობაც მოიპოვება.

დედოფლის საწამებლად ეცხლი რომ დააგზნეს და გახურებუ-ლი რკინები მოატანეს, ატირდნენ ქეთევანის მხლებლები და თხოვ-ნა დაუწყეს თავს ნუ გასწირავთო. მაგრამ დედოფალმა მოუწოდა მათ ქრისტეს გულისათვის თქვენც „ყამ ერთ აწ ეწამენითაო“, ხო-ლო თუ არ ეწამებით, აქ იყავით, დამემოწმეთო. ამის შემდეგ დედო-ფალი მოსთქვამს, რასაც მოსდევს 56-ე სტროფი:

მუნ ეინმე ჭვარის მოსავი ერთი უცხოსა ყოფითა,
ენახე ნახარდი თამამად, ყოფითა არ სამყოფითა,
ფარაოზისგან შეპყრილი სულთა და ხორცთა ყოფითა,
მოსე ვით გამაგრებული, მათი სარჯლისა ყოფითა.

ამ სტროფში ლაპარაკია დედოფლის ვინმე მხლებელზე, რო-მელიც „ჭვარის მოსავია“ ე. ი. ქრისტიანი. ზ. ავალიშვილი გვაწვდის ესპანელი ელჩის ფიგეროას ცნობას, რომელიც შირაზში ყოფილა 1617 წლის ბოლოდან 1618 წლის აპრილამდე. შირაზში ყოფნისას იგი თვით ვერ ნახულობდა, მაგრამ მოციქულის პირით იგებდა დე-დოფლის ამბავს. ქეთევანის ამალიდან მასთან კავშირი ჰქონია „ბა-ზილიანთა ორდენის წევრს“ ე. ი. აღმოსავლეთის წესის ბერს, ვინმე მოსეს, რომლის ამბავსა და წამების ისტორიას ვრცლად მო-გვითხრობსო ფიგეროას ელჩობის წიგნი. ამ მოსეს ელჩისათვის უჩვენებია ორი ქართული ხელნაწერი: დაბადება დავითნით, სახარე-ბა მოციქულთა საქმით. ვგონებ ეს მოსე მოიხსენიება თეიმურაზის პოემაშიცო, — ასევე ზ. ავალიშვილი⁷⁴. სტროფის შინაარსის მი-

⁷³ თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, მაშრიყიდან მალრიბამდე, თბ., 1974, გვ. 157—160;
მ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, თეიმურაზ პირველის ცხოვრების გზა, თბ., 1979, გვ. 93.

⁷⁴ ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახელებული წიგნი, გვ. 53.

ხედვით აქ ბიბლიური წინასწარმეტყველი მოსე უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც თეიმურაზის სხვა ნაწარმოებებშიცაა ნახსენები (ლ. მ. 167, 4; ვ. ბ. 94,3). მაგრამ ამავე სტროფიდან ჩანს, რომ ქეთევანს ჰყოლია თანმხლები ბერი. ასეთი ბერის არსებობას ქეთევანთან ადასტურებს პეტრო დელა-ვალეც და გრ. ხუცესმონაზონი-დოდორ-ქელიც. ეს უკანასკნელი წერს: ქეთევანს „თანახლდეს მხვეალნიცა მცირედნი და ბერი ერთი სახითა მღუდელი, რომელი უკუანასკნელ ცილის წამებთა რაჟთამე ცეცხლითა დასაჯეს“⁷⁵. პეტრო დელა-ვალეც მოგვითხრობს: „ამ დროს მას არა ჰყავდა არცერთი თავისიანი მღვდელ-მთავარი წირვა-ლოცვის შემსრულებელი. ერთი კი ჰყავდა წინედ, რომელიც ვფიქრობ იყო რალაც საეკლესიო თანამდებობისა, მაგრამ რადგან ის იყო ძალიან კეთილი ქრისტიანი და მაჰმადიანებს ეგონათ. ის ამაგრებსო დედოფალს და, რაკი მოშორდება, დედოფალიც გაუდგება თავის სარწმუნოებასო, მას შესწამეს, რალაც დიდი დანაშაულობა და მოკლეს. ის მოკვდა ცეცხლზე დამწვარი შირაზში, თავდადებული სარწმუნოებისათვის და აღსავსე დიდის მოთმინებითა“⁷⁶. ეს მღვდელი უნდა იყოს მოხსენიებული თეიმურაზ ბაგრატიონის მეორაც, მაგრამ არ ვიცით, რა წყაროს მიხედვით უწოდებს მას ვასილ: „ხოლო ეწამა ღუდელიცა ვასილი წმინდასა მასთანვე, ქართუელი, რომელიცა სამარადისოდ განუშორებლად იმყოფებოდა წმინდასა მას თანა დედოფლისა, და იქმნა იგიც მოწამე ქრისტესი“⁷⁷. ალ. სავანელიც ასახელებს ორ ხუცესს, რომელთაგან ერთმა მიიღო მაჰმადიანობა, ხოლო მეორეს ერქვა სახელი ვასილა, რომელიც ქეთევანთან ერთად ეწამა ქრისტესათვისო⁷⁸.

პეტრო დელა-ვალეს ამ ხუცესის წამების მიზეზად ის მიაჩნია, რომ იგი დედოფლის სარწმუნოებას ამაგრებდა და თეიმურაზის ვაჟების გათავრებას აბრკოლებდაო. ეს მიზეზი საფუძველს მოკლებული არ არის. ალბათ, მანამ, სანამ დედოფალს თვით მოსთხოვდნენ სარწმუნოების გამოცვლას, ჯერ საშუალება მოუსპეს, რომ წირვა-ლოცვა სათანადო დონეზე ჩატარებინა.

მეორე ხუცესი, რომელიც მოხსენიებულია ქეთევანის მხლებელთა შორის, არის ვინმე გიორგი მღვდელი, რომელსაც „აჩვენეს ყოველი მას აგ, რაც სატანჯველია“. ამის მნახავმა გიორგი მღვდელ-

⁷⁵ ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 260.

⁷⁶ ივერია, 1879, №3, გვ. 52

⁷⁷ თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ე ი ლ ი, მოწმობა წმ.დათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა, ცისკარი, 1872, გვ. 16.

⁷⁸ ა ლ. ს ა ვ ა ნ ე ლ ი, ცხოვრება ქეთევან დედოფლისა, ცისკარი, 1875, № 12.

მა ვერ შეძლო ქეთევანივით მტკიცედ მდგარიყო თავისი რწმენის სადარაჯოზე. როცა დაინახა ცეცხლი და საწამებელი იარაღები, შეკრთა და შიშმა შეიპყრო.

მღვდელმან რა ნახა, შეშინდა, იგი ცეცხლი და შიშები, ლახუარნი ანუ სამსკვალნი, ლურსმანი, რაცა შიშები, გულსა ჩაეხმო, ევრა ქნა სასარჯლო ანგარიშები (61).

ქეთევანმა რომ დაინახა მღვდლის შეკრთომა, შესძახა რამ შეგაშინაო და რუსთველის სიტყვებით მიმართა: „აჰა, ეამი, ვისაც უნდა ჩემი თანა წამოყოლა“. მაგრამ ვერც იმერელმა მღვდელმა და ვერც სხვა ვინმე მხლებელთაგანმა ვერ შეძლო ქეთევანის გვერდით მდგარიყო. წამების დროს მათ უარყვეს ქრისტე და მაჰმადის სარწმუნოება აღიარეს. ეს გიორგი მღვდელი, მართლაც, რეალური პიროვნება ყოფილა, მის შესახებ ცნობებს სხვა წყაროებშიც ვხვდებით. გრიგოლ ხუცესმონაზონი-დოდორქელი გვამცნობს, რომ ქეთევანს „ხუცესი ვინმე მღვდელი ჰყვა თანა, რათა, ოდეს ექმარებოდნ, მისცეს მათ საიდუმლო ქრისტესი“⁷⁹. იგი შეიპყრეს და აიძულეს უარეყო თავისი რჯული, „ხოლო ვითარცა იხილა ხუცესმან თავი თვისი ეპეეთარსა განსაცდელსა, შეეშინა შიშითა მწარითა და უარჰყო ქრისტე“⁸⁰. ოლონდ გრ. ხუცესმონაზონი ურთავს, რომ თითქოს გამაჰმადიანებული ხუცესი გაგზავნეს დედოფალთან და შეუთვალეს დაეთმო თავისი რჯული, მან კი განუცხადა მღვდელს, წადი და უთხარი მოვიდნენ, აღასრულონ რაც სურთ, მე მზად ვარ ქრისტესათვის სასიკვდილოდო.

ქეთევანის თანმხლებ პირთა შორის ეს იმერელი მღვდელი მოხსენიებული ჰყავს ბერი ეგნატაშვილსაც. იგი მოგვითხრობს, რომ ქეთევანს წამების დროს ახლდა მღვდელი ვინმე იმერელი და ისიც გაათათრესო⁸¹. ქეთევან დედოფლის სულიერი მოძღვარი გიორგი გაუცენია პიეტრო დელა-ვალესა. იგი თერძის დუქანში უნახავს პირველად წოწოლა ბუხრის ქუდით და გაუფიქრებია, ეს ის ერთადერთი ქართველი მღვდელია, ალბათ, ქეთევან დედოფალს რომ ახლავსო. მართლაც, პიეტრომ გაიგო, რომ ეს იყო ხუცესი გიორგი, დაეწია, გაეცნო და შემდეგ გიორგი პიეტროს სწვევია. მასპინძელმა სუფრასთან მიიწვია, მაგრამ რადგან მარხვა იყო, გიორგიმ ხელი არაფერს დააკარა. ბევრი რამ უამბო პიეტროს ქეთევანისა და მისი ახ-

⁷⁹ ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 262

⁸⁰ იქვე.

⁸¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 401—402.

ლობების შესახებ. უამბო. ლევანისა და ალექსანდრეს დასაჭურისება, რაც ქეთევან დედოფალმა ჯერ კიდევ არ იცოდა. უთხრა ასიც, რომ დედოფალს ოცამდე მხლებელი ჰყავს, ქალი და კაცა ქრისტიანებიაო. ეს გიორგი დედოფლის სუფრაჯი და სახლის მოურავი ყოფილა, ამავე დროს მეზალე, რომელიც იმამყული-ხანს რამდენჯერმე ისპაჰანშიც გაუგზავნია, როგორც ხელოვანი მეზალე. გიორგის მეშვეობით პიეტრომ დედოფალთან გაგზავნა თავის მიერ აღზრდილი ქალიშვილი თინათინ და ზიბა ანუ თინათინ წიბა, რომელსაც პიეტრო მარიუჩას ეძახდა და რომელიც შემდეგ ცოლად შეურთავს⁸².

დედოფალს გიორგის ხელით პიეტროსათვის გაუგზავნია ორი ლოცვანი: ერთი ლათინური, მეორე პორტუგალიური ორმუზის ნადავლი და დედოფლის მიერ გამოხსნილი. წიგნებს ქეთევანის მინაწერიც ჰქონიათ⁸³.

არაქელ დავრიეციის ცნობითაც, ქეთევან დედოფალს ორი ქართველი მღვდელი ხლებია სხვა მსახურებსა და მხეველებთან ერთად⁸⁴.

ამრიგად, დედოფალს შირაზის ტყვეობაში ორი მღვდელი ხლებია, ერთი ქრისტეს სჯულისათვის უწამებიათ, მეორე კი ხუცესი გიორგი დედოფლის წამების წინ გაუთათრებიათ. თეიმურაზის პოეზიაში მოხსენიებული იმერელი მღვდელი გიორგი ნამდვილად რეალური პიროვნება ყოფილა.

სხვა თანმხლებ პირთაგან მოხსენიებულია თინათინი, რომელიც დედოფლის წამების მომსწრეა და ამ აპბის მხილველი თითქმის ჰქუიდან შეშლილა.

მაშინ თურე შესულიყო იგ თინათინ თვალის წაისა,
უბრძანა, თუ: აქ დამიხედით, აჰა ღმერთი. ვისაც გწამსა,
მან შეჰკივლა, ხელი იქრა თავსა, პირსა თვალ-წამწამსა,
რაზომ სხვანი გააკვირა, ვერ მოშალა: იგი გერწამსა (57).

მხედართ ხელი ჰკრეს, გაადეს. კარიღალმ თავშიშველია,
სხვა ღონე ვერ ქნა, მოივლო მან გარეშემო გველია;
წინ გივი შემოუყარა, იგ თურმე მიმეაღლია,
წელთა მოიხსნა, მოხვივა თავს შალი საფარველია (58).

ამრიგად, აქ ორი მხლებელია მოხსენიებული — გივი და თინათინი. გივის შესახებ სხვა რამე ცნობა არა გვაქვს. ასეთი თინათინები კი, ალბათ, მაშინ ირანში ბევრი იყო, მაგრამ ერთგვარად ეს სახე-

⁸² თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, მაშრიყიდან მარტიბამდე, თბ., 1974, გვ. 80.

⁸³ ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი დასახელებული წიგნი, გვ. 58.

⁸⁴ ა რ ა ქ ე ლ დ ა ვ რ ი ე ე ც ი ..., გვ. 84.

ლი ეხმაურება პიეტრო დელა-ვალეს მიერ აღზრდილი ქართველი ქალიშვილის თინათინ წიბას სახელს. სპარსეთში მყოფმა ალავერდელი მიტროპოლიტის დებმა სთხოვეს პიეტრო დელა-ვალეს თავშესაფარი მიეცა ობოლი პატარა გოგონასათვის. თვით უდიდეს გაჭირვებაში ჩავარდნილ მიტროპოლიტის დებს მისი შენახვა არ შეეძლოთ: 7 წლის თინათინი პიეტრომ თავის ახალგაზრდა ცოლს მიუყვანა და გაზარდა. პიეტროს საბლში ორი სხვა ქართველი ქალი ჰყოლია, ძიძა მარინე და დიასახლისი მზისთანდარი, რომელთა შორისაც იზრდებოდა პატარა თინათინი. შემდეგ პიეტრომ გაიცნო დედოფლის ხუცესი გიორგი და მისი საშუალებით თინათინი ქეთევანთან გაგზავნა. ქეთევანს ძალზე შეჰყვარებია ქვიანი ქართველი გოგონა, იგი ხშირად დადიოდა დედოფალთან და პიეტროც იქ აპირებდა მის დატოვებას, მაგრამ თინათინის ოცნება სამშობლოში დაბრუნება ყოფილა, ამიტომ პიეტროს გაჰყვა და დედოფალმაც არ დაუშალა, რადგან ქალიშვილი იქიდან უფრო ახლოს იქნებოდა სამშობლოსთან⁸⁵. უნდა ვიფიქროთ, რომ თეიმურაზს შემთხვევით არ უხსენებია თინათინი. მის სმენას, ალბათ, მისწვდა ცნობა ქეთევანთან თინათინ წიბას ურთიერთობის შესახებ და თინათინის დასახელება ქეთევანის მხლებელთა შორის ამ ცნობის გამოძახილია. პოემაში აგრეთვე მოხსენიებულია დედოფლის მხლებელთაგან „ასმათი თავგაგლეჯილი, მკერდამდი სიხსლთა მღვრელია“ (60,1), ხვარამზე—გამზრდელი, რომელსაც ქეთევანი თავის უბედურებას შესტირის წამებამდე. შესაძლოა ხვარამზე არც ახლდა დედოფალს, უბრალოდ იგონებს მას. „ქეთევანიანში“ მოხსენიებულია აგრეთვე ვინმე გვარჯასპიშვილი. ქეთევანი რომ აწამეს, ამას მოსდევს 72-ე სტროფი:

ზევით მოვიდა ნათელი, იხილეს სრულად ერმანო,
იესო ქრისტე აღიდეს, სრულ ყმაწვილმან და ბერმანო,
გვარჯასპიშვილმან მსახურა, არ ხუცესმან და ბერმანო
მისმან მკელელმან ქნა მას აქეთ კარგი, ვერც არა ვერმანო.

აქ ის უნდა იყოს ნათქვამი, რომ მიცვალებულ ქეთევანს მოემსახურა ვინმე გვარჯასპიშვილი, რომელიც საერო პირი ყოფილა („არ ხუცესმან და ბერმანო“). მართლაც, ამ დროისათვის, როგორც ვნახეთ, დედოფლის ერთი მღვდელი ქრისტეს სჯულისათვის უკვე ნაწამებია, მეორე ხუცესი გიორგი კი ქეთევანის წამების წინ გაათა-

⁸⁵ თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, მ ა შ რ ა ყ რ დ ა ნ მ ა ლ რ ი ბ ა მ დ ე, თბ., 1974, გვ. 80, 81.

თრგს. ეს სტროფი რომ ამას ვარაუდობს იქიდანაც ჩანს, რომ შემდეგი სტროფი იწყება ფრაზით: „წელზედ ახადეს საფლავსა...“.

ანრიგად, „ქეთევანიანში“ დასახელებული პირები რეალური პიროვნებანი ჩანან, რომლებიც დედოფალს თან ახლდნენ შირაზის ტყვეობაში. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ თეიმურაზს რაღაც ცნობები ჰქონია თავისი დედის წამების ამბების შესახებ, შესაძლოა ტყვეობის ამბებისდროინდელიც. ამ მხრივ ალბათ, პირველ რიგში უნდილაძეებისაგან ეცოდინებოდა ბევრი რამ, ბოლოსდაბოლოს დაუდბან უნდილაძე ხომ სიძე იყო წამებული დედოფლისა და თეიმურაზთან მმადმეფიციული.

4. ქეთევანის წამება და მისი მიჯნაობა

თეიმურაზ I-ის „ქეთევან დედოფლის წამებაში“ ქეთევანის წამების მიზეზად ისაა ჩათვლილი, რომ მან ქრისტიანობა არ უარყო. ქეთევანს შაჰმა მოციქული რომ გაუგზავნა, დააბარა „ნუ გძულს რჯული მაჰმადისა, იგი მოკცემს ენა-პირსა“ (34,3). შეეკრთო დედოფალი ამ წინადადებად, სამაგიეროს, შესადარს რას მპირდებიან რჯული რომ დაეაგდო, ჩემს სამშობლოს ვინლა მიმკარებესო.

მაშინლა შეკრთა, რა ესმა მცხრალსა, მიხდილსა მთვარესა,
ბრძანა: თუ რჯული დაეაგდო, რას მიმუქმებენ დარცსა,
პატოვსა ვინმე მიჩვენებს, ხმელზე სწორუპოვარესა,
ან ეინქე ჩემსა სამკეიდროს მიმიშებს. მიმკარებსა? (36).

წყაროების უმრავლესობაშიც ქეთევანის წამების მიზეზად დედოფლის მიერ რჯულის უარყოფაზეა ლაპარაკი. გრ. დოდორქელის ცნობით. შაჰ-აბასმა ერთხელ იკითხა, როგორ არის შირაზის ტყვეობაში მყოფი დედოფალიო და მოახსენეს „კეთილი იგი მოქალაქეობაჲ მისი და შეურყევლად მტკიცედ დგომაჲ საარწმუნოებასა ზედა ქრისტესა“⁸⁶. აღშფოთებულნი შაჰი დაემუქრა დედოფალს, ან რჯულისაგან გადავიყვან, ან მოვკლავო. ქეთევანის წამების ძირითად მიზეზად გრიგოლ ხუცესმონაზომ-დოდორქელს ქრისტიანობის არღათობა მიანიჩნია. იგი შენიშნავს, რომ უგუნურმა შაჰმა არ იცოდა იმ ცეცხლის სიძლიერე, რომელსაც დაესადგურებინა დედოფლის გულში. არ იცოდა, რომ საძირკველი ამ რწმენისა ქვიშაზე კი არ იყო დამყარებული, არამედ „კლდესა მას შეურყეველსა“. შაჰი ყო-

⁸⁶ ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 262.

ველგვარ სიკეთეს აღუთქვამდა ქეთევანს, თუ მოიქცეოდა მაჰმადიანობაზე, მაგრამ, თუ მის ბრძანებას არ დამორჩილდებოდა, ემუქრებოდა „არა ვრიდო მეფობასა და პატიოსნებასა შენსა და სატანჯველითა სასტიკითა განგიყვანო ამა ცხოვრებისაგანო“⁸⁷. გრ. დოდორქელი აგვიწერს დედოფლის ლოცვას, რომელშიც ქეთევანი ამბობს: „უფალო, იესო ქრისტე, მოხედე მხევალსა მას შინა ზედა, რომელსა დღეს ნებაჲს შეიკვილია სახელისათვის შენისა“⁸⁸. ე. ი. აქ ავტორი ჩაზს უსვამს იმას, რომ ქეთევანი კვდება ქრისტეს სახელისათვის. სხვაგან იმეორებს „ტარიგი შუენიერი განმზადებული დაკვლად ქრისტესათვისო“⁸⁹. მაშასადამე, გრ. დოდორქელს ქეთევანის წამების მიზეზად მისგან ქრისტიანობის არ დათმობა მიაჩნია.

ბერძენი ბერის გრეგორის წერალაც აბატ სოფრონისადმი (ინგლ. წიგნი A Letter Relating the Martyrdome of Kelevan... Oxford, 1633) მოგვითხრობს, რომ შაჰი დაბეჯითებით მოითხოვდა ქეთევანისაგან მაჰმადის რჯულის მიღებას და სამაგიეროდ ფუფუნებით და თავის ნებასურვილზე ცხოვრებას კპირდებოდა—„სეთი ნაბიჯით ჩემი გულითადი მეგობარი და ახლო პირი გახდებოდა“. ამ წერილში საქმე ესეა წარმოდგენილი, რომ შაჰმა თვით დაიბარა ქეთევანი და პირადად ელაპარაკა. საყურადღებოა ისიც, რომ დიდი პატივით ელაპარაკება, ეუბნება „არა ნაკლებ გაფასებ ვიდრე ჩემს მშობელ დედასო“, მაგრამ დაბეჯითებით მოითხოვს ქეთევანის გამაჰმადიანებას⁹⁰.

შაჰისაგან ქეთევანის გამაჰმადიანების დაბეჯითებით მოთხოვნას, ჩანს, თავისი საფუძვლები ჰქონდა. არაქელ დავრიყეცის ცნობით, შაჰს ბევრი დატყვევებული ქართველი და მათი შვილები ემსახურებოდნენ, რომელთა დედები ქრისტიანები იყვნენ. ერთხელ შაჰი დაინტერესებულა, რატომ არ იღებენ თქვენი დედები მაჰმადიანობასო, მსახურები დაიბნენ და უპასუხეს: „როცა ჩვენს დედებს ეუბნებოდათ გამაჰმადიანდითო, ისინი გვიპასუხებენ, თუ თეიმურაზის დედა ქრისტიანია, ჩვენ რატომღა უნდა გავმაჰმადიანდეთო“⁹¹. არაქელის აზრით, ეს გახდა მიზეზი, რომ შაჰს ქეთევანისათვის გამაჰმადიანება მოუთხოვია. ამავე არაქელის ცნობით, იმამყული-ხანი, რომელსაც ევალდებოდა ქეთევანის გამაჰმადიანება, ურჩევდა დედოფალს: „ხელმ-

⁸⁷ ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 263.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ იქვე.

⁹⁰ ი. კ ე ნ კ ო შ ვ ი ლ ი, ინგლისური წიგნი ქეთევან დედოფალზე, მნათობი, 1961, № 1, გვ. 163—168.

⁹¹ არაქელ დავრიყეცი..., გვ. 42.

წილის ბრძანებით გვეალება გამაჰმადიანება. თუ თანახმა ხარ. მით უკეთესი: მაგრამ თუ თანახმა არა ხარ, ენით მაინც თქვი თანხმობა და შენი რჯული გულში დაიშარხე. ხალხის თვალში თავი ისე დაიჭირე, თითქოს ირწმუნე მაჰმადის სარწმუნოება, ფარულად კი ემსახურე შენს რჯულს“⁹².

ეგვემ მოტივი თეიმურაზის პოემაშიც გაისმის. იმამყული-ხანმა მოცაქული გაუგზავნა დედოფალს და შეუთვალა:

რჯული ეს არის, გვიჰირავს მაჰმადის დანაწესია,
შენცა შოიქეც, გათათრდი, ვითამც არ უარესია,
იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყურება შენ აწ ესია,
სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენი წესია (35).

ამრიგად, იმამყული-ხანი აფრთხილებს დედოფალს, რომ ქრისტე ვერ უშველის, როცა უწყურება „ესია“ ე. ი. შაჰ-აბასი. პასუხად, არაქელ დავრიყეციას ცნობიბ, ქეთევანი ეუბნება შირაზის ხანს: „თუნდა შენი ხელმწიფე ყველა სულმდგმულის უფალი იყოს და მთელი თავისი სახელმწიფო მე მომცეს, არ უარყოფ ქრისტეს, ჩემს უფალს და არ ვულალატებ სიყვარულს, რომელიც მისდამი მაქვს, შენ კი, რაააც იზამ, შენ იცა“⁹³. ასეთივეა დედოფლის პასუხი თეიმურაზის პოემის მიხედვითაც, მაგრამ აქ დამატებულია ერთი ახალი მოტივი. დედოფალი იმის განცდასაც გამოხატავს, რომ რჯულის დაგდების შემდეგ სამშობლოში ვინდა მიუშვებს. თეიმურაზმა აქ გამოხატა დედის აუხდენელი ოცნება სამშობლო ქვეყანაში დაბრუნებისა.

ბრძანა: თუ რჯული დაეაგლო, რას მიმუქმებენ დარესა,
პატეცა ეინმე მიჩვენებს, ხმელზე სწორ უპოვარესა,
ან ეინმე ჩემსა სამკვიდროს მიმიშვებს, მიმპარებსა? (36).

ისტორიული წყაროების ცნობით, ქეთევანი ტყვეობაში ძალიან შეზღუდული არ ყოფილა. მას თავისი სამლოცველო ჰქონდა. მხლებლები ბევრი ჰყავდა, და მათ შორის ორი მღვდელი. მაგრამ შაჰის მიზანი დედოფლის გამაჰმადიანება იყო, ამას ირანის ლომისათვის ნიშნუნილობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც იგი ცდილობდა მოეხდინა სპარსეთში ჩასახლებულ ქართველთა დენაციონალიზაცია. შაჰ-აბასი, რომელიც აშკარად კარგად ვერკვეოდა რელიგიის საკითხებში და რელიგიას ხშირად რთული პოლიტიკური საკითხების გა-

⁹² არაქელ დავრიყეცი... გვ. 42

⁹³ იქვე, გვ. 43.

დაწყვეტისასაც იყენებდა, განსაკუთრებით სდევნიდა სპარსეთში დასახელებულ ქართველთა მართლმადიდებლობას; რადგანაც აფიქრებდა ქართველებსა და რუსების ერთმორწმუნეობა და ამ ნიადაგზე მათა დაახლოების პერსპექტივა. ამიტომ იყო რომ შაჰი მეტ შემყნარებლობას იჩენდა გრიგორიანი სომხების მიმართ, რომელთაც ახალ ჯულფაში და ისპაჰანში საკუთარი ეკლესიებიც კი ჰქონდათ და მათ დღესასწაულებს ხანდახან იგი თვითონაც კი ესწრებოდა, ხოლო სასტიკად სდევნიდა მართლმადიდებელ ქართველებს, რომელთაც არათუ საკუთარი ეკლესიები ჰქონდათ, არამედ შაჰი ცდილობდა საკუთარი სარწმუნოება დაეტოვებინათ და გამაჰმადიანებულყვნენ. ამ ცდის შედეგად ბევრი ქართველი გამაჰმადიანდა და დედოფლის შემყურე შესაძლოა ბევრი თავსაც იკავებდა. ქეთევანის წამება მათთვის მაგალითი უნდა ყოფილიყო. ქეთევანის თავიდან მოშორება შეიძლება იმიტომაც გახდა საჭირო, რომ დედოფალი თანმხლებთა შორის განამტკიცებდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. გრ. ხუცეს-ბონაზონი-დოდორქელის ცნობით, შირაზის ტყვეობაში ქეთევანს „მისცემდნენ როჰიკსა რამდენიმე კმააყოფელად საქმარად ხოლო იგი განუყოფენ უღონოთა და გლახაკთა და განამტკიცებენ მუნ მყოფთა ქრისტიანეთა მწირთა, რათა არაეინ უარყოს ქრისტე“⁹⁴. მაგრამ ისიც ანგარიშგასაწეწია, რომ შაჰ-აბასისათვის ქეთევანი საშიში იყო პოლიტიკურად, რამდენადაც იგი გავლენიან სახელმწიფო ფიგურას წარმოადგენდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამიტომ, შესაძლოა, შაჰმა „იგი მოაკვლევინა როგორც პოლიტიკური მძევალი, რომელმაც არ გაიზიარა სპარსული პოლიტიკური ორიენტაცია“⁹⁵. თეიმურაზი ამ საკითხზე არ ამახვილებს ყურადღებას. იგი არაფერს არ ამბობს ქეთევანის წამების ეროვნულ-პოლიტიკურ საფუძველსა და იმ მნიშვნელობაზე, რომელიც დედოფლის წამებას ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. თეიმურაზი წამების მიზეზად მხოლოდ დედოფლისაგან გამაჰმადიანობას მიუღებლობას ასახელებს. დედოფლის გამაჰმადიანება ბევრი ქართველისათვის იქნებოდა შაჰ-აბასის სასარგებლო მაგალითი. შაჰმა ამას ვერ მიაღწია და ქეთევანი აწამაჰ როგორც ჩანს, ქეთევანის წამებასაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა შაჰსათვის. ქეთევანის წამება გარდა შურისძიებისა, რომელიც შაჰ-აბასმა თეიმურ-

⁹⁴ ლიტერატურული ძეგანი, V, 1749, გვ. 262.

⁹⁵ გ. იმედაშვილი, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“ და მარტვილილოგოური ეპიგრაფი, კრ. ძველი ქართული მწერლობის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 134.

არაზის მიმართ გამოიჩინა. ის მნიშვნელობაც ჰქონდა ალბათ, რომ ირანში ჩასახლებული ქართველებისათვის ეჩვენებინა, თუ როგორი სიმკაცრით შეუძლია გაუსწორდეს ირანის ლომი ყველა იმას, ვინც მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე არ მოიქცევა.

უცხოური წყაროების ნაწილი გვიმოწმებს, რომ დედოფალი სარწმუნოების შეუცვლელობის გამო აწამეს. პიეტრო ავიტაბილე თვლის, რომ ქეთევანმა სისხლი დაღვარა სარწმუნოებისათვის. „დედამისი იმდენათ კეთლმორწმუნე იყო, რომ სპარსეთის მეფის ბრძანებით. სარწმუნოების გამო სისხლი დაიღვარა საკვირველის მხნეობით⁹⁶. მთავრამაჰოგი უცხოური წყარო სხვაგვარ ცნობასაც გვაძლევს. აი, რას მოგვითხრობს ქრისტეფორე კასტელი: „შაჰ-აბასი, როდესაც ბარდაპირ ნახა დედოფალი ძლიერმა ცეცხლოვანმა სურვილმა და ვნებიანმა წვამ შეიპყრო. სიყვარულით დამთვრალმა მოსინჯა დედოფლის კლდემამოსილება. მლიქვნელობით, დაპირებითა და მოტყუებით გააგებინეს ქეთევანს, რომ თუ უარყოფდა ქრისტიანულ სარწმუნოებას, სპარსეთის სამეფო გვირგვინს მიიღებდა. ეს დაპირება არაფრად უღირდა დედოფალს და მან არაერთგზის მისცა გადაწყვეტილა პასუხი: თუ კი შესაძლებელი იქნება ვისურვებდი ათასჯერ სიკვდილს, ვიდრე უარყო ქრისტიანული სარწმუნოება და დავთმო სათნოებაო. ამის გამო ხელმწიფე ძლიერ განრისხდა და ბრძანა, შეუბრალებლად გაეშოლტათ დედოფალი, სანამ მათრახის ქვეშ სული არ ამოხდებოდა, რაც ასევე აღსრულდა კიდევ. მისი წამებული სული მიღმა ქვეყნის კვალს გაჰყვა და წამებულთა შორის დაგვირგვინდა. როცა მეტად დამწუხრებულმა მისმა შვილმა, თეიმურაზმა ეს ამბავი გაიგო, ერთი მხრით გაეხარდა კიდევ დედის სარწმუნოებრივი სიმტკიცე და ისიც ესამოვნა, რომ დედოფალმა შაჰის სურვილი უკუაგდო, უარყო რა გვირგვინი, დიდ ტანჯვაში დაიღუპა და ისე მოკვდა, რომ ვერაინ ანუგეშა“⁹⁷.

სხვა ადგილას კასტელი წერს: ქეთევანის „კეთილშობილებამ, სილამაზემ და მქერმეტყველებამ შაჰი მოხიბლა და სიყვარულმა შეიპყრო. მისი კლდემამოსილების დასაუფლებლად მან სხვადასხვა საშუალებანი სცადა, რადგან უბადლო ქალი იყო, ამიტომ მან უარყო მისი მცდელობა. ამის გამო განრისხებულმა ხელმწიფემ შირაზის სამეფო ციხეში ჩააგდო იგი, სადაც სხვადასხვა ხერხით იერიში მიჰქონდა მასზე“⁹⁸. მაგრამ კასტელი აქვე განაგრძობს, რომ სარწმუნ-

⁹⁶ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 110.

⁹⁷ დონ ქრისტეფორე დე კასტელი..., გვ. 41.

⁹⁸ იქვე, გვ. 214.

ნობაც იყო ერთ-ერთი მიზეზთაგანი. „ასევე სარწმუნოების საკითხშიც შეეცადნენ მისთვის აზრი შეეცვლევინებინათ. ქეთევანის ახლობელნი აქიდან უკან გაიწვიეს. სარწმუნოების მსასოებელ წინადადებასა და უმანკობაზე იგი ყოველთვის ურყევად ჰქადაგებდა ქრისტეს რწმენას, რაც ოდნავად არ მოქმედებდა მის მოწინააღმდეგეებზე“⁹⁹.

გრიფიუსის ნაწარმოებშიც საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ შაჰ-აბასს ქეთევანი უყვარდა¹⁰⁰. ამრიგად, ეს გადმოცემა ძველი ჩანს. მით უმეტეს, რომ იგი დადასტურებულია პატრი ამბროზიოს მოხსენებაში რომის პაპის ურბან VIII-სადმი 1629 წ. 27 აპრილს. აქ პატრი ამბროზიო წერს, რომ შაჰმა ქეთევანი აწამა იმისათვის, რომ ნაჰუსსა და უბიწოებას იცავდა¹⁰¹. ზ. ავალიშვილის აზრით, შაჰის ტრფობა გამონაგონად უნდა ჩაითვალოს. რადგანაც ქეთევანი 1624 წელს უკვე ხანში შესული იყო¹⁰².

მაინცდამაინც ამ საკითხზე თეიმურაზი პოემაში დუმს. ოღონდ ყურადღებას იქცევს თეიმურაზის წერილი მიწერილი პაპისადმი, რომელშიც ის წერს: „იმ ურჯულო სპარსეთის მეფემ, რა ვერ დასძლია მისი სიმტკიცე და სიყვარული ხორცის სიწმიდისა და სარწმუნოებრივთაის ჯერ დაატყვევა, შემდგომ თუ ჩემზე თუ ღედაჩემზე გასარაზეზულ-გამძვინვარებულმა მეფემ და მისმა უღმობელმა ერმა მწარედ დაუწყეს ტანჯვა მას და ასე დატანჯულმა სული განუტევა“¹⁰³. ამ წერილის მიხედვით ქეთევანს ებრძოდა შაჰი სარწმუნოების გარდა ხორცის სიწმინდისათვის. თეიმურაზის წერილში ამ ფრაზის გაჩენა იმ გადმოცემის გამოძახილია, რომელიც პატრი ამბროზიოს წერილშიც გვაქვს და შემდეგ უკვე ეს გადმოცემა გაზვიადდა ალბათ იქამდის, რომ შაჰ-აბასს ქეთევანისადმი მიჯნურობა მიაწერეს.

პოემის მიხედვით წამების წინ დედოფალმა ლოცვა აღავლინა ღვთისადმი. უფალს, „უცნაურსა და უხილველს“, ძლიერს და სასწაულების შემოქმედს, ჯამებას „ერთარსსა და თანაარსსა“ თავის სამშობლო შეავედრა. სთხოვა სასწაული მოუვლინოს საქრისტიანოს. გა-

⁹⁹ დონ ქრისტეფორე დ. კასტელი. გვ. 214.

¹⁰⁰ ანდრეას გრიფიუსი. ქეთევან ქართველი ანუ გაუტყეული სიმტკიცე. გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა. თბ., 1975.

¹⁰¹ ზ. ავალიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 25.

¹⁰² იქვე.

¹⁰³ მ. თამარაშვილი, ისტორია კათალიკოსისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 108.

ამარჯვებინოს მტერზე მის შვილს — დედის ღვაწლთა აღმწერელს. მთელთ ეს მონოლოგი, რომელიც ქეთევანის ლოცვას წარმოადგენს, საქრისტიანო პოეზიის მაღალი ნიმუშია, თეიმურაზმა, თვითონ გულწრფელმა მორწმუნემ, შეძლო დედის რწმენის მაღალი პოეტური ძალით გამოხატვა. მოვიტანთ რამდენიმე სტროფს:

ილოცავს: ღმერთო შენ, გიციობ უცნაურ, უხილველსაო,
სასწაულებსა, ნიშებსა ვერ ეიტყვი საკვირველსაო,
ჰე, ბრძანებითა შენითა შესძრავ კლდეთა და ველსაო,
შეარყევ სრულად ხმელეთსა, არ შესცელი საფუძველსაო (37).

უცხოდ რამ შევმინებულვარ მძლავრთა ჰაერის მცველთაგან,
ჩემისა აღსასრულისა ძნელისა სატანჯველთაგან,
ეჰა, გაბრიელ მთავარო, ნუ განმიშორებ ხელთაგან,
წამებულნო და წმინდანო, გამთამიხსენით ბნელთაგან (40).

ჰე, მეუფეო, გვედრივარ მერმესა მას აღდგომასა,
ბრძენთა შემრაცხე ქალწულთა, ღირს მყავ მარჯვენით დგომასა.
იოვანე ნათლისმცემელს, ან მიმბაბარე თომასა,
ღეღაო მაცხოურისაო, მიმწიე ჩემსა ნდომასა (41).

ვარ ქეშმარიტად მოსავი შენის უბიწოდ შობისა,
შობასაც პირველ ქალწულთა, შემდგომად კვალად შობისა,
ანასებრივი ნაყოფი ვერამ სულდგმულმან შობისა,
აწ შემიწყაღე მორწმუნე აღდგომისა და შობისა (42).

ხამს, ღმერთო, ყოვლმან სულდგმულმან ცოდვა შენ აღგაროსა,
აღსარებითა გადიდებ, მართ დაგიიწყებ აროსა,
რაქამს განახვენ წერილნი, აღარა დაგეფაროსა,
მაშინ მომხედე წყალობით, რა შიშით დაგეფაროსა (43).

ჩემთა ცოდვითა სიმრავლე არ დაითვლების ენითა,
ჩქერითა. არ შესწორდება მდინარე, არცა დენითა,
ჩემს მეტს მოსავსა ნუ უყოს, მე ვარ რასაცა სენითა,
ჩემი განკურნე წყლულება, უფალო, მიხსენ ღზენითა (44).

აქამდის სოფლის ნაბრძოლი ტვირთი ცოდვისა მექარსა
აწ ტვირთი შენი სუბუქ არს, სმენაცა შენი მექარსა,
სარწმუნოებით ვეძიებ, პეტრევე, ს:მოთხის მე ქარსა,
რომე წყალობით გამოილო, ამისთვის ვირეკ მექარსა (45).

რადგან მომკლა უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა,
სასწაული მოავლინე ქრისტიანეთ ტყვეთა ზედა,
შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძღვევა მიეც მტერსა ზედა,
ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა (46).

შემდეგ ქეთევანმა ღმერთს ერთხელ კიდევ შეავედრა თავისი სული, პირველად გამოისახა და საწამებლად გავიდა. თეიმურაზი მოგვითხრობს:

მივიდა, დაჯდა უშიშრად, ვითა ვეფხი და გმირია
ყოლ არად უჩნდა სასჯელი, თუმცა არს დიდი ჭირია,
ბრძანა: მოვიდენ, მტარვალნი, მათაც ჰყონ ერთი პირია,
რომ ჩემი სისხლი იძებნის, ლეთის წინა ამას ვტრია (48).

ამ სტროფში თეიმურაზმა დედოფლის სიმტკიცე და უშიშროება გვიჩვენა. ამ სიმტკიცის საჩვენებლად მოხმობილია რუსთველური შედარება „ვითა ვეფხი და გმირია“ (შდრ. ვეფხისტყაოსანი: „აღ-გა ასე გულ-უშიშრად ვეფხი იყო ანუ გმირი“). შემდეგ კი დედოფალი მოუწოდებს მტარვალთ, მოვიდნენ და აღასრულონ თავიანთი ნება. თანმსლებთაც რუსთველური სტრიქონით მოუწოდა: „აჰა, ჟამი ვისაც უნდა ჩენი თანა წამოყოლა“. პოემის ეს ადგილი გვიჩვენებს დედოფლის სიმტკიცეს, უშიშროებას, მხნეობას და ვერ გავიზიარებთ, რომ ქეთევანის „კაემანს ვერც ერთი სხივი მხნეობისა და იმედისა ვერ ანათებს“¹⁰⁴. უშიშრად გამოიყურება დედოფალი გრ. ხუცესმონაზონთანაც. იგი მიმართავს თავის გაათარებულ მღვდელს, რომელიც სპარსელებმა მიუგზავნეს: „წარვედ, არქვი მათ, მოვიდნენ და აღასრულონ ბრძანებული მათი ყოველივე, რამეთუ მე მზა ვარ ქრისტესათვის სიკვდილად“¹⁰⁵. შემდეგ, როცა შემოვიდნენ ჯალათები, პირჯვარი გამოისახა და მტკიცედ განუცხადა, რომ ვერ შეძლებდნენ მისი რწმენის შერყევას. თანაც უდიერად მოიხსენია მაჰმადის სარწმუნოება.

თეიმურაზის პოემაში საწამებლად გაყვანილმა დედოფალმა რუსთველის სიტყვებით მოუწოდა იქ მყოფთ: „აჰა ჟამი, ვისაც უნდა ჩენი თანა წამოყოლა“. თეიმურაზ ბაგრატიონი გვიამბობს საწამებლად გაყვანილი დედოფლის ლოცვის შესახებ და აღნიშნავს: „აჰა ჟამი, ვისაც გნებავსთ ჩენი თანა წამოყოლა და უსრულებლისა მიმართ სუფევისა“¹⁰⁶. ამ სიტყვების წყარო თეიმურაზის პოემაა.

თეიმურაზი აგვიწერს მტარვალთა მოსვლას. „მოიღეს ქალფათანები შამფურები და ბარები“, ცეცხლი დაანთეს, შიგ რკინები ჩაყარეს და გაახურეს. ამის მნახველნი დედოფლის მსახურები ატირდნენ; დედოფალმა გაამხნევა ისინი, შემდეგ კი გადმოცემულია დედოფლის მოთქმა: დედოფალმა დაიტირა თავისი უიღბლობა. მოსთქვა, რომ არ ახლავს ლაშქარი, „ჯალაზი თავადებისა“, რომ ნახონ

¹⁰⁴ გ. იმედაშვილი, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“ და მარტილოლოგიური ჟანრი..., გვ. 136.

¹⁰⁵ ლიტერატურული ძეგანი, V, 1949, 264.

¹⁰⁶ თეიმურაზ ბატონიშვილი, მოწმობა წმინდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფლისა, ცისკარი, 1872, გვ. 16.

მია წამება, ან ვინ აცნობებთ, რაც დღეს მოხდება, ვის გულზე დაიდება ამდენი მხურვალე რკინა. აქანყდა დედოფლის სული საშინელების მომლოდინე და ქარს შესთხოვეს, სადაც მისწვდება მიჩანოს ეს ამბავი.

მოსტკმილა: ნირჩო ალვაო, ტანად ზრო, განა თვალითა,
ხელმწიფობითა გაზრდილო, ტურფაში განათვალითა,
მარგალიტითა შემეულო, მოხდომით განათვალითა,
აქამდი შენმა მკვერტილმან რა ენახე განა თვალითა! (53).

ვა არსად გახლავს ლაშქარში, ჟალაბნი თავადებისა,
თავს ვადგენ, ნახონ პატივი, საპარჯლოდ ცეცხლი გზებისა,
ახ, ვინ აცნობებს მათ ამას, თუ დღესა რა მოხდებისა,
ესდენი რკინა მხურვალე ვის გულსა დაედებისა! (54).

სულო გაუშვი ალაგნი, თვალნო დააგდენ ბუდენი,
გულო, საძორკელით აღმოხე, მოირღვენ გარე ზღუდენი,
ტანო, ზე ნულარ მართიხარ, გიდის ქვე ზღვანი უდენი,
ქარო, სად მისწვდე, მიილე ამბავნი არ სამრუდენი (55).

შემდეგ დედოფლის თანმხლებ პირთა ამბებია და ბოლოს თეიმურაზი გადადის დედოფლის წამებზე ალწერაზე:

მერმე გაუბეს ხელ-ფერხი, გაძაბეს განა მაჭები,
გაზით დაჯლიყეს ლუღნი, დადვეს მხურვალე საჭები,
ბარები შებლსა შემოსდვეს, ყველა ქნეს მათი აჭები,
აღმა ახეთქნეს კეფანი, ვა, თქმითა აქ ვისაჭები (66).

ვა მე, რმ დღისა მსხენესა, დამვიწდა დღენი წინანი,
მკერდით ზურგამდინ გააელეს გახურებულნი რკინანი,
მე ავაზაკი შემეცოდე ახლოს არ ვიყავ, ვინანი,
მარჯვენით ჭვარსა არ ვეცევი, ამაღ ვარ ცრემლთა მდინანი (67).

ქვეშ დაუფრენს, დახურეს ზედა ლურსმისა რკინანი,
ქვე წაიარეს, გააბეს ბროლი, ლალი და მინანი,
სხვა წამოასხეს, დაყარეს ხორცთაგან ტყავი წინანი,
მაგრა არ გაწყდა ტანჯერსა ჯულზედა დასაწეინანი (68).

და ა. შ.

მინიმედ ალწერია წამების სურათი გრ. ხუცესმონაზონსა: „მყის დაასხნეს კელნი იგი ბილწნი მტარვალთა, განაშიშვლეს წმიდათ იგი და პატიოსანი ბრწყინვალე გეამი მისი, და განერთხეს კელნი მისნი და განბასრეს იგი, მოიხუნეს მარწუნნი და განახურვნეს. და დახლიჩნეს ძუძუნნი სანატრელიანნი, ეგო იგი, ვითარცა კლდე შეურყეველად. მერმე მკლავნი დაგლიჯნეს, ხოლო იგი იტყოდა: უფალო, იესო ქრისტე, მსწრაფლ განიყვანე სული ჩემი და ნაკუერ-

ცხალი აღგზნებული დააყარეს სისხლ მჭოლოვარეთა მათ კორცთა-
მისთა: მერმე მოიღეს ქუაბი განჯურეველთა და დაარქუეს წმიდა-
სა თავსა მისსა¹⁰⁷.

წამებინ უფრო ვრცელი სურათი მოუცია თეიმურაზ ბაგრატი-
ონს: „მოიღეს მტარვალთა შეშა ზუნად-ზუნად და აღაგზნეს ცეცხლი
წინაშე დედოფლისა, და შთაყარნეს მას შინა ლურსმანი რკინისანი
მრავალნი განჯურებდად, და სხუანი საქურეველნი სატანჯტმლითა: მა-
შინ განსტყუდეს სამოსელსა და განაწიშულელებდეს წმიდასა და უბი-
წოსა გვამსა მისსა. ხოლო ეტყოდა დედოფალი მტარვალთა მათ,
რომელნიცა განსტყუდეს მას სამოსელთა: დაუტევენეთ, რომელი
კაცნი კტარათი მსოლოდ ოდენ ჩემი გვამსა ჩემზედა. და ნუ მყოფთ
სრულიად შიშველ, ვინაჲდგან თქუშნცა ნაშობნი ხართ დედათანი. და
არა ჯერ არს მამა-კაცთა მერე ქურეგთა შიშველთა დედათა.

მაშინ მოიღეს ნაკვერჩხალნი ცეცხლისანი, და თანა აღრეულნი
ლურსმანნი განხურტმბულნი, მოტყინარენი განჯშალნეს ქვეშე
მისსა, და მას ზედა განართბეს იგი, რომლისაგანაცა შეიწოდეს კორ-
ცნი მისნი. ხოლო იგი ყოვლითურთ ახოვანითა გონებითა არა შეძრ-
წუნდებოდა არცა ერთისა მის სატანჯტმლისაგან, არამედ მტკიცეთა
სასოებითა და სარწმუნოებითა გარე შეზღუდვილი ილოცვიდა
ლუთისა მიმართ დაუცადებელად.

მაშინ მოიღეს განხურეველნი ვითარცა ცეცხლი შანფურნი
რკინისანი, და განყარნეს მკერდსა მისსა, და განხურეველთა გა-
ზებითა რკინისათა მოახლეჩდეს ბუბუდ მისთა, და ლურსმანთა
მიერ ცეცხლებრ განხურტმბულთა სწერტდეს კორცთა მისთა და
რკინისა ჯაქვ განხურეველთა შეარტყეს წელსა მისსა: შემდგომად
რვალისა განხურეველნი საჯნი დასდევს დაწუთა ზედა მისთა:
მერეჲ მოიღეს ბარი რკინისა და განხურეველთა ვითარცა ნაქტ-
რცხალი ალითა სავსე დასდევს წმინდასა გულსა მისა ზედა. ხოლო
უკანასკნელ ყოვლთა მათ სატანჯტმლთა მოიღეს ქუაბი რვალისა გან-
ხურეველთა ვითარცა ცეცხლი და გვრგვნად პატიოსანსა მას წმინდასა-
სა დაბერეს თავსა და ყოვლთა მას შინა სატანჯტმლსა ილოცვდა
ლუთისა მიმართ და ევედრებოდა დაცუასათუს ქუწყანისა თვისისა¹⁰⁸.

ამრიგად ქეთევანის წამების მძიმე სურათი დაგვიხატეს როგორც
თეიმურაზმა, ისე გრ. ხუცესმონაზონმა-ლოდორქელმა და თეიმურაზ
ბაგრატიონმაც.

¹⁰⁷ ლიტერატურული ძიებანი, V, 1949, გვ. 265.

¹⁰⁸ თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ე ი ლ ი, მოწმობა წმინდათა შორის ქეთე-
ვისა კახთ დედოფლისა, ცისკარი, 1872, გვ. 17.

ქეთევან დედოფლის წამების მიზეზად თეიმურაზი მისგან ქრისტიანობის არ-უარყოფას და მაჰმადიანობის მიუღებლობას აცხადებს. ჩვენ ვაჩვენებთ, რომ შაჰ-აბასისათვის ქეთევანის გამაჰმადიანებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ წამებას, გარდა მაჰმადიანობის მიუღებლობისა, სხვა საფუძვლებიც ჰქონდა, რაც პოლიტიკური და ისტორიული მდგომარეობით იყო განპირობებული. თუმცა ამაზე თეიმურაზი დუმს. და არა მარტო თეიმურაზი, სხვა წყაროებიც და მათ შორის გარდა ქართულისა უცხოური წყაროებიც. უცხოურ წყაროებში დამატებით ქეთევანის წამების მიზეზად შაჰ-აბასისგან დედოფლისადმი გამიჯნურებაა მიჩნეული.

5. კეთევანის ნეშტისა და გაათოლიკების საკითხი

ქრისტიანულ მწერლობაში მნიშვნელობა ენიჭება წმინდანის ნეშტს. მარტვილოლოგიურ ლიტერატურაში მოწამის ჩემბტი ხშირად სასწაულმოქმედი ძალით არის დაჯილდოებული, წმინდანის ნეშტი და საფლავი სამკურნალო თვისებების მატარებელია და მორწმუნეთა თავშეყრის ადგილი ხდება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თეიმურაზის პოემაც. თეიმურაზი გვიამბობს: ქეთევანი რომ ეწამა, უკვე სამოთხეში მოელოდნენ მის სულს. ყველამ ერთიანად დაინახა, როგორ მოვიდა ქეთევანის გარდაცვალებისას ზეციდან ნათელი.

ზეით მოვიდა ნათელი, იხილეს სრულად ერმანო (72, 1).

წლის თავზე ქეთევანის საფლავს ახადეს, სურნელი ამოხდა საფლავიდან, მიცვალებული კი არსად იყო.

წელზედ ახადეს საფლავსა, იგ ნინოს დასადარა,
სული ამოხდა სურნელი, აღარსად იყო მკედარია (73, 1—2).

სად უნდა წასულიყო ქეთევანის ნეშტი? თეიმურაზი შემდეგ პასუხს იძლევა ამ კითხვაზე:

თქვეს: ფრანგნი მოიპარაედეს, თუ რად დაეცათ დარია.
მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია (73, 3—4).

ე. ი. ქეთევანის ნეშტის დაკარგვასთან დაკავშირებით ამბობდნენ ფრანგები ე. ი. კათოლიკეები მოიპარაგდნენო. რ. თეიმურაზი კი ამბობს: „მე ვიტყვი ზეცას წასულსაო“. პოეტს დედის უკვდავი სული ზეცაში ამაღლებულად მიუჩნევია. სხვა ადგილსაც გვეუბნება თეიმურაზი:

მას სიყვდილი ვერ მოჰკლევდა, ღვთის ტრფიალსა შინა-სათსა,
ოცხალია, გვერგვინი აქვს, ზის ხარისხსა კობისასა (77, 3—4).

მაგრამ აქვე თეიმურაზი თვითონვე მიუთითებს, რომ დედოფლის ნეშტი კათოლიკების ხელში მოხვედრილა. ქეთევანის ნაწილში „ფრანგი“ ე. ი. კათოლიკები შაჰ-აბასს თორმეტ ათას თუმანს სთავაზობდნენ, მაგრამ იგი არავის აძლევდა. შემდეგ მალვით მაინც მონახეს, ლუსკუმში ჩადევს და სნეულთა განსაკურნებლად იყენებდნენ.

ამა წმინდისა მუნ ზარი ყოველგან გაისმებოდა,
ჭვარის მოსაეთა ყოველთა ნაწილი ენატრებოდა,
თორმეტ ათასი თუმანი ფრანგთაგან დაითლებოდა,
არაჲს მისცა შაჰ-აბაზ ცოდეთა აიხსებოდა (74).

მალვით მონახეს ნაწილი, საღ დაემალა ბარებსა
რა ცნეს, შეესმა ვერ შოვნა ნიბროზელ მწიგნობარებსა,
ლუსკუმშიგან ჩაიდევს, უკმეველს მუშყ-ამბარებსა,
იგი ჰკურნებდის სნეულთა, თუ ვინ მოუდგეს კარებსა (75).

ზ. ავალიშვილის აზრით, უსაფუძვლო არ არის დედოფლის ნეშტის წამების შემდეგ დაკარგვა. მას მიაჩნია რომ ნაწილის აღმოჩენის ამბავი უმთავრესად ფრანგ, სახელდობრ, ავგუსტინელ მისიონერთა ტრადიციას ემყარება. მკვლევრის აზრით, „ნიბროზელ მწიგნობრებში“ თეიმურაზს, ალბათ, ნხედველობაში ის ავგუსტინელები ჰყავს, რომლებიც გადმოცემით მისი დედის ნეშტს ისპაჰანში ინახავდნენ. ზ. ავალიშვილი მიუთითებს, რომ ავგუსტინელთა ორდენის მთავარი ბინა სამხრეთში, ინდოეთში, პორტუგალიის ცნობილ ქალაქ გოაში იყო, ხოლო გოას ავგუსტინიანთა კოლეგიის რექტორი ყოფილა ანტონიო დე გუვეა — ესპანეთის და პორტუგალიის მეფის ფილიპე III-ის ელჩი, რომელმაც 1602 წელს შაჰ-აბასისაგან ნებართვა მიიღო ისპაჰანში მონასტრის დასაარსებლად¹⁰⁹. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ სწორედ გოაში მოხვედრილა ქეთევანის ნეშტის ნაწილი.

მართლაც, ქეთევანის წამების დროს შირაზში ყოფილა პორტუგალიელი მისიონერი მამა ამბროზიო დოს ანჟოსი, რომელიც დაკავშირებულია ქეთევან დედოფალს და ქეთევანი სალოცავად დადიოდა მამა ამბროზიოს ეკლესიაში, თურმე დიდ მიდრეკილებას იჩენდა კათოლიკური სარწმუნოებისადმი¹¹⁰. პიეტრო დელაქვალე, რომელიც ანლო ურთიერთობაში იყო შირაზში მყოფ ქართველებთან და

¹⁰⁹ ზ. ავალიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 67.

¹¹⁰ ი. ტაბაღაძე, დასახელებული წერილი, გვ. 119.

მათი მეშვეობით ქეთევან დედოფალთან, 1625 წელს რომის პაპისად-
მი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნა: „ბოლო დროებში ქეთევან
დედოფალს კარმელტანების წესის პატრები ეწეოდნენ სულიერად
და მათი ჩაგონებით განხვევებული კათოლიკედ აღესრულაო¹¹¹.
ერთგვარად ამას ეხმაურება პაპი ურბან ნერუეს მიერ თეიმურაზ მე-
ფისადმი მოწერილი წერილი: „რომამდე მოაღწია ყველა თქვენის
უბედურების ამბავმა და მასთანავე მოგვიბრუნეს საოცარი და შეუ-
დრეკელი სიმხნე, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ. ეგრეთვე ვუწყით
თუ რაოდენი სიმტკიცე სარწმუნოებისა გამოიჩინა დედათქვენმა,
რომელმაც ქრისტიანობაზე ხელის აღებას თავისი სამეფოს დაკარ-
გვა და სიკვდილი არჩია“¹¹².

ამ ფაქტს მხარს უჭერს ქრ. კასტელის ცნობა. ქრისტეფორე
კასტელი წერს: „ავგუსტინელმა პატრებმა, რომლებიც იმ დროს იქ
[შირაზში] იყვნენ და ქრისტეს წმინდა სახელი შეჰქონდათ იმ ქვეყ-
ნის ხალხში, მომითხრეს ამბავი ქეთევანის ტანჯვისა დასაწყისიდან
მის უკანასკნელ სიცოცხლედე. ამ პატრებმა დახატეს მისი სურათი.
ზემოთქმული წამებულის სურათი მათ ჰქონდათ თავიანთ ტაძარ-
ში“¹¹³. ამრიგად, კასტელის ცნობა საყურადღებოა იმ თვალსაზრისით,
რომ შირაზში კათოლიკურ ეკლესიაში არსებულია ქეთევან დედოფ-
ლის სურათი. ამ ცნობას ეხმაურება უკანასკნელ დროს გამოქვეყნე-
ბული მასალები. კერძოდ, სომეხმა ისტორიკოსმა რობერტო გულბე-
კიანმა 1972 წელს ლისაბონში გამოაქვეყნა წიგნი, რომელიც შეტად
საინტერესო მასალას შეიცავს ირანში სომეხებისა და ქართველების
მოღვაწეობის შესახებ. რ. გულბეკიანს ლისაბონში და გრანსას ყო-
ფილი მონასტრის ერთ-ერთ დარბაზში აღმოუჩენია უცნობი ავტორის
30 მეტრი სიგრძისა და 8 მეტრი სიგანის პანო, რომელიც მე-18 სა-
უკუნის I მეოთხედით თარიღდება და რომელზეც გამოხატულია
პორტუგალიელი წმ. ავგუსტინის ორდენის მისიონერების ირანში
მოღვაწეობის სცენები. აქვე მოთავსებულია ქეთევან დედოფლის
წამების ამსახველი ოთხი სურათი. ერთი დიდი პანო, რომელზეც სა-
მი სცენაა გამოხატული: 1. ავგუსტინელ მამათა მიერ ქეთევან დე-
დოფლის კათოლიკედ მოქცევის მომენტი, 2. ქეთევან დედოფლის
წამების სცენა და 3. მამა ამბროზიო დოს ანჟოსი 1628 წელს ქე-
თევან დედოფლის ნეშტის ნაწილებს გადასცემს მის შვილს — მეფე

¹¹¹ მ. თ ა მ ა რ ა შ ე ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ.,
1902, გვ. 88.

¹¹² იქვე, გვ. 91.

¹¹³ დონ ქრისტეფორე დე კასტელი..., გვ. 214.

თეიმურაზ I-ს. იგივე სამი სცენა ცალ-ცალკეა გადიდებული. ეს სურათები ილია ტაბალუამ გამოაქვეყნა „მაცნეში“, მანვე გადმოსცა რობერტო გულბეკიანის ცნობები¹¹⁴.

საიდან მოხვდა და გრასას მონასტერში ქეთევანის სურათი? ეს საკითხი უკავშირდება ქეთევანის ნეშტის საკითხს. ცნობილია, რომ 1627 წელს შაჰ-აბასი და თეიმურაზ I შერიგდნენ. თეიმურაზმა ამ შერიგების შემდეგ შაჰს სთხოვა გაეგზავნა მისთვის დედის ნეშტი, რომელიც ისპაჰანში ავგუსტინიანთა მონასტერში ინახებოდა. ი. თამარაშვილის მონათხრობის მიხედვით, „იმ მონაზონებმა რა შეიტყეს თეიმურაზის ესეთი სათხოვარი, 1627 წელს მაშინვე სამნი მონაზონნი წამოვიდნენ საქართველოს, და წამოიღეს თან ნაწილი ქეთევანისა, მაგრამ გზაში დასნეულდნენ და ერთი ამხანაგიც მოუყვდათ. ამის გამო ისევ უკან გაბრუნდნენ“¹¹⁵. მეორედაც სცადეს წამოსვლა, მაგრამ ისევ ავადმყოფობის გამო გაბრუნდნენ, მესამედ, დიდი გაჭირვების გადატანის შემდეგ გორამდე მოაღწიეს და 1628 წლის ივნისში გორში მოვიდნენ პატრი ამბროზიო დოს ანკოსი და პიეტრო დოს სანკტოსი. თეიმურაზმა რომ გაიგო პატრებს დედამისის ნეშტის ნაწილი მოუტანიათო, დიდად გაიხარა, დედოფალს ახარა. მეორე დღეს პატრი ამბროზიომ სპარსულად წარმოსთქვა სიტყვა და ნაწილი თეიმურაზს ჩააბარა. „მეფემ დიდის პატივით, სასოებით და გულმხურვალეებით მიიღო თავისი დედის ძვირფასი ნაშთი; ჩაასვენა ძვირფას კუბოში და შემდგომ დიდის ამბით წაასვენეს სამიტროპოლიტო ეკლესიაში, სადაც ასაფლავიან მეფენი და შესაფერს ადგილს დაასვენეს. მეფემა და დედოფალმა დიდი მადლობა გადაუხადეს პატრი ამბროზიოს და უთხრეს, მზად ვართ, რაც გინდა, გვთხოვე და აგისრულებთო. პატრი ამბროზიომ მხოლოდ ის სთხოვა, გორში ერთი ადგილი გვიბოძეთ, სადაც შეგვეძლოს დადგომა და თქვენის და თქვენთა ქვეშევრდომთათვის სამსახურიო“¹¹⁶. თეიმურაზი შემდეგ რომის პაპს წერდა: „ერთი წელიწადია, რაც ისპაჰანიდან წმინდა აგვისტინეს წესის ყოვლად პატივცემულმა მამა ამბროზიომ მოგვიტანა მისი [ქეთევანის] გვამის ნაწილები. ამ სიკეთისათვის ჩვენც უხვად დავასაჩუქრეთ მამა იგი“¹¹⁷.

ამ ფაქტს არაქელ დავრიყევიც ადასტურებს: ქეთევანის გვა-

¹¹⁴ ი. ტაბალუა, დასახელებული წერილი, გვ. 111—121.

¹¹⁵ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 102.

¹¹⁶ იქვე, გვ. 103.

¹¹⁷ იქვე, გვ. 108.

მის ნახევარი „გაახვიეს სუფთა ქსოვილში გუნდრუკითა და მურით და წაილეს მის ძესთან, თეიმურაზთან საქართველოში და იგი აუწერელი სიხარულით აღვსებული დიდი მადლობით აღიდებდა ქრისტეს, ჩვენს შვილს, რადგან ღირს ჰყო დედა მისი მოწამებრივი სიკვდილისა და ამბობდა მისი მეოხებით ჩვენს სამეფოს უფალი მტკიცედ დაიცავსო. დედის ნეშტი თეიმურაზმა პატივით დაკრძალა თავის ეკლესიაში“¹¹⁸.

ამრიგად, ქეთევან დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილის ამბავი ცნობილი იყო. იგი მის შვილს თეიმურაზს გადაეცა. ეს ფაქტი სკოდნია რ. გულბეკიანსაც: „ქეთევან დედოფლის რელიკვიები, თავისა და სხვა ძელებას ერთი ნაწილი გადასცეს მის შვილს თეიმურაზ I 1628 წელს პორტუგალიელმა ავგუსტინელმა მამებმა ამბროზიო დოს ანჟოსმა და პედრო დოს სანკტოსმა“¹¹⁹. ნეშტის სხვა ნაწილების შესახებ სხვადასხვაგვარი ცნობები არსებულა. ზოგი ფიქრობდა, რომ ნამიურის (ბელგია) ერთ-ერთ მონასტერში მოათავსესო, მაგრამ ნამიურში ეს რელიკვიები არ დაიძებნა¹²⁰. არაქელ დავრიყეციის ცნობით ფრანგმა პატრებმა გაახვიეს სუფთა ქსოვილში და საფრანგეთში გაგზავნეს, სადაც დიდადაა პატივცემული¹²¹. ისეთი ცნობაც არსებობს, რომლის მიხედვითაც ქეთევან დედოფლის ნეშტის მეორე ნაწილი წმინდა მამებს რომში წმ. პეტრეს ტაძარში მოუთავსებიათ:²². რობერტო გრელბეკიანმა გაარკვია, რომ ქეთევან დედოფლის გვამის ნაწილი პორტუგალიელმა მისონერებმა წაილეს ისპაანიდან ინდოეთში, პორტუგალიის გოაში და იქ და გრასას მონასტერში მოათავსეს. რ. გულბეკიანის ცნობით, წმ. მამა გილჰერმის ნეშტი, როცა ის ისპაანიდან გოაში გადაიტანეს, მოათავსეს შავი ქვის კუბოში და გრასას მონასტრის კაპიტელში მამა ფრ. იერონიმო დე კრუზასა და ქეთევან დედოფლის ძელებთან ერთად¹²³.

ამრიგად, ქეთევან დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი მოუთავსებიათ ინდოეთში, პორტუგალიის გოაში და გრასას მონასტერში, ზოლო ლისაბონის და გრასას მონასტრის კედლებზე კი გამოხატული ყოფილა ქეთევანის წამების ამსახველი სურათები¹²⁴.

¹¹⁸ არაქელ დავრიყეციი..., გვ. 43.

¹¹⁹ ი. ტაბაღუა, დასახელებული წერილი, გვ. 119.

¹²⁰ ნ. სალია, დოკუმენტები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, ბედი ქართლისა, 1973, გვ. 68.

¹²¹ არაქელ დავრიყეციი..., გვ. 43.

¹²² „მწიგნობარი“, 1894, № 1, გვ. 15; „საქართველოს კალენდარი“, 1893.

¹²³ ი. ტაბაღუა, დასახელებული წერილები, გვ. 119.

¹²⁴ 1979 წლის მაის-ივნისში ლისაბონის მახლობლად, ქალაქ ბარეირუში, ჩატარ-

ნეშტის მეორე ნაწილი, როგორც ზემოთ ითქვა, თეიმურაზს გადასცემს ავგუსტინელმა მამებმა ამბროზიო დოს ანკოსმა და პიეტრო დოს სანკტოსმა.

მაგრამ სრულიად საწინააღმდეგოდ მოგვითხრობს თეიმურაზისადმი დედის ნეშტის ნაწილის გადაცემას ბერძენი ბერი გრეგორი აბატ სოფრონისადმი მიწერილ წერილში 1626 წლის 16 მაისს. გრეგორის ნაამბობის მიხედვით, ქეთევან დედოფალს ჰყავდა ერთი მოსამბახურე ქალი მოახლა, რომელმაც თავისი თვალით ნახა თავისი ძვირფასი ქალბატონის სიკვდილი და ძალიან უნდოდა მისი გვამის გადაჩენა. ქეთევანის წამების დროს იგი ერთი სპარსელი დიდებულის მსვეალი ყოფილა და თავისი პატრონი დაურწმუნებია, რომ, თუ ქეთევან დედოფლის გვამს გადაარჩენდა, მისი ვაჟის-თეიმურაზისაგან დიდძალ ფულს მიიღებდა. იმავე ღამეს, როცა დედოფლის ნეშტი მიწაზე დააგდეს, მოახლამ და მისმა ორმა მსახურმა გვამი შინ ჰიიტანეს, განბანეს და კუბოში ჩაასვენეს. ელოდებოდნენ სპარსელებისა და ქართველების დაზავებას და იბერიის ელჩებისაგან გვამის შესყიდვას. მაგრამ ამ დროს სპარსეთში ბევრი რომიდან მოსული ე. წ. იეზუიტთა მშობა იმყოფებოდა, რომლებიც იქ ქრისტეს მრწამსის საქადაგებლად მოსულიყვნენ, მაგრამ გასაქანი ვერ ეპოვათ და გადაეწყვიტათ სხვაგან გადასულიყვნენ. ამიტომ დაიწყეს ქეთევანის გვამის ძებნა, მაგრამ ვერ ზიაკვლიეს. ვილაციის გვამი იპოვეს, თავი ნოაშორეს წაუსვეს სურნელი მალამო, შეახვიეს და წაიღეს საქართველოში. რომ მიუახლოვდნენ, თეიმურაზს კაცი გაუგზავნეს და შეუთვალეს: ვინმე ქრისტიანები ვართ, წმინდა მოციქულურ წესთა მოსაენა, გეახელით, რომ მოგართვათ დედოფლის ნაწილნი. ბევრი ვილონეთ თქვენი დედის მთელი ნეშტი შეგვეძინა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, ბევრი გასაქირი გადაგვხდა და მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ მოვალწიეთ თქვენამდეთ. თეიმურაზი ერთი დღის სავალზე მიეგება წმ. მამებს, ნეშტი წმინდა გიორგის ალავერდის ტაძარში დაასვენეს, იეზუიტებს კი ბინა მიუჩინეს. იეზუიტები ნეშტის მეშვეობით ვითომ სასწაულებს ახდენდნენ, ხალხს კურნავდნენ და შემდეგ თავიანთი ქადაგებით სიმართლის გზიდან აცდენდნენ. მართალია, ზოგი ხვდებოდა მათ ეშმაკობას, მაგრამ რას იზამ-

და პორტუგალიის კომპარტიის IX ყრილობა, რომლის შემოახშირებაში მონაწილეობა მიიღო სკკპ დელეგაციამ ანხ. ე. ა. შვედნაძის მეთაურობით. დელეგაციის წევრებმა ინახულეს ქეთევან დედოფლის წამების ამსახველი სურათები ლისაბონის და გრანას მონასტერში (ელ. ა. ლ. თ. ე. ნ. ი. ქ. კამბოინში და საქართველო, ცისკარი 1980, № 5 გვ. 114—123).

და, როცა მათ ხელმწიფე მფარველობდა. ამ ამბებმა მოახლას ყურამდე მიადგინა და თეიმურაზს წერილით აცნობა ნეშტი ჩემთან არისო: თეიმურაზმა სპარსეთს ელჩები გაგზავნა და დაავალა დედოფლის ნეშტის მოძებნა. ელჩებმა ზავი ჩამოაგდეს, მრავალი ტყვე გამოაწყიდეს, მათ შორის მოახლაც და ქეთევანის ნეშტიც საქართველოში ჩამოიტანეს. გახსნეს კუბო და ქეთევანის ნეშტი მრავალი ნიშნით იცნეს. მეფე გაწყრა იეზუიტებზე და მათი დაპატიმრება ბრძანა, მაგრამ მათ ნიფათს თავი დააღწიეს, დიდებულების თხოვნით მეფემ ისინი შეიწყნარა. ქეთევანის ნეშტი ალავერდის ტაძარში დაპარხეს, იეზუიტები კი შერცხვენილი და თავმოქრილნი დარჩნენ¹²⁵.

როგორც ჩანს, წერილში მონათხრობი სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, მაგრამ წერილი მაინც რამდენიმე თვალსაზრისით არის საინტერესო. ბერძენი ბერი გრეგორის წერილი, რომელიც დაწერილია 1626 წლის 16 მაისს, ნამდვილი გალაშქრებაა ბერძენებისა კათოლიკეების წინააღმდეგ. ამ წერილში აშკარად ჩანს ბერძნული და კათოლიკური ეკლესიების ბრძოლა საქართველოში გავლენისათვის. ამ ბრძოლაში იარაღად წამებული დედოფლის ნეშტიცაა გამოყენებული. მაგრამ აქ მეორე გარემოებაცაა საყურადღებო. ბერძენი ბერის წერილი დაწერილია 1626 წლის 16 მაისს. ამ წერილის ნიხედვით კი იეზუიტებს ე. ი. კათოლიკებს თეიმურაზთან უკვე მოტანილი აქვთ დედოფლის გვამის ნაწილი. სხვა ცნობებით, მამა ამბროზიო დოს ანჟოსმა თეიმურაზს დედოფლის ნეშტის ნაწილი გადასცა 1628 წლის 1 ივნისს. ეს თარიღი მ. თამარაშვილს ეკუთვნის. იგი წერს, რომ თეიმურაზისა და შაჰ-აბასის შერჩევების შემდეგ, 1627 წელს. წამოვიდა სამი მონაზონი, ისინი უკან გაბრუნდნენ და შემდეგ 1628 წლის 1 ივნისს ქ. გორში პატრი ამბროზიომ და პიეტრო დოს სანკტოსმა მოიტანეს დედოფლის ნეშტი. ეს თარიღი შემდგომ გაზიარებული სხვა მკვლევარების მიერ. მაგრამ, რამდენადაც ბერძენი ბერის გრეგორის წერილი დაბეჭდვით მოგვითხრობს, რომ ამ წერილის დაწერის დროისათვის (1626 წ. 16 მაისი) უკვე მოტანილი ჰქონიათ იეზუიტებს თეიმურაზისათვის ნეშტის ნაწილი, ხომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მოხდა ნეშტის ნაწილის ჩამოტანა 1626 წლის 16 მაისამდე ე. ი. ფაქტიურად დედოფლის წამებიდან წელიწადნახევარში. ყოველ შემთხვევაში შაჰ-აბასის და თეიმურაზის შე-

¹²⁵ ი. კ ე ნ კ ი შ ვ ი ლ ი, ინგლისური წიგნი ქეთევან დედოფალზე, მნათობი, 1961, № 1, გვ. 163—168.

რიგებამდე? მაგრამ ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება 1629 წლის თეიმურაზის წერილი რომის პაპისადმი, რომელშიც იგი პაპს წერს: „ერთი წელიწადია, რაც ისპაჰანიდან წმიდა აგვისტინეს წესის ყოვლად პატრიარქულმა მამა ამბროზიომ მოგვიტანა მისი [ქეთევანის] გვამის ნაწილებიო“¹²⁶. ამრიგად, იქულებული ვართ ექვეყნეშ დავაყენოთ ბერძენი ბერის გრეგორის წერილის თარიღი. ზ. ავალიშვილის ცნობით, 1635 წ. პარიზში გამოცემულ კლოდ მალენგრის კრებულში „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“ არის ასეთი თავი: „საქართველოს დედოფლის ეკატერინეს და ქართველ მეფეთა, შაჰაბაზ სპარსელის მეფის ბრძანებით დახოცილთა ამბავი“, რომელშიც მალენგრი გვაწვდის ცნობას, რომ დედოფალს წამების წინ მოუთხოვია პორტუგალიელ აგვისტინელ მამათა საეანიდან მამა ამბროსი და კათოლიკობაზე მოქცეულა მის ხელში, აღსარების შემდეგ კი მისგანვე კურთხევა მიიღია. აქამდის დედოფალი სარწმუნოებით ბერძენი იყო. ზ. ავალიშვილის შენიშვნით, მალენგრის ცნობები ამოღებულია. ალბათ, თვით კათოლიკე მისიონერთა მონაპაპობიდან. მათ კი ქეთევანი იმიტომ გააკათოლიკეს თავიანთ ნაწარმოებებში, რომ კათოლიკე მკითხველისათვის უფრო საგრძნობი გამხდარიყო მისი წამება. თორემ აწორედ ამ კათოლიკე მისიონერთა ერთ ოფიციალურ მოხსენებაში რომის პაპაბაგანდის სახელზე 1640 წ. გარკვეულად ნათქვამია, რომ ქეთევანი თუმცა მართლმადიდებელი იყო, მეტად მეგობრულად იქცეოდა კათოლიკეთა მიმართ¹²⁷.

ამრიგად, ქეთევანის გაკათოლიკება ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. ფაქტი ერთია, მისი შემწყვანარებლური და მეგობრული დამოკიდებულება კათოლიკე მისიონერებისადმი და ამ უკანასკნელთა, კერძოდ, მამა ამბროზიო დოს ანეოსის ღვაწლი მისი ნეშტის ნაწილის ჩამოტანაში. ისიც უდავოა, რომ ამ აქტით კათოლიკე მისიონერებმა გარკვეული პოზიციები მოიპოვეს კახეთის სამეფოში.

6. „ქეთევანის“ ლათინური საკითხი

„ქეთევანის“ 76-ე სტროფში ნათქვამია:

მათ აწამეს წმინდა ესე სეკდენერსა ათორმეტსა,
შვილსა თვემდე მოგახსენებ სასწაულსა მეტის-მეტსა,

¹²⁶ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 108.

¹²⁷ ზ. ავალიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 29.

ამ სტროფზე დაყრდნობით, რომელშიც ნათქვამია, რომ ქეთევანი აწამეს 12 სექტემბერს, ხოლო შვიდი თვის შემდეგ მოხდა სასწაული, თერთმეტ წელს ნაჰამი საქართველო მარტში ისევ თეიმურაზმა დაიკავა. კ. კეკელიძის დასკვნით, „ამ წლისა და „მეტის-მეტა“ სასწაულის ნიშანდობლივი აღნიშვნა მაჩვენებელია იმისა, რომ პოემა დაწერილია 1625 წელს. ქეთევანის წამებისა და მისი მეობებით მისი შვილის, თეიმურაზისათვის „მტერთა ზედა ძღვევის მიცემის“ უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ¹²⁸. ჩვენი აზრით, ამ სტროფის შინაარსი პოემის დაწერის თარიღზე ნაკლებად მიუთითებს. აქ ნათქვამია, რომ ქეთევანი აწამეს 12 სექტემბერს, ხოლო შვიდ თვემდე ე. ი. 1625 წლის 12 მარტიდან 12 აპრილამდე მოხდა „მეტის-მეტი“ სასწაული. მართლაც 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე გიორგი სააკაძემ სასტიკად დაამარცხა ყიზილბაშები და ქართლ-კახეთის ტახტზე თეიმურაზი მოიწვია. აღებული იქნა 11 წელს ნაჰამი საქართველო (იგულისხმება 1614 წლის შემოსევიდან). მარტში მეუფეს ე. ი. თეიმურაზს დარჩა საქართველო—ქრისტიანი ქვეყანა. ესაა ნათქვამი ამ სტროფში. რასაკვირველია, შეიძლება ყველაფერი ეს ნათქვამი იყოს უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ, მაგრამ აუცილებელი არაა, თეიმურაზს შეეძლო ამ საკითხებზე მოგვიანებითაც დიდი გრძნობით ეწერა. ყოველ შემთხვევაში ისიც ანგარიშგასაწევია, რომ დედის წამების შემდგომ ერთი წლის ამბავსაც გვიამბობს: „წელზედ ახადეს საფლავსა...“ 1625 წელი პოემის დაწერის თარიღად უცილობლად ვერ ჩაითვლება საკმარისი არგუმენტაციის უქონლობის გამო.

ზ. ავალიშვილი პოემას 1627—1628 წლებში დაწერილად თვლის, ვინაიდან პოემის მიხედვით შაჰ-აბასი და იმამყული-ხანი ცოცხლებია!²⁹. ამ საბუთით პოემა მართლაც ვერ დაიწერებოდა 1628 წლის შემდეგ. შაჰ-აბასი ხომ 1629 წლის დასაწყისში გარდაიცვალა. დღესდღეობით თარიღის დასაზუსტებლად სხვა საბუთი არ მოგვეპოვება. თარიღის დასაზუსტებლად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ, როგორც ზემოთ უკვე ვაჩვენეთ, თეიმურაზი 1627 წელს ჩასულა შირაზში, სადაც დედამისი აწამეს და შირაზის ხანს სტუმრებია. თეიმურაზი დასწრებია შირაზის ხანის სასახლეში ინგლისის ელჩის პატივსაცემად გამართულ ნადიმს. ბრძოლებში გა-

¹²⁸ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 496.

¹²⁹ ზ. ავალიშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 63—64.

ზოცდილ მამაც მეომარს, ჩანს, პირადი და საქვეყნო უბედურება. ღრმად აღბეჭდოდა სახეზე, რომ პერბერტის მხრივ ასეთი დახასიათება დაუმსახურებია: „ნუგეშმოწყვეტილი საქართველოს პრინცი, გულოვანი გვამი, ლაშქრობაში გამოცდილი და მტკიცე ქრისტიანი“. შირაზის ხანმა და მისმა სამფლობელომ, ჩანს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თეიმურაზზე. შირაზის ხანისაგან მიღებულმა შთაბეჭდილებებმა განაპირობეს ამ უკანასკნელის ქება პოემაში: „შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი“. თეიმურაზმა, ალბათ, დაწვრილებითი ცნობებიც მიიღო დედოფლის ტყვეობისა და თანმწლებ პირთა წამების შესახებ, რაც აშკარად იგრძნობა პოემაში. თუ ამ გარემოებებს გავითვალისწინებთ, შესაძლებელია, თეიმურაზის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ 1627—1628 წლებით დავათარილოთ. თეიმურაზს პოემა ირანიდან დაბრუნების შემდეგ დაუწერია.

7. ქეთევანის ღვაწლის ასახვა ლიტერატურაში

ქეთევანის პიროვნებისადმი ინტერესი დიდი ყოფილა, როგორც მის თანამედროვეთა შორის, ისე შემდგომ. დედოფლის მოწამებრივმა სიკვდილმა უდიდესი გამომხაურება კპოვა ქართულ მწერლობაში. ანტონ პირველის ცნობით, „ამისნი [ქეთევანის] უკუ ისტორიანი, ვკგონებ, ვითარმედ პირველად აღჰსწერა ვინმე თანამედროვემან, წმიდისმან, და თვთ კეთილმსახურმან ძემან მისჰან მეფემან თეიმურაზ პირტყლმან შაირსიტყვაობით, და მესამემან არჩილ იმერთა მეფემან, მამის ბიძამან ჩემმან, მოაკსენა შაირსიტყვაობათა შინა თეიმურაზ პირტყლისა საქმეთა ისტორიისათა, კუალად გიორგი ხუცესმონაზონთან გარეჰსჯას ღირსისა დოდოს მონასტრისამან, ნეტარმან ბესარიონმან მამათ-მთავარმან ჩტმმან, ვახუშტი ნათესავმან ჩემმან აღწერათა კახეთისათა“¹³⁰.

ანტონის ცნობისა და გრ. დოდორქელის ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე, მ. ქავთარია გრ. დოდორქელის სახელათ ცნობილი ჰიმნებიდან გამოყოფს ერთ კანონს, რომელიც ეძღვნება ქეთევან დედოფალს და რომელსაც მიიჩნევს ქეთევანის თანამედროვე ანონიმი ავტორის ნაწარმოებად¹³¹.

გარდა ჰიმნებისა, გრ. დოდორქელს დაუწერია მნიშვნელოვანი

¹³⁰ მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 597.

¹³¹ მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII — XVIII სს. თბ., 1977, გვ. 142—158.

თხზულება: „წამება ყოვლად დიდებულისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა, რომელიც იწამა სპარსთა მეფის შაჰ-აბაზ უსჯულომასა მიერ ქალაქსა შირაზს“, რომელსაც მიაკვლია და გამოაქვეყნა ტ. რუხაძემ¹³². ქეთევან დედოფლის წამება გაუღექსავს მღვდელ-მონაზონ კოზმანს, რასაც გვიდასტურებს იოანე ბაგრატიონი¹³³.

თეიმურაზ პირველის მიბაძვით ქეთევან დედოფლის წამება შეუთხზავს დიმიტრი ბაგრატიონს, რომელიც მოღვაწეობდა XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე. მისი პოემა მე-19 საუკუნეში რამდენჯერმე დაბეჭდილა, გამოქვეყნდა უკანასკნელ ხანსაც¹³⁴. ანტონ. კათალიკოსს დაუწერია „შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევან დედოფლისათა“, რომელსაც დართული აქვს შვიდსტროფიანი ლექსი¹³⁵.

თეიმურაზ ბაგრატიონის „ქეთევანის წამება“ გამოქვეყნდა პურნალ „ცისკარში“ 1872 წელს.

სულხან-საბა ორბელიანს თეიმურაზის „ქეთევანიანში“ ჩაუმატებია სამი სტროფი, რომლებშიც დედოფლის წამების სცენაა აღწერილი.

თეიმურაზის პოემა გაუგრძელებია ვინმე ანონიმს და შეუთხზავს ქეთევანის შესახებ რამდენიმე სტროფი. ქეთევანის წამებას ეხება ბესარიონ ორბელი (XVII—XVIII საუკ. მოღვაწე) „ლუარსაზის მარტილობაში“.

ქეთევანის სახელი დიდად საპატიო და პოპულარული გამხდარა. ქეთევანის სახელი ჩაუწერიათ იოანე პეტრიწის ერთ საგალობელში 13 სექტემბრის ბოლოს. ნიკოლოზ თბილელს სადღესასწაულო საგალობელში მოუთავსებია კონდაკი ქეთევან დედოფლისა.

დიდო რეზონანსი ჰქონია ქეთევან დედოფლის მოწამებრივ სიკვდილს საზღვარგარეთაც. 1626 წელს ქეთევანის წამება აღუწერია ბიეტრო დელა-ვალეს. 1633 წელს დაიბეჭდა წიგნი ინგლისში. 1657 წელს მწერალმა ანდრიას გრიფიუსმა დაწერა ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კათარინა“¹³⁶; რომელსაც, როგორც ა. ბიბიჩაძემ გა-

¹³² ლიტერატურული ძეგანი, V, 1949, გვ. 229—247.

¹³³ კალმასობა, II, გვ. 182.

¹³⁴ დ ი მ ი ტ რ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, დიმიტრიანი, გამოსაცემად მოამზადა ჩარა ნაკაშიძემ, თბ., 1978.

¹³⁵ ს. ს ა ბ ი ნ ი ნ ი, საქართველოს სამოთხე, გვ. 583—598.

¹³⁶ ა ნ დ რ ე ა ს გ რ ი ფ ი უ ს ი, ქეთევან ქართველი ანუ გაუტყველი სიმტკიცე, გერმანულიდან თარგმნა აკაკი გულოვანმა, თბ., 1975.

არკვია, უსარგებლია პიეტრო დელა-ვალეს, ადამ ოლეარიუსის რომში პროპაგანდისათვის 1626 წელს წარდგენილი მოხსენებით და ავგუსტინელი მოძღვრის ამბროჯიო დოს ანჯოსის 1628 წელს გაგზავნილი წერილით რომის პაპისადმი ქეთევან დედოფლის ნეშტის გორში გადმოსვენების შესახებ¹³⁷.

ამრიგად, საქართველოს დედოფლის ქეთევანის მოწამებრივმა სიკვდილმა სპარსეთის სამეფო კარზე დიდი რეზონანსი ჰპოვა ქრისტიანულ სამყაროში. მისი მოწამებრივი ღვაწლი მრავალგზის აღიწერა როგორც ქართველა, ისე უცხოელი ავტორების მიერ.¹³⁸

¹³⁷ ა. ბ ი ბ ი ჩ ა ძ ე, გრიფუის ქეთევან დედოფლის ისტორიულ წყაროთა შესახებ, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიკის შრომები, 1958, ტ. XVIII, გვ. 69—91; შ. რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი, ანდრეას გრიფუისი და მისი ქეთევან ქართველი (შესავალი წერილი წიგნისა: ანდრეას გრიფუისი, ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სიმბოლო, გერმანულიდან თარგმნა აკაკი გელოვანმა, თბ., 1975, გვ. 15—31).

¹³⁸ წინამდებარე წიგნში, რადგან ის უკვე გადაცემული იყო დასაბეჭდად, გათვალისწინებული არ არის რ. ბურკულაძის წერილი „წამება ქეთევან დედოფლისა“, (ცისკარი, 1980, № 4), რომელშიც ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ „ქეთევანიანი“ არ ეკუთვნის თეიმურაზ პირველს. ჩვენი მოსაზრებანი რ. ბურკულაძის სტატიის გარშემო აღ. ბარამიძის თანაავტორობით გამოეთქეთ წერილში „ქეთევან დედოფლის წამების გარშემო“ (ცისკარი, 1981, № 1, გვ. 127—134).

„ქეთევანიანის“ თეიმურაზისადმი კუთვნილებას უარყოფს შერმადინ ონიანიც (იხ. ლიტერატურათმცოდნეობის საკოორდინაციო საბჭოს XIV სამეცნიერო სესიის თეზისები, 1979, გვ. 16—17), მაგრამ ნაშრომი ქარჭეობით არ გამოქვეყნებულა.

გაბაასეების ჟანრი აღორძინების ხანაში ერთგვარი პოპულიარობით სარგებლობს. გაბაასება პაექრობას, კამათს ნიშნავს და მის სინონიმებად აღორძინების ხანაში იხმარება: შედარება, ცილობა, შელპარაყება, გაბჰობა. დიალოგური ფორმით დაწერილ ასეთ ნაწარმოებებში ორი მხარე კამათობს და თითოეული თავისი უპირატესობის დამტკიცების მიზნით ცდილობს გააბათილოს მოწინააღმდეგის მიერ დასახელებული არგუმენტები. ძირითადად ავტორი ცდილობს არ გამოამჟღავნოს თავისი სიმპათია რომელიმე მხარის მიმართ, თუმცა ზოგ შემთხვევაში მაინც იგრძნობა, თუ ვის ანიჭებს იგი უპირატესობას. ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში მიღებულია, რომ გაბაასება არის ერთი ამ ჟანრთან, რომელიც თეიმურაზს შემოუღია. მაგრამ გაბაასება საქართველოში ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი და იგი უხვად დასტურდება ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალებში. მ. ჩიქოვანის აზრით, „გაბაასეების ჟანრის საწყისები ფოლკლორში პირველყოფილი სინკრეტიზმის დაშლის პერიოდიდანაა ცნობილი და იგი ისტორიულად წინ უსწრებს ანალოგიური ჟანრის ჩამოყალიბებას მწერლობაში“¹. ან კიდევ: „ფოლკლორში შემუშავებული პოეტური პაექრობის ფორმა ლიტერატურაშიც შევიდა. აღორძინების ხანის ქართველი მწერლები ხშირად თხზავდნენ სხვადასხვა „გაბაასებას“. ასეთია, მაგალითად, თეიმურაზ პირველის „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“, თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთა“ ანუ „გაბაასება ღლისა და ღამისა“².

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გაბაასებას უკავშირებენ ცნობილ ირანულ მუნაზარეს³. ამ თვალსაზრისს დაუპირისპირდა ბ. ქიქოძე სპეციალურ ნაშრომში „გაბაასება ძველ ქართულ

¹ ფოლკლორული ეტიუდები, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VI, თბ., 1949, გვ. 117.

² ქართული ფოლკლორი, თბ., 1946, გვ. 46.

³ ალ. ბარამიძე, თეიმურაზ პირველი (თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1934, გვ. 211); ნარკვევები, II, თბ., 1940, გვ. 153; ლ. ასათიანი, ქართული მწერლობა, თბ., 1949, გვ. 29.

ლიტერატურაში“. იგი წერს: „ქართულ კრიტიკულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს გაბაასება ქართულ ლიტერატურაში მომდინარეობდეს ირანული ლიტერატურიდან და წარმოადგენდეს ახალ ირანულ ლიტერატურაში ცნობილ მუნაზარეს მსგავს ლიტერატურულ ეანრს; მართალია ჩვენ გაბაასებასა და ირანულ მუნაზარეს შორის ერთგვარი მსგავსება შეინიშნება, მაგრამ კვლევა-ძიებით არ დასტურდება, რომ გაბაასება ჩვენში ირანული ლიტერატურის გავლენით იყოს შემოღებული“⁴. ბ. ქიქოძე გაბაასების ეანრის ფესვებს, ერთი მხრივ, ქართულ ფოლკლორში ეძებს, მეორე მხრივ კი, მისი აზრით, „ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში გაბაასების შემოღებასა და მის დამკვიდრებას, ხალხური ნიმუშების გარდა, ხელი შეუწყო იმ მრავალრიცხოვანმა სასულიერო ხასიათის ლიტერატურამ, რომელიც დიალოგის ან კითხვა-მიჯვების სახით არის წარმოდგენილი. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი სახის თხზულებები გაბაასებას არ წარმოადგენს, მაგრამ ამ ძეგლების დიალოგური ფორმა და ზოგჯერ მათში ასახული მწვევე ხასიათის კამათი რომელიმე საცილობელი საკითხის შესახებ, ხალხურ ზეპირსიტყვიერ ნიმუშებთან ერთად. ერთ-ერთი წყარო გამხდარა მხატვრულ ლიტერატურაში გაბაასების ჩამოყალიბებისათვის“⁵. სწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა ალ. ბარამიძემ ნარკვევში „თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ“⁶, რომელშიც მიუთითა, რომ ბ. ქიქოძემ არსებითად ვერ დაასაბუთა თეიმურაზისეული გაბაასების ხალხური ფოლკლორიდან ან სასულიერო მწერლობიდან მომდინარეობა. ამასვე აღნიშნავს ალ. გვახარია⁷. ალ. ბარამიძეს სპარსული კულტურული სამყაროს გავლენის ერთ-ერთ გამოხატულებად მიაჩნია თეიმურაზის მიერ მუნაზარეს ტიპის ნაწარმოებთა, კერძოდ გაბაასების შექმნა⁸.

ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ თეიმურაზ პირველის დაინტერესებას სპარსული პოეზიით. და არა მარტო თეიმურაზის, არამედ აღორძინების ხანის (XVI—XVIII ს.ს.). ქართული მწერლობის ცოცხალ კავშირს იმდროინდელ სპარსულ პოეზიასთან. ამ პოეზიის უდიდესი წიგნი („შაჰ-ნამე“) თეიმურაზამდე ითარგმნა ქართულ ენაზე, ხოლო თეიმურაზის შემდეგაც დიდი იყო სპარსული პოეზიის ნიმუ-

⁴ გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, ბათუმი, 1952, გვ. 8.

⁵ იქვე, გვ. 14.

⁶ ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1964, გვ. 81—98.

⁷ გაბაასების ეანრის ისტორიისათვის, ლიტერატურული გაზეთი, 27. 1. 1956.

⁸ ნარკვევები..., IV, გვ. 85—86.

შეებით დაინტერესება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სპარსული პოლიტიკური ექსპანსიის გაძლიერების პერიოდში, XVI—XVIII საუკუნეებში განსაკუთრებით გაძლიერდა სპარსული კულტურით და, კერძოდ, სპარსული მწერლობით დაინტერესება. თეიმურაზიც ერთი იმათაგანი იყო, ვინც სპარსული კულტურით დაინტერესება იმით გამოავლინა, რომ სპარსულ სატრფიალო სიუჟეტებზე აგებული პოემები შექმნა: „ლეილმაჯნუნიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“. ქვემოთ ჩვენ სპეციალურად განვიხილავთ ამ პოემებს და ვნახავთ, რომ თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებულ პოემებში საკმარისად გამოვლინდა პოეტის ორიგინალურ შემოქმედებაში დადასტურებული მოტივები და შეხედულებანი. მოუხედავად იმისა, თუ როგორ გადაწვეცეთ თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებული პოემების ორიგინალობის საკითხს, ერთი რამ ფაქტია, თეიმურაზი ამ ნაწარმოებების სპარსულიდან მიმდინარეობაზე მათ შესავალსა და ბოლოთქმებში ყველგან მიუთითებს. ჩვენს ყურადღებას იქცევს „შამიფარვანიანის“ შესავალი. პოეტი მოგვითხრობს:

რაც გამეგონა სპარსთაგან წიგნები ლაყაბიანი,
ამბავი ანუ შაირნი სალალობო და მუღიანი,
ლექსი ლექსად ვთქვი, ამბავი არც ყოლ არ დავაგვიანი,
პირველად სამიჯნურონი, ვითა ვარდი და იანი (14).

შემდეგ თეიმურაზი ჩამოთვლის:

ვარდს გავაუბნე, გაეაბჰე ბულბული მისთვის ხელები,
ხელს მოვაგონე ხელმქნელი, ცრემლი ვადინე ცხელები,
ბრძენთაგან შესაწყნარები, სიტყვა არ საიციხელები,
ოტა რამ უკუვიყარე, სევდა ვქენ განათხელები (15).

შემოდგომა-გაზაფხული ერთმანეთსა შევადარე,
მე გაბჭობით გავაუბენ, სიტყვა ესრეთ მოვაგვარე,
ყველას ვისმე ცოტას ხანსა ვალალობე, უკუ ვყარე,
რაც რამ კარგი ორთავ სჭირდა, ყველას თავი მოუყარე (16).

აქ სპარსულიდან გადმოღებულ ნაწარმოებთა შორის დასახელებულია თეიმურაზის „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“. ანუ „გაზაფხულშემოდგომიანი“, რომლის ორიგინალობა ექვს არ იწვევს. რატომ ასახელებს თეიმურაზი ორიგინალურ ნაწარმოებს სპარსულიდან მომდინარე პოემების გვერდით? საქმე ისაა, რომ, როგორც ჩანს, თეიმურაზს რაღაც თვალსაზრისით „გაზაფხულშემოდგომიანი“ „სპარსთაგან განაგონად“ მიაჩნია. უცულობელია, რომ

ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ამ ნაწარმოების უანრი. როგორც ჩანს, ე. ი. უანრის მიხედვით „გაზაფხულშემოდგომიანი“ თეიმურაზისათვის სპარსულია. სპარსულ „ლაყაბიან წიგნებში“ „გაზაფხულშემოდგომიანის“ დასახელება, რომელიც ნამდვილად არ ვარაუდობს სპარსულ დედანს, უტყუარი ნიშანია იმისა, რომ თეიმურაზი მას უანრული თვალსაზრისით სპარსულიდან მომდინარედ თვლიდა. ამრიგად, თვით თეიმურაზი ადასტურებს გაბაასების უანრის სპარსულიდან მომდინარეობას.

გაბაასების უანრის ნაწარმოებს თეიმურაზის შემოქმედებაში წარმოადგენს „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ და „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“. განვიხილავთ ამ ორ ნაწარმოებს.

1. „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“

„შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ გაბაასების საუკეთესო ნიმუშია. ხელნაწერებში იგი სხვადასხვა სათაურითაა: „გაზაფხულ შემოდგომის ქება მეფის პატრონის თეიმურაზის თქმული“ S 342; H 1020; „გაზაფხულისა და შემოდგომის ქება მეფის პატრონის თეიმურაზის თქმული“ A 860; „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა ნათქვამი მეფის თეიმურაზ პირველისაგან, რომელ არს ენა რიტორი“ S 1511, H 773; „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა მისივე მეფის თეიმურაზ პირველისაგან თქმული“ S 1537; „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა ერთმანეთის თავის ქებით ჯობნით ბაასი და ცილება ლექსად თქმული ხელმწიფის მეფის თეიმურაზისაგან“—ასეთი სათაური მცირეოდენი ვარიანტული სახესხვაობებით დაუტავს შემდეგ ხელნაწერებს: S 403, A 1735, S 1508, A 593, S 2676/ბ, H 222, ც. 290.

ეს პოემა დაცულია თვრამეტ ხელნაწერში: S 103, S 1511, A 1735, S 3706, S 1508, A 593, S 1103, S 1537, S 2676/ბ, S 342, H 1020, H 222, H 773, A 860, S 239, S 2305, ც. 290, S 1511. აქედან დეფექტური და დაზიანებულია S 239, S 2305; A 860 ხელნაწერები. ხელნაწერთა უმრავლესობა შედგენილობის მიხედვით ისეთ ტექსტს შეიცავს, როგორცაა 1934 წლის გამოცემაში.

შედგენილობის მიხედვით განსხვავებულ ტექსტს იძლევა რამდენიმე ხელნაწერი, S 1511, S 1537, A 593, H 773 ხელნაწერში სტროფები წყდება 78-ე სტროფზე, S 342, A 860-ში 79-ე სტროფზე, ხოლო S 1103 80-ზე, S 1103, S 342, A 860 ხელნაწერებში 77-ე სტროფიდან ეს ტექსტი ერთვის „ვარდბულბულიანს“, S 1512 ხელნაწერში 76 და 79-107 სტროფები მოსდევს „მაჯამას“. S 342-ში ამ ნაწილს აქვს

სათაური „სწავლა სიტყვისა, ლექსი კეთილი“, H 1020-ში—„სიტყვა სწავლისა“. კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნით, „გაზაფხულშემოდგომიანის“ ბოლო ოცდახუთი სტროფი ცალკე ნაწარმოებად უნდა გამოიყოს, ვინაიდან თავისი მოტივითა და მიზანდასახულობით აშკარად განსხვავდება ამ პოემისაგან, მით უმეტეს „მაჩამისა“ და „ვარდბულბულიანისაგან“, რომლებსაც დაერთვის ზოგიერთ ხელნაწერში. კ. კეკელიძე ამ სტროფებს ცალკე გამოყოფს და უწოდებს ხელნაწერებში დადასტურებულ სათაურს „სიტყვა სწავლისას“⁹. თავისი შინაარსით და თემატიკით ეს ნაწარმოები ახლო დგას თეიმურაზის „სოფლის სამღურავთან“. იგი წარმოადგენს გოდებას წუთისოფლის მუხთლობის გამო და ჩვენც მას სოფლის სიმუხთლის თემის ანალიზისას განვიხილავთ. „გაზაფხულშემოდგომიანის“ ტექსტს წარმოადგენს 1—83 სტროფები. პოემის შინაარსი ასეთია: იწყება შესავლით, რომელშიც პოეტი მიმართავს პირველ ყოვლისა ღმერთს—შემქმნელს ამქვეყნიური და ზეციური სამყაროსას, ეხება საკითხს საერო თემებით დაინტერესების შესახებ, განმარტავს მიზეზს „გაზაფხულშემოდგომიანის“ თქმისას და გადადის საკუთრივ ამ ორი დროის გაბაასებაზე. კამათი იწყება გაზაფხულის სიტყვით, რომელიც სიტყვას იწყებს თავისი სიტურფის აღწერით, გამომწვევად მიმართავს შემოდგომას, რომელსაც, გაზაფხულის აზრით, არა აქვს მისი ნათალი სიკეკლუცე. გაზაფხულს თავი სამოთხედ მიაჩნია, რადგანაც მის დროს „მიწა-მდელონი ზურმუხტად გადიქევიან, ხე-ხილნი ტურფად გაშლილნი მას ზედან მოექევიან“. ამწვანებული ხეხილის ქვეშ დროს ატარებენ ტურფა, უებრო ქალყმანი, ლხინობენ, სევდა-ნადველს გაიქარვებენ. ფრინველნი კიკიკობენ და მსმენელთ მუტრიბთა და მგოსანთა დარად აღხენენ. ბუნება ნაყოფიერდება, მრავლდებიან ფრინველები და ცხოველები:

ფრინველნი ყველა მობუდრობს, მხეცნი იქნების ხბოსანი (16, 4).

თავის ღირსებათა შორის გაზაფხული უპირველესად ახალგაზრდობას ასახელებს. „მე ყმაწვილი ვარ, შენ ბერი—ამით გისწორებ მე არაო“, მიმართავს ის შემოდგომას. თავს იქებს მეფეთა დროსტარებით, ლხინითა და მეჭლისებით. თეიმურაზი ახლად აყვავებული ბუნების მეტად ლამაზ სურათს გვიხატავს:

ჩემს უამშიგან გაირცხების უანგიანი მიწა-ჩკინა,
მომწვანდების ტურფად რამე, ზედან ია მოეფინა,

⁹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 560—563.

ყველითა აივების სავსე თასი, ქიქა, შინა,
იგ ნაზამორმან ყოელმან სულმან ჩემს ქამშიგან მოილხინა (24).

გაზაფხულის აზრით, სილამაზით შემოდგომა ვერც შეედრება, არათუ ჯობნას დაჩემებს. რა შეიძლება შეედაროს ვარდის — ყვავილთა მეფის სიტურფეს, როცა ის წალკოტში ჰყვავის და მისთვის ხელი ბუღბული ცრემლად იღვრება. გაზაფხული ამაყობს იმით, რომ მის დროსაა ვარდისა და ბუღბულის მიჯნურობის ამბავი. მიჯნურები ბაღში გამოდიან საყვარულის ცეცხლით „მყეფარე“ ბუღბულის სანახავად, თვითონაც თავისი საყვარული აგონდებთ და მჩქეფარე ცრემლებს ღვრიან.

შემოდგომა დასაწყისში თავმდაბლურად ეპასუხება გაზაფხულს. არ უარყოფს ზამთრის შენდევ ახლად აყვავებული ქვეყნის სიმშვენიერეს, მაგრამ უსაყვედურებს თავის ქებას და თანაბრად, ამხანაგად ხსენებას ითხოვს. „სწორი გყავს და არ ისწორებო“, — ეუბნება. შემოდგომა გაკვირვებულია, რით ვერა ვარ შენისთანაო და ჩამოთვლის თავის ღირსებებს, შენს დროში მხოლოდ მწვანე ფერი აქვს ბუნებას, შემოდგომის ჰაერი კი ყველა ფერს აზავებს, ათასფერად აყვავებულ ქვეყანას სამოთხე შეგიძლია უწოდოო. შემოდგომა თავის სარგებლიანობასა და სილამაზეზე მიუთითებს — ფერად-ფერადი ყვავილებითა და ათასგვარი ხილით შემკულ ბაღებს აგონებს:

ჩემს დროს ასხია ხეზედან ნარინჯ-თურინჯი, ბიაო,
ბროწეული და ყურძენი, არც ერთი დაკლებიაო,
ჰკრეფენ და სკამენ, სავსე აქვთ კალთები, უბებიაო,
ამისი ფასი შენ რა გკირს? — გვითხარ და გვიამბაო (30).

გაზაფხულის მიერ მოთხოვნილ ვარდისა და ბუღბულის ამბავს შემოდგომა იადონის სტვენას უპირისპირებს. არ ვიცი, ვისთვის გაქრილა, თორემ ისიც ხელი მიჯნურია, რომელიც „ამ სოფლით შორს გასულაო“, მთასა და ბარში ფრინავს და ტკბილი ხმით მოსთქვამს. შემოდგომა თავმდაბლურად უპასუხებს გაზაფხულს საერთოდ და უკეთესობას არ იჩემებს, ხაზს უსვამს ყველაფრით შენი მსგავსი ვარო („ყველათ ვარ შენი დარეო“). ის აქებს თავის დროს, როცა ჰაერი შეზავებულია და არც ცივა და არც ცხელა. გაზაფხულს შიმშილობას უსაყვედურებს, შემოდგომა კი უხვია, საკვები უამრავია, ლხინი და ნადიმი ბევრია.

ალხობა, სიმკლე, შიმშილი შენ ერთად შემოგყრიაო,
შემოდგომაზე საკმელი ფერხთ სალახავად ყრიაო,
ყველა ლხინობს და თამაშობს, გელს არვის შემოჰყრიაო,
შენი მწვანე და ყვავილინ გაგტრევიან, გაგიყრიაო (44).

გაზაფხულს არ მიაჩნია სწორად, რომ უხვი მოსავლია სიკეთე შემოდგომის დამსახურებაა. მართალია, შემოდგომაზე მოიწვეა, მაგრამ „გაზაფხულზე დაარსდების ყოვლი სარჩო-მოსავალი“ (46,1). უკვდავების სადარი ნიავი ჰქრის, ადამიანები დროს ბუნების წილში ატარებენ, იმართება შეჯიბრი, ნაძლევის დადება, კეკლუცაათვის თავის მოწონება, სალამოს ჩირალდნებს აანთებენ, ყვავილნარებში დამსხდარნი ჰაეიანთ ხელმძღნელებს მოიგომებენ, „დაივიწყებენ ჰირსა და სეედასა დასალონებსა“. შემოდგომას ახსენებს, „შენ კი გიორგობისთვე რომ დადგება, გეკარგება შენი სიუხვე, ქარი ხეებს დააშიშვლებს, თოვლს წამოგაყრის ზამთარი, დღეებს შეგიმოკლებს, გატყდები და წახვალ. მე და შენ ვინ შეგვადარება, „ბერზედან ყმა-წვილს ვინ გასცვლის ანუ ცოცხალზე მკვდარებასა“¹⁰.

შენოდგომა ისევ თავის სიუხვეზე მიუჯიბება. „სარჩოდ, სალხინოდ მე გჯობვარო...“, „გაზაფხულს სუსტობს ყოველი, ჯონს უნდა ნისაყუდები“, ყოველგვარი ნადირობა და ომი შეწყდება სთვლობის დროს, დიდი და პატარა ლხინობს, სევდას უკუიყრის. პოეტი ანე აგვიწერს სთვლის დღესასწაულს:

მაშინ შევნოდენ ვენახნი წითლოსან-ნარინჯიანი,
მრავლად გადნეს მტევანი—ნუმც არის მათი ზიანი
ჰაერი შეზავებული, არცა თუ სიციხით მზიანი,
წითელ ღვინოსა ასხემდენ, ქვეერები გარეცხიანი (56).

¹⁰ ეს სტრიქონი 74-ე სტროფის მეოთხე სტრიქონია. სტროფი ასე იკითხება:

მაშინვე წახდენ, გაუდდენ, წახვალ და გავლი კარებსა,
რაგინდ რა ბევრი ილაყბო, ჩემთან ვინ დაგადარებსა!
არაეინ არ დაგიჯერებს საქმესა მიუმხვდარებსა,
ბერზედან ყმაწვილს ვინ გასცვლის, ანუ ცოცხალზე მკვდარებსა (74).

აქ ეს სტროფი თავის ადგალასა, მაგრამ იგივე სტროფი მცარედენი ვარიანტული სხვაობით დაბეჭდილია გაზაფხულის მეოთხე პასუხში, როგორც 50-ე:

მაშინვე ცუდად წაგიხდეს, წახვალ და გავლი კარებსა,
რა გინდ რომ ბევრი ილაყბო, ჩემთან ვინ დაგადარებსა?
არაეინ არ დაგიჯერებს საქმესა მიუმხვდარებსა,
ბერთან ყმაწვილსა ვინ გასცვლის, ანუ ცოცხალთან მკვდარებსა?!

აქ კი ეს სტროფი შინაარსებულად არ არის სათანადო ადგილას. 49-ე სტროფში გაზაფხული თავის ღირსებებს ჩამოთვლის და მისი ბუნებრივი გაგრძელებაა 51-ე სტროფი. ხელნაწერთა უძრავლესობაში ეს სტროფი გაზაფხულის პასუხის უკანასკნელი სტროფია—ი. ი. 74: S 403, A 1735, S 3706, S 1508, A 593, S 1103, S 267რ.ბ, S 342, H 1020, H 222, A 860, ც. 290. 50-ე სტროფის ადგილას იკითხება ის სამ ხელნაწერში: S 1511, S 1537, H773.

ხელნაწერთა მონაცემებიც და ტექსტის შინაარსის თანმიმდევრობაც ადასტურებს, რომ ეს სტროფი გაზაფხულის პასუხის დაბოლოებაა, კერძოდ 74-ე.

მარნები გამდიდრდებოდეს, ქარახს მზადებენ, თასებსა, ვის ვისთან ლხინი ეწადის—რა სჯობს არიფთა დასებსა! იქ ამღერებდენ მგოსანთა, მუტრიბთა ბევრ ათასებსა, ნუ სტყუი, ვერას მოაშობ იგ. შენ ამისსა ფასებსა (57).

მაზად იხმევდენ, ზედ ესხას წითელი ეაშლი, ბიანი, ყველას უწითლობს ლაწეები, რომ იყოს ფერყვითლანი, მაქრისა ფერსა არჩევდენ იგ ტკბილად რასმე სეიანი, მას ჟამსა სევედის ლახვარი გულს არვის დაესეიანი“ (58).

შემოდგომაზე მოიწევა მოსავალი, ათასგვარი გასართობი სცვლის ერთმანეთს. მყვირალობას მოსდევს ნადირობანი, უსიციო და და უპიციო დარები უწყობთ ხელს. დოვლათით სავეს შემოდგომა სიტურფესაც იჩემებს და უკანასკნელ პასუხში გაზაფხულს მკაცრად მოაგონებს:

{ თუ მე ზამთარი წამახდენს, ზაფხული შენ დაგესარა (75, 3).

ამრიგად, პოეტმა ორივე დრო დაგვიხასიათა. თვით პაექრობის დროს მთელი პოემის მანძილზე უპირატესობას უფრო გაზაფხული იჩემებს, შემოდგომა დასაწყისში გაზაფხულისაგან ძირითადად ამხანაგად ღსენებას თხოულობს და მის შესადარად აცხადებს თავს:

ვერასფერთა ვერ მქობხარ, ყველათ ვარ შენი დარეო (41, 1).

შემდეგ კი გაზაფხულის პასუხებით გაგულისებულნი ჯობნასაც იჩემებს: „სარჩოდ, სალხინოდ მე გჯობვარო“... ეს მართლაც უდავო არგუმენტია.

თვით მწერალი თითქოს არცერთ დროს არ ანიჭებს უპირატესობას. ის წელღწადის ამ ორ უმშვენიერეს დროს, ორივეს ზოტბას ასხამს. ბ. ქიქოძის აზრით, „მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ თეიმურაზი უპირატესობას შემოდგომას ანიჭებს, ვინაიდან წელწადის ეს დრო, მისი აზრით, სიმდიდრისა და დოვლათის შემქმნელია და ადამიანთა არსებობის პირველ წყაროს წარმოადგენს“¹¹. ჩვენი აზრით, „გაზაფხულშემოდგომიანში“ გარკვევით არ ჩანს, თუ ვის ანიჭებს მწერალი უპირატესობას. პირიქით, გაზაფხული თავს ესხმის, შემოდგომა ძირითადად თავს იმართლებს და უმტკიცებს, რომ ისიც მისი შესადარია. ეს როგორც ჩანს, არც ბ. ქიქოძეს გამოპარვია მხედველობიდან და რამდენიმე სტრიქონის წინ ის წერს: „გაბაასების წესის თანახმად პოეტი უპირატესობას არც ერთს არ

¹¹ ბ. ქიქოძე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, ბათუმი, 1952, 33-34.

ანიკებს. ის ცდილობს მიუღდგომლობა ბოლომდე დაიცვას¹². თუ ასეა, საიდან ჩანს, რომ თეიმურაზი უპირატესობას შემოდგომას ანიკებს? პირიქით. პოეტი საკითხის გადაწყვეტას მკითხველს ანდობს:

ეს არის მათი ონარი—მათგან თავისა ქებანი.

თქვენცა სთქვით. თუ რომელი სჯობს, აწ ნუ გაქვსთ მათი თნებანი (76,1—2).

ასეთია „გაზაფხულშემოდგომიანის“ შინაარსი¹³ პოემა. ჟანრული თვალსაზრისით ახალია, თეიმურაზის მიერაა შემოტანილი და მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მასში თეიმურაზს შესანიშნავად დაუბაძავს საქართველოს თვალწარმტაცი ბუნება. თეიმურაზი პირველი პოეტია ქართულ მწერლობაში, რომელმაც ბუნების შესანიშნავი სურათები დაგვიხატა. ამასთან წლის დროთა სიმშვენიერე არა მარტო აღწერა, არამედ მათი მნიშვნელობაც ჩამოაყალიბა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „გაზაფხულშემოდგომიანში“ დახატულ გაზაფხულის სურათს ემბაურება თეიმურაზის „ვარდბულბულთანში“ აღწერილი გაზაფხულზე გაცოცხლებული ბუნების შესანიშნავი სურათი, რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ, აქ აღენიშნავთ მხოლოდ რომ თეიმურაზი გვევლინება ქართულ პოეზიაში საქართველოს თვალწარმტაცი ბუნების ერთ-ერთ პირველ და შესანიშნავ მხატვრად.

ჩვენ უკვე აღენიშნეთ, რომ თეიმურაზი გაბაასებას, როგორც ჟანრს, სპარსულიდან მომდინარედ თვლის, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც უნდა გავიხსენოთ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დაცული გაბაასების ნიმუში „შემოდგომა და ზაფხული“, რომლის შესახებაც ბ. ქიქოძე წერს: „შიქლება ვიფიქროთ, რომ თეიმურაზი იცნობდა ხალხურ ლექსს და ამ გარემოებამ ბიძგი მისცა შეექმნა ყოველმხრივ გამართული პოეტური ნაწარმოები“¹³. ამას მკვლევარი ასაბუთებს „გაზაფხულშემოდგომიანის“ პროლოგის სიტყვებით:

მინახავს ამ საქმეზედა ქეჩ-ბაასობა, ცილობა:

არ ესე სჯობსო, არ ესე!—შულღი, ყარყაში, ყრილობა (10).

ეს სტრიქონები, რასაკვირველია, უცილობლად ამის დასტური ვერ იქნება, რომ თეიმურაზი აქ გულისხმობს უეჭველად ხალხურ ლექსს „შემოდგომა და ზაფხული“. მითუმეტეს, რომ შემოდგომა ხალხურ ლექსში ზაფხულთან პაექრობს და არა გაზაფხულთან. ამ

¹² ბ. ქიქოძე, გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, ბათუმი, 1952, გვ. 33.

¹³ იქვე, გვ. 34.

სიტყვებში ალბათ თეიმურაზის თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება გამოიხატება ამ საკითხისადმი.

რა საკითხებია დასმული „გაზაფხულშემოდგომიანის“ პროლოგ-ეპილოგში?

ისე, როგორც თეიმურაზის სხვა ნაწარმოებებს, „გაზაფხულ-შემოდგომიანს“ დართული აქვს შესავალი და ბოლოსიტყვაობა. შესავალში ღრმადმორწმუნე პოეტი მიმართავს ღმერთს — ზეცისა და ამქვეყნიის ქების ობიექტს და იბოდიშებს მის წინაშე, რათა „სიტყვა უქმისა პატიყად ცეცხლი არ მომხვდეს გზებულო“. ესაა ბოდიში საერო თემაზე წერის გამო, რომელსაც უწოდებს უქმ სიტყვას, „ცუდ მიდ-მოღებას“. მან კარგად იცის:

ენა ლოცვად დამუშრო, სჯობდა ცუდ მრდ-მოდებას,
წამაწუმ ღმერთი ვადილო—ეს დამხსნის ცეცხლთა ღებასა (2).

მაგრამ გადაწყვეტილება მიღებულია და პოეტი განგვიმარტავს, რომ რალაც მნიშვნელობა საერო თემაზე დაწერასაც აქვს. კერძოდ „ცოტა ზანს ყურსა აამებს, ეს ზნე სჭირს რიტორებასა“, თუმცა ეს ზღაპრად შეთხზული ამბები სულსათვის სასარგებლო არ არის.

ნუ მკითხავ ზღაპრად შეთხზულსა ამ უსარგებლო თქმულებსა
განქარებადსა, უნდოსა, იგ სამლოოდ მოკიცხულებსა,
სულსა სხვა უჯობს და ხორცი სხვას რასმე განიგულებსა,
სრულად სოფლისა მოყვასთა ის მოატყუებს წყლულებსა (3).

პოეტი აშკარად გვეუბნება, რომ იმდროინდელ საზოგადოებას ინტერესი დაუქარავს სასულიერო მწერლობისადმი: „იგ მოაწრადე სმენად მისად ვერვინ ვნახე მოძებული, დალპეს ბევრი სამლოო წიგნი, მიწაშიგან მოღებული“ (4.3—4), იგი გაკვირებულია. რომ:

არკის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა,
არ გიკვირს, რომ დაივიწყეს შემოქმედი მისგან ქმნულთა?! (5.1—2)

საკვირველი ისაა, რომ ბრძენნიც კი ამ გზაზე შემდგარან. „ყველა სოფელს დაემონა“. პოეტი, რომელიც გულწრფელად ამბობს „ღრმა რამე ვთქვი დამეკარგა, იგი ვერვის მოუასმინეო“, ანაგარიშს უწევს თავისი თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს და აცხადებს:

აწ მეც მოყვევ ლაყაბებსა—ეგებ ამით მოელხინე! (6.4).

თეიმურაზი თავის საქციელს ამართლებს რეშდგვი გარემოებით: ადამიანს ის უნდა უამბო, რასაც გაიგონებს, რამდენსაც მიხვ-

დგება. აქ პოეზიის დანიშნულების საკითხს წამოწევს და რუსთველსაც იოწმობს: „რუსთველმანაც თქვა: ნურვინ თქვასო სიტყვა ცუდად წასახლომი“ და გვირდება ეგების მეტ რაიმე მოსაწონი ვთქვაო:

კაცმან უნდა კაცს უამბოს სიტყვა მისგან გასაგონი,
პირველ ცნობა გაუსინჯოს, მიხლომისა ქვეა და გონი,
რუსთველმანც თქვა: ნურვინ თქვასო სიტყვა ცუდად წასახლომი!
ეგების რამ აწ მეცა ვთქვა ცოტა რამე მოსაწონი (7).

ამრცად, პოეტი ანგარიშს უწევს თავისი თანამედროვე საზოგადოების ანსოფლიური ამბებით გატაცებას და საერო თემში წერას ამ საზოგადოების მოთხოვნილებებით ამართლებს. თუმცა, რასაკვირველია, იცის, რომ გამორიცხული არ არის ასეთ თემებზე წერასათვის საყვედური მიიღოს, რამაც შეიძლება გული დაუჯოდოს, მაგრამ აქვე გვიმოწმებს, რომ ამ ტიპის ნაწარმოები სხვატ ბევრი უთქვამს და ამასაც მათთან ერთად საკამათოდ აძლევს მკითხველს:

მოხბრას ვინმე: რად დააშრეე ცულ საქმეზედ ენა შენი?
—ამ სიტყვითა დამოკოდოს გული ლახერით ე ნაშენი—
სხვატ ბევრი ვთქვი უმრავლესი ქვიმისაგან ე ნაშენი!
აწ ესეცა საკამათოდ ნახოთ ჩემგან ე ნ.შენი! (8).

ამ შიშს ეპილოგშიც გამოთქვამს და „სულის უკერძო“ საქმის გამო სასჯელს მოელის, თავს დამნაშავედ თვლის.

გათავდა მათი ცილობა, შუღლი, ყარყაში, დაეება,
სიტყვა ცუდი ვთქვი, კანონად, ვაი, თუ სასჯელს დაეება!
სულის უკერძოს საქმეზედ ეშმაკი მომედაეება,
ჩემი ბრალია, სხვათ ვისნი—ქორი მომხვედეს, თუ დაეება! (78).

აქვე პოეტი განგვიმარტავს მიზეზს, თუ რატომ შეიქმნა ეს ნაწარმოები: „წამლად რამე მოვიგონე სევდის ფიქრთა გასართველად“ (9,1), ამ მიზნით ამას წინათ მიჯნურთა ამბები გიამბეთო: „ამას წინათ მათ მიჯნურთა სიტურფეთა ვიყავ მქებლად“. ამ სტრიქონით დასტურდება, რომ სამიჯნურო პოემები შექმნილია „გაზაფხულშენოდგომიანის“ დაწერამდე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა „შამიფარეანიანის“ მე-14 სტროფი:

რაც გამეგონა სპარსთაგან წიგნები ლაყაბიანი,
ამბავი ანუ შაირნი სალალობო და წყლიანი,
ლექსი ლექსად ვთქვი, ამბავი არც ყოლ არ დავაგვიანი,
პირველად სამიჯნურონი, ვითა ვარდი და იანი (14).

აქაც, თეიმურაზი ადასტურებს, რომ პირველად სამაჯნურო ამბავი თქვა: შემდეგ ჩანოთელის „ვარდბულბულიან“, „გაზაფხულ-შემოდგომიანს“, „შამითარვანიანს“.

პოეტი ეპილოგშიც ცულ-ლაყბობას უწოდებს „გაზაფხულშემოდგომიანს“ და მიზეზად უსაქმობასა და მოწყენილობას, სველასა და შექირებებს ასახელებს:

მე ვიყავ უცხო ღარიბად რაჟა ჰქვიან, თუ აგარა,
იგ რამდენ რიგად სოფელმან გული ცეცხლითა დაგა რა.
პირველითგან და ბოლომდე საქმე მომირთო რა გვარა,
გულსა ლხინი და ნიშატი სრულად სამკვიდროს წამგვარა (77).

ორჰამორწმუნე პოეტს ბოლოს მანც ღვთის მოწყალეობის იმედი აქვს: „მისითა მოწყალეობითა მეც სინანულსა მოველიო“ (79.4). იგა სინანულში ჩავარდნილი აღნიშნავს, რომ ღმერთმა ადამიანისათვის შეამკო სამყარო „ტყითა, წყლითა და ველითა“, დაუწესა წმინდა წერილთა კითხვა, ჩვენ კი სატანჯველისაყენ მივისწრაფვითო.

თვით გვიბრძანებს და ყოველი მისთა წმინდათა კრებულ.
წინა გვიც წერილთ სიძრავლე, წიგნები გამოკრებული,
უკვლავებასა გვაძლევენ—ჩვენ ვიყვენთ იმედებული;
რად გესურის სატანჯველთათვის, რად გეინდა ცეცხლი გზებული (81).

ამ კითხვას ისევე უპასუხებს, როგორც შესავალში:

თუ საღმთო რამე მესიბრძნა, შიგ არკინ ჩაიხედედა.
რა ეს ლაყაბი შეეკრიბე, ყველა ნახვასა ბედედა:
„არა ესე სჯობს“—„არ ესე“—სიცილით ყველა ყზბედედა
ვეგების სხეაც რამ ვასმინო—მე ესე მეიმედედა (82).

ამ სტროფიდან აშკარაა, რომ თეიმურაზს ამ ნაწარმოებით საზოგადოება დაუინტერესებია და ამას კი პოეტისათვის იმედი მიუცია, რომ ეგებ სხვა ხანათის ნაწარმოებითაც დაინტერესოს მკითხველი: „ეგების სხეაც რამ ვასმინო—მე ესე მეიმედედა“. ამ განმარტებას მხარს უმაგრებს მომდევნო სტროფი:

ეს უსარგებლო გათაედა, აწ სხვა დაფურთო ბოლოსა,
სულ ნუ მიუქყებით სოფელსა, ცეცხლი არ მოგვებოლოსა,
სატანას ხელში ჩაეციედეთ, დაგვაძხოს, დაგვაბოლოსა,
თუ ცოტა ჩემიც ისმინოთ, სულსა არ დაებრკოლოსა ¹⁴ (83).

¹⁴ მეორე სტრიქონში წაიკითხვა „სულ“ ჩვენ მიერაა მიღებული (საფუძველი ხელნაწერები: S 3706, S 2676/ბ, H 1020, S 1103, A 860), ასევე მეოთხე სტრიქონში ჩვენ მიერაა მიღებული წაიკითხვა „ცოტა ჩემიც“. რომელსაც მცირეოდენი ვარიანტი

ამ სტროფიდან ასეთი შინაარსი გამოდის. რომ თეიმურაზმა და-
ამთავრა — „ეს უსარგებლო“ — საერო ხასიათის ნაწარმოები და ახლა
ფიქრობს „სხვა დავეწროთ ბოლოსა“ — „სულ ნუ მივყვებით სო-
ფელსა“, რადგან ამან შეიძლება ცეცხლში, სატანას ხელში ჩა-
გვადოს. იგი მოუწოდებს მკითხველ საზოგადოებას „თუ ცოტა
ჩემიც ისმინოთ, სულსა არ დაებკოლოსა“. ამრიგად, ყოველივე
აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თეიმურაზს გადაუწყვეტია სა-
სულიერო ნაწარმოების დაწერა და მოუწოდებს მკითხველ საზოგა-
დოებას, რომ ისიც ისმინოს.

„გაზაფხულშემოდგომიანი“ დაწერილია რაჭაში, 1649—1656
წლებში, ამას ადასტურებს ეპილოგის სტრიქონი, „მე ვიყავ უცხო და-
რიბად რაჭა ჰქვიან, თუ აგარა“, „შამიფარვანიანის“ შესავალშიც თეი-
მურაზი სპარსთაგან განაგონ ლაყაბიან წიგნებში „ვარდბულბულია-
ნის“ შემდეგ ასახელებს „გაზაფხულშემოდგომიანს“. არჩილიც ადას-
ტურებს, რომ „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“, „გაზაფხულ-
შემოდგომიანი“, „მაჯამა“ და „შვიდი კრება“ შექმნილია ამ პერიოდ-
ში.

ახლა ესთქვი შვიდი კრებისა, მამათა შშინდათ დასება,
სკულის სიმჰკიცე ნათლისა, მათ მიერ შეიპოსება,
სარწმუნოება მართალი მუნითგან დაეთესება,
ჭერკვალთა, დრკეთა, მწვალბელთ ოდიდგან ეყო დაესება (II, 1048).

ვარდს ბულბული გავაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა,
კელაჲ სანთელსა პეჲელაი, მისგან დამწერა, დადაველსა,
ამ დროს ლექსი ვით გაეაწყვე, ძლიელა მხედავ მე სულდგმულსა?!
მუნ „მაჯამას“ შეყრილს ხედავ, არ იქი-აქ დაჲარგულსა (II, 1049).

არჩილთანაც და „შამიფარვანიანის“ შესავალშიც „გაზაფხულ-
შემოდგომიანი“ დასახელებულია „ვარდბულბულიანის“ შემდეგ-
თვით „შამიფარვანიანი“ კი „გაზაფხულშემოდგომიანს“ უნდა მოს-
დევდეს. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ „შამიფარვანიანში“ განსაკუთ-
რებითაა გამჟღავნებული თეიმურაზის ღრმა რელიგიური სულის-
კვეთება, ამიტომ შესაძლოა ნაწილობრივ „შამიფარვანიანსაც“ ვარა-
უდობდეს „გაზაფხულშემოდგომიანის“ ბოლო სტროფი: „ეს უსარგებ-
ლო გათავდა ან სხვა დავეწროთ ბოლოსა“, თუმცა უფრო საფიქრე-
ბელია ამ სიტყვებში იგულისხმებოდეს სასულიერო ხასიათის ნაწარ-
მოები „შვიდი კრება“. „სულ ნუ მივყვებით სოფელსაო“, — გვა-

ლი სახესხვაობით ადასტურებს „გაზაფხულშემოდგომიანის“ შემდეგი თითქმის
ყველა ხელნაწერი.

ფრთხილებს თეიმურაზი „გაზაფხულშემოდგომიანის“ 83-ე სტროფში, რომელიც ამ ნაწარმოების ბოლო სტროფი უნდა იყოს. ამის მომდევნო 84—107 სტროფები კი, რომელიც თეიმურაზის გოდებას შეიცავს და ზოგ ხელნაწერში გამოყოფილია სათაურით „სიტყვა-სწავლისა“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკე ნაწარმოებია. ამიტომ „გაზაფხულშემოდგომიანს“ უნდა ჩამოვაცილოთ და ცალკე განვიხილოთ „სოფლის სამღერავის“ გვერდით. რომელთან ახლოსაცაა იგი ძირითადი მოტივითა და მიზანდასახულობით.

ამრიგად, „გაზაფხულშემოდგომიანის“ დაწერა თვითონ თეიმურაზმა იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნილებით ახსნა, კერძოდ მათი საერო თემატიკით დაინტერესებითა და სასულიეროსადმი უყურადღებობით. ხაზი გაუძევა იმასაც, რომ საზოგადოება-დაინტერესებული ყოფილა კონკრეტულად ამ საკითხით. პოეტს ამ მიმართულებით მრავალჯერ ცილობაც კი სმენია, თეიმურაზმა ორივე დროის ღირსებანი მიუდგომლად წარმოადგინა და საკითხის საბოლოო გადაჭრა მკითხველს მიანდო, რაც აგრეთვე ამ ტიპის თხზულებათა ერთ-ერთი მხატვრული ხერხი იყო.

2. „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“ ♪

გაბაასების ჟანრის მეორე ნაწარმოები თეიმურაზს ჩაურთავს „მაჯამში“ (V თავი). ცისკრის 1853 წლის № 4-ში დაბეჭდილ „მაჯამის“ ტექსტსა და ზ. ჭიკინაძის 1886 წლის გამოცემაში ეს გაბაასება შეტანილი არ არის. იგი აღმოაჩინა კ. კეკელიძემ S 1511, S 342 და S 3706 ხელნაწერებში და დაბეჭდა „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის პირველ გამოცემაში. „მაჯამის“ V თავს—„გაბაასება ღვინისა და ბაგისა“ შეიცავს „მაჯამის“ შემცველი უმრავლესი ხელნაწერები: S 1511, S 1512, A 1735, S 3706, S 1508, A 1605, S 1547, S 101, S 342 H 1020, H 222, H 773, A 1125, A 860, ც 32, ც 290, არ არის იგი S 1516, S 1739, A 593. სათაური „ღვინისა და ბაგის დაბაასება“ მიწერილია A 1605 აშიაზე.

ამ შვიდსტროფიან ლექსში ღვინო და ბაგე ებაასება ერთმანეთს. პირველი სიტყვა აქვს ღვინოს. მაგრამ, თითქოს ბაგის უპარატესობას გრძნობსო, ის ბაგის ქებით იწყებს „ფერად შენ მჯობხარო“, ბადახშანის ლალისა და იაგუნდის ტუჩები—ბაგე ამაყად უპასუხებს.

კაცის გულებსა დავფერაე, თქვენც დაგაშენებთ ჭიქებო,
ძოწსა, სადაფსა, აყყუსა, არღვანს გავაქიქებო (2).

ღვინო კაცის დათრობას იქადის „ვამღერებ, ტვინს გაუჭდებო“, ამქვეყნიური 'ამაოების' შეგრობნებას ღროებით დაჭუქარგავო, სევდიან გულს ლხინით ავუვსებო. მაგრამ ბაგე ადამიანს წუთით კი არ დაავეწყებს ამქვეყნიურობას, არამედ თავდავიწყებული სოყვარულის მორევში ჩაითრევს და სულ მოჰკლავს.

მე კაცს სრულ მოვკლავ, საწყალო, ვით ადრე გატყდეს ჰიქა. დე, ვერ გამოჩნდები ჩემთანა, სადაც მე ვყო იქ ადვი (4).

ღვინო ლამაზად წარმოადგენს თავის ღირსებას, ვერცხლის თასზე ყირმიზად გამოჩენას იქადის, მწყურვალსა და არამწყურვალთ ყველას მოვუნდებო.

ღვინომ თქვა: მგონი, ამ საქმეს არაიენ დამიწუნებსა, ვერცხლის თასზედა ყირმიზად გარდმოვსდიოდე სურებსა, ვსწყუროდე თუ არ ვსწყუროდე. ყველანი მომიწყურებსა, მჭკრეტელთა თვალთა და გულთა არარა უფრო უნებსა (5).

ბაგე აღიარებს ვერცხლის თასზე ყირმიზად დამდგარი ღვინის მოსაწონობას, მაგრამ ბაგის სიმშვენეიერე სხვაა.

ქვეშ მარგალიტი, ზედ ლალი, სხვას რაღას შეიღარებსა, საწდომად რასმე, ღიმილით რომ გააღებდეს კარებსა (7).

თეიმურაზი ორივეს ღირსებას თანაბრად წარმოადგენს და თვითონ ნეიტრალიტეტს იცავს. ფაქტიურად თეიმურაზი ორივეს მაღალ შეფასებას აძლევს:

თეთრს თასსა წითელი ღვინო დასტურად შეახამებსა, ქვეშ მარგალიტი, ზედ ლალი, სხვას რაღას შეიღარებსა (7).

ამრიგად, თეიმურაზმა გაბაასების უნარს ჩვენს მიერ განხილული ორი ნაწარმოები მიუძღვნა. ორივე ეს ნაწარმოები ერთ პრინციპზეა აგებული. ორივეგან პოეტი თვითონ ნეიტრალიტეტს იცავს, ამასთან უნდა აღინიშნოს. რომ ფაქტიურად გაბაასებას წარმოადგენს მისი „ვარდბულბულიანი“ და „შამიფარვანიანი“. სხვათა შორის ამას თვით თეიმურაზიც აღსტურებს: „ვარდს გავაუბნე. გავაბქე ბულბული მისთვის ხელები...“ (შ. ფ. 15). ხოლო არჩილი „თეიმურაზიანში“ აღნიშნავს:

„ვარდს ბულბული გავაუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა, ევლა საწთელსა პეპელაი, მისთვის დამწეარ-დადაგულსა“ (II, 1049).

მართლაც, „ვარდბულბულიანი“ და „შამიფარვანიანი“ გაბაასების ბევრ ნიშანს შეიცავს, ისეთივე დიალოგიური ფორმით არის დაწერილი. მაგრამ რამდენადაც მათში მკვეთრად არ არის გამოხატული ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებათა დაპირისპირება, რაც ძლიერ ნიშნეულია გაბაასებისათვის, მათ ვერ ჩავთვლით ნამდვილ გაბაასებად¹⁵.

¹⁵ ბ. ქ ი ქ ო ძ ე. გაბაასება ძველ ქართულ ლიტერატურაში, ბათუმი, 1952, 33-37.

1 „მაჯამა“

თეიმურაზის მიერ ქართულ მწერლობაში შემოტანილ უანრთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „მაჯამას“. მაჯამა როგორც ომონიმური ხერხი ქართულ მწერლობაში თეიმურაზამდეც დასტურდება. საუკეთესო - მაჯამური სტროფები ამშვენებს რუსთველის ვეფხისტყაოსანს. ბევრია ომონიმური ლექსები თეიმურაზის ნაწარმოებებში, მაგრამ „მაჯამა“ სათაური, როგორც ირკვევა, გულისხმობს ლირიკული ლექსების კრებულს, იგი სიუჟეტურ-კომპოზიციური ერთეულია, რომელიც, თეიმურაზის თქმით, სპარსულადან მომდინარეობს.

სპარსულად ჰქვიან „მაჯამა“—შეერთად ითარგმანება, წიგნები გამოკრებული, იგ ერთად მოიხმარება (3).

ლექსთა ღარიბთა, უცხოთა, რომელ არს გამოკრებული მომინდა წერა ამისთვის: არ იქმნას დავიწყებული (2).

ამრიგად, „მაჯამა“ ყოფილა გამოკრებილი, საგანგებოდ შერჩეული ლექსებისაგან შემდგარი კრებული. მართლაც, თეიმურაზის „მაჯამა“ არ არის ერთ დედააზრზე აგებული ნაწარმოები, იგი წარმოადგენს სხვადასხვა ღრის თქმული ოდებისა, თუ ხოტბების კრებულს. რომელიც თვით თეიმურაზს შეუდგენია: „წიგნები გამოკრებული, იგ ერთად მოიხმარება“. ამდენად ზედმეტია საკითხის ასე დაყენება „ვის მოუყრია ამ ლექსებისათვის თავი—თვით თეიმურაზს თუ რომელიმე გადამწერს, ამის თქმა ძნელია“ (თ. ბეგიაშვილი)!

თეიმურაზის „მაჯამა“ შედგება შესავლის, ბოლოსიტყვაობისა და რვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ლექსისაგან: „მზე ცულ მაშვრალობს“, „შენთვის ხელმან“, „მზე უნათლე ჰქმენ“, „ტურფა ხარ მშვენიერებით“, „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“, „მზესა შესწრფა მისგან შუჭი“, „ეშურების ბაგე ვარდი“, „ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა“. „მაჯამა“ დაუ-

¹ თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, თბ., 1932, გვ. 59.

ცავს 21 ხელნაწერს (S 1511, A 1735, S 3706, S 1739, S 1508, A 593, A 1605, S 1547, S 1516, S 101, S 1512, H 1020, H 222, S 342, H 773, H 769, S 2442, A 1125, A 860, C 32, C 290), მაგრამ ტექსტი ხელნაწერებში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი.

ხელნაწერთა უმრავლესობა იძლევა ერთგვარ რედაქციას, რომელსაც ეყრდნობა 1934 წლის გამოცემა. აქ ზემოთ ჩამოთვლილი თანმიმდევრობით მიჰყვება ერთმანეთს ლექსები, ოღონდ ზოგიერთს აკლია VII თავი („ეშურების ბაგე ვარდი“). VIII თავი ცალკე სათაურით „მაჯამას“ წინ უძღვის ზოგ ხელნაწერში. საესებით განსხვავებულ რედაქციას წარმოგვიდგენს S 1516 ხელნაწერი, რომელშიც V თავი („გაბაასება ღვინისა და ბაგისა“), II თავის („შენთვის ხელმან“) მესამე სტროფი, IV თავის („ტურფა ხარ მშვენიერებით“) მეთერთმეტე სტროფი არ არის. VII თავს („ეშურების ბაგე ვარდი“) კი მოსდევს მაჯამური სტროფები ამოკრეფილი თვით თეიმურაზის ნაწარმოებებიდან, კერძოდ „ვარდბულბულიანიდან“, „შამითარვანიანიდან“ და თვით „მაჯამიდან“, განსაკუთრებით კი VIII თავიდან. S 1516 და S 1512 ხელნაწერები დამატებით შეიცავს თითო ჩანართ სტროფს. ხოლო S 1739 ხელნაწერი კი შეიცავს თვით „მაჯამიდან“ ამოკრეფილ სტროფებს და ახლავს ხუთი სტროფი ჩანართი. აქ სტროფები ამოკრებილია შესავლიდან, I, II, III, IV, VI, VII თავებიდან. V და VIII თავები არ არის, ამის საფუძველზე შესაძლებელია გვეფიქრა, რომ V და VIII თავები „მაჯამის“ ძირითადი ნაწილები არ არიან. მითუმეტეს, რომ შინაარსობლივად სხვა ლექსებთან შედარებით ცალკე დგას V — „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“ და VIII — „ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა“. ამისთანა VIII თავი ზოგ ხელნაწერში (S 3706, H 222, A 593) ცალკეა გამოყოფილი და წინ უძღვის „მაჯამის“ ტექსტს, ზოგ ხელნაწერში (S 101, A 1125, A 860) საერთოდ არ არის. მაგრამ ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება შემდეგი გარემოებანი. V თავის („გაბაასება ღვინისა და ბაგისა“) „მაჯამისადმი“ კუთვნილებას ადასტურებს არჩილი. თეიმურაზის „მაჯამის“ (გაველნით არჩილის „სამიჯნურონში“ თავი უჩენია ღვინისა და ბაგის ხოტბას:

ერთ სანახაოდ კარგია, ღვინო დგეს თეთრსა მინებსა,
ბაგები უჩნდეს თეთრ-ყირმიზ, ნეტარ მას ვინ არ ინებსა?
რა თასზედ გადმოესხმოდეს, კაშკაშით გაიცინებსა,
ვირემ ცნობა აქვსთ შემსმელთა, არავინ დაიძინებსა (1, 431).

რაც შეეხება მერვე თავს, იგი „მაჯამის“ ბოლო თავია S 342, H 1020, S 2442 და S 1512 ხელნაწერებში. ზოგ ხელნაწერში დადასტურებული სათაური აშკარად მიუთითებს, რომ იგი „მაჯამის“ კუთვნილებაა.

„ლექსნი მუნასიბნი და სათარგმანებელნი (სათარგმანებელი S 1508) ჭება და მკობა ხელმწიფისა მეფის ალექსანდრესი და დედოფლისა ნესტან-დარეჯანისა ნათქვამი ლთიე გვირგვინოსნისა მეფის ხელმწიფისა (ხელმწიფის პატრონის S 1508) თეიმურაზისაგან. S 1508, H 222.

„ლექსი მუნასიბი და სათარგმანებელი და ჭება და მკობა ხელმწიფის მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა ნათქვამი (თქმული H 1020), ღვითთ გვირგვინოსნის (მისივე H 1020) მეფის თეიმურაზისაგან“ (თეიმურაზისა H 1020) H 1020, S 342.

ამრიგად, „მაჯამას“ მსგავსად ხელნაწერებში VIII თავი მიჩნეულია „მუნასიბი“, „სათარგმანებელ“ ლექსებად.

რა დანაკლულეს, გამოჩნდეს ვარდისა მსგავსი ბაგები,
შუქი დაღვს და დამშვენდეს ქვეშ მისი რამე საგები,
სხვაგან ჯდეს ლალი განკრძალვით მიჩნურთა ლახარ-საკები.
ვინ მიხვალ მისაყურებლად, უცილოდ დაიბაგები (I, 44).

ამრიგად, „მაჯამა“ ცალკე-ცალკე ლექსებისაგან შედგენილი კრებულია, რომელიც გაიზარება როგორც ერთი ნაწარმოები („წიგნები გამოკრებილი. ავ ერთად მოიხმარება“). პოეტი ეპილოგშიც ადასტურებს, რომ წიგნში „მაჯამა“ შედის ლექსი „აქა-იქ თქმულები“: „გათავდა წიგნი მაჯამა ლექსი აქა-იქ თქმულები“ ე. ი. თეიმურაზის განმარტებით, წიგნი „მაჯამა“ შედგება აქა-იქ ნათქვამი ლექსებისაგან, რომელიც საუცბათოდ ჯიბეში შეიძლება ჩაიდოს კაცმა: „სასწრაფოდ უბეს სადები, ან სარტყელს ჩასარტყმულები“. ის არის „ყოვლის წიგნსა უმცროსი“, დიდი წიგნების უფლისწული („ჩანს მათი უფლისწულები“). რაც შეეხება ამ წიგნის დახიზნულებას, ისაა „იხატანს თანა სარონი, გვერც თასი, ღვინო, კულები“, — ხურჯინში ჩასადებია თასთან, კულასთან, ღვინოსთან ერთად. ე. ი. იგი გასართობად, დროს სატარებლად და გამოსაყენებელი. თეიმურაზის მიერ მოცემული ეს განმარტება მტკიცედაა დაცული ხელნაწერებშიც.

„ვიწყით (ვიწყო S 1508, S 1739) ლექსთა ღარიბთა და მუნასიბთა აღწერად ნათქვამი ღვთიე გვირგვინოსნისა (გვირგვინოსანისა S 101) მეფისა (მეფის S 1508, პატრონის S 1508, S 101) თეიმურაზისა კეთილ სასმენელი (სასმენელ S 1508) და ტკბილი (ტკბილ S 1508, S 101, H 222) საამოვნო მსმენელთა და მკითხველთათვის საძებარ-სათარგმანებელი, სუფრისა და ლხინის დიდად (დიდათ S 1508, <H222) შემამკობელი“ A 1735, S 1508, S 101, H 222.

„ვიწყოთ ლექსთა ყარიბთა და მონასიბთა აღწერად თქმული მეფის თეიმურაზისაგან მაჯამა ტკბილ-სასმენელი და ლხინის შემამკობელი“ S. 3706.

„ვიწყოთ ლექსთა ტკბილ მუნასიბთა აღწერად ლხინისა და სუფრის შემამკობელი, თქმული კეთილ მსახურის მეფის თეიმურაზის მიერ A 593.

„ვიწყოთ ლექსთა ღარიბთა და მუნასიბთა ნათქვამი ღთივ გვირგვინოსანისა მეფისა პატრონისა თეიმურაზისა კეთილ სასმენელი და ტკბილ საამოვნო მსმენელთა და მკითხველთათვის საძებარ-სათარგმანებელი სუფრისა და ლხინისა დიდად შემამკობელი“ (A 1125).

ამრიგად, ხელნაწერთა მონაცემებიც ადასტურებს, რომ „მაჯამა“ გამიზნული ყოფილა სალხინოდ, გასართობად. სუფრისა და ლხინის დიდად შემამკობელი „მაჯამა“ ლხინის აუცილებელი ატრიბუტია, მსმენელთათვის ტკბილად მოსასმენი: „ტკბილ-სასმენელი და ლხინის შემამკობელი“. გარდა ამისა, როგორც ხელნაწერები გვამცნობენ „მაჯამას“ მეორე მხარეც ჰქონია: „მსმენელთა და მკითხველთათვის საძებარ-სათარგმანებელი“. ამას „მაჯამის“ წინასიტყვაობაც ადასტურებს: „იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეედარება“,—ამბობს თეიმურაზი და ეს ნითიუბაა იმაზე, რომ მაჯამებს, ომონიმურ რითმებს საგანგებო ამოცნობა, განმარტება ესაჭიროებოდა და ეს მაჯამათა კითხვა და თარგმნა გარკვეული გასართობი ყოფილა. ის ისეთ მხარულებას იწვევდა, რომ ლხინიც ვერ შეედრებოდა. აქვე თეიმურაზი მიუთითებს, რომ „მაჯამის“ თარგმნის სიძნელე მხოლოდ ბრძენს შეეძლო გადაელახა: „იკითხვიდენ და თარგმნიდენ. ლხინი ვერ შეედრება, გული მოყვარე სიბრძნისა მათანა დაეყანება“ (3,3—4).

ეგვე მეორდება ბოლოსიტყვაობაშიც, სადაც პოეტი ლაყაბს უწოდებს მას, იმდენად, რამდენადაც ეს ნაწარმოები საერთო, სულის უსარგებლო. მაგრამ აქვე განაგრძობს:

სხვად არას მოსახმარისი, ოდენ ჩანს სიბრძნე გულისა (1, 2).

ამრიგად, თეიმურაზის აზრით, გარდა იმისა, რომ „მაჯამას“ გასართობის მნიშვნელობა აქვს, იგი სიბრძნის გამოვლენის საშუალებაც ყოფილა, მხოლოდ სიბრძნის მოყვარულს შეეძლო აეხსნა იგი. იმდენად, რამდენადაც სიბრძნის გამოვლენის საშუალება იყო შეჯიბრი, რომელიც მაჯამათა თარგმნისა და ამოსაცნობად იმართებოდა, მართლაც ლხინთან შეუდარებელ დროსტარებას გულისხმობდა ალბათ:

ყოველივე ამან გამოიწვია მეტი ყურადღების გამახვილება გარეგნულ ფორმალურ მხარეზე. თეიმურაზისათვის ფორმა გახდა ამოსავალი და საგრძნობია მის შემოქმედებაში გატაცება ომონიური რითმებით, სათარგმნებელი მაჯამებით. ფაქტია, რომ თეიმურაზი ამოყობდა ამ მიმართულებით შექმნილი თავისი ნაწარმოებებით და ამან საფუძველი მისცა რუსთველსაც კი გაჯიბრებოდა. მნიშვნელობის მქონეა ის გარემოება, რომ ამ გაჯიბრებისას თეიმურაზი ყურადღებას თავისი ნაწარმოებების გარეგნულ-ფორმალურ მხარეზე ამახვილებდა: „ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა“.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისით თეიმურაზის შემოქმედებაში „გვესმის სპარსული პოეზიის მძლავრი გამოძახილი“². არა თუ თეიმურაზის შემოქმედებაში, არამედ აღორძინების ხანაში სპარსოფილური ტენდენციები უცხო არ არის ქართული ლიტერატურისათვის. ამას გარკვეული ისტორიული ვითარება განაპირობებდა. კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ (1453) ამიერკავკასია აღმოსავლეთის დამპყრობლების ხელში ჩავარდა და იმძლავრა კიდევ აღმოსავლურმა ნაკადმა, როგორც ქართველების ყოფა-ცხოვრებაში, ისე კულტურის სფეროში. განსაკუთრებით ეს ითქმის მხატვრულ ლიტერატურაზე. ოლონდ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ „ქართული ლიტერატურის ე. წ. აღორძინების ხანაში სპარსულიდან ნათარგმნი ძეგლები უკავშირდებიან სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის არა კლასიკურ, არამედ თემურიანთა და სეფიანთა დროის წარმომანდგენლებს“ (ალ. გვახარია)³ ალ. ბარამიძის აზრით, თეიმურაზიც გატაცებული ყოფილა „სეფევიანთა დინასტიის შაჰების კარის დეკადანსური, სალალობო, ფორმალისტური პოეზიით“⁴, კერძოდ, სპარსული სალალობო პოეზიით, სულთან ჰუსეინ ბაიყარას კარზე (1469-1506) რომ ჰყვოდა და მანერული სილალითა და ფორმალისტური ვარჯიშით უსაზღვრო გატაცებით ხასიათდებოდა. ასეთები იყო „ხელოვნური ყასიდები“, „თარიხი“ ანუ ქრონოგრაფა, „მუამა“, „შარადა“ და სხვა. „მუამას“ შესახებ ე. ბერთელსი წერს: «Муама отражает всю основную тенденцию литературы XV в.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1958, გვ. 569.

³ სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი თეიმურაზის შემდეგ, იხ. წიგნი: ქართული ლიტერატურის ისტორია II, თბ., 1966, გვ. 337.

⁴ ნარკვევები, IV, თბ., 1964, გვ. 8

через постепенное усложнение техники довести изощренность формы до последнего предела, полностью ликвидировав содержание. В муамма содержание окончательно сведено к нулю. Здесь нет ни мысли, ни чувства, осталась одна голая игра словам, даже частями слов и только. Уходя в муамма, литература совершала самоубийство, обрекая себя на полную утрату «какой бы то ни было общественной ценности»⁵.

სპარსულ პოეზიაში ამ დროისათვის ფორმალისტური ვარჯიშის შედეგად მიღებული ლექსები იწერებოდა არისტოკრატიის შესაქცევად და გაართობად. თეიმურაზის „მაჯამაც“ ლხინის შესამკობად შექმნილა, როგორც ამას თვით თეიმურაზიც მოუთითებს: „იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეეღარებაო“. ამ სიტყვებიდანაც ჩანს, რომ თეიმურაზი მოუხიბლავს მსოფლიოში აღიარებული კეთილშობიანი სპარსული პოეტური ნიმუშების სრულყოფილ ფორმას. მის პოეზიაშიც აშკარაა მისწრაფება ფორმის სრულყოფისაკენ, რაც მაჯამაში ომონიმური რითმების აუცილებლობას განაპირობებს. ომონიმური რითმების ხვედრითი წონა დიდია თეიმურაზის სხვა ნაწარმოებებშიც. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმის სრულყოფისაკენ მისწრაფებისას თეიმურაზის ნაწარმოებებში ზოგჯერ გაბუნდოვანებულია აზრი, მაჯამის პრინციპის დაცვის სურვილმა გამოიწვია ხელოვნური ფორმები, გზა გაეხსნა უცხოურ ლექსიკას, მაგრამ, როგორც ალ. ბარამიძე შენიშნავს, თეიმურაზს „ოდნაედაც არ უცდია პოეზიის მიყვანა თვითმკვლევლობამდის. თეიმურაზი არ უარყოფდა ლექსის შინაარსისა და აზრობლივი მხარის მნიშვნელობას; მას უწერია გრძნობიერი, აზრიანი, იდეურ-შინაარსიანი (პატრიოტული) ლირიკული ლექსები და პოემები“⁶.

ამჯერად ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ თეიმურაზმა შექმნა ახალი ჟანრი — „მაჯამა“ და ამ ჟანრის ნაწარმოები „მაჯამა“ — კომპოზიციურად ახალი, ცალკე წიგნი, რომელიც გამოკრებილ ლექსთაგან შედგება და მისი შემადგენელი სტროფები ომონიმური რითმებითაა გაწყობილი. თვით ჟანრი სპარსულიდან მომდინარეა. ბუნებრივია თეიმურაზი ამის გადმოღებას იმავე პრინციპით გაამართლებდა, რითაც ამართლებდა სპარსული სატრფიალო ლირიკების გადმოღებას:

⁵ Е. Э. Бертельс, Навои, Опыт творческой биографии и, Ленинград, 1948, гл.: 47; მისვე, Джамии: эпоха, жизнь, творчество, Дюшамбе, 1949, гл.: 49—50.

⁶ ნარკვევები., IV, თბ., 1964, გვ. 87.

ჰმარტებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოიღოს
უგბილმან და უგემურმან ვერა რამე წამოიღოს (3. ბ. 2, 3—4).

თეიმურაზი, რომელსაც შესწევდა პოეზიაში „ძალი ქადილისა“,
იყო ეს პოეტი, რომელიც აღორძინების ხანის პოეზიამ წამოაყენა
რუსთველთან სახსენებლად და რუსთველის მეტოქედ. არჩილს ხომ
ცილობაც კი სმენია თუ რომელი სჯობსო ამ პოეტთა შორის („ბევრ-
ჯელ მასმია ცილება, ამბობდნენ, სჯობსო ეს მასო“, „მათ მელექსეთ
შედარება მრავალჯერ მასმოდა მე მეფეს არჩილს“). თვით თეიმუ-
რაზსაც შეგნებული ჰქონია თავისი პოეტური სიტყვის ძალა, ის
ამაყად აცხადებდა: სცანით „ძალი სიტყვისა თქმულისა“, „ლექსი
არსად დამეზვანჯა“, „ნაძლევი ვარ, თუ ვინმე თქვას, ჩემებრ რამე
განლექსულიო“. მოსალოდნელიც იყო, რომ ამ სიტყვების მთქმე-
ლი პოეტი „მელექსეთ დასაბამ, რიტორ“ რუსთველს შეუდარებდა
თავს. ასეც მოხდა:

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,
მაშინც რუსთველსა აქებენ, მე იმან გამაგულისა (მაჯამა, ჯოლოსიტყვაობა, 1).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ სიტყვებში თეიმურაზმა ყუ-
რადლება თავისი ნაწარმოებების ფორმაზე გაამახვილა. თავისი ლექ-
სის უკეთესობას ფორმის გამო იჩემებდა თეიმურაზი. ამ გარემოე-
ბის გათვალისწინებით უნდა გავიაზროთ თეიმურაზის სიტყვები „ლე-
ილძანუნნიანის“ შესავალში.

სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი (4. 1).

ამ თვალსაზრისით იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ თავისი თა-
ნამედროვე სპარსული პოეზიით მოხიბლული პოეტი სხვაგან აშ-
კარად ემიჯნება სახალხო მოშაირეებს: „ჰკვრენ ათას-ფერნი მუტრი-
ბნი არ ცუდი გულდა-სტვირები“ (ლ. მ. 98,3), „ბოლოდ სცნათ ყო-
ვლთა, არა ვარ მოშაირეთა ძმობილი“ (ი. ზ. 3, 4). სპარსული პო-
ეზიის ენარბობით, „სოფლისა მიდ-მოდებანი“ დაინტერესება, რომე-
ლიც სპარსთა ენაზეა ტკბილად გამოთქმული („სპარსთ გალექსეს
ტკბილად რამე...“) პოეტსაც უღვიძებს მუსიკობის სურვილს. იგი
აპირებს „მათ (სპარსთა) შეწმასნილთა სიტყვათა...“ ე. ი. ენაწყლია-
ნი, გართულებულ პოეტურობაზე ხერხებზე აგებული სპარსული ლექ-
სის მარტივად მბობას, მაგრამ ამ საქმისათვის „მძიმეა ენა ქართ-
ველთა“ (ამ საქმისათვის და არა საერთოდ) და პოეტი აღიარებს
„ვერ ძალმიც მათებრ თზრობანი“⁷. ამრიგად, სტრიქონი „მძიმეა ენა

⁷ ციტირებულ სტრიქონში „მათებრ“ ჩვენ მიერ მიღებული წაკითხვაა. თეიმუ-

ქართველთა — ვერ ძალმიც მათებრ თხრობანი“ — ნიშნავს, რომ სპარსული პოეზიის მსგავსი მუსიკობისათვის ქართული ენა მიძიეა, ყურადსაღებია, რომ სწორედ ამ განცხადების შემდეგ გვპირდება პოეტი „მათ შეწმასნილთა სიტყვათა“ მარტივად მბობას. „იოსებზილიხანიანშიც“ ხომ გვეუბნება „განმარტივთა ვთქვი ქართულად თქმული სპარსთ არაკობისა“.

არც ის იქნებოდა გასაკვირი, რომ მსოფლიოში სახელგანთქმულ კეთილზმოვან სპარსულ პოეზიას მოეხიბლა თეიმურაზი, მაგრამ ზემოთ მოყვანილი მსჯელობა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თეიმურაზის სიტყვებს: „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი, მიძიეა ენა ქართველთა, ვერ ძალმიც მათებრ თხრობანი“ — არ უნდა მივიანიკოთ თეიმურაზის პოეზიაში განზოგადებული მნიშვნელობა. ეს სტრიქონები ეხება თეიმურაზის გატაცებას სპარსული პოეტური ნიმუშების გარეგნული, ფორმალური, მუსიკალური მხარით.

უნდა ითქვას. რომ ზემოთ მოყვანილ სიტყვებში („სპარსთა ენისა სიტკბომან...“) თეიმურაზი ძირითადად „ლეილმაჯნუნიანს“ გულისხმობს. ერთი მხრივ, სტროფი ამ პოემის შესავალშია და მეორე მხრივ ამას სტროფის მეოთხე სტრიქონიც გვაფიქრებინებს. პოეტი დაგვპირდა „შეწმასნილთა სიტყვათა“ მარტივად მბობას და სტროფის დასასრულს აცხადებს: „აწ გამოჩნდების ლექსითა მიჯნურთა შესხმა-მკობანი“. მართლაც რომ საუცხოოდ უმღერა ლეილისა და მაჯნუნის ტრაგიკულ სიყვარულს. მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ ეს სიტყვები („სპარსთა ენისა სიტკბომან...“) სპარსულიდან გადმოღებული ერთ-ერთი ნაწარმოების პროლოგში გვხვდება და შეიძლება იმაზე მინიშნებაც იყოს, თუ რატომ მოვიდა პოეტმა ხელი უცხოურ სიუჟეტს თუ სიუჟეტებს საერთოდ.

რას წარმოადგენს „მაჯამა“ შინაარსით?

„მაჯამა“ წარმოადგენს ლირიკული ლექსების კრებულს, რომლებშიც პოეტი გადმოგვცემს თავის განცდებსა და გრძნობებს, მთავარი თემა, რომელიც „მაჯამაში“ შემავალ ლირიკულ ლექსებს აერთიანებს არის სიყვარული. პოეტი ამკობს მშვენიერი ქალის სილამაზეს,

რაზის თხზულებათა კრებულში (1934 წ.) დაბეჭდილია „მიძიეა ენა ქართველთა—ვერ ძალმიც მისებრ თხრობანი“. ასეთი წაკითხვისას გუგუბარია, თუ ვის გულისხმობს პოეტი ნაცვალსახელში „მისებრ“ ხელნაწერთა უმრავლესობაში (H461, S1511, A 1735, S 2694, S 1739, S 5184, S 1508, A 593, H59 S 3693, S 2676/ზ, ც 209) „მისებრ“ ფორმის ნაცვლად დასტურდება „მათებრ“, რაც მართებულია. „ვერ ძალმიც მათებრ თხრობანი“—ნიშნავს, არ შემოიძლია მათებრ (სპარსელების მსგავსად) თხრობაო.

სიტუაციას, საქმეს ისე წარმოადგენს, რომ თვითონ ამ მზის მოწუნარი ქალის მიჯნურია. სურს „მისთვის გაქრა, ხელქმნა“ („მზე ცუდ მაშვრალობს“), მას სწირავს სულს: „ერთი სული მაქვს, სიყვდილო, მოყვრისად შემიწირავსო“. სიყვარულისაგან სასიკვდილოდ დაქრილი თეიმურაზის ლირიკული გმირი მაჯნუნის გზა-კვალს გაჰყვება, თუ სატრფო არ გამოიჩენს თანაგრძობას („თუ არ მისხნი, შევედგომილვარ მაჯნუნისა მე, გლახ, კვალსა“ — II, 44). „ნარგიზთა ლახვარმა“ სამუდამოდ დაუჭრა გული, კეკლუცი ქალის სიმშვენიერე ისეთია რომ ღირს მისი მიჯნური ტარიელისა და მაჯნუნის მსგავსად ველად გაიქრას: „ხამს მიემართო მაჯნუნისა წანავალსა და ნაგზევსა“ (IV, 5, 4), სხვაგანაც სატრფოს მიუყარებლობით დამწუხრებული მოსთქვამს: „გულს უთხარ: თუ არ შეგიყრის, ველად გაიქერ, თუ შენდა“ (VII, 13, 4). სატრფო უწყალოდ სვამს მეტრფეს სისხლს, ამიტომ მისი, „ღბინისა ყვაელი უმზეობამან დალალა“, „დამწვი და წყალი არ მასვიო“ — ჩივის პოეტი, „არ ვეწყალვი მას გულქვასაო“ და სხვა. კეკლუცი ქალის სიმშვენიერე ისეთია, რომ „ვერვინ ნახოს ზისებრ, ვინც ვლოს ოთხივ ყურე მონაკიდე“ (VI, 2, 1), სიშორის ცეცხლით დამწვარა პოეტი („ვით არ დასწვავს სიშორისა გულსა ცეცხლი მონაკიდე“), მთვარე და მზე ვერ შეედრება მშვენიერ ასულს და თეიმურაზი იქამდე მიდის, რომ, მისი აზრით, მისგან აღწერილი ქალის სიმშვენიერეს მანამდე შექებული მიჯნური ქალების სილამაზეც კი არ შეედრება:

მთვარე ვერ დავედრების. ვერცა მზე დავედავისო,
მიწა და მტვერი შენს ფერხთა თავსა და პირსა დავისო,
შენი სხივი და ციმციმი გულზედა ლახვრად დავისო,
უღლად გაქებენ თინათინ, ნესტან-დარეჯან და ვისო (VI, 6).

ეს მიჯნურობა ვარდისა და ბულბულის მიჯნურობას ჰგავს. კეკლუცი ქალი უარყოფითად უპასუხებს თავის მიჯნურს, ისეთივე უწყალოა როგორც ვარდი ბულბულის მიმართ.

რად ვერ ხედავთ ბულბულისა ხელქმნა, გაქრა, განავარდსა?
შეუშლია, ყვეს, იძახის, სხვას არაფერს—განა ვარდსა,
თავს ვეღების, ზედ დაფრინავს, არ აძინებს, გან ავარდსა,
ვირ არ დაქნეს, თვით არ მოკვდეს, არ იქმს ხელით განავარდსა (VI, 7).

სხვა ადგილას პოეტი ჩივის სატრფო „ველარა ვპოვე საჩემოდ“, გაყრის სევდა დამეუფლო, რადგან „უვარდოდ წალკოტისათვის თვალნი რასთვისლა მამერა?“ (IV, 11, 3), მოგვითხრობს ვარდის სიყვარულით გახელებული ბულბულის ყფა-კვნესაზე, იზიარებს მის ტკივილებს:

აწ, ბუღბულო, ყველა გხედაეს ხელსა, სოფლით განაქერსა,
ჩაქდომილხარ ეკალშია, სახლს არ ეძებ, განა ქერსა,
გვიჩვენებ და შემოგვიჩივი გელსა, ლახერით განაქერსა,
მოგიტან და გაგიჯერნებ ვარდსა ხელით განაქერსა (VII, 3).

თვით ლახერით დაქრილი, სევდამორეული, ყმად არის გამხდარ-
რი „თვალთა კეკლუტთა, ტურფათა“, რადგან ის ისეთი მშვენიერია,
რომ „იგი ნახოს მოვანებით მთვარეს ჰმართებს დამალება“ (VII, 10).
VIII თავში კი კონკრეტული ხოტბის ობიექტი პოეტისავე ასული
ნესტან-დარეჯანია. აქ შექებულია ნესტან-დარეჯანის „სიმელნე
შეთა წამწამთა, სისხო, სიხშირე თმისანი“, „მიჯრით მიწყობა წარ-
ბისა“, „თმა ტვერა“, „საამო ტანადობა“. დედოფალი მზისა და მთვა-
რის მჭობია. მზე უნათლე გაუხდია („მზე მისგან გახდა უნათლოდ“),
თვითმურაზი მოუწოდებს რიტორებს, რომ მათაც შეაქონ საქები ობი-
ექტის სიმშვენიერე:

ჰე რიტორნო, თქვენც აქებდით, ენა თუ არ დაგიშრისა,
მზე—მთვარეთა სინათლესა ეფიცავ, რომ ის დაგიშრისა (VIII, 8, 4).

ნესტან-დარეჯანის ქებას ხურავს მე-15 სტროფი:

ალვა რგულის ედემს რწყევითა, მნახავთათვის სამოთ ხეა,
ენახენ, თვალნი დავიხუქენ, სიტყვა ძლივ ვთქვი სამ-ოთხეა,
გიშრის შუბთა წყლული დამდევს, სისხლი ველთასა მოთხეა,
არას მოგავს სამყარონი, ედემი: ვერც სამოთხეა (VIII, 15).

ამის შემდეგ პოეტი მიმართავს ნესტან-დარეჯანს:

ლომთა შენთა შენ აწყლულე, დაბნედილსა მას კელავ ვისა,
ვინ გმირია, მხეტთა მსრელი, იმედი აქვს მას კლავისა,
წამწამ შენთა ლახვარ შენთა ეელს გამოქხევე, მას კელავ, ვისა,
დღისით მჭობი მთვარე მხეთა, ღამე ზუალ-მასკვლავისა (VIII, 16).

ალვისა ხსა ქება ვთქვა ედემში ამოსულისა,
ბროლ-ლალი, მინა, გიშერი—ფერად, შეხედო—სულ ისა,
მჭობია მზისა დილისა, მოწმენდით ამოსულისა,
შენ ხარ წამალი სულისა, მის შენკენ წამოსულისა (VIII, 17).

სტროფი მთავრდება სტრიქონით „შენ ხარ წამალი სულისა,
მის შენკენ წამოსულისა“, ვინ იგულისხმება ამ სიტყვებში? რასაკ-
ვირველია არა თვით პოეტი, არამედ ნესტან-დარეჯანის ლომი, მისი
თანამეცხედრე, რომელიც ალბათ მე-16 სტროფის დასაწყისშიც არის
ნავარაუდები: „ლომთა შენთა შენ აწყლულე...“ ეს ლომი არის
ხელმწიფე ალექსანდრე, რომლის ქებაც არის გამოთქმული სათაუ-
რის მიხედვით ამ ნაწარმოებში. მართლაც შემდეგი სტროფი (მე-18)

იწყება სიტყვებით „მეფე ბრძანებს“, ჩვენი აზრით მეფის ნაბრძანებ ტექსტს განეკუთვნება სტროფები: 18, 19, 20, 21.

მეფე ბრძანებს: მე ესე მზე ღმერთმან ჩემმან დამიბადა, მისთვის იყო შესაწირვად, რა მიბოძა და მიბადა, გულსა კრულსა მახე უღვა, შეცაიპყრა დამიბა და, სახვეველი სათხველისა გარ მომიღვა და მიბადა (18).

ესე არის ზეციერთა, უნათლესი სამყაროსა, თმა ტვერი და შუბლ—ფიქალი, კლდისა ტინი სამყაროსა, ქება მესმა, სახლით ჩემით სწრაფად ლამის ამყაროსა, არას მიკვირს მისნი მკვერტნი იმან დაასამყაროსა (19).

ნეტარძი ვინ მისი მსგავსი სად ვინ პოვოს და რანიცა, მისგან შვენის მთა და ბარი, დარი დარობს დარანიცა, მისგან ნათლად არა აჩნდეს, არ იპოვოს დარანიცა, მჯობი არის ყოვლთა სულთა და მინახავს და რანიცა (20).

აწყა მე ვიწვი ამისთვის, ვინ თავი ელვას უღარა, ქვეყნად არ არი მისთანა, ნურცაუენ აქებთ ცულ არა, მზე აღმობრწყინდა უღრუბლოდ, სულ მორთულს ხმელეთს უღარა, მისთვის ეძრწი—არ მომიძულოს, თორ მომიხდების სულარა (21).

აქ მთავრდება მეფე ალექსანდრეს ტექსტი და 22-ე სტროფში თეიმურაზი თითქოს უპასუხებს 21-ე სტროფს:

მას პირმზესა შეუქნია ხმელთა მნათი მისად უღრად; შეკრებულა შუქი მზისა, საქებარად იმას უღრად, შევეხვეწით გაიღიმოს, არ გავხადოს ხმელი უღრად, მან არა ჰყოს მის ხელქმნილი სატირალი, შესასულრად (22).

ხელმწიფე ალექსანდრე, ამბობს, მეშინია ჩემმა სატრფომ არ მომიძულოს, თორემ სულარა დამჭირდებაო. თეიმურაზი აგრძელებს: შევეხვეწით გაიღიმოს არ გახადოს მისი ხელქმნილი „სატირალი, შესასულრად“.

მთელი ეს გრძელი ექსკურსი იმისათვის დაგვეკირდა, გვეჩვენებინა, სიტყვები: „აწყა მე ვიწვი ამისთვისო...“, რომელიც ნესტან-დარეჯანის მისამართით არის თქმული, თეიმურაზის გრძნობებს კი არ გამოხატავს, არამედ ლექსში იგი მიეწერება ნესტან-დარეჯანის მიჯნურს, მის მეუღლეს, ხელმწიფე ალექსანდრეს. ამდენად ვერ მივიჩნევთ, რომ თეიმურაზი მხურვალე სამიჯნურო დიფირამბებით ამკობს თავის საკუთარ ასულ ნესტან-დარეჯანს: „აწყა მე ვიწვი ამისთვისო“ (ალ. ბარამიძე)⁸. ეს ფაქტი მკვლევარს მოჰყავს იმის დასამ-

⁸ ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, 1940, გვ. 149.

ტკიცებლად, რომ „სიყვარულის კთხვა თეიმურაზის პოეზიაში ჩვეულებრივად მოკლებულია იმ კონკრეტულ ავტობიოგრაფიულ უშუალობას, რასაც ადგილი აქვს, მაგალითად ბესიკთან“⁹, რამდენადაც სამიჯნურო სიტყვებით ამკობს თავის ასულს. „თეიმურაზის სატრფიალო დიფირამბებში არ იგრძნობა პოეტის შინაგანი მღელვარება. პოეტური სიტბო, სიტყვით გამოუთქმელი ნამდვილი გატაცების ძალა“¹⁰. ეს მაგალითი ამ თეზისის დასადასტურებლად აღარ გამოდგება, რადგანაც უკვე ზემოთ ვაჩვენეთ ნესტან-დარეჯანის მისამართით გამოთქმული ამ სიტყვების ავტორი ნაწარმოებში მისი მიჯნურია, მისი მეუღლე და არა თვით თეიმურაზი პოეტი. მიუხედავად ამისა, ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ ამ მაგალითის გარეშეც თეიმურაზის პოეზიაში სიყვარულის თემა ავტობიოგრაფიულ მასალაზე არ არის დაყრდნობილი და ისე გააზრებული. „მაჯამაში“ სიყვარულის გრძნობა განზოგადებულია და არ გამოხატავს პოეტის პირად განცდებს. ამის დასადასტურებლად თუნდაც ისიც გამოდგება, რომ „მაჯამა“ შექმნილია თეიმურაზის მოხუცებულობის ხანაში, როდესაც სვედამწარებული პოეტის გოდება წუთისოფლის ამაოების გამო ცას სწიღებოდა და ამ დროს ზედმეტია პოეტის კონკრეტულ-სამიჯნურო გრძნობებზე ლაპარაკი. აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მაჯამაში“ შემავალი ლექსები ხოტბითი ხასიათისაა, პოეტი ამკობს, ხოტბას ასხამს თუ ერთ შემთხვევაში თავის ასულს ნესტან-დარეჯანს, სხვა თავებში კეკლუც ქალს. რამდენადაც პოეტს სიყვარული სილამაზისა და სიტურფის ზედმეტად მიაჩნია, ის საუცხოო პოეტური შედარებებით, მოხდენილი ეპითეტებით ამკობს კეკლუც ქალს, რომელსაც გაუხელებია ნაწარმოების ლირიკული გმირი და არა მარტო ლირიკული გმირი, არამედ

მისგან ვახდეს სულ ციერნი, არ იცნობს დანაცარად (IV, 2,1).

თუმცა „მაჯამაში“ ერთმანეთს ცვლიან მშვენიერი ქალის შესამკობად მოხმობილი ეპითეტები, პოეტი ამით არ კმაყოფილდება და რიტორებს უბმობს: „ჰე რიტორნო, თქვენც აქებდეთ...“.

ამრიგად, „მაჯამაში“ თეიმურაზმა უმღერა სილამაზესა და სიტურფეს. აქ სიყვარული განზოგადებულად არის დახატული და წარმოსახულია მიჯნურობის რეალური გაგება ისე, როგორც თეიმურაზს წარმოუდგენია. „მაჯამაში“ შეყვარებული უარყოფილია სა-

⁹ ქართული ლიტერატურის ისტორია, 11, თბ., 1969, გვ. 324.

¹⁰ იქვე.

ტრფოს მიერ ე. ი. აქ დახატული სიყვარული ცალმხრივია, დაუკმა-
ყოფილებელი, ტრაგიკულიც კი ეს სავსებით გასაგებია თეიმურაზის
შემოქმედებითი მეთოდის გათვალისწინების საფუძველზე. თეიმუ-
რაზის სატრფიალო ხასიათის ნაწარმოებები, სპარსულიდან მომდი-
ნარეც კი, პოეტისავე სიტყვით, გარკვეული მიზნით იქმნებოდა:

ვის მახილი გულად ვღვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი სწოთდეს,
იგ უცილოდ წაღიერად ყურსა სმენად მიუპყრობდეს (ე. ბ. 5).

მოდით მიჯნურნო, რომელთა ცრემლი გდისთ ნაკადულები
იგ მოყვრისათვის საკედავად, ვის შეგიწირავს სულები;
ვისაც გწავს ცეცხლი უშრეტი, გაქვს გული დანაწულულები
ნახეთ ფარვანა დამწვარი, მკვდარი, სულ-ამოსულები (შ. ფ. 23).

მისგან ისწავეთ ყოველთა ხელობა, მიჯნურობანი,
სიყვარულისა ცეცხლშიგან იგ მისებრ გამოღნობანი (შ. ფ. 24).

ამრიგად, თეიმურაზი მოუწოდებდა მიჯნურებს ყური მიუპყროთ
სატრფიალო ამბებისათვის, მათგან ესწავლათ მიჯნურობა, ხოლო ამ
თემაზე წერას თვით პოეტი გასართველად, მწუხარების შესამსუბუ-
ქებლად მიმართავდა. მართლაც გვეუბნებოდა: „ცოტა რამ უკუვი-
ყარე, სევდა ექვენ განათხელებიო“.

„მაჯამა“ სატრფიალო თემაზე დაწერილი ოდების კრებულია,
მაგრამ მისი ყველა თავი მთავრდება გოდებით წუთისოფლის სი-
მუხთლის, ბედისწერის საშინელების გამო. ესაა თეიმურაზის საუკე-
თესო სტროფები გამოთქმული წუთისოფლის სიმუხთლის გამო, რომ-
ლებშიც თეიმურაზი ჩივის „გრძლად მატირა საწუთრომან“, „მე და-
მემტერა სოფელი“, „გული სავსე მაქვს ლახვრითა“, „დამეგრინა
ბედი მრუდად“, „ჩემისა ლხინისა ყვაილი უმზეობამან დალალა“,
„ლხინისა ნაცვლად სოფელმან სულ მატირა და მაზარა“.

ამ სატყვების გამოსათქმელად თეიმურაზს საფუძველს აძლევს
ყოველ ლექსში გამოხატული სიყვარულის ტრაგიკულობა. უფრო
ზუსტი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ „მაჯამაში“ გამოთქმული ცალ-
მხრივი, ტრაგიკული სიყვარული თეიმურაზისათვის ხერხია წუთი-
სოფლის მუხთლობის გამოსათქმელად. ამრიგად, თეიმურაზმა სპარ-
სული ჟანრი გამოიყენა თავისი მთავარი სატქმელის გაშოსათქმე-
ლად. „ნეტამც ვინმე სიკვდილს მიმცაო“, — მოსთქვამდა სევდამწა-
რებული პოეტი და უპირველესი რაინდი, მაგრამ მისი პესიმისმი
ზანც განათებულია იმედის სხივით:

ნუმც გავხდები უიმედო, ღონეც შენი ამარისა,
გააჩები არ მიჩენო იწრო კარი სამარისა (VIII, 29).

ჩვენ ბუნებრივად გვეჩვენება თეიმურაზის იმედით აღსავსე სიტყვები. კახეთის დაუცხრომელი მეფე, რომელმაც ათასი დამცირება, შეურაცხყოფა, უბედურება გადაიტანა, ახალ-ახალ გზებს ეძებდა თავის თავისა და სამშობლოს დასახსნელად. 1649—56 წლებში იმერეთს შეფარებული მოხუცი მეფე-პოეტი ერთმორწმუნე რუსეთის დანმარების იმედით იყო აღსავსე და არ ეჩქარებოდა „კარი სამარისა“. სწორედ ამ დროს დაიწერა „მაჯამა“ და კიდევ გამოვლინდა მასში პოეტის იმდროინდელი განწყობილება. ყოველივე აქედან გამომდინარე, საეხებით ბუნებრივია მისი რუსეთს გამგზავრება დანმარების სათხოვნელად.

1. თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებული პოემები

თეიმურაზ პირველის პოეზიაში სპარსულიდან მომდინარედ ითვლება სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის პოემები: „ლეილმაცუნუნიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ვარდბულბულიანი“ და „შამითარვანიანი“. ამ ნაწარმოებების პროტოტიპები ჯერჯერობით მიგნებული არ არის, თუმცა ამ მიმართულებით ზოგიერთის მიმართ საკმაო კვლევა-ძიებაა გაწეული. ამჯერად ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, რამდენად გამობნატა ამ პოემებში თეიმურაზის ლრიგინალური შემოქმედების მოტივები და შეხედულებანი, რა არის მათში თეიმურაზის მიერ შეტანილი და რით ეხმაურებიან ეს პოემები თეიმურაზის ორიგინალურ პოეზიას. ამ მიმართულებით, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს თეიმურაზის პოემათა პროლოგები და ეპილოგები, შემდეგ კი ას ლირიკული წიადსვლები, რომლებიც ამ ნაწარმოებებშია ჩართული. მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადაწყდება თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებული პოემების ორიგინალუბის საკითხი, მათზე დართული შესავლები და ბოლოსიტყვაობანი განიხილება, როგორც თეიმურაზის ორიგინალური შემოქმედება, სადაც პოეტი ავლენს თავის იდეურ მრწამსსა და შეხედულებებს. ამდენად ნაშრომში წარმოჩინებული იქნება ყველა ის საკითხი, რომლებიც დასმულია ნათარგმნი პოემების პროლოგებსა და ეპილოგებში. უპირველეს ყოვლისა შევისწავლით იმ ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს, რომლებსაც პოეტი იძლევა თხზულებათა პროლოგსა და ეპილოგში. კერძოდ შევჩერდებით ცნობებზე ამ პოემათა სადაურობის შესახებ და განვიხილავთ საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურას. ამავე თავში განიხილება თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებული პოემების ზოგი იდეოლოგიური თავისებურება.

1. „ლეილმაცუნუნიანი“

სამეცნიერო ლიტერატურაში „ლეილმაცუნუნიანის“ დაწერის თარიღად მიჩნეულია 1629—33 წლები. ეს ის დროა, როცა თეიმურაზი გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფეა, ქვეყანა დაწყნარებულია და

მეფე-პოეტს ლიტერატურული საქმიანობისათვის უამი დასდგომია. ეს მოსაზრება დამყარებულია არჩილის სიტყვებზე თეიმურაზს რომ ათქმევინებს „გაბაასებაში“ („ამ დროს ვთქვი ლეილ-მაჩუნნი...“)

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ერთ დროს „ლეილმაჩუნნიანის“ თეიმურაზისადმი კუთვნილების საკითხი სადავოდ იქცა, ამიტომ მოკლედ მიმოვიხილავთ საკითხის გარშემო არსებულ ლიტერატურას. ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ადრიდგან ცნობილი თეიმურაზისაგან ნათარგმნი პოემა „ლეილმაჩუნნიანი“ სპარსულიდან თეიმურაზ მეფეს კი არ უთარგმნია, არამედ ზაალ თუმანიშვილს, ეს თუმანიშვილი კარგა ხანი სპარსეთში ყოფილა და იქ უთარგმნია, ამ თარგმანის შესახებ თვით თუმანიშვილი სწერს ერთ ლექსსა და ამ ლექსში იმას მოგვითხრობს, რომ ზაალ თუმანიშვილმა სპარსეთში ყოფნის დროს ესთარგმნეო“¹. ამ თვალსაზრისს იმოწმებს ალ. ხახანაშვილიც, თუმცა „ლეილმაჩუნნიანს“ თეიმურაზის თარგმანად მიიჩნევს. „ზოგჯერ თის აზრით, ლეილმაჩუნნიანის გადმოთარგმნა ეკუთვნის ზაალ თუმანიშვილს, მის სპარსეთში ცხოვრების დროს“². თედო ყორღანიასაც ზაალ თუმანიშვილი მიუჩნევია „ლეილმაჩუნნიანის“ მთარგმნელად³. კ. კეკელიძემ და გ. ჯაკობიამ უარყვეს ეს თვალსაზრისი და დაასაბუთეს ამ პოემის თეიმურაზისადმი კუთვნილება⁴. მართლაც ეს ცნობა ემყარება ერთი ხელნაწერის მინაწერს (A 790), რომელიც მხოლოდ „ლეილმაჩუნნიანს“ შეიცავს.

ოდვილმან თუმანიშვილმან, მეტად გარჯილმან სულობით,
სამკვიდრო მოშორებული მე ვიყავ დაკარგულრბით,
ზაალად ჩემი სახელი, პირველნახმობი სულობით,
ესე დავსწრე ცოდვილმა, ცოტა ვილაყებ სულობით.

ალ. ბარამიძის აზრით, ეს ხელნაწერი გადაწერილია მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში⁵, კ. კეკელიძე კი მიუთითებს, რომ სიტყვა „დაეწერე“ აქ, „შეთხზვა-გადმოთარგმნას“ კი არ ნიშნავს, არამედ „გადმო-

¹ ზ. ჭიჭინაძე, ლექსნი, თქმულნი მეფის თეიმურაზ I-საგან, ტფ., 1886, გვ. 63.

² ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, ტფ., 1904, გვ. 244.

³ თ. ყორღანია, Описание рукописей Церковного музея, II, გვ. 244.

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 386—387; გ. ჯაკობია, თეიმურაზის თარგმანები (თხზულებათა სრული კრებული, ტფ.: 1934, გვ. 256—257).

⁵ თეიმურაზ პირველი (თხზულებათა სრული კრებული, ტფ., 1934, გვ. 013).

წერას“, პირის გადაღებას.⁶ ამრიგად ზაალ თუმანიშვილი გადამწერია ხელნ. A 790-ისა და არა „ლეილმაჯუნნიანის“ ავტორი. თეიმურაზს კი „ლეილმაჯუნნიანის“ შემცველი თითქმის ყველა ხელნაწერი ერთხმად ასახელებს ავტორად S 403, A 1735, S 1511, S 3706, S 1739, S 5189, S 1508, A 593, H 59, S 3693, H 485, S 2676/ბ, C 509.

არჩილი, თეიმურაზის ბიოგრაფიის აღმწერელი და მისი ცხოვრების უტყუარი მცოდნე, „ლეილმაჯუნნიანს“ თეიმურაზის ნაწარმოებათა შორის ასახელებს: „ამ დროს უთქვე ლეილ-მაჯუნნი...“, ნოდარ ციციშვილიც გვაწვდის ცნობას, რომ „ლეილმაჯუნნიანი“ და „იოსებზილიანისანი“ თეიმურაზის ნაწარმოებია.

თეიმურაზ თქვა ამბავი იოსებ-ზილიანისი
ლეილის ქება, სიტურფე და მაჯუნნიას ჟანისი⁷.

ამრიგად, საეკსებოთ დასაბუთებულად უნდა ჩაითვალოს „ლეილ-მაჯუნნიანის“ თეიმურაზისადმი კუთვნილება, მით უმეტეს, რომ, როგორც კ. კეკელიძემ მიუთითა, „თეიმურაზის ხელს ამჟღავნებს თარგმანის შესავალი და ბოლოსიტყვაობა, სადაც იგივე აზრია გატარებული რაც სხვა მის უცილობელ შრომებში, სახელდობრ შიში და ბოდიშის მოხდა, რომ საეკლესიო სასულიერო თემების დამუშავების ნაცვლად ის ამგვარი ზღაპრების თქმაზე ჰკარგავს დროს“⁸.

ახლა დგება თეიმურაზის „ლეილმაჯუნნიანის“ წარმომავლობის საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხანს „ლეილმაჯუნნიანის“ პროტოტიპად ნიზამი განჯელის ამავე სახელწოდების პოემა მიაჩნდათ (თ. ეორდანი, ზ. ქიქინაძე). ამ აზრსვე იზიარებდა კ. კეკელიძე⁹. 1925 წელს გ. ჯაკობია წერდა: „ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში ამ საკითხზე არავინ დაფიქრებულა და შაბლონად გადაიქცა აზრი, რომ ეს (იგულისხმება „ლეილმაჯუნნიანი“) ნიზამის შრომის თარგმანიაო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მაინც ჭერჭერობით გადაჭრით რისამე თქმა შეუძლებელია“¹⁰. აქვე შენიშვნებში აღნიშნულია დედანი არც ჯამის უნდა იყოსო.

1928 წელს ალ. ბარამიძე წერდა: „ჩვენში საერთოდ მიღებული აზრით ქართული ვერსია (იგულისხმება „ლეილმაჯუნნიანის“) ნიზა-

⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 386.

⁷ ნ. ციციშვილი, შვიდი მთიები, კ. კეკელიძის რედ., სტრ. 7.

⁸ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 387.

⁹ ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბ., 1924, გვ. 228.

¹⁰ ლეილ-მაჯუნნიანის ქართული ვერსიისათვის, არილი, 1925, გვ. 156.

ში განჯელის (მე-XII ს.) პოემის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ეს აზრი მცდარია, რადგანაც შინაარსი მას სრულიად არ უდგება¹¹.

თეიმურაზის თხზულებათა 1934 წლის გამოცემას გ. ჯაკობიამ დაურთო ვრცელი გამოკვლევა „თეიმურაზის თარგმანები“, რომელშიც შედარებითი ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ თეიმურაზს არ უთარგმნია არც ნიზამი განჯელისა და არც ჯამის რედაქცია. იგი წერს: „თეიმურაზის ვარიანტი ან სხვა დედნიდან მომდინარეობს ან დამოუკიდებელი დამუშავებაა ცნობილი არაბულ-სპარსული ლეგენდისა. ჩვენ გვგონია, რომ ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო ახლოა სინამდვილესთან“¹². კ. კეკელიძემ გამოკვლევაში «Руставели и Низами Ганджеви» უარყო თეიმურაზისეული ვერსიის ნიზამისეულობა¹³. 1958 წელს კი იგი წერდა: „ეჭვი არაა თეიმურაზს ხელთ ჰქონია პოემის ერთ-ერთი, შეიძლება არა ერთი, არამედ რამდენიმე სპარსული რედაქცია და მან ის ისე თავისებურად გადააკეთა და გადაამუშავა, როგორც „იოსებზილიხანიანი“¹⁴.

დ. კობიძის აზრით, თეიმურაზის „ლეილმაჯნუნიანი“ არც, ნიზამის, არც ჯამის და არც მექთები შირაზელის თარგმანი არაა, არამედ თეიმურაზი „ამ თემებისა და ამ თემაზე ირანელი პოეტების მიერ შექმნილ ნაწარმოებთა ნიადაგზე თავისებურად ამუშავებს მათ“¹⁵.

მკვლევარმა თ. გორელაშვილმა ერთმანეთს შეუდარა თეიმურაზის „ლეილმაჯნუნიანისა“ და ჰილალის ვერსიის შინაარსი (რომელიც 1957 წ. გამოცემულ მონოგრაფიაში გადმოსცა ქემალ აინიმ) და დაასკვნა, რომ თეიმურაზს ხელთ ჰქონია პოემის რომელიღაც სპარსული რედაქცია. ეს უკანასკნელი კი ჰილალის ვერსიის გავლენით უნდა ყოფილიყო შექმნილი¹⁶.

ალ. ბარამიძის აზრით, „თეიმურაზი უთუოდ მწიგნობრულ ნიადაგზე იცნობდა „ლეილმაჯნუნიანის“ შინაარსს. ეს პოემა ქართულად დაუმუშავებია ისე, რომ სიუჟეტური მოტივები არ მოუგონია და არ შეუთხზავს. ამ მხრავ ქართველი ავტორი სისწორით უნდა იმეორებდეს თავის წყაროს (თუ წყარობს). თეიმურაზის თავისებურება

¹¹ ანთოლოგია, II, 1928, გვ. 299.

¹² თეიმურაზის თარგმანები (თხზულებათა სრული კრებული, 1934, გვ. 264).

¹³ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, 1936, გვ. 161.

¹⁴ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 388.

¹⁵ ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 219.

¹⁶ „ლეილმაჯნუნიანი“ ლიტ. წყაროს საკითხისათვის, ლიტერატურული გაზეთი, 1956, 11 მაისი, № 19.

ისაა, რომ სარწმუნოებრივი „ჩალხი“ გაუკრავს უცხოური წარმომავლობის პოენიზატორს, გაიჭვინა აშკარა მუსლიმანულ ტენდენციას“¹⁷. ალ. ბარამიძემ მიუთითა, რომ თეიმურაზისეული „ლეილმაჯანუნიანის“ პროტოტიპი უნდა შექმნილიყო სულთან ჰუსეინ-ბაიყარას წრეში¹⁸.

მკვლევარმა მ. მამაცაშვილმა ამ საკითხის გარშემო გამოაქვეყნა ორი საყურადღებო წერილი: „თეიმურაზის ლეილმაჯანუნიანის სპარსული წყაროს საკითხისათვის“¹⁹ და „შეიხ საად-ედ-დინ რაჰიხაფელის ლეილო ვო მაჯანუნიასა და ქართული ლეილმაჯანუნიანის ჟრთიერთობისათვის“²⁰. აგრეთვე წიგნი: „თეიმურაზ პირველის ლეილმაჯანუნიანის სპარსული წყაროები“, რომელშიც ქართული „ლეილმაჯანუნიანისა“ და მისი სპარსული და თურქული ვერსიების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ასკენის, რომ თეიმურაზის „ლეილმაჯანუნიანის“ წყარო არცერთი განხილული ვერსია არ არის, მაგრამ ამის მიუხედავად თეიმურაზის პოემა არ არის სპარსული ამბის თავისებური გადმოკეთება, ანდა ნასესხები სიუჟეტის თავისუფალი დამუშავება. მ. მამაცაშვილი ჰათეფისა და თეიმურაზისეული „ლეილმაჯანუნიანის“ შედარებითი ანალიზის საფუძველზე ვარაუდობს, რომ „არსებობს მათი მონათესავე მეტამე დამოუკიდებელი ვერსია, რომელსაც თარგმნის თეიმურაზი“²¹, „თეიმურაზი თარგმნის ისეთ სპარსულ ვერსიას, რომელიც ძალზე ახლოს დგას ჰათეფის პოემასთან“²². „ლეილმაჯანუნიანის“ პროტოტიპის ძიების გზაზე მრავალგზისი განხილვის საგანი გახდა თეიმურაზის სტრიქონი პოემის დასაწყისში:

ლეილ-მაჯანუნი ამაყსა შიხ-შეიდს დავეცოლება (5.1) ✓

ვინ არის ეს შიხ-შეიდი? ხელნაწერში ეს ფორმა სხვადასხვაგვარი წაკითხვით გვხვდება: შიხ შეიდს S 403; შიხ სადის S 1511, S 3706, H 59; შიხ ისლამს H 461, S 5184; შიხ სეიდს A 1735, A 1508, A 593; შიხ სალამინს ც. 509; ზოგში კი საკმაოდ წარყვნილი წაკითხვებია: შითხზენინ S 3693, შიხსვიდსა S 2676/ბ, შეისხმის H 485.

გ. ჯაკობიას ხელნაწერებით დადასტურებული ფორმებიდან მართებულად „შიხ შეიდი“ შიხინია და განმარტავს მას როგორც „შე-

¹⁷ თეიმურაზ პირველი, იხ. წიგნი „ქართული ლიტერატურის ისტორია“, II, თბ., 1966, გვ. 325.

¹⁸ ნარკვევები..., IV, თბ., 1964, გვ. 81—98.

¹⁹ ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. 111—134,

²⁰ იქვე, III, გვ. 87—94.

²¹ თეიმურაზ პირველის ლეილმაჯანუნიანის სპარსული წყაროები, თბ., 1967, გვ. 119.

²² იქვე.

ყვარებულთა მეთაურს“²³. თავისი მოსაზრების დასადასტურებლად მკვლევარს მოტანილი აქვს „ვარდბულბულიანის“ სტრიქონი „შენი შეიდი ბულბული...“, სადაც „შეიდი“ შეყვარებულს ნიშნავსო. დ. კობიძის აზრით, ეს კონსტრუქცია ბუნებრივია სპარსული სათავის, ეზაფეთის კონსტრუქცია აქ გვაძლევს „შეყვარებულ ბულბულს“, ხოლო „შიხ შეიდი“ კი ნიშნავს „შეყვარებულ შეიხს“ (რაინდს) და არა „შეყვარებულთა მეთაურს“. დ. კობიძემ მართებულად მიიჩნია ზოგი ხელნაწერით დადასტურებული წაკითხვა „შიხ სადი“, რომელშიც, მისი აზრით, ევარაუდება სეფიანთა პოეტი შეიხ საად ედ დინ რაჰაი ხაფელი (1576 წ.). თეიმურაზს შესაძლოა ეს პოეტი ჰყავდა მხედველობაში²⁴. ამ მოსაზრებას იზიარებს კორნელი კეკელიძე: „ეჭვი არ არის, თეიმურაზს მხედველობაში ეს პოეტი ჰყავს, რომელიც ქრონოლოგიურად მასთან ანლოს დგას. ალბათ, თეიმურაზის დროს, შეიძლება იმის სპარსეთში ყოფნისას ამ პოემის, როგორც ახალი ლიტერატურული ფაქტის, შესახებ მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი იყო, ამიტომ მას საბაზი მიეცა ეთქვა: „ლეილ-მაჯნუნის ამბავსა შიხ სადის დავეცილებიო“, /ან გაჯიბრების ან გადამუშავების გზით. იალიან საინტერესო იქნებოდა გარკვევა თეიმურაზის დამოკიდებულებისა ამ საადის პოემასთან“²⁵. /

მ. მამაცაშვილის აზრით, დ. კობიძის „ევარაუდი მაშინ იქნებოდა მართებული, რაჰაი ხაფელის პოემა რომ თეიმურაზის ლიტერატურული წყარო ყოფილიყო“²⁶. მან კი ცხადყო, რომ რაჰაი ხაფელის ვერსია არ არის თეიმურაზის წყარო «„არც დაცილების“, გაჯიბრება-გააქვრობისათვის. არსებობს რაიმე საფუძველი, რადგან ამ „დაცილების“ ლოგიკური გამართლება უნდა ჰქონოდა უთუოდ. ან „შიხ სადი“ თეიმურაზის თანამედროვე პოეტი უნდა ყოფილიყო. ან არადა მის ვერსიას ისეთი პოპულარობა უნდა მოეხვეჭა სეფიანთა კარზე, რომ თეიმურაზს ნაზირა შეექმნა მის თხზულებაზე“²⁷.

/დ. კობიძემ ადრევე მიუთითა, რომ თეიმურაზის ლიტერატურული წყაროები მე-15 საუკუნის აქეთ უნდა ვეძიოთ და აღნიშნა, „ამ დასკვნის უცილობელ უფლებას იძლევა ერთი მხრივ თეიმურაზის პოემები (ლეილმაჯნუნიანი, ვარდბულბულიანი, იოსებზილიხა-

²³ თეიმურაზის თარგმანები (თხზულებათა სრული კრებული, 1934, გვ. 266)

²⁴ ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 221—2.

²⁵ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 389.

²⁶ მ. მამაცაშვილი, თეიმურაზ პირველის ლეილმაჯნუნიანის სპარსული წყაროები, თბ., 1967, გვ. 12.

²⁷ იქვე.

ნიანი), და, მეორე მხრეზე სეფიანთა ეპოქის სპარსული ლიტერატურული ძეგლების შესწავლა²⁸. ეს დასკვნა საგულისხმოდ მიიჩნია ალ. ბარამიძემ და „ლეილმაჯნუნიანის“ ერთი სტროფის საფუძველზე: „ვით არის სულთან ჰუსეინ... (ალ. ბარამიძემ S 2775 და S 1739 ხელნაწერებზე დაყრდნობით „ერის“ ფორმა გაასწორა წაკითხვით „არის“), რომლის სულთან ჰუსეინში უნდა იგულისხმებოდესო სულთან ჰუსეინ ბაიყარა“ (1469—1506), გამოთქვა მოსაზრება, რომ თეიმურაზის „ლეილმაჯნუნიანის“ პროტოტიპის ავტორი გამოსული უნდა იყოს სულთან ჰუსეინ ბაიყარას პოეტთა წრიდან. მაშასადამე, პროტოტიპის ავტორის მოძებნა XV საუკუნის II ნახევარზე ან XVI საუკუნის დასაწყისზე უნდა მოდიოდესო²⁹.

მ. მამაცაშვილმა ხელნაწერთა შეგებების საფუძველზე საანალიზო სტრიქონის „ერის“ ფორმა გაასწორა წაკითხვით „ჰერის“, რომელიც სულთან ჰუსეინ ბაიყარას სატახტო ქალაქი და ნიშნავს „ჰერათის“. მკვლევარი სტრიქონის შინაარსს ასე განმარტავს: „არ მოიშალოს მასთან, ბასრელ ამირასთან, მოლექსე-მოშაირეები, ისე ვითარცა ჰერის (ჰერათის) სულთან ჰუსეინთანო“³⁰. მ. მამაცაშვილმა ამით მოხსნა წაკითხვა „არის“ და გამოიტანა ზოგადი დასკვნა: „არის“ ვარიანტთან ერთად იხსნება თეიმურაზის ლეილმაჯნუნიანის პროტოტიპის ავტორისა და ჰუსეინ ბაიყარას თანამედროვეობისა და თანადროულობის საკითხიც. თეიმურაზს ეს ადგილი მხოლოდ შესაძარებლად, პარალელისათვის მოჰყავს, იმისათვის, რომ უფრო მკვეთრად გაუსვას ხაზი ბასრელი ამირას კარის სიდიადესა და ბრწყინვალეობას. ამისათვის კი სრულიად არაა სავალდებულო პროტოტიპის ავტორი ჰუსეინ ბაიყარას თანამედროვე იყოს... ამის დასაბუთება ზემოთ დასახელებული ვარიანტის „არის“ დამოწმებით დამაჯერებელი არ ჩანს. განა მოგვიანო ხანის, ვთქვათ, სეფიანთა ეპოქის პოეტს არ შეეძლო მსგავსი პარალელის გავლება. ისიც გასარკვევია, ჩვენი აზრით, ვის ეკუთვნის ეს სიტყვები — თეიმურაზ I-ს თუ წყაროს ავტორს? იქნებ ეს ადგილი დედნიდან გამოჰყვა თარგმანს? ეს საკითხი მხოლოდ მაშინ გაირკვევა, როდესაც საბოლოოდ დადგინდება რითი ხელმძღვანელობდა თეიმურაზი პოემის გალექსვის დროსა³¹.

²⁸ ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, ლიტერატურული ძეგლები, III, 1947, გვ. 221.

²⁹ ნარკვევები..., IV, 1964, გვ. 90.

³⁰ თეიმურაზ პირველის ლეილმაჯნუნიანის სპარსული წყაროები, თბ., 1967, გვ. 15.

³¹ იქვე, გვ. 15—16.

ჩვენ გასაზიარებლად მიგვაჩნია ალ. ბარამიძის მოსაზრება, რომ სულთან ჰუსეინის მახლობელი ნგოსნისათვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა მეცენატის სამეფო კარის ბრწყინვალეების შედარება ბასრელი ამირან კარის ბრწყინვალეობასთან³². ამას თვით შ. მამაცაშვილიც გრძნობს და იქვე აცხადებს „ჩვენ არ გვსურს იმის მტკიცება, თითქოს პროტოტიპის ავტორი ჰუსეინ ბაიყარას ლიტერატურული წრიდან არ უნდა გამოსულიყო.“³³. ჩვენი აზრით, შეიძლებოდა ეს შედარება თეიმურაზს გაეკეთებინა (მისი ცხოვრების ხანა ახლოა სულთან ჰუსეინის ეპოქასთან), არც ისაა გამორიცხული, რომ იგი პროტოტიპის ავტორს ეკუთვნოდეს. თუ ასეა, მაშინ პროტოტიპის ვერსია, თუ იგი საერთოდ არსებობდა, სულთან ჰუსეინამდე ვერ შეიქმნებოდა.

ამრიგად, თეიმურაზისეული „ლეილმაჯანუნიანის“ პროტოტიპი დღესდღეობით მიგნებული არაა. შ. მამაცაშვილი წერს: „აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზს სპარსულიდან თარგმნისას დედნიდან მხოლოდ „ამბავი“ გადმოაქვს, ხოლო მისი პოეტური დამუშავებისას მთლიანად ქართული მხატვრული მეტყველების ხერხებით და საშუალებებით სარგებლობს“³⁴.

სარგის ცაიშვილის აზრით, „თუმცა თეიმურაზი შთაგონებული იყო სპარსული პოეზიით და კერძოდ მის მიერ თარგმნილი პოემის სიუჟეტებით, იგი არ თარგმნიდა მათ, თარგმნის დღევანდელი გაგებით, არამედ უბრალოდ ბაძადა სპარსულ პოემებს და ქმნიდა თითქმის ორიგინალურ რედაქციებს“³⁵.

ჩვენ შევისწავლეთ თეიმურაზის პოეზია და მათ შორის „ლეილმაჯანუნიანი“ რუსთველთან მიმართების თვალსაზრისით და იმ დასკვნამდე მივედით, რომ „ლეილმაჯანუნიანი“ და საზოგადოდ თეიმურაზის პოემები უფრო გადმოკეთებულია, ვიდრე სიტყვასიტყვით ნათარგმნი³⁶.

ჩვენ მიმოვიხილეთ „ლეილმაჯანუნიანის“ წარმომავლობის თაობაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. ახლა განვიხილოთ პოემის პროლოგსა და ეპილოგში ამ საკითხის თაობაზე მოცემული ცნო-

³² ნაკვეთები..., IV, 1964, გვ. 98.

³³ თეიმურაზ პირველის [ლეილმაჯანუნიანის სპარსული წყაროები, თბ., 1967, გვ. 15.

³⁴ იქვე, გვ. 122.

³⁵ ლიტერატურული წერილები, თბ., 1966, გვ. 53.

³⁶ მერ ი გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, რუსთველის გავლენა თეიმურაზ პირველის პოეზიაზე, მაცნე, 1970, № 6, გვ. 147.

ბები. „ლეილმაჯნუნიანის“ პირველ სტროფში, რომელშიც პოეტო
ლეთის ქებას აღავლენს, თეიმურაზი თხოულობს უფლისაგან.

მომეც გონება მე ვიყო მადლობის შემწირველობით,

ხელეკყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე მთარგმნელობით (1,3—4)

რამდენადაც თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებულ ნაწარმოებთა
შორის „ლეილმაჯნუნიანის“ ქრონოლოგიურად ერთ-ერთი პირველ-
თაგანი ფრაზა „ხელეკყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე მთარ-
გმნელობით“, — უნდა ნიშნავდეს არა იმას, რომ თეიმურაზს პოემის
რამდენიმე ვერსია ედო წინ და იმათ მთარგმნიდა, არამედ იმას, რომ
პოეტმა მიზნად დაისახა ქართულ ენაზე გადმოიღოს სპარსული
წიგნები, სხვადასხვა სპარსული ნაწარმოებები.

აქვე, პოემის პროლოგში თეიმურაზი სიუჟეტის წყაროსაც ასა-
ხელებს: „ლეილ-მაჯნუნის ამბავსა შიხ სადის დავეცილებით“. ამ
შიხ სადის შიხ შეიდის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, ამჟე-
რად განვიჩილავთ პოემის დასასრულს, ეპილოგს. არის თუ არა რა-
იმე ხათქვამი ეპილოგში პოემის წარმომავლობის თაობაზე? „ლეილ-
მაჯნუნიანის“ იმ სახით წარმოდგენილ ტექსტში, როგორც ის დაბეჭ-
დილია თეიმურაზის თხზულებათა სრულ კრებულში ეპილოგის მო-
ვალეობას ასრულებს 270-ე სტროფი.

სიტყვათა შეთხზვა-შეკაზმა მეღეკესეჲ კმართებს, მგონია,
თეარ-უწყის ღმერთმან—უსმენლად არა რა მომიგონია,
თქმა სჯობს, ვინ³⁷ ენა რიტორობს, ჰქონდეს მახეილი გონია,
უცხო, ტბილ ბრძენთა ამბავთა ვერც ვარდი სჯობდეს, მგონ ია.

ხელნაწერთაგან ის მხოლოდ რამდენიმეს დაუცავს: H 461, S
1511, S 2694, H 59, S 3693, A 790. არ არის ეს სტროფი S 403,
A 1735, S 3706, A 593, S 1508, S 2305 ხელნაწერებში, თუმცა
„ლეილმაჯნუნიანის“ ტექსტი ბოლომდეა დაცული. ეპილოგის მოვა-
ლეობის შემსრულებელ ამ სტროფში თეიმურაზი ეხება სიუჟეტის
წყაროს საკითხს და ადასტურებს „უსმენლად არა რა მომიგონიაო“.
ეს განცხადება ალბათ იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სიუჟეტუ-
რად თეიმურაზს ახალი არაფერი შეუტანია პოემაში. მაშ,
რა წარმოადგენს თეიმურაზის წვლილს თეიმურაზისავე აზრით?

³⁷ წაკითხვა „ვინ“ მიღებულია ჩვენ მიერ ნაცულად წაკითხვისა „ვის“. „ვინ“
შეესაბამება სტრიქონის შინაარსს, დასტურდება კიდევ ერთ ხელნაწერში (S 3693).
სტრიქონი: „თქმა სჯობს, ვინ ენა რიტორობს...“ უნდა ნიშნავდეს: მისგან თქმა
სჯობია (იგულისხმება ლექსთა თქმა), ვინც ენა რიტორაო.

რა და „სიტყვათა შეთხზვა-შეკაზმვა“, რომელიც მელექსეს კიდევ მართებს. ე. ი. თეიმურაზი გვიდასტურებს, რომ ნაწარმოების მხატვრული მხარე, პოეტური ენა ორიგინალურია და ეს კიდევ იყო მისი მოვალეობა, როგორც მელექსის („მელექსეს კმართებს, მგონია“), მიუთმეტეს, რომ თქმა სჯობს მისგან, ვინც ენა-რიტორია, რადგან „უცხო, ტბილ ბრძენთა ამავესა ვერც ვარდი სჯობდეს, მგონია“. 270-ე სტროფი თითქოს პოლემიკური სტრიქონით იწყება „სიტყვათა შეთხზვა-შეკაზმვა მელექსეს კმართებს, მგონია“, იგი ერთბაშად მოსდევს 269-ე სტროფს, რომელშიც ლეილის დედ-მამა ლეილ-მაჯუნის სიზმარში ნახვის შემდეგ მათ ცოდვას ერთმანეთს აბრალებდნენ.

რალას არვებდათ შეეკნათ ერთმანეთისა ბრალობა:
—არ შეეყარნით იგ ერთად ლაჭუ ვარდ-ბაგე-ლალობა,
გვექნა, არ წაუხდებოდათ მათ ტურფა ვაჟობ-ქალაობა,
ჩვენსავე თავსა იყოსო ჩენი ცოდვა და ბრალობა.

გადასვლა 270-ე სტროფზე ერთბაშად ხდება და გაუმართლებელიცაა 270-ე სტროფის პოლემიკური დასაწყისი.

თუ „ლეილმაჯუნისანს“ დასასრულს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ პოემის უკანასკნელი თავის („ლეილას სიკვდილის უკან დედ-მამათაგან სიზმარში ლეილისა და მაჯუნის სამოთხეში ნახვა“) წინ არის ასეთი თავი „წიგნ. ლეილის მამისაგან ბაღდადს ხალიფასთან მინაწერი“. ამ თავში მოთხრობილია, რომ ლეილის გარდაცვალების ამბავი მშობლებმა მისწერეს ბაღდადის ხალიფას, ხალიფა ჩამოვიდა, დაიტირა იგი, დაახატვინა ლეილ—მაჯუნი და წაიღო სურათი ბაღდადს. ამ ამბავს, სანამ შემდეგი თავი დაიწყებოდეს, მოსდევს სამი სტროფი:

მოერ ე-მითგან გაისმა სპარსეთს ამბავი მათიო,
შეაქეს მოშაირეთა იგ ბროლ-ვარდ-მინა-სათიო,
დაკარვა კრულმან სოფელმან, იგი მზის მზგავსი მნათიო,
სულს უჯობს ამა ლაყაფსა ეილოცო, ღამე ვათიო (249).

უწყის ღმერთმან ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთაგან მომესმინა
ვაქე ძოწი. მარგალიტი, გაურივე ბროლსა მინა,
ვინ მოკიცხა სარო ნორჩი, ედემს ალუა გამოჩინა,
მეშინიან უგუნურთა, ეა, თუ სიბრძნე წამოხდინა (250).

იგ პირველ და უსაბამო განგებით დასაბამობდი,
ჩვენ უკედლევა შეგემოსე, შენ ჩენის ხორციელ გვამობდი,
ქვე კაცად იხილუბ-იდი ზე ნათლად და უღამობდი,
ოდეს მოხერდე განკითხვად, ჩემთვის ნუ შემრისხანობდი (251).

ჩვენი აზრით, ეს სტროფები შინაარსით ნაწარმოების ეპილოგს წარმოადგენს და გადატანილი უნდა იქნას 269-ე სტროფის შემდეგ. შემდეგ თავში („ლეილის სიკვდილის უკან დედ-მამათაგან სიზმარში ლეილისა და მაჯუნის სამოთხეში ნახვა“) სრულდება ლეილისა და მაჯუნის ისტორია. სწორედ ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც მშობლებმა სიზმარში სამოთხეში ნახეს ლეილი და მაჯუნი, პოეტს ეთქვა: „მიერ ჟამითგან გაისმა სპარსეთს ამბავი მათიო, შეამკეს მოშაირეთა იგ ბროლ-ვარდ-მინა-სათიო“, შემდეგ კი ისევ ლიტერატურული ხასიათის ცნობები მოეწოდებინა „უწყის ღმერთმან ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთაგან მომესმინაო“. და ბოლოს მიმართვა ღვთისადმი, თხოვნა „ოდეს მოხვიდე განკითხვად ჩემთვის ნუ შემარისხანობლიო“ (251) ე. ი. განკითხვის დღეს, მეორედ მოსვლისას ნუ გამირისხდებიო. ამის შემდეგ სავსებით ბუნებრივი ჩანს თავის მართლება — „სიტყვათა შეთხზნვა-შეკაზმვა ნელექსეს ჰმართებს, მგონია“.

ამრიგად, „ლეილმაჯუნის“ სტროფები: 249-ე, 250-ე, 251-ე გადატანილი უნდა იქნას 269-ე სტროფის შემდეგ. 251-ეს ბუნებრივად გაყვება 270-ე სტროფი. პოემის ეპილოგი ასეთ სახეს მიიღებს:

მიერ ჟამითგან გაისმა სპარსეთს ამბავი მათიო,
შეამკეს მოშაირეთა იგ ბროლ-ვარდ-მინა სათიო,
დაკარგა კრულმან სოფელმან იგი მზის მგზავნი მნათიო,
სულს უჯობს ამა ლაყაფსა ვილოცო, ღამე ვათიო (249).

უწყის ღმერთმან ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთაგან მომესმინა,
ეაქე ძოწი, მარგალიტი, გაურივე ბროლსა მინა,
ვინ მოკიცხა სარო ნორჩი, ედემს ალვა გამიჩინა,
მეშინიან უგუნურთა, ეა, თუ სიბრძნე წამიხდინა (250).

იგ პირველ და უსაბამო, განგებოთ დასაბამობლი.
ჩვენ უკვდავება შეგვემოსე, შენ ჩვენის ხორციოთ გვაშობლი,
ქვე კაცად იხილევბოლი, ზე ნათლად...და უღამობლი,
ოდეს მოხვიდე განკითხვად, ჩვენთვის ნუ შემარისხანობლი (251).

სიტყვათა შეთხზნვა—შეკაზმვა მელექსეს ჰმართებს, მგონია,
თვარ უწყის ღმერთმან—უსმენლად არა რა მომიგონია,
თქმა სჯობს, ვინ ენა რიტორობს, ჰქონდეს მახვილი გონია,
უცხო, ტკბილ ბრძენთა ამბავთა ვერც ვარდი სჯობდეს, მგონ ია (270).

ჩვენს ამ ვარაუდს ნაწილობრივ მხარს უმაგრებს ხელნაწერთა მონაცემებიც. H 461 ხელნაწერში 249-ე—250-ე და ზოგ სხვა ხელნაწერში (S 3693, S 1517, H 59, S 2694, S 1511, A 790) 250-ე სტროფი გადა-

ტანილია ბოლოს, ოღონდ დასახელებულ ხელნაწერებში არ არის 251-ე სტროფი.

ამრიგად, ამ ხელნაწერების მადრეკილება აშკარაა. ეს სტროფები გადატანილია ნაწარმოების დასასრულს. ჩვენ უფლებას ვაძლევთ თავს 249, 250, 251 სტროფები ნაწარმოების ეპილოგში გადავიტანოთ და დავიცვათ პოემის აგებულების ტრადიციული პრინციპი. ეპილოგის ოთხივე სტროფის (249—251, 270) ერთად განხილვისას გამოიყოფა ისეთივე საკითხები, რომლებსაც თეიმურაზი აყალიბებს პროლოგში. ეპილოგშიც პოეტი გვიცხადებს, რომ „ყველა ვთარგმნე, რაც სპარსთაგან მომემინაო“ და „უსმენლად არა რა მომიგონაო“. ეს ორი ფრაზა იმას უნდა გვიდასტურებდეს, რომ თეიმურაზს სიუჟეტური მომენტები თვით არ მოუგონია და სპარსთაგან მოსმენილისათვის არც არაფერი დაუკლია.

2. „იოსებზილიხანიანი“

„იოსებზილიხანიანს“ არჩილი 1629—33 წლებს შორის დაწერილ ნაწარმოებთა შორის ასახელებს, მაგრამ ეს პოემა ცოტა ადრე უნდა იყოს შეთხზული, რამდენადაც თეათინელი მისიონერები, რომლებიც 1628 წლის 14 დეკემბერს მოვიდნენ გორში და მალე შეხვდნენ თეიმურაზ მეფეს, პირველივე წერილში სწერდნენ რომის პაპს თეიმურაზის შესახებ: იგი „საუკეთესო პოეტია, რადგან შეადგინა ისტორია იოსებისაო“³⁵.

პოემის პროლოგში ღვთის ქებისა და სასულიერო და საერო მწერლობის შესახებ საუბრის შემდეგ (ამაზე ქვემოთ) პოეტი მიჯნურთა ამბებს გვიამბობს: ვეფხისტყაოსანს, „ვისრამიანს“, შემდეგ 29-ე სტროფს უძღვნის თავისი ნაწარმოების გმირებსა და სიუჟეტის წყაროს საკითხს.

მიჯნურთ ამბავი შემოკრბა ამ წიგნსა ჩემგან თქმულებსა,
უსუფ-ზილიხანც ვახსენოთ, ნურცა მათ ვატყენთ გულებსა,
შეუთხზნათ ლექსთა ყვაილი, ვერ ენახავთ დანასულებსა,
ქართულად ვიტყვი ყოველსა ამბავსა მე სპარსულებსა (29).

ამრიგად, პოეტი დაინტერესებულია იოსებისა და ზილიხანს მიჯნურობის ამბით, აპირებს „შეუთხზნას ლექსთა ყვაილი“ და განმარტავს, რომ ქართულად იტყვის სპარსულ ამბავს.

³⁵ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 102.

„იოსებზილიხანიანის“ ეპილოგს განეკუთვნება ოთხი სტროფი: 308, 309, 310, 311, რომელთაგან ორი ეხება სიუჟეტის წყაროს საკითხს.

მას საქმესა საღმრთო წიგნი მოკლედ ამბობს—დაბადება, სპარსთ ვალექსეს ტებილად რამე, რა ბრალია ჩალაგებმა რაც მათ ეთქვა, მე ის ვთარგმნე, ხოტბა იყო თუ.ლაყებმა, არას მარგებს საუენოს, ეამე, სული მებრალემა (308).

გათავდა მათი ამბავი, პირველ სპარსთაგან თქმულია, ჩვენ უწერთნელისა ნალვაწი, ქართულად გათარგმნულია, ენა დაეაშვრე და პირი, ვარდი ეყარე და სულ ია, ეინცა არ ისმენთ, ნუ იწყენთ, ეერა ხართ ცნობა სრულია (309).

ამ სტროფში თეიმურაზი მიუთითებს, რომ იოსებისა და ზილიხანიანის ამბავს მოკლედ საღმრთო წერილი მოგვეთხრობს, სპარსელებს ტებილად გაუღექსავთ და, რაც მათ თქვეს, მეც ის ვთარგმნეო. იგივე მეორდება 309-ე სტროფში — „გათავდა მათი ამბავი, პირველ სპარსთაგან თქმულია“ და ჩემს მიერ „ქართულად გათარგმნულია“.

ქართულ ენაზე „იოსებზილიხანიანის“ ორი ვერსიია შემონახული: ანონიმური და თეიმურაზისეული. როგორც თეიმურაზიც მიუთითებს „იოსებზილიხანიანის“ სიუჟეტი ჭერ კიდევ ბიბლიაში გვაქვს, მასვე ეძღვნება ყურანის მე-12 სურა. სპარსულ ლიტერატურაში იგი პირველად დაამუშავა ფირდოუსიმ, მეორე პოეტი, რომელმაც აგრეთვე დაწერა „იოსებზილიხანიანი“, არის აბდურაჰმან ჯამი. მათ ჰყოლიათ მიმბაძველებიც. კ. კეკელიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ „იოსებზილიხანიანის“ ანონიმური ვერსია ჯამის ვერსიიდან მომდინარეობს³⁹. გ. ჯაკობიამ შეადარა ანონიმური ვერსია და ჯამის ვერსია და დაადასტურა ეს ვარაუდი⁴⁰. ჯამისა და მისი მიმბაძველობის ნაწარმოებები შეისწავლა ალ. გვახარია და გამოთქვა მოსაზრება, რომ ანონიმური ვერსია ჯამის მიმბაძველების ვერსიიდან უნდა მომდინარეობდეს⁴¹. რაც შეეხება თეიმურაზისეულ ვერსიას, გ. ჯაკობიას იგი მიაჩნია „ცნობილი ბიბლიური გადმოცემის დამოუკიდებელ რედაქციად, თავისებურ ვარიანტად“⁴². ზემოთ დასახელებულ ეპილოგის სტროფებზე დაყრდნობით კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ „თეიმურ-

³⁹ ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა, ჟურნ. „მნათობი“, 1931, № 7—8, გვ. 152, შენ. 1.

⁴⁰ დასახელებული ნაშრომი, გვ. 250.

⁴¹ იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1958, გვ. 142.

⁴² დასახელებული ნაშრომი, გვ. 243.

რაზმა მოგვცა არა თარგმანი, თუ გინდ ისეთი გაგებით, როგორც ეს გააქვს I რედაქციაში, არამედ თავისებური კომბინაცია ბიბლიური ეპიზოდისა და მისთვის ცნობილი აღმოსავლური ვერსიებისა. თავის წყაროს ის ზოგადად თვითონ ასახელებს⁴³. აქვე მკვლევარი იმოწმებს ოეჩურაზის სიტყვებს „მე თვით ვწერ, ვიტყვი...“, მოაქვს არჩილის მოწმობა „განმარტვითა ვთქვი ქართულად თქმული სპარსთ არაკობისა“ და ასკვნის: ე. ი. მას სიტყვაპიტყვით კი არ გადმოოუცია თავისი წყაროები, არამედ „განმარტვით“, ნაშასადამე. თავისებურებების შეტანით⁴⁴. აჰ თავისებურებებად კ. კეკელიძეს მიაჩნია ქრისტიანული ელემენტები, სურათები და შედარებანი ვეფხისტყაოსნიდან. მართლაც, ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების იმ მხარეს, რომელიც აშკარად თეიმურაზის წვლილად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ესაა პოემის მხატვრული აქსესუარი, ქრისტიანული ტენდენცია, მისი ზოგი მოტივი, პროლოგ-ეპილოგი და ზოგიერთი ეპიზოდიც კი. ს. ცაიშვილმა მჩუთითა, რომ „იოსებზილიხანის“ ერთი ეპიზოდი (ზილიხას მიერ ხათუნების ცალკე გაწვევა) ნათესაობას აშუქავს ფატმანის მიერ ხათუნების ბაღში გაწვევის ეპიზოდთან⁴⁵. ნოვიტანოთ ამ ეპიზოდის პარალელური ტექსტი:

ვეფხისტყაოსანი

იოსებზილიხანიანი

ბაღსა შიგან თამაშობად საღამოსა გავე
 ეამსა,
 გაეიტანე ხათუნები,—მათა კმევა ჩემგან
 ხამსა,—
 მომყვებოდეს მომღერალნი, იტყოდინ
 ტკბილსა ხმასა,
 ვიმღერდი და ვემაწვილობდი, ვიკვალე-
 ბდი რიდე თმასა.
 (საიუბ. 1113)

ბაღსა შიგან ლხინად მსხდომთა სუფრა
 წინა გაეშალა,
 რა მიადგა შექი მზისა, ეარღი სრულად
 გაეშალა.
 ყელსა ბროლსა ყორნის ბოლო მრავალ-
 კეცად გაეშალა;
 მე ეთ სრულყო ქება მათი—ბრძენთა
 ქუა აეშალა (122)

იქ ბაღსა შიგან ტურფანი სახლნი,
 ნატიფად გებულნი
 მაღალნი, ყოვლგნით მხედველნი, ზღუას
 ზედა წაკიდებულნი,
 მუნ შეეიტანენ ხათუნნი იგი, ჩემთანა
 ხლებულნი,
 კელა დავიღევით ნადიმი დაესხედით
 ამოდ შეებულნი.
 (საიუბ. 1114)

მათ მნათობთა სიტურფემან დააშეენა
 ბაღი, ბაღჩა,
 უჩობდა, თუ მათ ყვაილთა მისი ფერი
 გარდენალჩა,
 მათზე შეერბა სრულ ბულბულნი, ეარღს
 მიჯნური აღარ შერჩა
 ეინა იგი ვგრე შექმნა ოსტატსამეა ხელი
 შერჩა! (123)

⁴³ ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1958, გვ. 378.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1966, გვ. 53.

მან ხათუნნი წაიტანა, გეშტ—სასერნოდ
წაეყარა,
ნახა, ძეწნად გარდაიქცა, ალვა მორცკა,
წაეყარა,
სადაც გავლო, გასურნელდა, მუშკ-ამბარი
წაეყარა
მეტრიბთა და მომღერალთა ლხინზედ
ხელი წაეყარა (124).

სახლი იდგა ბალსა შუა, ტურფად რამე
ანაგები,
ოქროს მელნით დაწერილი ქვეშე სტავრა
დანაგები,
სანოვაგე მრავალფერი, ლალს თეფშზედ
დანაგები
მისთა მკერეტთა გული გახდეს ლახვარ-
ზედა დანაგები (125).

ჩვენ „იოსებზილიხანიანზე“ რუსთველის გავლენის ბევრი მაგალითი გამოვავლინეთ ნაშრომში „რუსთველის გავლენა თეიმურაზ პირველის პოეზიაზე“⁴⁶. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისათვის, რომ თეიმურაზისეული „იოსებზილიხანიანი“ გადმოკეთებულად ჩავთვალოთ, თუმცა სპარსული წყაროების არსებობას თეიმურაზი ადასტურებს. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა თეიმურაზისა და ანონიმური „იოსებზილიხანიანის“ ურთიერთმიმართების საკითხი. ანონიმური ვერსია წინ უსწრებს თეიმურაზის ვერსიას. კ. კეკელიძის აზრით, მე-17 საუკუნის I მეოთხედზე აღრინდელი არ არის⁴⁷, ალ. გვახარია კი ანონიმურ ვერსიას მე-16 საუკუნის შუა წლებით ათარიღებს⁴⁸. ალ. გვახარიამ მიუთითა, რომ თეიმურაზის ვერსიას, რომელიც ძირითადად არსებითად განსხვავდება ანონიმის ვერსიისაგან, „ბაზიყას ეპიზოდში დაუტყავს ზოგი ანონიმური ვერსიის ანალოგიური დეტალი“⁴⁹. ალ. გვახარია განიხილავს ორივე ვერსიის ამ ეპიზოდს და მიუთითებს, რომ მთელი ბაზიყას ამბავი, ნაბდის ქოხის, იოსების ხელით ბაზიყასათვის საკმელის გაგზავნის დეტალები, ბაზიყას სიკვდილი, ბებიისაგან დატირება და ა. შ. საერთოა ორივე ვერსიისათვის. აქედან კი მკვლევარს გამოაქვს დასკვნა: „ან თეიმუ-

⁴⁶ მაღნე, 1970, № 1, გვ. 145—164.

⁴⁷ ქათული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1958, გვ. 381.

⁴⁸ იოსებზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1958, გვ. 144.

⁴⁹ იქვე, გვ. 138.

რაზი ამ ეპიზოდს უცნობისეული ვერსიის მიხედვით თხზავდა, ან მას ხელთ ჰქონია ისეთი სპარსული წყარო, რომელსაც შემოუნახავს ზემოაღნიშნული დეტალები“⁵⁰.

პირველი და საყურადღებო დებულება ალ. გეახარიამ მოხსნა კ. კეკელიძის შეხედულების („ისეთი მცოდნე ქართული მწერლობისა, როგორც იყო თეიმურაზ პირველი ამ თხზულებას არ იცნობს. ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება თვით მისი რედაქციის მონაცემებიდან“⁵¹) გათვალისწინების შედეგად და დაასკვნა, რომ „უცნობისეული გადმოცემა ბაზიყას ეპიზოდისა არ წარმოადგენს მისი ფანტაზიის ნაყოფს, არამედ ეყრდნობა რომელიღაც სპარსულ ლიტერატურულ წყაროს და ეს წყარო არ არის ჯამი“⁵². ბაზიყას ეპიზოდის მიმართ ეს დასკვნა, ვინ იცის, შეიძლება მართებულიც იყოს, მაგრამ ჩვენთვის მაინც უფრო საყურადღებოა პირველი ვარაუდი („ან თეიმურაზი ამ ეპიზოდს უცნობისეული ვერსიის მიხედვით თხზავდა...“) და აქედან გამომდინარე განზოგადებული დასკვნა—ხომ არ იცნობდა თეიმურაზი ანონიმურ ვერსიას?

აღორძინების ხანის ძეგლებზე ვეფხისტყაოსნის გავლენის შესწავლას დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია ვეფხისტყაოსნის 34-ე სტროფის: „მეფემან უხმნა||მეფემან იხმნა ვაზირნი...“—გავლენით შექნილმა სტრიქონებმა.

მეფემან იხმნა ვეზირნი და მკურნალები სრულია
(ანონიმური ვერსია, 25, 1).

მეფემან იხმნა აქიმი უსჩივლა საქმე მთავრისა.
(თეიმურაზისეული, 62, 1).

ამ სიტყვებითაა გადმოცემული „იოსებზილიხანიანში“ შემდეგი ადგილი: ზილიხანმა იოსები სიზმარში ნახა, ავად გახდა და მეფემ ექიმები იხმო. აქვე მოტანილი თეიმურაზის სტრიქონიც თეიმურაზისეული „იოსებზილიხანიანის“ შესატყვის ადგილას იკითხება. მსგავსი მაგალითი სხვადასხვა.

აჟ ამას ვარჩევ, გაზრდილო: სახლი ავაგო ასეთი.
(ანონიმური ვერსია, 420, 1).

მე ამას ვარჩევ, მეფეო: კოშკი ვაშენოთ გებულად.
(თეიმურაზისეული, 250, 1).

⁵⁰ ალ. გეახარია, დასახელებული წიგნი, გვ. 139.

⁵¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1958, გვ. 379.

⁵² ალ. გეახარია, დასახელებული წიგნი, გვ. 140.

ნაშრომში „ვეფხისტყაოსანი“ და „ოსებზილიხანიანის“ ანონიმური ვერსია“, ჩვენ ვწერდით: „ორივე ავტორს რუსთველური გამოთქმა (115.1—„მე ამას ვარჩევ: მეფე ხარ, მეფეთა ზედა მფლობელი“), გამოიყენებოდა და ორივეგან ეს გამოთქმა აშენებას უკავშირდება. პირველი შემთხვევისაგან განსხვავებით შინაარსეულად ეს სტრიქონები სხვადასხვა ეპიზოდს უკავშირდება, თუმცა ფაქტიურად ერთმანეთის გამეორებას წარმოადგენენ. ხომ არ მიუთითებს ეს ფაქტი იმაზე, რომ თეიმურაზ პირველი იცნობდა „ოსებზილიხანიანის“ ანონიმურ ვერსიას?“⁵³.

ჩვენს მიერ სიფრთხილით გამოთქმულ ამ მოსაზრებას კიდევ ერთი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური შეხვედრის მაგალითი გვინდა დაუმატოთ.

ტაშტი, წუმწემა ხელთ მისცა ტერფათა ხელთა საბანი

(ანონიმური ვერსია, 476, 1).

ხელთ ეპირა ტაშტი-წუმწემა, ოსებცა შემოვდა

(თეიმურაზისეული, 139, 1).

ამრიგად, „ოსებზილიხანიანის“ პროლოგ-ეპილოგის განხილვასაც სიუჟეტის წყაროს გარკვევის თვალსაზრისით იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თეიმურაზი შესაძლოა სარგებლობდა სპარსული წერილობითი წყაროებით („რაც მათ ეთქვათ, მეც ის ვთარგმნე, ხოტბა იყო თუ ლაყბება“), მაგრამ ერთგვარად აქართულებდა პროლოგ-ეპილოგით. ლირიკული წიაღსგლებით და მხატვრული აქსესუარით. ამიტომ ბუნებრივად ისმის მე-4 სტროფის განცხადება „მე თვით ვწერ, ვიტყვი...“ და არჩილის მიერ თეიმურაზის პირით ნათქვამი სიტყვები: „განმარტვითა ვთქვი ქართულად, თქმული სპარსთ არაკობისა“.

3. „პარღოლბულიანი“

„ვარდბულბულიანი“ თეიმურაზს დაუწერია რაჭაში ყოფნის დროს, 1649—1656 წლებში. ვარდისა და ბულბულის ამბავი საქართველოში ადრევე ყოფილა ცნობილი. ამას ადასტურებს ვეფხისტყაოსანი (1074, 3; 1242, 4), ალორძინების ხანაში კი „ოსებზილიხანიანის“ ანონიმური ვერსია. ერთგან ბაზიყა ამბობს:

⁵³ ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, VII—VIII, 1976, გვ. 156.

არ იცი მიჯნურობითა, დაო, რა კირში ჩაეარდი,
როშენეან მეფის ასული მისრეთსა რადა მოეარდი,
ანუ როგორცა ვირჯები ბულბულისაგან მე ვარდი?
პატრონი ცუდად გარჯილხარ, შენ თუ ამისთვი მოეარდი! (294).

გვხვდება ვარდისა და ბულბულის მოხსენიება თეიმურაზის „იო-
სებზილიხანიანშიც“. ზილიხანი ბაზიყას შესახებ ამბობს:

თქვა:—რაყი თი მყოლებო, მეგონა, თუ, მარტო ვარ-და
უალეკსამან საყვარლად, იგთავმდაბლად დაუეარდა,
—ჩვენ გაგვხადა მან ბულბულად, მგონი იგი გაგვიეარდა.
აწ მოვიდეს სამსახურად—იოსებცა შემოეარდა (173).

ბაზიყამ რომ ზილიხანისაგან იოსების დათმობაზე უარი მიიღო,
შერბნა სამკაული, უხეშო ტანსაცმლით შეიმოსა და სოფელს გაე-
ცალა. გამზრდელა ბებია მოსთქვამდა:

მოსთქვამს:—შეილო, საყვარელო, კარგსა თავსა რა უყავ-და,
რად მოგბულდა სინათლენი, რომე შვესა გაუყავ-და
ლაწუთა შენთა უტურფესი, მითხარ, ედემს რა უყავ-და!
შენ დასქენები რად-ლა?—ჰხმობენ: ვარდს ბულბული ვაუყავ-და (186)⁶¹.

⁶¹ ამ სტროფის მე-3—4 სტრიქონების სარიტმი სიტყვები ჩვენ მიერ არის გას-
წორებული. თეიმურაზის თხზულებათა გამოცემაში იყითხება.

ლაწუთა შენთა უტურფესი, მითხარ ედემს რა უყავ-და!

შენ დასქენები, რად-ლა!—ჰხმობენ: ბულბულს ვარდი ვაუყავ-და.

ამ სახით სტროფის მაქამურობის პრეტენზია აქვს (რა უყავ-და, გაუყავ-და, რა უყავ-და გა-
უყავ-და), ორ-ორ სტრიქონში ერთი და იგივე ბგერათა კომპლექსებია. თეიმურაზის პოე-
მაში არის შემთხვევები, როდესაც სტროფში ორ ან სამ სტრიქონშია რითმა მაქამური და
არა ოთხივეში. თუ ამ სტროფშიც სარიტმი სიტყვებს მაქამურად გავიგებთ, მაშინ წესის
თანახმად მათ განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ, თუმცაღა, აქვე უნდა
შევიწინოთ, რომ არც ამ წესს იცავს თეიმურაზი ზუსტად. მის შაქამებში არაერთგზის
გვხვდება სარიტმი სიტყვები ერთისა და იმავე მნიშვნელობით. ტრადიციული წაკითხ-
ვით ნათელი არ არის მესამე და მეოთხე სტრიქონის შინაარსი. მეოთხე სტრიქონში
დასახელებული „ბულბული“ და „ვარდი“ თეიმურაზისათვის ჩვეულებრივი მეტაფო-
რებია. ბულბული „ბაზიყას“—უიმედო მიჯნურის მეტაფორული სახეა, „ვარდი“
იოსების მეტაფორაა, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „ბულბულს ვარდი ვაუყავ-და“ ან-
კარაა ასეთი წაკითხვა მართებული არ არის. სწორი წაკითხვაა: „ვარდს ბულბული ვაუ-
ყავ-და“, რომელსაც ადასტურებენ შემდეგი ხელნაწერები: S 403, H 461, S 3693,
S 2676/6 S 1547, S 4529. სტრიქონი ნიშნავს: შენ რისთვის დასქენები? ამბობენ
ვარდს ბულბული ვაუყავ-და, ყვავად ექვა. ივარაუდება იოსებს (ვარდს) ბაზიყა
(ბულბული) ყვავად ექვა, რადგან ბაზიყამ ყველაფერი მიატოვა და თავი სასიკვდილოდ
გაწირა. სამი ხელნაწერი S 403, S 3693, S 2676/6 საშუალებას იძლევა მესამე სტრი-
ქონიც გასწორდეს: „ლაწუთა შენთა უტურფესი, მითხარ, ედემს რა უყავ-და“. რაც
ნიშნავს, შენს ლაწუთებზე უკეთესი, მითხარ, ედემში რა ჰყავოდა („რა უყავ-და“).

ამრიგად, მესამე და მეოთხე სტრიქონთა სარიტმი სიტყვების გასწორებამ სტრო-
ფი აზრიანი და ნათელი გახადა.

ამბიგვალ, ვარდისა და ბულბულის ამბით დაინტერესება თეიმურაზთან აღრეც შეინიშნება. თუ „ვარდბულბულიანის“ შესავალს მივაქცევთ ყურადღებას, ვნახავთ, რომ ვარდისა და ბულბულის გაბჰობა ბევრს უნდა ჰქონოდა გავონილი. მაგრამ, თეიმურაზის თქმით, ჩანს, ისეთებიც იყვნენ, რომელთაც არ გავგონათ. სწორედ ასეთების საამებლად დაუწერია პოეტს თავისი „ვარდბულბულიანი“.

ვარდისა და ბულბულისა ვის გაბჰობა არ ასმოდეს,
მას იამოს ეს ამბავი, თუ ვისთვისმე ხელი რბოდეს:
ვის მახელი გულად ედვას, ცრემლთა ნაცვლად სისხლი სწოდეს,
იგ უცილოდ წადიერად ყურსა სმენად მიუპყრობდეს (5).

და აქვეა მითითება სიუჟეტის წყაროზე:

გააუბნა ერთმანერთსა მოლა აჰამ ბრძენთა-ბრძენმან
ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული სიტყვა ტბილი, ენა გრძელმან.
(6, 1—2)

ანას ერთვის ცნობა:

შევიწო ძალი ღვთისა მე დავიწო თარგმანობა (7, 1).

ეპილოგში თეიმურაზი ზოგადად აცხადებს: „რაც მასმოდა მათგან, მეც ვთქვი...“ გ. ჯაკობია განიხილავს თეიმურაზის ზემოთ დასახელებულ სტრიქონებს და იმ აზრს ავითარებს, რომ „პოეტს შეეძლო სმენოდა ვარდისა და ბულბულის ამბავი უცხო წყაროდან და თვითონ დამოუკიდებლივ დაემუშავებინა თემა“⁵⁵. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება თეიმურაზის სიტყვები „მე დავიწო თარგმანობა“. გ. ჯაკობია მიუთითებს ხელნ. S 403-ზე, რომელშიც იკითხება: „... მე დავიწო თარგმან მბობა“. ჩვენ დავუმატებთ, რომ არა მარტო S 403-ში, არამედ სტრიქონი ასე იკითხება სხვა ხელნაწერებშიც. S 1511, H 59, S 1103, S 342, H 1020, H 773. მოლა-აჰას დამომწმებელი სტრიქონის ცნობაც არ მიაჩნია გ. ჯაკობიას დამაჯერებლად. მისი აზრით, შეიძლება მოლა აჰამ მართლაც გააუბნა ერთმანეთს ვარდი და ბულბული და ეს თეიმურაზმა იცოდა, მაგრამ მან ეგების დამოუკიდებლად დაამუშავაო. „გარკვევით არ ჩანს, რომ მას ვილაც მოლა აჰადან ეთარგმნოს ეს ნაწარმოები“⁵⁶. გ. ჯაკობია მიუთითებს ამ სახელის წარყვნილ ფორმებზე ხელნაწერებში, ოღონდ ხელნაწერებს არ ასახელებს. ჩვენ ზუსტად შეგვიძლია დავასახელოთ ხელნა-

⁵⁵ დასახელებული ნაშრომი, გვ. 273.

⁵⁶ იქვე.

წერებში დადასტურებული ფორმები: მოლა ჯამი—S 403, H 59, S 1103, S 342, H 1020, A 860. მოლა ჯამმა—A 1605, მოლა აჯამან—S 2676/ბ, S 4799, მოლა აჯამ—S 1511, A 593, H 773. მოლა პაჯი—S 1537, მოლა პაჯამ—H 222, მოლა აჯამ—A 1735, S 3706, S 1508, S 3723, S 2305, S 2442, A 1432, ც. 290. გ. ჯაკობია გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა აქ საქმე გეგონდეს მოუღენა ჯამის სახელის წარყვნილ ფორმასთან და ასკენის „ასეთ შემთხვევაში ცნობა სინამდვილეს აღარ შეეფერება, ვინაიდან ცნობილია, რომ ჯამის ასეთი ნაწარმოები არა აქვს“⁵⁷. ამ მასალების საფუძველზე გ. ჯაკობია თეიმურაზს თვლის „ვარდბულბულიანის“ ავტორად, ხოლო მისი აზრით, ეს მიკიბულ—მოკიბული ცნობები სპირდებოდა ექვების გასაფანტავად, იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ავტორობა ამ პოემისა, რათა აერიდებინა ღვთის წყრომა „ცულ საქმეზედ სიტყვის გარჯილობისთვის“.

ზეწოთ დასახელებული პროლოგისა და ეპილოგის ცნობები კ. ქველიძეს აძლევს საფუძველს დაასკვნას, რომ „ვარდბულბულიანი“ იმდენად თარგმანი არაა, რამდენადაც თავისებური გადმოკეთებაა.

არსებული მასალის საფუძველზე გადაჭრით რაიმე დასკვნის გამოტანა შესაძლებელი არ არის. ფაქტი ერთია, „ვარდბულბულიანის“ დედანი სპარსულ ლიტერატურაში მიგნებული არ არის. თეიმურაზი ნაწარმოების პროლოგსა და ეპილოგში თარგმანზეც ლაპარაკობს და მონასმენის თქმაზეც. იმასაც ადასტურებს, შეიძლება არა ერთი პოეტის ნაწარმოები მოესმინოს ვარდისა და ბულბულის შესახებ: „რაც მასმოდა მათგან, მეც ვთქვი...“, ყოველივე ამის შემდეგ ჩვენთვის სწორედ ის პასაჟებია საინტერესო, რომლებსაც თვით თეიმურაზის ორიგინალური პოეტური შემოქმედებებს ბეჭედი აზის. მთელ რიგ საკითხებს, როგორცაა ზოგი იდეოლოგიური თავისებურება, მაგალითად, ქრისტიანული ნაკადი სპარსულიდან გადმოღებულ ძეგლებში, სოფლის სიმუხთლის თემად და სხვ. — ჩვენ ცალკე განვიხილავთ ოთხივე თარგმანთან დაკავშირებით, აქ კი რამდენიმე ამ თვალსაზრისით საინტერესო მომენტზე შევჩერდებით, რაც „ვარდბულბულიანში“ გამოიყოფა.

სიუჟეტის წყაროზე ცნობის მოცემის შემდეგ თეიმურაზი გვეუბნება: „გაზაფხულზე დაიწყების აწინდელი სიტყვის თხრობა“ (7,2), როცა ქვეყანაზე სიტბო მყარდება და ფრინველები საამო ხმა-

⁵⁷ დასახელებული ნაშრომი, გვ. 273.

⁵⁸ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 557.

ზე აქტიურობებიანო. ამრიგად, ამ ცნობებიდან დასტურდება. რომ თეიმურაზი გაზაფხულზე ქმნის ვარდისა და ბულბულის შესახებ ნაწარმოებს. ამას პოეტისათვის გაზაფხულის აღწერის შესანიშნავი პოეტური აღმაფრენით საესე სურათი დაუხატვინებია: ლელვისაგან დაწყნარდა ზღვა, ნაზი ქარებით შეიცვალა მისი შფოთიანი ლელვა, გამწყარალის გულივით დამშვიდდა, ყინვა ცვალივით დადნა, ხეებმა შემოსვა დაიწყეს, შეცვალა ჰაერი და განაახლა მიწა უზენაესმა ძალამ, რომელიცაა პირველი ხელოვანი, რომლის მაქებარად „გამოჩნდების ნიაბზე რა“. პოეტი თვით აპირებს ამ პირველი ხელოვანის ქებას და ფიქრობს, რომ არ თუ ცუდად: „გამოსინჯეთ ლექს-ქართული, ერთმანერთსა მოვაბე რა“ (9,4), შემდეგ კი გვეუბნება, რომ მის დიდ ძალას ემორჩილება თვით ბუნება. ესაა „იგ ოსტატი ხელოვანი“, ვინც „პირველ იყო განა ახლა“ და რომელმაც

ქარი, მრწა, ცეცხლი, წყალი, ერთმანერთსა თან აახლა
ცა ყინვაზე, მიწა წყალზე აღრიდგანე დასახლა (10,3—4).

რგია ლმერთი, შემოქმედი, რომელიც უნდა ადიდოს პირველყოვლისა პოეტმა: „ჭერ ვადიდო, რაც ძალ მედვას, შემოქმედი მისგან ქმნილმან“ (13,1). აქვე თეიმურაზს გაზაფხულზე გაცოცხლებული ბუნების შესანიშნავი სურათი დაუხატავს. ბუნებაში მომხდარ ცვლილებებს მასზეც უმოქმედია. მიუცაა ძალა, რომ სიტყვა „ახალასოს, წმინდად ვერცხლოს“ და მერცხალივით აუქიკიკებია.

გაზაფხულის წვიმამ ხმირმან ჟანგიანი მიწა რეცხოს,
ხენი ხილთა გამოძლებად მდგომილი დაიკერცხოს,
ამაუბნა კიკიკითა—ლამის მეცა გამამრეცხოს
მელექსემან ხაშს თუ სიტყვა ახალასოს, წმინდად ვერცხლოს (11).

ვითა ტურფა ახალ-რძალი საწუროსა დანაზრობდა,
წყლისა პირსა ალვა ნორჩი ტურფად რასმე ტანად ზრობდა.
ყუაერნი და მწიანე მოლნი თავსა მწით დანაზრობდა,
მზისა შექთა მომლოდნელი იგ არვისგან დანაზრობდა (12).

ამრიგად, ბუნების ეს ულამაზესი სურათი ექვემოთნადად თეიმურაზის ორიგინალურ შემოქმედებად უნდა ჩავთვალოთ. რასაკვირველია, თუ პოემა თარგმანია, გამორიცხული არაა, რომ ლედანიც გაზაფხულის აღწერით დაწყებულიყო, რადგან ვარდისა და ბულბულის ამბავი საერთოდ გაზაფხულზე ხდება, მაგრამ ამ მონაკვეთის მსატერული მხარე, მისი პოეტიკა, ბუნების ამ შესანიშნავი დროის სილამაზის შემქმნელად შემოქმედის დასახელება და მონაკვეთის დასასრულს ძველი ქართული მწერლობიდან ამოღებული ფრაზა („აწ

მოვიქცე პირველსავე ამბავზედან სიტყვა-მცირემან—13,3) ამ მონაკვეთს თეიმურაზის ორიგინალური შემოქმედების უტყუარ ბეჭედს ასვამს. ეგებ უგულვებელსაყოფი არ იყოს ის გარემოებაც, რომ „ვარდ-ბულბულიანი“ შეიქმნა 1640—56 წლებში რაჭაში. ამ დროსვე დაიწერა თეიმურაზის ორიგინალური ნაწარმოები „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, რომელში დახატული გაზაფხულის სახეც ეხმაურება „ვარდბულბულიანის“ ამ ეპიზოდს. შესაძარებლად მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

გაზაფხულის წვიმამ ხშირმან ეანგიანი მიწა რეცხოს (ვ. ბ. II, 1).

ჩემს ჟამშიგან გაირცხების ჟანგიანი მიწა-რეცხა (შედ. 24, 1).

ყუელითა აივსების სავსე თასი, კიქა, შინა (შედ. 24, 3).

ყუელინი და მწუანე მოლნი თაესა მიწით დანაზრობდა (ვ. ბ. II, 3).

გაზაფხულის ღირსების მაჩვენებელი ერთი და იგივე მოტივი.

ხენი ხილთა გამომღებლად მდგომილი დაიყვარცხოს (ვ. ბ. II, 2).

ფრინველნი ყველა მობუდრობს, მხეცნი იქნების ხბოსანი (შედ. 16, 4).

აკიკვიკედების ფრინველნი, ყველა იქნების ხბოსანი (შედ. 16, 1).

ამაუბნა ჭიკჭიკითა, ლამის შცა გამაზრტლოს (ვ. ბ. II, 3).

უკანასკნელი სტრიქონი გულისხმობს: გაზაფხულმა როგორც ფრინველთა აკიკვიკება, ისე პოეტის ამღერებაც გამოიწვია, მერცხალივით შეასხა ფრთები.

ნაწარმოებში ბრძენ ფილოსოფოს რიტორ მოშიარეთა შორის, რომელთაც დაუწერიათ წარდისა და ბულბულის ამბავი, სპარსულთა და ინდოელთა შორის მოხსენიებული არიან ქართველებიც.

ბრძენთა და ფილოსოფოსთა, რიტორთა, მოშიარეთა,

სპარსთა, ინდოთა, ქართველთა-ცნობილთა, არ თუ ვირეთა!—

შენად მიჯნურად დამწერეს ჩემთვის არ დამაძვირეთა,

თუ არ გფერობდი, რისთვის გტყვეს, მათ ვნ ლუჯოს პირღთა? (56).

ამ სტროფში რამდენიმე გარემოებაა ყურადსაღები. ერთი — თეიმურაზი გვაძლევს ცნობას, რომ „ვარდბულბულიანი“ არსებულა სპარსულ და ინდურ ენებზე და მეორე — არა მარტო სპარსულსა და ინდურზე, არამედ ქართულზეც: „სპარსთან, ინდოთა, ქართველთა... შენად მიჯნურად დამწერესო“ — ბულბული ეუბნება წარდს. შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზი „ქართველთაში“ თავის ვერსიას გულისხმობს, მაგრამ ეს ნაკლებადაა სავარაუდებელი,

სტროფი „ვარდბულბულიანის“ შუაშია ჩართული, ჯერ თეიმურაზს არ დაუმთავრებია ვარდისა და ბულბულის ამბავი. ასეთ თვალსაზრისს კიდევ ექნებოდა რაიმე საფუძველი, თუ სტრიქონი პოემის ეპილოგის კუთვნილება ექნებოდა. ჩვენი აზრით, ამ ცნობის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ, რომ თეიმურაზამდეც არსებობდა ჩვენში „ვარდბულბულიანის“ ქართული ვერსია (ან ვერსიები, „ქართველთა“ მრავლობითი რიცხვის ფორმა). ამ მოსაზრებას შეიძლება შემდეგმა სტრიქონმა გაუმავროს საფუძველი: ბულბული ეუბნება ვარდს: „შენც იცი ჩემი ამბავი არ ახალია, ძველია“ (57,1), თუმცა გამორიცხული არაა, რომ ეს სტრიქონი სიუჟეტის სიძველეზე მიუთითებს. თეიმურაზს იმათ საამებლად დაუწერია პოემა „ვარდისა და ბულბულისა ვის გაბჭობა არ ასმოდეს“.

პოემაში თეიმურაზისეული შეიძლება იყოს აგრეთვე „გურჯის დასახელება:

თვალით არას დაეინახავ, შევიქნები უტყვი, მუნჯი,
ვირ არ მოხვალ, მე სოფლისა სიყვარულსა არ ვიუნჯი.
მე ბულბულად ველარ მიცნობს თათარი და ვერცა გურჯი,
სიკვდილისა მონატრესა, მიწა მინდა ერთი ბლუჯი (89).

პოემაში ორიგინალურია (რუსთველური მხატვრული სახეები, რუსთველის ხსენება, რუსთველური მიჯნურობისაკენ მოწოდება:

რუსთველმანც მაქო, შენც იცი, ეკლიანად და ძირადო,
შორს წადი, იყავ მიჯნური, აქ ჩემთან დაიწვი რადო? (73).

4. „შამიფარვანიანი“

არჩილის მოწმობით „შამიფარვანიანიც“ რაჭაში — 1649—56 წლებშია შექმნილი. „გაბაასებაში“ იკითხება:

ვარდს ბულბული გაეუბნე, შემოდგომა გაზაფხულსა,
კვლა სანთელსა პეპელაი, მისგან დამწვარ, დადაგულსა (II, 1049, 1—2).

ჩანს „შამიფარვანიანის“ დაწერა რაჭაში ყოფნის უკანასკნელ წელზე მოდის. კ. კეკელიძე ამის საბუთად ასახელებს „შამიფარვანიანის“ სტროფს, რომელშიც ფარვანა ეუბნება სანთელს:

ვითა ბულბული ვარდისთვის გაქრილი, გახელებული,
შენ სჯობხარ ვარდსა სინათლით, მეტი ხარ, არ თუ კლებული,

ამრიგად, თეიმურაზის თქმით, შამი-ფარვანას ამბავი ამოყ-მაში-
ჯალ სპარსელებს ნოუგონიათ და მათვე უთქვამთ. პოეტი განმარ-
ტავს:

შამი ს'არსულად სწოთელსა ჰქვიან მათისა ენისა,
ფარვანა მისთვის მიჭნურად უთქვამს, გლახ, ცრემლთა ღენითა (18).

თეიმურაზი ასახელებს კიდევ წყაროს ავტორს — სპარსელთა შო-
რის განთქმულ და მელექსეთა შორის ნაქებ ისპაჰანელ პოეტს, რომ-
ლის „ლაყაბთა“ თარგმანის გამო არც მე ვარ დადუმებულთო.

იფიქრა ისპაანელმა, მელექსეთ შიგან ქებულმან,
კაცმან განთქმულმან სპარსთ შიგან, არ ცულად მდ-მოდებულმან
განფინა მისნი სიბრძნენი, იგ უქეს ბრძენთა კრებულმან,
მისთა ლაყაბთა თარგმნითა იგ არც მე დადუმებულმან (19).

თეიმურაზის სიტყვით ეს ისპაჰანელი პოეტი, რომელიც განთქმული
ყოფილა სპარსეთში, არის „ვარდბულბულიანის“ ავტორიც: „ვინც
აქო ვარდი-ბულბულა, შამი-ფარვანაც უქია“ (56.1). მაშასადამე,
პირობითად ისპაჰანელ პოეტად „ვარდბულბულიანში“ დასახელებუ-
ლი მოლა-აჯა უნდა ვიგულისხმოთ. „ვარდბულბულიანა“ და „შამი-
ფარვანიანი“ ერთ პერიოდშია შექმნილი, რაქაში, 1649—56 წლებ-
ში. ჭერ „ვარდბულბულიანი“ დაწერილა, შემდეგ „შამიფარვანიანი“.
აი, დამადასტურებელი სტრიქონები „შამიფარვანიანიდან“:

ვარდს გავაუბნე, გაეაბქე, ბულბული მისთვის ხელები (15, 1).

ვითა ბულბული ვარდისთვის გაქრილი, გახელებული,
შენ სჯობხარ ვარდსა სინათლით. მეტი ხარ, არ თუ კლებული,
ქელბულს მე ვჯობვარ მოჭნურად, გულ უწალოდ ღებულ,
შენისა შექთა და სხივთაგან დამწვარი, დაელებული (54).

ამრიგად, თეიმურაზი შამი-ფარვანას წიგნს თარგმნასა, გადმო-
ლებაზე ლაპარაკობს და წყაროთაც გვისახელებს. ამის მიუხედავად
კ. კეკელიძე შენიშნავს „თარგმანი აქ გულისხმობს არა სიტყვასიტ-
ყვით თარგმანს, არამედ გადმოკეთებას. ეს ჩანს ვრცელი პროლო-
გიდან, სადაც წარმოდგენილია ქრისტიანულ-თეოლოგიური ტრაქ-
ტატი და უმნიშვნელოვანესი ფაქტები ბიბლიური ისტორიისა, აგრეთ-
ვე რელიგიური მოტივებიდან, რომელიც გამოხატულია სანთლის და-
ნიშნულების აღწერაში ღვთაებასადმი, ქრისტესადმი მიმართვაში“⁶⁰.

მართლაც, მაჰმადიანური სამყაროს ამბების აღმწერელი „შამი-
ფარვანიანი“ დიდ ადგილს უთმობს რელიგიურ მოტივებსა და ბიბ-

⁶⁰ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 559.

ლიური ამბების თხრობას, რასაც დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ. აქ წინასწარ ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოველივე ეს, რასაკვირველია, თეიმურაზის წვლილია პოემაში.

„შამიფარვნიანის“ პროლოგში ჩვენს ყურადღებას იქცევს მე-16 სტროფი. მე-15 სტროფში, რომელიც ზემოთაც დავასახელებთ, პოეტი ამბობს:

რაც გამეგონა სპარსთაგან შჯნები ლაყაბიანი,
ამბავი ანუ შარნი სალალობო და წყლიანი,
ლექსი ლექსად ვთქვი, ამბავი არც ყოლ არ დაგავიანი
პირველად სამიჯნურონი, ეთა ვარდი და იანი (14)

ამ სტროფს მოსდევს იმის ახსნა, თუ რა გამეგონა პოეტს სპარსთაგან. დასახელებულია „ვარჯღბულბულიანი“ და „გაზაფხულშემოდგომიანი“. „გაზაფხულშემოდგომიანი“ ნამდვილად ორიგინალური ნაწარმოებია და არ ვარაუდობს სპარსულ დედანს. ზემოთ ჩვენ უკვე მიუთითეთ, რომ სპარსულ ლაყაბიან წიგნებში „გაზაფხულშემოდგომიანი“ დასახელება, რომლის ორიგინალობა ექვს არ იწვევს, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ქანრული თვალსაზრისით თეიმურაზს ის სპარსულად მიაჩნია, მაგრამ, გარდა ამისა, ამ პოემების ერთად დასახელება იმისაც გვაფიქრებინებს, რომ თეიმურაზის მითითება სპარსულ წიგნებზე („წიგნები ლაყაბიანი“, „ხელეკყო წიგნებსა სპარსულსა...“) შეიძლება კონკრეტულ წყაროს არ ვარაუდობდეს, რომ თეიმურაზის მითითებაში იგულისხმებოდეს საერთოდ სპარსული სიუჟეტი, სპარსული წიგნები, რომელიც ამ თემებზე არსებობდა.

5. სასულიერო და საერო ტენდენციათა დაპირისპირება თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებულ პოემაში

თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებული პოემების პროლოგებისა და ეპილოგების ანალიზისას ყურადღებას იქცევს სასულიერო და საერო ტენდენციების დაპირისპირებათა გამოვლენა. ცნობილია, რომ ქართულ მწერლობაში ეს ორი სტილი ადრიდან უპირისპირდებოდა ერთმანეთს. კ. კეკელიძე მიუთითებს ერთ ნათარგმნ თხზულებაზე — „დაბადებისათვის ცისა და ქვეყნისა“, რომელიც ჩვენში უნდა შემოსულიყო მე-11 საუკუნის გაულს, როდესაც საერო მწერლობა საესებით ჩამოყალიბებულად გვევლინება. აქ საერო პოეზია, როგორც „მუსიკობის“ ერთ-ერთი დარგი აღიარებულა ცოლვად, სიძვა-მარუშობად და ღვთის მცნების გარდახდომად. ეს თეორია უმთავრესად სატრფიალო-სამიჯნურო პოეზიის წინააღმდეგაა მიმართული და

აღბათ ასეთი აზრების გავრცელებამ დასაწყისი მისცა იმ შეხედულებას, რომელმაც სატრფიალო-სამიჯნურო პოეზია აღიარა სპარსთა ზღაპრობად და გოგო-ბიჭობად⁶¹. ეს ტენდენცია განსაკუთრებით მძაფრად გამოვლინდა ალორძინების ხანის ლიტერატურაში⁶². ამ ეპოქის მწერლები თეორიულად აღიარებენ სასულიერო მწერლობის უპირატესობას, მაგრამ რამდენადაც ალორძინების ხანის მშობე. პოლიტიკური ვითარებით გამოწვეულ სოციალურ განცდებს სევდის უკუმყრელი „სოფლის მდდმოდებანი“ ეგუებოდა, პრაქტიკულად საერო თემებს მიმართავენ. ამ საერო ხასიათის ნაწარმოებებს ზოგჯერ ნათარგმნსაც კი, სასულიერო ელემენტებით ამკობენ. მათში ძლიერად გაისინის რელიგიური მოტივი, რასაც ერთგვარად საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარებაც განაპირობებდა. ალორძინების ხანაში მკითხველი საზოგადოების საერო მწერლობის ძეგლებით დაინტერესებას ადასტურებს კათოლიკე მისიონერი პატრი ბერნარდე, რომელიც საქართველოში იყო 1670—79 წლებში. „ქართველები, თუმცა კი გონიერნი, კაცთმოყვარენი არიან, ხოლო სულიერ საგნებში კი უსწავლელნი და კათოლიკე სარწმუნოებაზე ბრუნდეთ ჩაგონებულნი და არც უყვართ მოსმენა სწავლა-დარიგებისა. არამედ მიზიდულნი არიან ბეჟანიანისა, ბარამიანისა, როსტომიანისა და მსგავსი წიგნების კითხვაზედ“⁶³. ალორძინების ხანის მწერლები (თეიმურაზ I, არჩილი, ონანა მდივანი—ქობულაშვილი...) ერთხმად აღიარებენ საზოგადოების საერო მწერლობის ძეგლებით გატაცებას და თვითონ ბოდიშს იხდიან საერო თემებზე წერის გამო. ამ მწერალთა შორის ერთი პირველთაგანი არის თეიმურაზ პირველი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს საერო პოეზიის პოპულარობას („რა ეს ლაყაფი შეეკრიბე, ყველა ნახვასა ბედევდა“ — გ. შ. 82,2) და გვამცნობს, რომ, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, საზოგადოება არ ეტანება სასულიერო ხასიათის წიგნებს:

არვის უნდა სახარება, არცა „წიგნი მოციქულთა“

არ გიკვირს, რომ დაიფიწყეს შემოქმედი მისგან ქმნულთა? (გ. შ. 5,1—2).

პოეტი იმაზეც მოუთითებს, რომ

ღრმა რამე ვთქვი—დამკარკა, ივი ვერეის მოვასმინე (გ. შ. 6,3).

⁶¹ კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 16.

⁶² იხ. ამ საკითხზე შე რ ი გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 10—14.

⁶³ მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 682—683.

დალპეს ბევრი სამლო წიგნი მიწაშიგან მოდებული (გ. შ. 4, 4).

ასეთი თვალსაზრისი განსაკუთრებით განუვითარებია თეიმურაზს სპარსულიდან გადმოღებული პოემების პროლოგსა და ეპილოგში, როგორც ვიცით, ეს პოემები სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათისაა და ამდენად „სულიათვის უსარგებლო“. ღრმადმორწმუნე ქრისტიან პოეტს თითქოს ეს შეგნებული აქვს და ერთგვარი თავის მართლება ამითაა განპირობებული. „ლეილმაჯუნისის“ შესავალში გვაცნობებს, რომ სიბრძნე სულის მარგებელი რამაა და მართლაც „უკლებად წერეს მამათა იგი წმინდანი მცნებანი“ (3,2), მაგრამ მას არცინ ესმენს, „არცინ იკითხავს, წიგნებსა შესწყინდეს ცუდად დებანი“ (3,3), ამიტომ მე „სოფლასა მიდ-მოდებანი“ ვარჩიეო.

„იოსებზილიხანიანის“ პროლოგშიც დასტურდება მოზოდიშება საერო თემანე წერის გამო.

ხამდა მეხმინა სიტყვანი, უხრწნელად დანამყარები,
სწაელა საღმრთოთა წერილთა სულისა გამამყარები,
მათ სულიერთა კრებულთა არ დარჩათ დანამცდარები,
მიერიდე, ველარ ვიპოვე ცუდ-მამვრალთანა მარები (7).

თუ ასეა, რატომ არ მიმართა პოეტმა სასულიერო თემატიკას? იგი წერს: „მუნ ვერა ვპოვე სათქმელი-აწ მომამულა ზენამა“ (8,1). არ არის აქ გულწრფელი. მან ალბათ კარგად იცოდა, რომ სათქმელს იპოვიდა სასულიერო მწერლობის ხაზით და კიდევ იპოვა, როცა მეტად მოეძალა რელიგიური განწყობილებანი (გაეიხსენოთ „შიდთა კრებათათვის“ და სხვა), მაგრამ იმ პერიოდში, როცა „იოსებზილიხანიანი“ შეიქმნა, პოეტი გატაცებულია საერო თემებით.

გული მოძღვენ კეკლუტა, ვინებე ვარდი მენამა
ფერი შემატეს ბაგეთა ჩემთა სისხლთაგან სმენამა,
აწ ყური უნდა აწვიენეს ტბილმოუბარმან ენამა (8),—

გვებნება იგი. სპარსთაგან ტბილად გალექსილი ამბების გადმოღებით გატაცებულს ნაწარმოების დასასრულს აგონდება, რომ საუკუნო ცხოვრებაში ეს „ლაყაბი“ არ გამოადგება.

სპარსთ გალექსეს ტბილად რამე, რა ბრალია ჩალაგმება
რაც მათ ეთქვა, მე ის ვთარგმნე, ხობტა იყო, თუ ლაყება,
არას მარგებს საუკუნოს, ვამე. სული მებრალება (3CB).

მიუხედავად ამის შეგნებასა („არას მარგებს საუკუნოს...“) და განცდისა („ვამე, სული მებრალება...“) ღრმადმორწმუნე ქრისტიანი პოეტი გატაცებულია თავის მიერ გადმოღებული პოემების ამბებით და იმათ, ვინც ამ კონკრეტულ შემთხვევაში „იოსებზილიხანიანს“

არ ისმენს, „ცნობა უსრულს“ ეძახის: „ვინცა არ ისმენთ, ნუ იწყენთ, ვერა ხართ ცნობა სრულია“ (309.4). პოეტი გამოთქვამს შიშს, რომ, ვაი თუ „ცუდის ლაყბით“—საერო ნაწარმოების შექმნით სულს მიაყენა ზიანი. ამ შინაარსის შემცველია „იოსებზილიხანიანის“ 310-ე სტროფი, რომელიც მცირეოდენი ვარიანტული სხვაობის გარდა ზუსტად ემთხვევა „ვარდბულბულიანის“ 95-ე სტროფს.

შენ მომიტევენ სიტყვანი
უ ქ მ ი, არ ნაყოფიანი,
რომელმან ც ი თ ა უწვიმე და
ღარი მიეც მზიანი,
ცოდება ზედან ს უ ლ გ რ ძ ე ლ ე ბ
შერისხვა იცი გვიანი
ვ ა ი მ ე, ც უ დ ი ს ლაყბითა,
თუ სული დაეზიანა
(ვ ბ. 95)

შენ მომიტევენ სიტყვანი
უ ქ მ ი, არ ნაყოფიანი,
რომელმან ც ე რ ი თ ა უწვიმე და
ღარი მიეც მზიანი,
ცოდება ზედან ს უ ლ გ რ ძ ე ლ ო ბ,
შერისხვა იცი გვიანი,
ვ ა მ ე ც უ დ ი ს ა ლაყბითა,
თუ სული დაეზიანა?
(ი ზ. 310)

ჩვენი აზრით, ეს სტროფი ამ ორი პოეტიდან ერთ-ერთის ეპილოგში უნდა დარჩეს. თუ ამ პოემების ეპილოგების შინაარსს გავითვალისწინებთ, იგი „ვარდბულბულიანის“ უკანასკნელი სტროფი უნდა იყოს. „იოსებზილიხანიანში“ უკვე ითქვა, რომ ამ ნაწარმოების შექმნა პოეტის სულისათვის უსარგებლოა: „არას მარგებს საუკუნოს, ვამე, სული მებრალება“. შემდეგ ამას მოსდევს 309-ე სტროფი:

გათვდა მათი ამბავი, პირველ სპარსთაგან თქმულია,
ჩვენ უწვრთელისა ნაღვაწი, ქართულად გათარგმნულია,
ენა დაეწვიე და პირი, ვარდი ეყარე და სულ ია,
ვინცა არ ისმენთ, ნუ იწყენთ, ვერა ხართ ცნობა სრულია.

ამ სტროფს ჩვენი აზრით, ბუნებრივად უნდა მოსდევდეს „იოსებზილიხანიანის“ ბოლო სტროფი, რომელიც ქრისტიანული ღვთის ქებას და მაკმადიანური სალოცავი ადგილების წყევლას შეიცავს⁶⁴.

დასაბამ შენ ხარ უფალო, დასასრულ არსთა დგომამდი,
ჟამ-უკან ქალწულისაგან ჩვენთვის ხორც-შესხმად მოლამდი,
წყუულმც არს ნაჭაფ, ქალბალა, მაქა, მადინა, მოლამდი,
გადილო ერთ ღვთად სამეზით სულისა აღმოქროლამდი (311).

ამრიგად, თეიმურაზი გამოთქვამს შიშს, ვაითუ სულის საზიანოა ეს მისი „ლაყაბი“, „ვარდბულბულიანის“ დასასრულს ის პირდაპირ

⁶⁴ შტრ. მ ე რ ი გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, რუსთველის გაველნა თეიმურაზ პირველის პოეზიაზე, მაენე, 1970, № 6 გვ. 147—148.

გვიცხადებს „მეც მომეწყინა ტყუილი ეს ცუდი გალაცხება“ (92,4). მოხუცი პოეტი გრძნობს, რომ შეიძლება ვინმემ განსაჯოს „ცუდი საქმეზედ“ გარჯისათვის და თავს იმართლებს.

თქვას, თუ ვინმე:—რა არისო ცუდს საქმეზედ სიტყვის გარჯა?
ესეუ მითხარა რა დამაკლდა ანუ რამცა დამეხარჯა?
რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე, თვარ მომადგა ვისგან ბარჯა?!
რაც მასმოდა მათგან, მეც ეთქვი, ლექსი არსად დამეხვანჯა“ (ე. ბ. 93).

აი, რა ყოფილა მიზეზი ამ თემაზე წერისა. ენაწყულიან მელექსესა და რიტორის სიბრძნე მოსურვებია, თორემ არაეის დაუძალებია. პოეტის აზრით, ნელექსეს კმართებს „სიტყვათა შეთხზნვა-შეკაზმვა“. ვინც ენარიტორია, თუ მახვილი გონება აქვს, სჯობია არ დაიზაროს და გვიამბოს „უცხო, ტკბილი, ბრძენთა ამბავი“.

სიტყვათა შეთხზნვა-შეკაზმვა მელექსეს კმართებს, მგონია,
თვარ-უწყის ღმერთმან—ესმენლად არა რა მომიგონია,
თქმა სჯობს, ვინ ენა რიტორობს, ჰქონდეს მახვილი გონა
უცხო, ტკბილ ბრძენთა ამბავთა ურც ვარღის სჯობდეს, მგონ ია (ლ. მ. 270).

ამრიგად, თეიმურაზი სიბრძნეს, ბრძენთა ამბავს უწოდებს ნის მიერ გადმოღებულ ამბებს. „შამიფარვანიანშიც“ გვეუბნება, რომ ესაა „სიტყვათა შესხმა რიტორად“, მაგრამ „არც სიხარული სული-სა, არც არა ზატიკობანი“ (შ. ფ. 66,3), არამედ იგი უსაქმობისა და მოწყენილობისაგან თავის დასახსნელად ჰქმნის ამ ნაწარმოებებს. სწორუპოვარი რაინდი, უიღბლო მეფე და უბედური პოეტი შეჰლადლებს უფალს:

ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყბასა. მღმოდებასა,
ველარ გაუქელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდებასა,
შეკირვებისა ცეცხლთა და გულსა სახმილთა დებასა,
მოველი შენგან ხსნასა და შენსავე იმედებასა (შ. ფ. 68).

კიდევ ერთი გარემოება იქცევის ყურადღებას. თუ „ლეილმაჯუნინიანი-ანსა“ და „იოსებზილიხანიანს“, რომლებიც შექმნილია მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, ეტყობა პოეტის დაინტერესება ამ სიუჟეტებით, სადაც გვიცხადებს „უცხო, ტკბილ ბრძენთა ამბავთა ვერც ვარღი სჯობდეს, მგონ ია“ (ლ. მ. 270,4) და „ვინცა არ ისმენთ, ნუ იწყენთ, ვერა ხართ ცნობა სრულია“ (ი. ზ. 309,4), „ვარდებულ-ბულიანსა“ და განსაკუთრებით „შამიფარვანიანში“, რომლებიც უკვე მრავალპირგამოვლილ მეფე-პოეტს სიბერეში შეუქმნია, მეტია მობოდიშება საერო თემებით დაინტერესების გამო და გამომჟღავნებულია ღრმა რელიგიურა სულსკვეთება. ეს განსაკუთრებით ეტყო-

ბა „შამიფარვანიანს“, რომელიც 1656 წელს დაწერილა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მრავალჭირგამოვლილ მეფესა და პოეტს რელიგიური განწყობილებანი ზოგადად და ალბათ ამის შემდეგ კანონზომიერიც იყო მისგან ბერის ტანსაცმლის გადაცმა.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვედგინა, რომ მიუხედავად სასულიერო თემატიკის პრიმატის აღიარებისა, თეიმურაზი თავის საერო ხასიათის ნაწარმოებებს „ბრძენთა ამბავს“ უწოდებს. მართლაც, „იოსებზილიხანიანის“ შესავალშიც პოეტი აცხადებს, რომ ეტრფილა სიბრძნეს, ემიჯნება მოშაირებს, სახალხო მგოსნებს, შესაძლოა, დაბალი რანგის პოეტებსაც, რუსთველმა რომ ერი-ორი ლექსის მთქმელად დაგვისახელა, და თავს იწონებს: ნახეთ როგორ შევეამყო „ძოწ-მარგალიტი, გიშერი“.

უნდა მცირედი მცირედთა სიტყვა წარმოვსთქვა თხრობილი,
ეთ ეტრფილუ სიბრძნესა, ამაღ არვისგან ხმობილი,
ძოწ-მარგალიტი, გიშერი აწ ნახეთ ჩემგან მკობილი,
ბოლოდ სცნათ ყოვლთა—არა ვარ მოშაირეთა ძმობილი (ი. ზ. 3).

პოეტი გვთავაზობს ვარდის კონებივით შეკრულ შაირებს, ბრძენთაგან მოსაწონებსა და შესაწყნარებს და თავმომწონედ აცხადებს ამას „მე თვით ვწერ, ვიტყვიო...“.

მე თვით ვწერ, ვიტყვი, რომელსა მეფედ მიხმობენ მონები,
სიტყვა შეემზადო შაირთა, მართ ვითა ვარდის კონები,
ბრძენთაგან შესაწყნარები, ცნობილთა მოსაწონები,
მაგრა ექმნების მიჯნურთა ლახვარი გასაწონები (ი. ზ. 4).

თეიმურაზი გვპირდება საერო ხასიათის ნაწარმოების შექმნას:

გული მიუძღვენ კეკლუცთა, ვინებე ვარდი მენამა,
ფერი შემარეს ავეთა ჩემთა სისხლთაგან სმენამა
აწ ყურნი უნდა აწვივნეს ტბელმოუბარამან ენამან (ი. ზ. 8).

„იოსებზილიხანიანის“ ეპილოგში „ცნობა სრულად“ არ მიაჩნია ის ადამიანები, ვინც ამ პოემას არ ისმენს: „ვინცა არ ისმენთ, ნუ იწყნთ, ვერა ხართ ცნობა სრულია“ (309,4). მე თვით ვწერ, ვისაც „მეფედ მიხმობენ მონებო“ და ამ პერიოდში თეიმურაზი მართლაც გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფეა (1629—1632). პოეტი სიამაყით აცხადებს თავს რიტორად, ბრძენთაგან მოსაწონ სიტყვათა შემთხვევლად:

სიტყვა შეემზადო შაირთა, მართ ვითა ვარდის კონები
ბრძენთაგან შესაწყნარები, ცნობილთა მოსაწონები (ი. ზ. 4,2—3).

სწორედ რიტორობა — ლექსად სიტყვათა შეთხზვა არის ელინთ ფილოსოფოსთ სიბრძნიდან ერთი („ფილოსოფოსთ ელინთ სიბრძნე შვიდი არის გან ექვსულ“ — ვ. ბ. 4,1), ხოლო თეიმურაზს როგორც რიტორს, სურს სიბრძნე.

პოეტს „ვარდულებულიანიც“ ბრძენთა მოსასმენად მიაჩნია („ბრძენმან ვინმე ყურად ილოს“) და სიბრძნის მოყვარულებს მიმართავს:

სცანით, სიბრძნისა ტრფიალნო, ძალნი სიტყვისა თქმულისა,
უცებთა არად სანდომი, ცნობილთა—წამლად გულისა (3,1—2).

თეიმურაზი სიანაყით აცხადებს, რომ რიტორებამ, „სიტყვათა შეთხზვნა-შეკაზმვოს“ ოსტატობამ და სიბრძნის სიყვარულმა ათქმევინა ეს ნაწარმოებები, რადგან:

ჰმართებს, კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გარდმოილოს,
უგბილმან და უგმურმან ვერა რამე წამოილოს (ვ. ბ. 2, 3—4).

პოეტს კარგად მიუჩნევია „სოფლის მიღ-მოღებანი“, რომელიც სპარსთა ენაზეა გამოთქმული ტკბილად: „სპარსთ გალექსეს ტკბილად რამეო“. მასაც გადაუწყვეტია ქართულ ენაზე ააქლეროს ეს ამბები, რამდენადაც სასულიერო ხასიათის ნაწარმოებებს, რომლებიც უკლებლად წერეს მამათა, „არავინ იკითხავს“.

უცხო ენიდან ნაწარმოებების გადმოღების კიდევ ერთ მიზეზად პოეტს ცუდად, უსაქმოდ ყოფნა მიაჩნია. ბედის ჩარხის უკულმა ტრიალით შეღონებულს მეტი გზა არ დარჩენოდა, სპარსთა მუსიკობით, სოფლის „მიღ-მოღებანი“ უნდოდა გაერთო თავი.

მე გასაძღებად დაეწერე ხან ისი, ხან ეს რამეო,
გული ამაზედ დაეპყარ, ბუერი დღე დაქალამეო,
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევილაამეო (შ. ფ. 13).

და თუმცა თავის პოემებს ზოგჯერ უწოდებს „უსაქმოს მოწყენილსა ცუდი რამ ტიკტიკობანიო“ (შ. ფ. 66,4), იმასაც აღიარებს, რომ ამ ნაწარმოებების დაწერით „ცოტა რამ უკუუვიყარე, სევდა ვქენ განათხელებიო“ (შ. ფ. 15,4).

6. ზოგი იდეოლოგიური თავისებურება თეიმურაზის საარსულიდან გადმოღებულ პოემებში

თეიმურაზის ორიგინალურ შემოქმედებაში დადასტურებულ მოტივთაგან, რომლებიც გამოვლინდა მის სპარსულიდან გადმოღებულ ნაწარმოებებშიც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოგი იდეოლო-

გური თავისებურება, კერძოდ ქრისტიანულ-რელიგიური მოტივი. საერთოდ რელიგიური მოტივი მეტად ძლიერია თეიმურაზის პოეზიაში. ქრისტიანული ტენდენციითაა გაყენებული როგორც მისი ორიგინალური შემოქმედება, ისე სპარსულიდან გადმოღებული ძეგლები⁶⁵. ჭაკობია ფიქრობს, რომ თეიმურაზი „ცდილობს დანაშაული გამოისყიდოს და აღიაროს თავისი ერთგულება მართმორწმუნე ეკლესიისადმი და ამას ჩადის გარკვეული მიზნით: აციდინოს რისხვა კლერიკალებისა... თეიმურაზი ეკლესიის და ღვთის საამებლად ყველგან ცდილობს თავისი ქრისტიანული მსოფლმხედველობა გამოავლინოს, საბოლოო ანგარიშში ჩვენ ასეთი სურათი გვაქვს წარმოდგენილი: საქართველოში ეკლესიის თავადთა სახით მძევნეარებდა სასულიერო კლერიკალური რეაქცია; საზოგადოებას მოსწყინდა „წმინდა მამების“ კალმახი ნამოღვაწარის კითხვა: ლტოლვა ამქვეყნიურსაყენ, აინტერესებთ შიჯნურობა, ვნებათა ღელვა და ტრფიალებს; თეიმურაზში დიდი პოეტენციაა მოცემული ამისათვის, ალღოსაც უღებს საზოგადოების ნათხოვნილებებს. თავისი პოეტენციის და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ხელჰყოფს უცხოთაგან „გადმოღობას“ (ზუსტად მაინც არასოდეს არ ასახელებს პირველწყაროს!), მაგრამ რომ არ დასწამონ სარწმუნოებრივი განხრანი, იძულებულია თუნდაც ყურით მოზიდული დეკლარაციები აკეთოს მართლმადიდებლურ ქრისტიანული ხასიათისა“⁶⁵.

ზართალია, რომ თეიმურაზი თავისი კალმით ემსახურებოდა თავისი დროის ქართველი განათლებული საზოგადოების გარკვეულ წრეებს, მაგრამ ქრისტიანული ნაკადი თეიმურაზის პოეზიაში არ შეიძლება მივიჩნიოთ ეკლესიის საამებლად ყურით მოზიდულ დეკლარაციებად. ეს დეკლარაციები პოეტის რელიგიური განწყობილების გამოხატელობა და ვლინდება ყველა მის ნაწარმოებში. კ. კეკელიძის სიტყვით, „პოეტის რელიგიური სულსიკვეთების მაჩვენებელია ის გარეგნობა, რომ ის წერს სარწმუნოებრივი შინაარსის თხზულებას („ქება სამებისა“, ანბანთქებანი), რომლებშიც ქრისტიანული დოგმატებია წარმოდგენილი და განქიქებულია ისტორიულად ცნობილი სხვადასხვა მწვალებლობა. ამასვე ამჟღავნებს აგრეთვე ისიც, რომ ის ხაზგასმით აღიარებს სასულიერო მწერლობის პრიმატობას და გულსიტკვეილით აღნიშნავს, რომ მისი დროის საზოგადოება ძალიან გულგრილად ეპყრობა ხალმრთო წიგნებსა და სასულიერო თემატიკას. მისი იერემიადა ამ შემთხვევაში უცილობლად გადაქარბებული,

⁶⁵ გ. ჭაკობია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 278.

გელსიის ამბონიდან მოქადაგე მამხილებელ სასულიერო პირს უფრო შეშვენიის... არა გვაქვს არავითარი საბუთი არ დავუჭეროთ პოეტს, მის პენიციენტიალურ, სინანულის ჰიმნებს, არ დავუჭეროთ არამარტო სიტყვას, არამედ საქმესაც — ჩოხისა და მაზარის ჩაცმას (ბერად აღკვეცას) — და ყველაფერი ეს მოჩვენებად და თვალთმაქცობად მივიღოთ. სარწმუნოებრივი გრძნობის სიღრმითა და უშუალოებით თეიმურაზს დავით გურამიშვილი თუ შეედრება აღორძინების პეროდის მწერლობაში⁶⁶. ეს შეხედულება განმტკიცებულია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ალ. ზარანიძე შენიშნავენ: „გულწრფელია და უშუალო თეიმურაზი რელიგიური გრძნობების გამოხატვის მხრივაც. წუთისოფლის მომღერავი, სიყვარულის მეზობტე და ლხინის მომღერალი პოეტი იყო ქრისტიანული აღმსარებლობის დაჭერებული მიმდევარი და ღრმად მორწმუნე ადამიანი, თეიმურაზმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს მათხარი მტერი საბრძოლო იარაღად, სხვათა შორის, მუსლიმანურ სარწმუნოებას იყენებდა, მტერი ცდილობდა ჩვენი ქვეყნის „გადარჩულებასა“ და გადაგვარებას. მუსლიმანურ აგრესიას თეიმურაზი უპირისპირდება ქრისტიანულ აღმსარებლობას... თეიმურაზისათვის ქრისტიანობა იყო პოლიტიკური ბრძოლის საქურველიც და მძაფრი სარწმუნოებრივი განცდების წყაროც⁶⁷.

გ. იმედაშვილის სიტყვითაც, „მაჰმადიანური პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ექსპანსიასთან სამკედრო-სასიციოცხოლო ბრძოლაში შექიდებული ეროვნული ენერგია ქრისტიანული აღმსარების იდეით იყო შემოსილი“⁶⁸. ეს მოსაზრება თეიმურაზის შემოქმედებაზეც ვრცელდება. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მუსლიმანური აგრესიის წინააღმდეგ დაუცხრომელ ბრძოლაში თეიმურაზი ქრისტიანულ აღმსარებლობას ემყარებოდა, ღრმად სწამდა ერთარსება და სამპიროვანი ქრისტიანული ღმერთა, მასში ბუნებრივად იწვევდა ანტიპატიას მაჰმადიანური სამყარო და მოურიდებლად ჰკმობდა მას როგორც ორიგინალურ, ისე სპარსულიდან გადმოღებულ ნაწარმოებებში. სწორედ სპარსულიდან გადმოღებულ ნაწარმოებებში ემიჯნება იგი განსაკუთრებით მაჰმადიანობას, „სელის აღმოქროლამდი“ აღიღებს ერთ

⁶⁶ ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 567—568.

⁶⁷ თეიმურაზ პირელი, რხ. წიგნი: ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 321.

⁶⁸ გ. იმედაშვილი, ძველი ქართული მხატვრული ენისა და სტილის მიჯნაზე, კრ ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები, თბ., 1965, გვ. 24.

ლმერთს სამებით, აკეთებს ორთოდოქსალური ხასიათის დეკლარაციებს, იყენებს ქრისტიანულ ცნებებს, იხსენებს ქრისტიანულ საეკლესიო წესებსა და წმინდანებს.

გარდა იმისა, რომ თეიმურაზის საერო ხასიათის ნაწარმოებებში გაიხსმის რელიგიური მოტივი, იგი სასულიერო ხასიათის თხზულებათა ავტორიცაა. სასულიერო შინაარსისაა მისი „შვილთა კრებათათვის“, რომელშიც მსოფლიოს შვიდი საეკლესიო კრების ამბავს მოგვითხრობს, ანბანთქებანი⁶⁹, აქ უნდა გავიხსენოთ ლექსი „თამარის სახე დავით გარეჯას“, რომლის პირველი სტროფი მიძღვნილია თამარისადმი, ხოლო დანარჩენი წარმოადგენს ურითმო ლექსს, რომელიც სასულიერო პოეზიის საგალობლებს მოგვაგონებს და არსებითად სამების ქებას შეიცავს. ჩვენი აზრით, „თამარის სახე დავით გარეჯას“—ეს ლექსი მხოლოდ ერთ სტროფს შეიცავს და ასეც არის ამ ნაწარმოების შემცველი სამი ხელნაწერიდან ორში (A 1735, A 593), ის ექსპრომტად უნდა იყოს ნათქვამი, ამას ადასტურებს ხელნაწერთა მინაწერი: „ოღესმე მეფეს თეიმურაზს თამარ მეფის სახე უნახავს დავით გარეჯას და ეს ლექსი უბრძანებია“ (A 593), „ეს ერთი ლექსი ოღეს მეფე თეიმურაზ დავით გარეჯას მიბრძანებულა, მეფის თამარის სახე უნახავს მის მუნასიბად უთქვამს“ (S 1508). ლექსის დანარჩენი ნაწილი სასულიერო ხასიათის ცალკე ნაწარმოებია, რომელშიც თეიმურაზი ცოდვათა მიტევებას ითხოვს. იგი ხელნ. S 1508 პირდაპირ მოსდევს „თამარის სახეს...“, როგორც ჩანს ამიტომ მიჩნეული იქნა მის გავრცელებად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ანაწილი თეიმურაზს როგორც საერო, იან სასულიერო პოეტად მიიჩნევს⁷⁰.

ამჭერად ჩვენი შესწავლის საგანი არ არის თეიმურაზი როგორც სასულიერო პოეტი, ჩვენ გვაინტერესებს ქრისტიანული მსოფლმხედველობის კვალი სპარსულიდან გადმოღებულ თხზულებებში. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ამ ნაწარმოებების პროლოგ-ეპილოგებს, მათში ჩართულ ლირიკულ წიაღსკვლებს, თეიმურაზის მიერ გამოყენებულ ქრისტიანულ ტერმინოლოგიას და განვმარტავთ ბიბლიური ისტორიიდან მოთხრობილ ამბებს.

⁶⁹ ერთ-ერთი ანბანთქების თეიმურაზისადმი კუთვნილება ეპექვეშ დაყენა შ. ონიანმა ლიტერატურის ინსტიტუტში წაკითხულ მოხსენებაში. ნაშრომი არ გამოქვეყნებულა და ამიტომ საშუალება არა გვაქვს ჩვენი მოსაზრებანი გამოვთქვათ ამ საკითხზე.

⁷⁰ ა რ ჩ ი ლ ი თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 11, თბ., 1937, გვ. 17.

პირველი, ვისაც თეიმურაზი ოთხივე პოემის შესავალში მიმართავს არის უზენაესი არსება, ღმერთი, როგორც ეპითეტებით ამკობს მას? ღმერთი არის არსის — არსებულის, მყოფის შემოქმედი, გამჩენი („ჰე, არსისა შემოქმედო! შენგან არი ყოვლიფერი“ — ვ. ბ. 1,1), იგია „არარსის არსად მომყვანი“ — არარსებულის მყოფად შემქმნელი, „უსულოთ სულთა მბერაო“ — უსულოთა სულის ჩამბერი. მან გააჩინა „ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონაფერი“. ამ თანმიმდევრობითაა სწორედ სამყაროს შექმნა მოთხრობილი ბიბლიაში. „და შექმნა ღმერთმან სამყარო... და უწოდა ღმერთმან მას ქვეყანა და შესაკრებელთა წყალთასა უწოდა ზღვები...“⁷¹. „ლეილმაჯნუნაინის“ პირველი სტრიქონის მიხედვით კი ღმერთთა თვით სიბრძნე, სიბრძნის, გონიერების, ტალანტის, ნიჭის მომცემი („ღმერთო, რომელი თვით სიბრძნე ხარ სიბრძნის მომცემელობით“ — ლ. მ. 1,1) და პოეტიკ თხოულობს მისგან მისცეს გონება, სიბრძნე ლიტერატურული საქმიანობისათვის („მომეც გონება, მე ვიყო შადლობის შემწირველობით, ხელვჰყო წიგნებსა სპარსულსა ქართულად მე მთაგმნელობით“ — ლ. მ. 1,3—4) ღვთისაგან სიბრძნის მოცემის ფაქტი საკმარისად ცნობილია საქრისტიანო მწერლობისათვის. ძველი აღთქმის აპოკრიფების „სიბრძნე სოლომონისაში“ ვკითხულობთ: „ამისათვის ვილოცე და სიბრძნე მომეცა მე, ვხადე და მოვიდა ჩემდა სული სიბრძნისა“. პარალელურ ტექსტში სიბრძნის ნაცვლად იკითხება მეცნიერება (ნიშნავს ცოდნას): „ამისათვის ვევედრე და მომცა მე მეცნიერება, მოუწოდე და მოვიდა ჩემ ზედა სული სიბრძნისა“⁷². ეგვევ „სიბრძნე სოლომონისი“ გვეუბნება, რომ „ამაო არიან ყოველნი კაცნი, რომელთა თანა არ არის ღმრთისა სიბრძნე“⁷³.

ამრიგად, საქრისტიანო მწერლობიდან აღებული ეპითეტით ამკობს პოეტი ღმერთს. გარდა სიბრძნის მომცემლობისა იგი არის

არსისა არარსისა სიტყვით დამბადე მქნელობით (ლ. მ. 1, 2).

„ვარდბულბულიანის“ შესავალშიც ითქვა, რომ ღმერთთა არსის (არსებულის, მყოფის) გამჩენი და არარსებულის მყოფად შემქმნელი, აქ კი გრძელდება, რომ ღმერთი არა თუ არსის, არამედ არის „არარსისა სიტყვით დამბადე მქნელობით“. აქ საქმე უნდა გვქონდეს ღვთის სიტყვასთან. იოანეს სახარების დასაწყისში ნათქვამია, რომ და-

⁷¹ შექმნათა I, 7, 8, 10.

⁷² ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, I, თბ., 1970, გვ. 210.

⁷³ იქვე, გვ. 236.

„პეტრეს სამოთხის გაღებად კლიტე ვერავენ წამირთოს“—ამ სტრიქონში დასახელებულია ქრისტეს მოციქული პეტრე, რომელსაც, სახარების მიხედვით, იესო ქრისტემ ჩააბარა ციური სასუფეველის გააღება. იესო მიმართავს პეტრეს: „და მე გეტყვ შენ. რამეთუ შენ ხარ კლდე. და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბქენი ჯოჯობეთისანი ვერ ერეოდეს მას.

და მოგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათამსანი, და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განაჰქსნა ქუეყანასა ზედა, ქსნილ იყოს იგი ცათა შინა“⁸⁰.

პეტრე მოციქული, როგორც სამოთხის კარის გასაღებთა მფლობელი მოხსენიებულია „ქეთევანიანშიც“.. თავის ლოცვაში, რომელსაც დედოფალი წამების წინ აღავლენს, ამბობს:

აქამდის სოფლით ნაბრძოლი ტვირთი ცოდვისა მეკარსა,
აწ ტვირთი შენი სუბუქ არს, სმენაჲ შენი მეკარსა,
სარწმუნოებით ვეძიებ, პეტრეე, სამოთხის მე კარსა,
რომე წყალობით გამილო, ამისთვის ერეე მე კარსა (45).

პეტრე მოციქული აგრეთვე მოხსენიებულია „ვარდბულბულიანის“ ბოლო სტროფში: „ცრემლნი პეტრესანი მომმადლენ, იუდად ნუ გამბერაო“ (94,4). ამ სტრიქონში იგულისხმება პეტრესაგან იესოს უარყოფა და მისი სინანულის ცრემლები. ლუკას სახარება მოგვითხრობს:

„და აღაგზნეს ცეცხლო შორის ეზოსა მას და გარე მოასხდეს იგინი; დაჯდა პეტრეცა შორის მათსა.

და იხილა იგი მკვევლმან ვინმე მჯდომარე ნათელსა მას. მიჰხედა მას და თქუა: ესეცა მის თანა იყო.

ხოლო მან უარ-ყო და თქუა: დედაკაცო, არა ვიცი იგი.

და მცირედრე შემდგომად იხილა იგი სხუამან და თქუა: და შენცა მათთან ხარ. ხოლო პეტრე თქუა: კაცო, არა ვარ მათთანა. და ვითარცა წარქდა ყამი ერთი, სხუათ ვინმე დაამტკიცებდა და იტყოდა: ჰეშმარაიტად ესეცა მის თანავე იყო, რამეთუ გალილეელ არს.

ხოლო პეტრე რქუა მას: კაცო, არა ვიცი, რასა იტყვ და ნეყსეულად, ვიდრე იტყოდალა იგი ამას, ქათამმან იყივლა.

და მოიქცა უფალი და მიჰხედა პეტრეს. და მოეცენა პეტრეს სიტყუად იგი უფლისაჲ, რომელ პრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა ჯმობადმდე სამ გზის უარ-მყო მე.

⁸⁰ მათე, 16, 18—19, შდრ. მარკოზი 7, იოანე 6.

და განვიდა გარე და ტიროდა მწარედ⁸¹.

ამრიგად. თეიმურაზი ღმერთს უკვდავს, უბერებელს სთხოვს, თუ რამ დააშავა (იგულახხმება საერო ხასიათის ნაწარმოების დაწერა. წინა სტროფში თავს იმართლებს „რიტორი ვარ, მსურის სიბრძნე“, თორემ არავის დაუძალებიაო) პეტრეს გვარად სინანულის ცრემლები აღვრევინოს მას, იუდა ისკარიოტელივით მოღალატედ ნუ ჩათვლის. „იუდად ნუ გამბერაო“. ჩანს სტრიქონში იგულახხმება იუდასაგან ქრისტეს ლალატი — 30 ვერცხლად გაყიდვა, სინდისის ქენჯნა, თავის ჩამოხრჩობის ცდა და თოკის გაწყვეტა.

„იოსებზილიხანიანის“ ღვთის ქებით იწყება:

არსებით ვიტყვი ცნობილსა, სამებით ერთუფლებულად,
ბუნებით განუყოფელად ღვთაებით შეერთებულად,
განესწვალად გვაშოვნებასა, არ ვიტყვი მიახლებულად,
იგი გვზრდის, გვფარავს ყოველთა მის მიერ ქმნულთა კრებულად (1).

პირველ მას ექვბ, რომელმან თვით ჩვენ შეგვმოსა სრულებით,
ნათელმან უსხეულომან ხორცი ივასხნა ბუნებით,
თაისუფალ გვეყენა მონანი მისითა შთამოსულებით,
ხამს, თუ ზე გვაქენდეს გონება სარწმუნოებით, სრულებით (2).

თავისი შინაარსით ამ სტროფებს ეხმაურება „ლეილშაჯუნიანის“ 251-ე სტროფი, რომელიც ჩვენ ეპილოგში გადავიტანეთ.

იგ პირველ და უსაბამო განგებით დასაბამობდი,
ჩვენ უკვდავება შეგვმოსე, შენ ჩვენის ხორციით გვაშობდი,
ქვე კაცად იხილვებოდი, ზე ნათლად...და უღამობდი,
ოდეს მოხვიდე განკითხვად, ჩემთვის ნუ შემრისხანობდი.

აქვე უნდა დავასახელოთ „იოსებზილიხანიანის“ 311-ე სტროფი:

დასაბამ შენ ხარ, უფალო, დასასრულ არსთა დგომამდ,
უამ-უკან ქალწულისაგან ჩვენთვის ხორც-შესხმად მოლამდი.

თეიმურაზის ღმერთი არას განკაცებული ღმერთი, მკვდრეთით აღმდგარი ღმერთი, ორბუნებოვანი ღმერთი. პოეტი მოგვითხრობს ქრისტიანული მოძღვრებიდან ქრისტეს კაცობრივი ბუნების („ქვე კაცად იხილვებოდა...“) მისი ღმერთკაცობის („ნათელმან უსხეულომან ხორცი ივასხნა ბუნებით...“), ქალწულისაგან შობის („უამ-უკან ქალწულისაგან ჩვენთვის ხორც-შესხმად მოლამდი“) და მეორედ მოსვლის („ოდეს მოხვიდე განკითხვად...“) შესახებ.

⁸¹ ლუკა, 22, 55—62.

გარდა ამისა, აქვე ნათქვამია, რომ ღმერთი არის „არსებით (თავისი მყოფობით) ცნობილი“, „სამებით ერთუფლებელი“. სხვაგან თეიმურაზი მას მიმართავს: „გადიდო ერთ ღვთად სამებით სულსა აღმოქროლამდი“ (ი. ზ. 311,4).

ამრიგად, თეიმურაზი თავის სპარსულიდან გადმოღებულ თხზულებებში რომ ღმერთს მიმართავს ეს ერთი ღმერთია. პოეტი ერთ ღმერთს მიმართავს, მაგრამ იცნობს სამ პირს ერთ არსებაში. ქრისტიანული სამება გულისხმობს სამჰიპოსტასიან განუყოფელ ღვთაებას, რომელიც ერთია. რაც მიეწერება ერთ ჰიპოსტასს, ის უსათუოდ მიეწერება დანარჩენ ორსაც და სამებას საერთოდ. სამების ხსენება უეპქვლად გულისხმობს მის სამივე თვითებას. თეიმურაზთანაც ამ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ სამება. მისი სტრიქონი „არსებით ვიტყვი ცნობილსა, სამებით ერთუფლებელად“ კიდევ მოგვაგონებს ძველ ქართულ მწერლობაში დადასტურებულ სტრიქონებს: „სამებაო წმიდაო. ერთ-ღმრთეებაო, ერთ-არსებაო, დიდება შენდა ღმერთო“⁸²—ეკითხულობთ „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“. „აბდულმესიანში“ იკითხება: „სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან მომცეს მე სწავლა“⁸³. ამრიგად, სადაც სამება იხსენიება, იქ მისი სამივე თვითება იგულისხმება, რომლებიც ბუნებით განუყოფელია. „არცა ბუნებით განიყოფენ, არცა ადგილით, რაჟეთუ სადაც არს მამა, მუნცა ძე და სული წმიდა, და სადაც არს ძე, მუნ მამაცა და სული წმიდა, და სადაც არს სული წმიდა, მუნ მამაცა და ძეც“ (მაქსიმე აღმსარებელი). თეიმურაზიც სამებას თვლის „ბუნებით განუყოფელად, ღვთაებით შეერთებულად“ (ი. ზ. 1,2).

ყველაზე მეტად სპარსულიდან გადმოღებულ პოემებიდან რელიგიური განწყობილება ისმის „შამიფარვანიანში“ და განსაკუთრებით კი მის პროლოგში: „შამიფარვანიანის“ პირველი სტროფია:

ღმერთო, ყოველთა ცხადთა და იღუმალთ დაუფარაო,
ქის სერაბინნი ვერ გხედვენ, პირსა ფრთა-მოუფარაო,
ვინ ისრაელნი განასხი, ზღვასა დაანთქი ფარაო,
იგ შენთა ნების მყოფელთა ყოველთა სცავ და ჰფარაო.

ამ სტროფის სტრიქონში: „ვინ ისრაელნი განასხი, ზღვასა დაანთქი ფარაო“ — იგულისხმება „გამოსვლათა“ წიგნის ამბები, ღვთისაგან ბიბლიური წინასწარმეტყველის — მოსესათვის დავალება ებრაელე-

⁸² ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის გამ., თბ., 1955, გვ. 181.

⁸³ ძველი ქართული მეხოტბენი, II, იე. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 117.

ბის (ისრაელნი — იზრაელი ბიბლიური ვადმოცემით ღმერთმა იაკობს უწოდა, რომლის თორმეტი შვილისგან წარმოიშვა ებრაელი ხალხი), ეგვიპტიდან გამოყვანისა. „სოფლის სამღურავეშიც“ გვხვდება ამ ფაქტის შემცველი სტრიქონი: „ისრაელთაცა ლტოლვილთა შენვე გაუძღე ზღვაშიგან“ (1,4). ამ სტრიქონებში იგულისხმება შემდეგი ბიბლიური ეპიზოდი; მოსე და მისი თანამემამულეები ეგვიპტიდან გამოსვლის გზას დაადგნენ. „განართხა მოსე იელი თვისი ზღვასა მას ზედა და მოავლინა ღმერთმან ზღვასა მას ზედა ქარი სასტიკი სამხრეთ ღამე ყოველ და განახმო ზღვა იგი და განიხო წყალი იგი.

და შევიდეს ძენი ისრაელისანი შორის ზღვასა ხმელად და წყალი იგი იყო ზღუდე მარჯვენით გარდა და ზღუდე მარცხენით“⁸⁴. ეს ფაქტი იგულისხმება სიტყვებში „ვის ისრაელნი განასხი“. ხოლო მეორე ნაწილი „ზღვასა დაანთქი ფარაო“ — გულისხმობს ისრაელთა მდევარი ეგვიპტელების ღვთის განგებით წყალში დანთქმას. „...ნთყარნა უფალმან მეგვიპტელნი შორის ზღვათა მას. და მოაქცია წყალბან მან და დაფარა ეტლები იგი და მხედრები და სადგომნი და ყოველი ძალი ფარაოსი, რომელნი შესრულ იყვნეს ღვინად მათდა ზღვასა მას შინა, და არა დაშთა მათგანი არცა ერთი“⁸⁵. თეიმურაზით ღმერთმა ისრაელნი დაიფარა იმიტომ, რომ მის ნებას აპრულებდნენ („იგ შენთა ნების მყოფელთა ყოველთა სცავ და ჰფარაო“ — შ. ფ. 1,4).

ამავე სტროფში დასახელებული სერაბინნი არიან ანგელოზები. თეიმურაზის სტრიქონის: „ვის სერაბინნი ვერ გხედვენ, პირსა ფრთამოუფარაო“ — შინაარსი ასეთია. ღმერთს სერაბინები ვერ გხედავენ, რადგან პირი ფრთით დაუფარავთო. მართლაც წინასწარმეტყველ ესაიას ხილვაში ჩვენ გვხვდება სერაფიმები, რომლებიც წყვილით ფრთით იფარავდნენ სახეს, მეორე წყვილი ფრთით — ფეხებს, ხოლო მესამე წყვილი ფრთით ფრინავდნენ (ესაია, 6,2).

პოეტი ამ ანგელოზებზე ქვემოთ უფრო ვრცლად მოგვითხრობს:

დიონოს ბრძენმან მოგვითხრა ანგელოზთ განწყობილობა,
იგ ცხრა დას-დასი გუნდობა, უკანა ანუ წინობა,
წმინდა არსობით ხმობა და იგ გალობისა ტკიბობა,
ვერც ხილვა შენი, ვერც ცნობა, ვერცა რას მწოდომილობა (3).

ამ სტროფში ნახსენები „დიონოს ბრძენი“ არის დიონისე არეოპაგელი, რომელიც ძველი და ახალი აღთქმის საფუძველზე თხზულებ-

⁸⁴ გამოსვლათა, 14, 21—23.

⁸⁵ გამოსვლათა, 14, 27—28.

ზაში „ზეცათ მღვდელთმთავრობისათვის“ მოგვიბრახობს ანგელოზების დას-დასად განლაგებას, მათ დაყოფას სამ იერარქიად. „ყოველთა მათ ზეცისა არსებათა ღმრთის-მეტყუელებამან ცხრა უწოდა საჩინოებითითა სახელისდებითა. და ამათ სამობითთა შემუქულებათა სამად განჰყოფს საღმრთოთ იგი ჩუენი მღვდელთ სრულ-ყოფელი“⁸⁶. თითოეულ იერარქიაში შედის ანგელოზთა სამი სახე, რომელთაგან უმაღლესი იერარქიის ანგელოზები არიან სერაფიმნი, ქერობიმნი და საყდარნი; საშუალოსი: უფლებანი, ძალნი და ხელმწიფებანი; დაბალი იერარქიისა კი მთავრობანი, მთავარანგელოზნი და ანგელოზნი⁸⁷.

თეიმურაზს უმაღლესი იერარქიის ანგელოზებიდან აქ მოხსენიებული ჰყავს „სერაბიმნი“, სხვაგან თავის ორიგინალურ ნაწერებში ის „ქერობიმნაჲც“ მოიხსენიებს. ქართულ ლიტერატურაში ანგელოზთა ეს დაყოფა გვაქვს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში⁸⁸, ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობის“ თეოლოგიურ ნაწილში⁸⁹ და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“⁹⁰.

შემდეგ პოეტი გვეუბნება:

სხვათ ბრძენთა თვითონ ისიბრძენს გულისხმითა და ცნობითა,
სოლომონს სიბრძნე შენ მიეც შენისა მონდომებთა,
მასთან—სულიცა ცხოველი, მით ვერეინ მის ოღნობითა,
ვერცა მან სრულქმნა, ცუდად შერა დავეითს ქნართა თხრობითა (4).

ამ სტროფში მოხსენიებული სოლომონი, ვისაც ღმერთმა მისცა სიბრძნე და „სული ცხოველი“ არის სოლომონი, დავით წინასწარმეტყველის შვილი ბერსაბესაგან, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო მეფობა და პატრიარქალურ-ტომობრივი ქვეყანა აქცია ერთიან ძლიერ ბრძოლისუნარიან სახელმწიფოდ. იგია ავტორი ბიბლიური წიგნებისა: „იგავნი“, „ქებათა-ქება“, „ეკლესიასტე“ და „სიბრძნე“. „დავეითის ქნარში“ იგულისხმება დავით წინასწარმეტყველი, რომელიც იყო ებრაელთა მეფე, მხნე მეთმარი, რომლის დროსაც იერუსალიმი გახდა

⁸⁶ პ ე ტ რ ე ა ბ ე რ ი ე ლ ი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, სამსონ ენუქაშვილის გამოცემა, თბ., 1961, გვ. 117.

⁸⁷ იქვე, გვ. 118—131.

⁸⁸ ს უ ლ ხ ა ნ ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი, ა. შანიძის გამოცემა, თბ., 1923, გვ. 303.

⁸⁹ წყობილსიტყვაობა, პლ. იოსელიანის გამ., 1853, გვ. 85—89.

⁹⁰ კალმასობა, აღწერილი იოვანე ბატონიშვილის მიერ, დ. ბაქრაძის წინასიტყვაობით, თბ., 1896, გვ. 113.

სახელმწიფოს დედაქალაქი (ძველი იზრაელის). დავითი იყო ებანზე მგალობელი და ფსალმუნების ავტორი.

შემდეგ პოეტი ჩამოთვლის ფილოსოფოსებს:

არისტოტელსა დაენტჟა მისნი უფსკრულნი ცნობანი,
ეგოდენ ბრძენი ვერ მიხედა, დააკლდა შენი ცნობანი,
გაღოლეველთა განაბრძენეს უწიგნოდ სულელობანი,
ჰყავ, ვითა თევზნი, უხმონი—რიტორთა ხელოვნებანი (5).

ეს მიეიერს ვერცა მათ გოცნეს—ენოს და პითალორამა,
მათი ზღვა სიბრძნე, ცნობანი—მიეიერს თუ, მიულო რამა!
ვერ მოიხმარეს სწავლანი, ვითა ვირმა და ღორამა,
გლახ სულნი მათნი იგ თუ არ ეშმაკმან—მიილო რამა? (6).

არისტოტელმან აჯობა ყოველსა სიბრძნე-მკონელსა,
შენ, შემოქმედი, ვერ გიცნა ვერ მისწუდა მიუწოდმელსა,
სხვა რამეა ჰქონდეს ეშმაკსა, ანუ კერძისა მლომელსა?
წარმართად მოკვდა, ჩავარდა ეცეხლშიგან არ თუ მონელსა (7).

ამრიგად, თეიმურაზის აზრით, აქ დასახელებულმა ფილოსოფოსებმა ვერ მოიხმარეს სწავლანი, უხმოდ დარჩა ამ „რიტორთა ხელოვნება“, რადგან ვერ იცნეს „შემოქმედი“, „ვერ მისწუდნენ მიუწუდომელსა“. ესენი არიან დიდი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე (384—322 წ. ჩვენს ერამდე), რომელიც არაქრისტიანად, „წარმართად მოკვდა“. პითალორა — პითაგორე ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, იდეალისტი (დაახ. 580—500 წ. ჩვ. ერამდე), სულთა მიგრაციის თეორიის მომხრე. ორივე ფილოსოფოსი ჩვენს ერამდე მოღვაწეა. საგულვებელი იყო მათ გვერდით დასახელებულიყო ასევე წარმართი ფილოსოფოსი, ამიტომ ენოსში ჩვენ ვერ ვივარაუდებთ V საუკუნის ფილოსოფოს-ქრისტილოვს ენეა ლაზნელს. ამჯერად ჩვენთვის უცნობია ვის უნდა გულახმობდეს თეიმურაზი პითაგორეს გვერდით დასახელებულ ენოსში.

შემდეგ სტროფში:

სიბილა ბრძენმან სიბრძნითა სოლოჰონ გააკვირაო,
იგ გარდამოხდა სამხრეთით, ვითა ფრინველი ირაო;
შენი ცნობა და დიდება იმასაც დაეძვირაო,
ქვარისა მოსწაუებანი კარგა რამ გააპირაო (8).

აქ სიბილა ბრძენში იგულისხმება ძველ ბერძნულ-რომაულ მითოლოგიასა და ისტორიაში მეტად ცნობილი წარმართი წინასწარმეტყველი ქალი სიბილა, რომელიც ექსტაზურ მდგომარეობაში წარმოთქვამდა ე. წ. „ორაკულებს“. სიბილას კულტი შძლავრად შეიქრა ძველი ბერძნების აზროვნებაში და სხვადასხვა დროს რამდენიმე სიბილა

გახდა ცნობილი. დღესდღეობით მეცნიერები 19-მდე სიბილას ითვლიან. წარმართული სიბილანური „ორაკულები“ მცირე აზიაში ჩაუწერიათ და აქედან რომში შეუტანიათ ტარკვინიოს მეფის დროს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე 83 წელს, როცა ეს კრებულები ხანძრის დროს დაიღუპა, რომში იძულებული გამხდარან ხელახლა შეეკრიბათ სიბილას ორაკულები⁹¹. მეორე საუკუნეში ჩვ. წელთაღრიცხვამდე სიბილანურმა წიგნებმა ებრაელთა შორისაც გაიკაფა გზა. ქრისტიანობამ თავისი გავრცელების პერიოდში სიბილას „წინასწარმეტყველებანიც“ გამოიყენა. ძველ საქართველოში სიბილას იცნობდნენ მთელი რიგი თარგმანებით: ერთ ძეგლში „სიბილა მოხსენებულია პირველხარისხოვან ბრძენთა შორის; რადგანაც ელინურ-რომაულ სამყაროში ის, როგორც ღმერთების შთაგონებით მოლაპარაკე, განსახიერება იყო ღვთაებრივი სიბრძნისა, მან უწყოდა არა მარტო აწმყო, არამედ წარსულიც და მომავალიც“⁹². გიორგი ამარტოლის „სრონორაფის“ ქართულ თარგმანში მოთხრობილია სიბილასა და სოლომონ ბრძენის შეხვედრის ბიბლიური ამბავი⁹³. მაგრამ უფრო საინტერესოა ორიგინალური პოემა „სიბილაიანი“ (S 999—მე-19 საუკ. გადაწერილი), რომელიც, კ. კეკელიძის აზრით, მე-17 საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი⁹⁴ და მოგვითხრობს „სამხრეთის“ დედოფლის, საბას-ქვეყნის სიბილასა და ებრაელთა მეფის სოლომონის შეხვედრას. სამშობლოში უკან მიმავალმა სიბილამ, ცხენზე შეჭდომისას ტაძრის ეზოში ფეხი დაადგა საწოთხიდან მოტანილ ძელს, ძელმა იწივლა, სიბილამ უთხრა დადექო და „განციფრდეს ცანი, ქვეყანა იწროდეს ვანკრობილია“. გაკვირვებულმა სოლომონმა დედოფალს არაფერი ჰკითხა ამჯერად. განმარტება მოციქულთა პირით სთხოვა. დედოფალმა შემოუთვალა, რომ ებრაელთა შორის გამოჩნდება ქალწული, რომელიც შობს ძესა მადისასა და ამ ძეს გააკრავენ იმ ძელზე, რომელმაც იწივლა⁹⁵. ეს ეპიზოდი გადმოცემული თეიმურაზის „შამიფარეანიანის“ ზემოთ ციტირებულ სტროფში.

შემდეგ სტროფში:

⁹¹ კ. კეკელიძე, ცნობები სიბილასა და მისი წიგნების შესახებ ძველს ქართულ მწერლობაში, ეტიუდები, II, 135—136, 148—150; შდრ.; ა. დონი, ადამიანები, კერპები და ღმერთები, გვ. 279.

⁹² კ. კეკელიძე, ეტიუდები..., II, გვ. 134.

⁹³ იქვე, გვ. 135.

⁹⁴ იქვე, გვ. 146. ძეგლის თარიღის დაზუსტება შეიძლება რამდენადაც მას იცნობს თეიმურაზის „შამიფარეანიანი“, რომელიც 1656 წლისათვის უკვე დაწერილია. „სიბილაიანი“ მე-17 საუკუნის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

⁹⁵ იქვე, გვ. 146.

ბალამ ბოსორით ბრძენი და გრძნეული, მოგვი, მისარი,
იგ ვისცა სწყველის გრძნებითა, ფიცხლად საკვდავად ის არა,
მგზავრ ანგელოზი წინ დახვდა, ხმალი აქეს, არ თუ ისარი,
ქორმან იხილა, დაუდგა უძრავად—ქვაეს თუ ქვის არი (9).

ბალამი ბიბლიური პერსონაჟია, წინასწარმეტყველი, ჯადოქარი და მისანი, რომლის ვირიუ უეცრად ამეტყველდა, რომ პატრონისთვის პროტესტი გამოეცხადებინა უსამართლო ცემაზე.

მოსეს მეოთხე წიგნში „რიცხვთა“ მოთხრობილია, რომ მოაბელთა მეფეს ბალაკს აღმოფთვებდა ისრაელელების წარმატებანი და მიმართა ვინმე გრძეულ ბალამს, რომელმაც მომავლის განჭვრეტა იცოდა. ეს ბალამი თეიმურაზის მიხედვითაც არის „გრძნეული, მოგვი, მისარი“. ბალამს მეფე ბალაკმა სთხოვა, რომ დაგვლოცე და ებრაელები დასწყევლო. ბალამს არ უნდოდა, მაგრამ შემდეგ ღვთის ჩაგონებით გზას გაუდგა. ღმერთმა გადაიფიქრა განზრახვა და ბალამს გზაში სასწაული მოუვლინა. ვირზე ამხედრებულს ხმაღმემართული ანგელოზი გამოეცხადა და გზა გადაუღობა. ბალამმა ანგელოზი ვერ შენიშნა, ვირმა დაინახა და წინ აღარ წაჰიდა. ზუსტად ეს ამბავია მოთხრობილი თეიმურაზის ზემოთ ციტირებულ სტროფში. ბიბლიაში ეს ეპიზოდი ასე იკითხება:

„და იხილა ვირმან მან ანგელოზი იგი ღვთისა, მდგომარე გზასა ზედა და მახვილი ხდილი ხელსა შინა მისსა, და მიაქცია ვირმან მას გზისაგან და ვიდოდა ველსა, და სცა ვირსა მას კვერთხითა მოქცევად იგი გზად.

და დადგა ანგელოზი იგი ღვთისა ფოლორცთა ვენახისათა და იყო ლაბე ერთი კერძო, და ღობე მეორე კერძო. და იხილა ვირმან მან ანგელოზი იგი ღვთისა და მიედრიკებოდა იგი ღობესა მას და მოქლიშა ფერხი ბალამისა ღობითა და შესძინა მესამედ მისა.

და შესძინა ანგელოზმან მას ღვთისაგან მერმე, და მივიდა და დაადგა გზასა იწროსა, რომელსაც ვერ იყო მისაქცეველი მარჯვენით, არცა მარცხენით.

და იხილა ვირმან მან ანგელოზი ღვთისა და დაწვა ქვეშე ბალამისა და განრისხნა ბალამ და სცემდა ვირსა მას კვერთხითა.

და განულო ღმერთმან პირი ვირსა და ჰრქვა ბალამს: რაი გიყავ შენ, რამეთუ მეც მე ესე სამ გზის?„⁹⁶.

ბიბლიური შინაარსისაა შემდეგი სტროფები:

ვერცა მან გიცნა სიბრძნითა, ვერც სწავლა მოიხმარაო,
ვარსკვლავი იაკობისი—ეს უნებურად წამაო.

⁹⁶ რიცხვთა, 22, 23—28.

ბაბილოვანი ბეთლემად, ვინ მოგვნი მოიყვანაო
ცრუ წინასწარმეტყველებით ვშმაქნი წარიყვანაო (10).

ამ სტროფში მოთხრობილია სახარების დასაწყისის ამბები. ბეთ-
ლემი სახარების ტრადიციის მიხედვით ქრისტეს დაბადების ადგილია.
მოგვი არის გრძნეული, მისანი, ვარსკვლავთმრიცხველი. სახარებაში
მოთხრობილია სამი აღმოსავლეთელი მოგვის გასპარის, მელქიორის
და ბალთაზარის (ეს სახელები სახარებაში მოხსენიებული არ არის,
ისინი ამ მოგვებს გვიან, მე-8 საუკუნეში ინგლისელმა ლეთისმეტ-
ყველმა ბედამ შეარქვა, თითქოსდა ლეთაებრივი ზეშთაგონებით გა-
იცო) წასულა ნაზარეთში, ყრმა იესოს თაყვანისსაცემად.

ხოლო იესოს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე
ნეფისათა აჰა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალემდ და იტ-
ყოდეს:

სადა არს. რომელი იგი იშვა მეუფე ჰურიათაჲ? რამეთუ ვიხი-
ლეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყვანის-ცემად
მისა“⁹⁷. ამრიგად, სახარების ცნობით, ვარსკვლავის მოძრაობის მი-
ხედვით მივიღწენ იქ, სადაც ყრმა იესო იყო:

და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინა
უძლოდა მათ, ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა, ადგილსა მას, რომელ-
სა იყო ყრმაჲ იგი“⁹⁸. თეიმურაზის ტექსტში -ნახსენებ ვარსკვლავში
სწორედ ეს ვარსკვლავი იგულისხმება, რომლის მოძრაობის, გადა-
ნაცვლების მიხედვით მივიღწენ მოგვები ბეთლემს.

ბიბლიური შინაარსისაა „ლეილმაჯნუნიანის“ 158-ე სტროფი.
ერთ-ერთი იმ შვიდთა მეფეთაგანი, რომელთაც ლეილის ცოლად
თხოვა სურდათ, სწერს ლეილის მამას.

აღამ დაკარგა სამოთხე პირველ შექმნილმან მამამან,
იგ გამოასხნა ედემით, ხილას უდროოდ ქამამან (ლ. მ. 158).

შემდეგ საკითხი, რაც ჩვენს ინტერესს იწვევს რელიგიური მო-
ტივების თვალსაზრისით თეიმურაზთან, არის ქრისტიანული ცნების
განგების ხმარება. განგება, როგორც გამოუცნობი, გარღვეული ნება
ლეთისა გვხვდება ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში. „განგე-
ბანი ღმრთისანი არა გულისხმა-იყოფების კაცთა მიერ“ — გვეუბნება
ძველი აღთქმის ტობის წიგნები⁹⁹. არის პავლეს ეპისტოლეში ეფესელ-
თა მიმარ: „განგებაჲ საიდუმლოჲსაჲ მის დაფარულისაჲ“ (3,9). ეს

⁹⁷ მათე, 2, 1—2.

⁹⁸ იქვე, 2, 9.

⁹⁹ ძველი აღთქმის აპოკრიფებს ქართული ვერსიები..., გვ. 128.

ცნება დადასტურებულია სახარებაშიც, ძველ ქართულ პაგი-
ოგრაფიაშიც: „სალმრთონი წესნი და განგებანი დაესხნეს მონას-
ტერსა“ („იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“) იოანე ოქროპირის
საკითხავებში: „ესე ღმრთისა განგებითა შეემთხუევს“ (313—ხელნ.
A 144). გვხვდება ეს ცნება საისტორიო მწერლობის ძეგლებში („ს-
ტორიანი და აზმანი შარაევანდელთანი“ — 46, 13; 10, 10; 10, 12;
51, 13 და ა. შ.), საერო ძეგლებში: „ნუ თუ გულსა საეკუთი ჩიილო,
რომელ: მოვერევი ღმრთისა განგებასა“ (ვისრ. 52, 35) ქრისტიანული
ცნება განგებისა არის ვეფხისტყაოსანში. იგი აქაც გამოუცნობი, გარ-
დუვალი ღვათს ნებაა. მ. გოგიბერიძის შენიშვნით, „რუსთაველის
ღმერთი განგებისა და გონების სინთეზია. რამდენადაც ადამიანი უზე-
ნაეს არსებასთან დამოკლებულებას იჭერს, იმდენად იგი ადამიანი-
სათვის განგების სახეს ღებულობს. „ვეფხისტყაოსანში“ ღვათება,
როგორც განგება ცხრაჯერ არის ნაბმარი და ყველა შემთხვევაში ამ
აზრით... განგება გაგებულია, როგორც უზენაესი ძალა“¹⁰⁰. ამ აზრს
მართლაც ადასტურებს ვეფხისტყაოსნის ავტორის რელიგიური მრწა-
მისი გარკვევისათვის მნიშვნელოვანი აფორიზმი: „განგებასა ვერცინ
შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების“ (188, 4). ქრისტიანული ცნე-
ბა განგებისა თეიმურაზთან გვხვდება სპარსულიდან გადმოღებულ
ნაწარმოებებში.

გვანდა ზეგარდმო განგებით სამისოდ მოელინებული (ლ. მ. 75, 3).

განგებითა იგი იქმნა, მას მოლასთან მინავეარი (ლ. მ. 19, 4).

იგ პირველ და უსაბამო, განგებით დასაბამობდი (ლ. მ. 251, 1).

განგება იყო მალისა—უწყალოთ შეწყალოდეს (ი. ზ. 39, 2).

განგებითა აღარ მოკედა, თვით სიკვდილსა დაეცადა (ლ. მ. 204, 3).

კუბოსა თავი მოხადა—განგებით აღდა ქარია (ი. ზ. 23, 2).

ღმერთის ეპითეტად თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებულ ნაწარ-
მოებებში გვხვდება ქრისტიანული შინაარსის შემოკველი ცნება შე-
მოქმედი, რომელიც ნიშნავს გამჩენს, სამყაროს — ცისა და ქვეყნის.
ხილულისა და უხილავის შემქმნელს.

ჰე, არსისა შემოქმედო შენგან არი ყოვლიფერი (ვ. ბ. 1, 1).

არ ინდომა შემოქმედმან, მას წყალობით არ უღმერთა (ლ. მ. 62, 3).

¹⁰⁰ მ. გოგიბერიძე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, თბ., 1961, გვ. 57.

ჯერ ვადილო, რაც ძალ მედვის, შემოქმედი მისგან ქმნილმან (ე. ბ. 13, 1)-
 დახსნა სწაღდა შემოქმედსა, იგ ბქეთა-ბქე სხეასა ბქობდა (ი. ზ. 239, 4)-
 ეშმაკი ჰყავთ მათ თვის ღმერთად, შემოქმედი დაეტევა (ი. ზ. 110, 1).
 მონისა დახსნა უნდოდა მას შემოქმედსა ცისასა (ი. ზ., 244, 1).
 იგ მადლობდა შ. მოქმედსა ხელაყრობით, ცრემლით ტრისა (ი. ზ. 270, ა).
 დაუმაღლა შემოქმედსა, საქმე ესე აწინდელი (ი. ზ. 273, 2).

თეიმურაზი „შამიფარვანიანის“ შესავალში თავს ქრისტეს მონად აცხადებს: „ქრისტეს მონა ვარ, მითა მძულს მეჩიტი, მინარანი და“ (11,4). იესო ქრისტე „ლეილმაჯუნიაანის“ ტექსტშიცაა მოხსენიებული. ბარაინის მეფე მოკითხვის წიგნს უგზავნის ლაზა ქალაქად ლეილის მამას, ლეილის ხელს სთხოვს, უთვლის: „მუდამ გამოროს უფალმან საქმენი მოსაწყინისა“ (167,3) და აგრძელებს „მეფედ მან დაგსხა, მას ვმონოთ — მოსემ ქადაგა ვინ ისა“ (167,4). ე. ი. მაჰმადიანი ლეილის მამა ბარაინის მეფის აზრით ღმერთს, უფალს დაუსვამს მეფედ და ეს ღმერთი არის ისა. ისა კი იესო ქრისტეს სახელის არაბულ-სპარსული ფორმაა, რომელსაც თეიმურაზი თავის ორიგინალურ შემოქმედებაშიც ხმარობს. „ჰო მე, რითა მაქვს იმედი, რომ გამოძიხსნას ისამან?“ (ქეთ. 26,4), — ამბობს ტყვეობაში მყოფი დედოფალი ქეთევანი.

ზემოთ ცირიტებულ სტრიქონში კი მოსე არის წინასწარმეტყველი მოსე, ებრაელთა წინამძღვარი და სჯელისმდებელი, რომელმაც ებრაელები ეგვიპტის მონობიდან გამოიყვანა და აღთქმული ქვეყნის კარიბჭემდე მიიყვანა. მოსე თეიმურაზთან სხვაგანაც არის მოხსენიებული:

ვინ უწყის—მოსეს, ელიას მთაზედან უამბე რაო (ე. ბ. 94),—

მამართავს თეიმურაზი უფალს. ამ სიტყვებში იგულისხმება იესო ქრისტეს საცდელი ცადამაღლება თაბორის მთაზე. ეს ამბავი ასეა მოთხრობილი მათეს სახარებაში: „და შემდგომად ექუსისა დღისა წაროყვანა იესო პეტრე და იაკობ და იოანე, ძმაჲ მისი, და აღიყვანა იგინი მთასა მაღალსა თჳსაგან.“

და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი.

და აჰა ეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა და თანა ჰზრახედეს¹⁰¹. ცადამაღლებული იესო უძრავად იყო სივრცეში. ცის-

¹⁰¹ მათე, 17, 1—3.

თაღრღან ჩამობრძანდნენ მოსე და ელია, გვერდში ამოუდგნენ და ესაუბრებოდნენ. ამ საუბრის შინაარსი მათეს და მარკოზის საბარე-
ზაში მოთხრობილი არ არის. მხოლოდ ლუკას საბარება გვეუბნება:
„და ამა ესერა ორნი კაცნი მის თანა ზრახვედეს, რომელნი იყვნეს
მოსე და ელია.“

რომელნი გამოჩნდეს ღიღებთა და იტყოდეს განსვლასა მას მისსა,
რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალემს¹⁰². თვით მაცხო-
ვარმა რა უთხრა მათ დაფარულია. მეტიც, იესომ თხოვა მოწაფეებს,
რომ ეს ხილვაეც საიდუმლოდ დარჩენილიყო: „ამენო მათ იესო და
პრქუა: ნუვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძე კაცისაჲ
მკედრეთით აღდგეს“¹⁰³.

აი, ეს მომენტი იგულისხმება თეიმურაზის სიტყვებში.

„იოსებზილიხანიანში“ ქრისტიანული ღმერთის ეპიტეტია „უკე-
თესი“. იოსებმა ზილიხანს მოსთხოვა კერპების უარყოფა და მიაი
ღმერთის ცნობა. „იციან ღმერთი უკეთესი, სჯობს კერპთაგან განყე-
ნება“ (282,2).

„ლეილმაჯუნნიანში“ გარდაცვლილ ლეილს მაჰმადიანმა მშო-
ბლებმა სანთელი აუნთეს საფლავზე — „საფლავზე დადგენ მშო-
ბელნი, სანთელს უნთებენ შამებ და“ (215,3). სანთლის ქრისტიანუ-
ლი დანიშნულება უფრო მკვეთრადაა წარმოდგენილი „შამიფარვანი-
ანში“. უიმედო მიჯნური ფარვანა ამაყ სანთელს მრავალ ქათინაურს
ეუბნება, სანთელი პირველ რიგში თავის სიამაყეს მის ქრისტიანულ
დანიშნულებაში ხედავს.

მე ღმერთმან შემქნა სამადლოდ. შენ სადით მომხვდი ბეღობით?
ხატთა და ქვართა წილი ვარ სულისა საიმედობით (45, 3).

სანთელი ამაყად აცხადებს, რომ მისი საქმე საღმრთოა, მკედარს უნ-
თებენ, ეკლესიის მსახურად ღამეს ათევიანებენ, საყდარში მჭდომია
მუღდამ და სხვა.

სანთელმან უთხრა: დამეხსენ ნეტარ, შენ ვინ და მე ვინა?
სამადლოდ შემქნა, რომელი საყდართა მჭდომი, ზე ვინა,
ეკლესიათა მსახურად სრულ ღამე გამათეინა,
ენ მკედარსა მუღდამ ამინთოს, მას ცოდვა არ აზღვევინა (51).

სრულ ჩემი საქმე სამღთოა, მე ვინ და მაჯნურობანი,
მუღდამ მით ენათობ, არა აქვს მით ვარდსა ჩემსა ზრობანი,
ეგ შენგან არ მკედარების ეს არის მართლის თხრობანი,
სიყვდილსა გიჯობს სიციცხლე, რად გინდა სუღარობანი (52).

¹⁰² ლუკა, 9, 30—31.

¹⁰³ მათე, 17, 9.

„იოსებზილახანანში“ თეიმურაზი აკრიტიკებს მისრ-ეგვიპტის სარწმუნოებას:

მისრეთს ღმერთი არ იყოღენ, ყველას კერპი დაესენა.
ეშმაკთ ზორვა მას ქალაქსა სასიყვდინედ დაესენა (109,3—4).

აქვე განაგრძობს, რომ შენოქმედის, სამყაროს გამჩენის, ცისა და ქვეყნის, ხილულისა და უბილავის შემქმნელის ნაცვლად ეშმაკი დაუსვამთ ღმერთად.

ეშმაკი ჰყავთ მათ თვის ღმერთად, შემოქმელი დაეტევა (110,2).

შემდეგ თეიმურაზი აღწერს მათ ღღესასწაულს „პასეჟი თუ ან კარკობა“ და თან ამელავენებს თავის დამოკიდებულებას: „არ იყვნენ კარგსა ქუეზედ თავს ვაგლახი დაეყარა“ (112,4), დილიდანვე ქალაქში საოცრება ხდებოდა „ხელთა ჰყვანდათ ზვარაკები, ზოგნი შვილსა დაუკლოდეს“ (113,4). ზილიხანის განოსულაც დაგვირგვინდა მსხვერპლის შეწირვით, რომელსაც თეიმურაზი ბილწს უწოდებს.

შეიბალნეს ნაგებთაგან, საქმეელი გენდრუკობდა,
აღუსრულეს მსხვერპლი ბილწი, მღვდელი ყველა ცუნდრუკობდა.
(115,1—2).

უეჭველია ყველა ეს გამოხატავს თეიმურაზის დამოკიდებულებას კერპთაყვანისმცემლობისადმი.

„ლეილმაჯნუნიანის“ სტროფში:

იტყვიან, თუ გამოუჩნდა მაჰმად მათი მოციქული,
იგ იტყოდა: ამ სოფელსა წახდა შენი კირნახული,
შენ შეგყარნე საუკუნოს ორნიე ერთგან აღვა რგული,
ესე მივირს: ვითა სჯერან, მით არიან კვე-ნაკლელი! (132).

მაჰმადი სხვის მოციქულად არის დასახელებული (მათი მოციქული), მაშასადამე, მაჰმადიანი კაცი ამას არ დაწერდა და ე. ი. ესეც თეიმურაზის წვლილია. აქვე, როგორც გ. ჯაკობიაც შენიშნავს „მაჰმადის დაპირებული საუკუნო სასაცილოდაც არ ჰყოფნის თეიმურაზს“¹⁰⁴. ვისაც სჯერა „ქუენაკლულად“ მიიჩნია.

ამავე „ლეილმაჯნუნიანში“ თეიმურაზი ლამაზი ფერებით აღწერს მაჰმადიანურ სამოთხეს, რომელიც სიზმარში ნახეს ლეილის მშობლებმა.

მათ ნახეს უცხო სამყოფი ქებად შეუძლო ენათა,
მზისაგან უმცხინეარესად იგ არე რამე ენათა,

¹⁰⁴ გ. ჯაკობია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 280.

არი რამ მზგაეის მთვარეთა, გვანდა რამ საქმე ზენათა,
ფშვა რამე სულნელებისა საყნოსლად მონაბერათა (253).

წალოტთა უშშვენეარესი ბალთ უტურფესი ბაღება,
ყვეილთა ალვად ბიბინი, ფერად-ფერადად დაღება,
ზარხოზად წახრა მოღრეკა, სანდომად თავთა დაღება,
ზედა ფრინველთა ამო ხმა უწვეტლად, არ სულ დაღება (254)-

გარემოს ზღუდელ გათლილი მართლად ზურმუხტი კლებული,
კარნი ოთხს ალავს ოქროსი, შიგან სხდეს თვალნი ქებული,
ხე მართლა იაგუნდისა, ძირ-ალმა თავ-კიდებული
შტოზედან ესხა ხშირ-ხშირად ლალ-მარგალიტი კრებული (255).

კოშკები ტურფად მალალი სრულად აღმასით შენოდა,
თუ არის ეული სახლები, იგ ნუ გგონია შენ ოლა!
წვერზედ სხდეს ფარშავანგები უფრთხვენლად. არ თუ შენოდა.
მათი ნათქვამი ეს არი, მე ვით გარწმუნო შენო და (256).

ბოლო სტროფის მეოთხე სტრიქონი მიუთითებს, რომ მაჰმადიანური სამყაროს ეს აღწერა მათი ნათქვამია. პოეტს ექვი იპყრობს, რომ მკითხველი ამას დააჭერებს და აცხადებს: „მათი ნათქვამი ეს არი, მე ვით გარწმუნო შენო და“, შემდეგ აგრძელებს:

ფარშავანგზედ სხდეს მუნ მყოფნი ყოველნი ცხონებულები,
ფრინეთ სერნობდენ ხე-და-ხე, ვის ვისთან სთქმოდეს გულები,
ტანნი სპეტაკით მოსილნი თავზედან ნათელ დგმულები (25,1—3).

და ისევ ველარ ითმენს და აცხადებს: „როგორც ქადაგა ეს მართლა, ისემც უცხონდა სულები“ (251,4). შემდეგ კიდევ მოსდევს სამოთხის აღწერის სამი სტროფი (258, 259, 260) და ბოლოს ისევ ანტიმაჰმადიანური პოლემიკა:

ეს არის მათი სამოთხე, მაჰმად ამგვარად უწესა:
ქალნი და ვაენი ტურფანი მუნ მყოფთა გვერდსა უწევსა,
იგ დაფარულნი ასონი—უთქვამს— სამ წყრთაჟღი უწევსა,
მთქმელსა და დამჭერებელსა ამა ამბვისა—ფუ წვერსა (261)

ამრიგად, თეიმურაზი გარკვევით ამჟღავნებს თავის უარყოფით დანოკიდებულებას „ლეილჰაჯნუნთანში“ და საერთოდ ამ პოემებში აღწერილი ამბებისადმი. დაბოლოს ის გვეუბნება, რომ მაჰმადიანთა ფელამბარი მუსაფში ასე აქებს ამ სამოთხეს, მაგრამ გაკვირვებულია „ეგზომნი სულნი ვით ჯერან, მიკვირს არ გაუქიქიან“ 262,4).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან მთავარი ის არის, რომ თეიმურაზი სწორედ სპარსულიდან გადმოღებულ ძეგლებში ემიჯნება მაჰმადიანობას, მას სძულს ყოველი ქეშმარიტი მაჰმადიანისათაყვანებელი ადგილები მქა და მედინა, სწყევლის ხაჯაფსა და ქალბალას

და „სულის აღმოქროლამდი“ აღიდებს ერთ ღმერთს სამებით. მაჰმადიანური სამყაროსადმი ეს უარყოფითი დამოკიდებულება ერთნაირად გაისმის, როგორც ადრეულ, ისე გვიანდელ ნაწარმოებებში.

წყეულმც არს ნაჯაფ, ქალ ალა, მაქა, მადინა, მოლაზდი,
გადიდო ერთ ღმერთს სამებით სულისა აღმოქროლამდი (ი. ზ 311).

„ქრისტეს მონა ვარ, შითა მძელს მეჩიტი, მინარანი და“,—ამბობს „შამითარვანიანში“. საერთოდ „შამითარვანიანი“ ყველაზე მეტადაა გამსჭვალული ქრისტიანულ-რელიგიური სულისკვეთებით. გასაკვირიც არ არის. „შამითარვანიანია“ თეიმურაზის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე გვიანდელი ნაწარმოები (1656), ამის შემდეგ ხომ მეფე-პოეტმა მალე გადააცვა ბერის ტანსაცმელი, თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თეიმურაზს, ჩანს, ადრეც ჰქონია ფიქრი სოფელთან განშორებაზე. „ლეილმაჯუნნიანში“ ერთგან ამბობს „ქკვა მას ჰქვია, ეინც სოფელსა სიკვდილს წინა გაეყარა“. მაგრამ გვირგვინოსანი პოეტი, რომელიც სხვა დროს გულახდილად აღიარებდა, „მაგას არ ვიტყვი არ გვინდეს სოფლისა ნივთიარებო“, მხოლოდ მაშინ გაეყარა სოფელს, როცა საბოლოოდ მოეკვცა ფრთები მის ოცნებებს.

მაჰმადიანური სამყაროს ამსახველ ძეგლებში ქრისტიანული სულისკვეთების ასეთი მკვეთრი გამოვლინება უეჭველად უნდა იქნას გათვალისწინებული თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებული პოემების წარმომავლობის საკითხის გადაჭრისას. თუ ამას ჩვენი კვლევის სხვა შედეგებსაც დავუმატებთ, გავითვალისწინებთ, რომ ორიგინალურია ამ პოემათა პროლოგ-ეპილოგები, ლირიკული წიაღსვლები, მათში წარმოჩენილია სოფლის სიმუხთლის თემა (რომელზეც ქვემოთ გვექნება ვრცლად საუბარი) ძალუმადაა გამოყენებული რუსთველის მხატვრული სახეები და ფრაზეოლოგია¹⁰⁵, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ თეიმურაზის სპარსულიდან გადმოღებული პოემები უნდა ჩაითვალოს პოეტის იდეურ მრწამსისა და შეხედულებათა გამომხატველად. ყოველივე ამის საფუძველზე კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თეიმურაზი მხოლოდ სიუჟეტურ მოტივებს იღებდა და ჰქმნიდა ორიგინალურ, ქართული სულით გაჟღენთილ ქმნილებებს.

¹⁰⁵ მე რ ი გ უ გ უ შ ე ი ლ ი რუსთველის გავლენა თეიმურაზ პირველის პოეზიაზე, მაკნე, 1970, № 6.

სოფლის სიმუხთლის თემა თეიმურაზის პოეზიაში

თეიმურაზის შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი თემაა სოფლის სიმუხთლის, წუთისოფლის მღურვის თემა. თეიმურაზი ერთი პირველთაგანია აღორძინების ხანის პოეზიაში, რომელმაც თამამად გამოთქვა, როგორც წუთისოფლის სიმუხთლისა და გაუტანლობის სამდურავი, ისე პირადი მწუხარება ბედისწერის ცვალებადობისა და სისასტიკის გამოწვეული წუთისოფლის პრობლემა ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ძველი ქართული მწერლობისა. ეკლესიასტეს სიტყვები: „ამაოება ამაობათა“ — ძირითადი მოტივია ამ მწერლობისა. გარკვეულ ასპექტში სოფლის მღურვის თემა, წუთისოფლის მუხალობისა და გაუტანლობის აღიარება ვეფხისტყაოსანშიც არის წარმოდგენილი. მართალია რუსთველის სიტყვით წუთისოფელი ცრუა, მუხთალი, გაუტანელი, მაგრამ ამ მიმართულებით გამოთქმული ყველა სტრიქონი ვეფხისტყაოსანში კონკრეტულ სიტუაციას უკავშირდება, თორემ ანუ რუსთველის პოემაში ძირითადია ამქვეყნიური ბედნიერებისათვის ბრძოლა ცრუ და მუხთალ წუთისოფელში. ამასთან ბედნიერი დასასრული უეჭველადაა განპირობებული. წუთისოფლის პრობლემა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა აღორძინების ხანაში. ამ პერიოდში სოფლის მღურვის გამოხატვას ჰქონდა გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები, ეს იყო „სულიერი ნიდრეკილება მთელი ეპოქისა, რომელსაც ვერ უპოვია სინაოლისა და ოპტიმიზმის ნათელი საკმელი“¹. აღორძინების ხანაში ამ პრობლემას პირველი წარმოაჩენს თეიმურაზ პირველი, რომლის, როგორც მეფისა და პოეტის ბედი დაკავშირებული იყო დიდ ეპოქალურ ძვრებთან. თეიმურაზის სოფლის უარისმყოფელი განწყობილებანი გამოვლენილია უმთავრესად მის ლირიკულ ქმნალებებში, კერძოდ მისი „სოფლის სამდურავი“ უშუალო და გულწრფელი მოთქმაა წუთისოფლის სიმუხთლის, მისი ვერაგობისა და გაუტანლობის გამო. „სოფლის სამდურავს“ გვერდში უდგას „გაზაფხულშემოდგომიანის“ ბოლოსიტყვაობა (84—107 სტროფები), რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცალკე ნაწარმოებს უნდა წარ-

¹ ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1966, გვ. 58.

მოადგენდეს. ამ ორ ლექსში თავმოყრილია თეიმურაზის მთელ შემოქმედებაში გაბნეული განწყობილებანი ბედისწერის საშინელების გამო. ეს თემა გამოხატულებას პოულობს „ქეთევანიანსა“ და „მაჯამაში“ და არა მარტო თეიმურაზის ორიგინალურ შემოქმედებაში, არამედ სპარსულიდან გადმოღებულ პოემებშიც („ლეილმაჯნუნიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ვარდულებულიანი“, „შამიფარვანიანი“). ამ ნაწარმოებებს სიუჟეტში სიყვარულის ტრაგიკულმა დასასრულმა თეიმურაზს შესაძლებლობა მისცა კიდევ უფრო მძაფრად გამოეთქვა ბედისწერის მუხთლობის საშინელება. ანტიკამ საუხეობით შესაძლებელია ამ სიუჟეტებით დაინტერესების საფუძველი მის პირად სულიერ ტრაგიზმში ვეცნოთ. სპარსულიდან გადმოღებული პოემების შესავალსა და ბოლოთქმებში, ლირიკულ წიაღსვლებში ჩაქსოვილია მწუხარება და ჩივილი ბედისწერის საშინელი მონაცვლეობის გამო.

თეიმურაზი სპარსულიდან გადმოღებული პოემების შინაარსის ამა თუ იმ ტრაგიკულ ფაქტს ბედისწერის საშინელებას, სოფლის სიმუხთლეს უკავშირებს. „ლეილმაჯნუნიანში“ სიყვარულით გაშმაგებული მაჯნუნის მშობლებმა ახლობლებს შესჩივლეს თავიანთი მდგომარეობა და საქმის მოგვარება სთხოვეს. ნათესაებმა ნუგეში სცეს და ლეილის დედ-მამასთან მოციქულობა აღუთქვეს.

კარს მოუდგნენ მოციქულნი ლეილისა დედ-მამათა,
მოგებნეს, ტკბილად დახვდეს, ვით ვთქვა ქება მამანათა!
იგონებდეს, მზისა თხოვნას თუ რას სიტყვით შეემართა.
სცანთ ბოლო-ყამ სოფლისაგან, რაც მათ ქალ-ყმათ დაემართა! (52)

ამ სტრიქონით უბედურება, რომელიც დაემართათ მაჯნუნს და ლეილს სოფლისაგან, მისი სიმუხთლისაგანაა განპირობებული.

ქორწილის დროს მაჯნუნმა ლეილის გოშიას დაუწყო კოცნა. „შვილი ვით მივსკეთ შემცდარსაო“, — თქვეს ლეილის მშობლებმა, კარში გამოაგდეს მაჯნუნი და „აიშალა ქორწილობა“. ლეილს „კაეშანი შეეყარა გულსა ურვად, ვინმცა მორჩეს ბოლო ყამსა სოფლისაგან დაუმდურვად“ (65,3—4). ისევ სოფელია დამნაშავე. ადამიანის ცხოვრებას უეჭველად თან ახლავს მისდამი მღურვა.

ხალუმთ იპოვეს ერთად შეყრილი ლეილი და მაჯნუნი. წაპკვარეს ლეილი მაჯნუნს და დედას მიუყვანეს. მაჯნუნი დაბნდა. გონს რომ მოვიდა, დაიწყო მოთქმა:

თქვა მიმეფარა ნათელი, ჩემთვის საწუთრო ბნელობდა,
ცოტა უკლია ჩემთვის მზე სწრაფით ჩასვლასა წვერობდა,

მე მიყო საქმე სოფელმან, რაც მის სიმუხთლეს ჰფერობდა,
მიწად მიძღვნი არა ჰყუა, არ თუ სიყვდილსა ძნელობდა² (93).

ლეილს მშობლები გათხოვებას აძალბებდნენ. ეუბნებოდნენ:
„მზეო, რამცა იყოს აწ სოფლისა შენგან მღურვა“ (139,1), ხელმ-
წიფენი გეძებენ, შენ კი „რად ემღურვი საწუთროსაო?“.

ლეილის მამა ლეილის ხელის მზოხონელ მეფეებს პასუხად უთე-
ლიდა თქვენთვის „არ თუ ცოლად, მხეველადაცა არა მშურდა“, მაგ-
რამ, ვაი რომ „ვით წესია საწუთროსა—ლხინი ჭირად შეეცვლებს“.

გარდაცვლილი ლეილის მამა უჩივის სოფელს:

სოფელმან მოგვცა მუხთალმან სარგებლის ნაცვლად ზიანი,
ღმერთსა მოვსძულდით: მოგვიყვდა, ბედი დაგვარგეთ სუანი (230,3-4).

ამრიგად, საწუთროს სიმუხთლეს, სოფლის ამაოებას, ბედის
უკუღმა ბრუნვას უჩივიან „ლეილმაჟნუნიანის“ გმირები. ჩვენთვის
უფრო საინტერესოა ის ლირიკული წიადსვლები, აღსარებანი პრე-
ტისა, რომლებიც ჩართულია პოემაში და პოეტის სულისკვეთებას
უფრო აშკარად გამოხატავენ.

ლეილი გარდაიცვალა. გლოვობენ, მზემაც კი შავები ჩაიცვა.
მშობლებს გამოსტაცეს და მიწას მიაბარეს უებრო ქალწული.

ციგრი ხედვენ, იგლოვენ, მზემან ჩაიცვა შავები:
—რად არ გეწყალის სამიწოდ,—თქვეს—რა უც დანაშაუები?
ხელთ გამოგლიჯეს, მშობელთა ჰქონდათ უი და ვაბი,
დაფარეს იგი მნათობი მიწით გარ-მონაცაეები (211).

ამ ფაქტის აღწერას თეიმურაზის გულში სოფლისადმი სამღურავის
გრძნობა აღუძრავს და მკითხველისათვის გაუზიარებია თავისი წუ-
ხილი:

დაევარდი სოფლის საგმობლად, დაეუწყებ სამღურაეებსა,
მისგან ნაქმარსა ჩვენზედა ვინ იყის ვიტყვი რაებსა,

² ამ სტროფის მესამე სტრიქონში: „მე მიყო საქმე სოფელმან, რაც მის სიმუხთლეს
ჰფერობდა“, „სიმუხთლეს“ არის ჩვენ მიერ მიღებული წაკითხვა ნაცვლად „საქმესა“,
რომელიც მხოლოდ ერთ (S 403) ხელნაწერში იკითხება. „სიმუხთლეს“ დასტურდება
ხელნაწერთა უმრავლესობაში (A 1735, S 1739, S 1508, A 593, S 3693, H 485, S 2676/ბ).
გარდა ამისა, სტრიქონს: „მე მიყო საქმე სოფელმან, რაც მის სიმუხთლეს ჰფე-
რობდა“ (მე ისეთი საქმე მიყო სოფელმა, რაც მის სიმუხთლეს შეეფერებო),—მეტი
მხატვრული დატვირთვა აქვს და შინაარსობრივად გამართლებულია, ჩივილია სოფ-
ლის სიმუხთლის გამო (იხ. მ ე რ ი გ უ გ უ შ ე ი ლ ი, შენიშვნები თეიმურაზ I-ის
თხზულებათა ტექსტზე, წერილი, II, კრ. „ძველი ქართული ლიტერატურა“, თბ.,
1977, გვ. 96).

აწ შეგვიწყალებს საკვდავად, ვით დასაკლავად კრავებსა,
ბროლ-ვარდსა, მინას—ქარვად და ლალსა გვიდარებს რაებსა (212).

აქვე პოეტი წუთისოფელს ახასიათებს, როგორც დაუნდობელს,
მუხთალსა და ბოროტს.

ფუ მას, რომელი მიენდოს, ან გულით დაეზავების,
ტახტზედან მქდომი ანაზღად მოკედების, გაეტყავების,
მარცხნით წაეა, თუ მარჯვენით, თიქანია თუ კრავების,
ოხრად დარჩების დიდება, სახლი, სამყოფი სრავების (213).

სოფელი ცრუა და გაუტანელი, ჯერ შეიტკბობს, ასიამოვნებს
ადამიანს, ანაზღად გაუცუდდება, უფალსა და მონას არ გაარჩევს და
ყველას ერთნაირად გასწირავს.

ჯერ დაბადებს უებროსა, ტურფად რამე მონაშენსა,
მოასურვებს ყოვლსა მისთვის, მას უჩვენებს მონაშენსა,
იგ ანაზღად გაუცუდებს, მით ჰყოფს ლახვარ-მონაშენსა,
არ გაარჩევს მცირე-დიდსა, უფალსა, თუ მონა შენსა (214).

სხვა ადგილსაც „ლეილმაჯუნეიანში“ თეიმურაზი მოგვითხრობს, რომ
ზასრელმა ამირამ მოწამლული შარბათით დააპირა მაჯუნის მოწამ-
ვლა, რათა თვითონ შეერთო ლეილი. მაგრამ „წამისყოფამან ღვთი-
სამან ნეტვალა ჯამთა დგუნლობა“ და თვით დაიღუპა. თეიმურაზი არ
აყოვნებს გამოთქვას თავისი შეხედულება საწუთროზე: „ეს წესია
საწუთროსა დიდსა ზედან, გინა მცირთა“ (128,2), ნაღველსა და შე-
ქარვებას მოუფლენსო. ამ სიტყვების თქმისათვის თეიმურაზს პირა-
დი ტრაგედიაც აძლევდა საფუძველს. მან თავის-თავზე გამოსცადა
ბედის დაუნდობლობა და სოფლის სიმუხთლე. მან კარგად იცოდა,
რომ მეფესა და მონას არ გაარჩევს წუთისოფელი. ეგებ მონაზე
მეტი ტკივილი მას — მეფეს შეხვდა. საკუთარ ოჯახშიც იწვნია
უებროს ანაზღად გაუცუდება. მშვენიერი მეუღლის ანას დაღუპვა,
ღედის და შვილების წამება, წუთისოფელმა სწორედ იგი ჰყო „ლა-
ხვარმონაშენი“. პოეტმა იცის, რომ „არვის გაუშვებს სოფელი, ბო-
ლოს არ დაუშვამებდა“ (215,2). ლეილის ტრაგედიის მოთხრობისა
და მისი მშობლების მწუხარების აღწერისას თეიმურაზს თავისი პი-
როვნული ტრაგიზმი გამოუხატავს, მძაფრი განცდებით გადმოუ-
ცია თავისი მწუხარება, ჩივილი ბედისა და სოფლისადმი, წუთი-
სოფლის გაუტანლობისადმი³.

³ 212—215 სტროფები, თუ მათ დაკვირვებით წაიკითხავთ, თანმიმდევრობის
მხრივ დაგვაქეძებს. 212-ე სტროფში თეიმურაზი იწყებს სოფლის გმობას. მთავრდება
ეს სტროფი სტრიქონებით:

„იოსებზილჩანისანი“ ზილჩანის, რომელმაც გაწირა იოსები და ორმოში ჩააგდეს უმართებულო ბრალდების განო, მოთქვამს და ჩივის უბედობაა და სოფლის სიმუხტლეს:

სოფელი და ბედი კრული მე აღმიდგეს მეტად შურად,
იგ ზის მიწას სასიყვდილოდ, მე ვით ელახო მოარულად? (235).

შემდეგ მოცემულია საწუთროს, სოფლის დაწასიათება. აქ ისევ, როგორც „ლეილმაჯუნნიანი“¹, ნათქვამია, რომ საწუთრო არ განარჩევს დიდსა და მცირეს, მეფესა და ქვეშეურდომს.

წესი არის საწუთროსა: საქმეს ბოლო დაქენების,
სენი მოუა სასიყვდინე—მეურნალთაგან რა ექნების?
ღრდი იუოს, გინა მცირე, იგი არვის მოეთნების,
მეფე სოფლით გარდიცეალა ტახტზედ ცეცხლი აენტების (262).

არ შეგვიწყალებს საკვდავად ვით დასაკლავად კრავებსა,
ბროლ-ვარდსა, მინას—ქარვად და ლალსა გვიდარებს სრავებსა.

შემდეგ მოდის სოფლის გმობა: „ფუ მას, რომელი მიენდოს...“ (213) შემდეგ კი ისევ სოფელი ხსიათდეს: „ჭერ დაბადებს უებროსა“ (214) და ა. შ. ჩვენი აზრით, შინაარსობრივი თანმიმდევრობა რომ დატული იუოს, სტროფები ასე უნდა დალაგდეს: 212, 214, 213, 215. თუმცა ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერებიდან ასეთი თანმიმდევრობა არცერთში არ გვხვდება. გასწორების საფუძველს იძლევა ამ მონაკვეთის შინაარსი, მოტივი, თემა, რისდამიცაა მიძღვნილი ეს ლირიკული აღსარება. იგი ასეთ სახეს მიიღებს:

დავარდი სოფლის საგმობლად, დაეუწყებ სამღურავებსა,
მისგან ნაქმარსა ჩვენზედა ვინ იცის, ვიტყვი რაეებსა,
არ შეგვიწყალებს საკვდავად, ვით დასაკლავად კრავებსა,
ბროლ-ვარდსა, მინას—ქარვად და ლალსა გვიდარებს სრავებსა (212)

ჭერ დაბადებს უებროსა, ტურფად რამე მონაშენსა,
მოასურებს ყოვლსა მისთვის. მას უჩვენს ზს მონაშენსა,
იგ ანაზლად გაუცულებს, მით ჰყოფს ლახვარ-მონაშენსა,
არ გაარჩევს მცირე-დიდსა, უფალსა და მონა შენსა (214).

ფუ მას რომელი მიენდოს, ან გულით დაეზავების,
ტახტზედან მჭდომი ანაზლად მოკვების, გაეტყავების,
მარცხნით წავა, თუ მარჯვენით, თიანია თუ კრავების,
ოხრად დარჩების დიდება, სახლი, სამყოფი სრავების (213).

პირველ სიტყვაზე მოვიდეთ, თუცა არ სმენად ამებდა,
არვის გაუშვებს სოფელი, ბოლოს არ დაუშხამებდა,
საფლავზე დადგენ მშობელნი, სანთელს უნთებენ შამებ და,
თქვის: მიგვეფარა ნათელი, ჩვენი დღე მისთვის ღამებდა (215).

ჩვენი აზრით, შინაარსობრივად ეს მონაკვეთი ამ სახით უფრო თანმიმდევრულია. კერძოდ, ჭერ დახასიათებაა წუთისოფლისა, ხოლო შემდეგ—გმობა, მოწოდება რომ მას არ მიენდოს.

ნისრეთის მეფეს ძე არ დარჩა და მის ნაცვლად იოსები გაამეფეს ე. ი. იოსების მიმართ სოფელმა წყალობა მოიღო. ეს ფაქტი დადებითად შეათვასა თეიმურაზმა და დიდებულებს ათქმევინა:

ქარგია ეს სოფელი, თუ კაცს გატანით ინდობდეს!

ძე არ დარჩა, ჭეფთი ეპოკეთ, ამ საქმესა ეერვინ ჰგობდეს (280).

თეიმურაზი იძლევა წუთისოფლის ზოგად შეფასებას. აქ ფილოსოფიურ ასპექტშია გააზრებული კაცობრიობის დიდი სატკივარი. თეიმურაზი ახასიათებს წუთისოფელს, იძლევა პასუხს კითხვაზე თუ რა არის და როგორია ის. /წუთისოფელი მუხთალია, უნდო: „მუხთლობა არის თავიდან სულ მისი დასაწყისი და“ (შედ. 9,2). ამ საკითხისადმი მიძღვნილი ჰპეტიალური ნაწარმოები „სოფლის სამღერავე“ თეიმურაზის სხვა ნაწარმოებების მსგავსად ლეთისადმი მიმართვით იწყება, ზოლო შექდეგ ახასიათებს მუხთალ სოფელს, რომელიც „არავის გაუთავდების“, თუ პირველად „ამოდ შეიტკობს“, „ბოლოს ეამ უმუხთლებს, გაუთავდების“, მუხთლობა მისი წესია. პოეტი მოუწოდებს სოფელს მყოფთ, რომ „ეს სოფელი მუხთალია, ნუ მიჰყვებით, შეიგონეთ“ (სამდ. 13,2). სოფელი და ადამიანი წინააღმდეგობაშია, დასაგმობია კაცი, რომელიც დაუზავდება მუხთალ სოფელს, „კაცს არ მიიხდობს ბოლოს ეამს, ამისთვის გამიქიქია“ (სამდ. 15,4). არც გვირგვინოსან მეფე-ხელმწიფეს ინდობს სოფელი „ვინ რომ დაიპყრა ქვეყანა, დღე მასცა ანთაუბია“ (სამდ. 12,3), მათაც მოშლიათ სრა ტახტი. ტახტი არ არის ღირსი, რომ მასზე ღირსეული იჯდეს, რადგან „სმელთა მფლობელსაც არ ასცდეს ბოლოს დაცემა მეხისა, მას დაუღუმდეს ბავნი, ველარვის შეუქებისა“ (შედ. 93,4), „ტახტი იმას არ ღირს იყოს, რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი, იგ ანაზად გარდმოავდოს, აღარ იყოს მისი ჩრდილი“ (შედ. 94,1—2). სოფელი იმასაც მოახდენს, რომ ღირსეულის ნაცვლად ტახტზე „დაჯდეს ვინმე უშვერი და სულ უნდილი“. შეუპრალებელი წუთისოფელი დიდხანს არ გვაცხოვრებს, „გვარდსა დაგვიქნობს უფრქვენელსა“ და ბედს გვაწყველინებს. სილამაზეს მოგვისპობს, ვით მალ მწვევარს კურდღელი ვერ გაექცევა, ისე ვერ დავემალებით. თუ დიდხანს გვაცოცხლებს უარესს დაგემართებს, ძვირფას ადამიანებს დაგვიხოცავს და სამუდამო სულთქმა-კენესას და ტირილს დაგვიმკვიდრებს. სრულიად შესცვლის სილამაზეს, მოსაწყენს გახდის ოდესდაც მშვენიერ მნათობს, თვალს სინათლეს დააკლებს, წარბთა და წამწავთ გააყრევინებს, წელში მოხრის ლერწმის მსგავსს, უკვდავერის ღმილიან ბავეს მოუშლის, გიშრის ტვერივით თმას სპეტაკს შექქმნის, ადამიანს საბოლოოდ წახდენს.

ამას გვიზამს, და სხვათა ვთქვა მისგან ჩეუნჯედა ქმნულება,
ესრეთ მოგვშლის და წაგვახდენს—არ გინდეს სულთა დგმულება,
იგი უებრო, უსწორო, უშეერ ჰყოს ქმნულ-კეთილება,
იქ მისგან ერთიც არ შორჩეს გული უწულულო, ულება (შედ. 98).

ან სიკვილის მიგეცემს ანაზღად, ან სიბერესა ძნელებსა,
პირსა თვალურებრ გაესილსა არმურსა დაგედებს ბნელებსა,
ეგრე უებრო მნათობსა ვერ ექოს ბრძენთა ენებსა,
ყოველთა სატრფიალოსა იგ შეიქმს მოსაწყენებსა (შედ. 99).

თვალთა დააკლებს ნათელსა სოფლისა მაშენებელსა,
წარბთა მშვილდულებრ მოხრილსა, მიჭნურთა მახელებელსა,
შავთა წამწამთა ნარგისთა, მკერეტელთა გულსა მხებელსა,
გააყრევინებს, წაახდენს მნახველთა ცეცხლთა მდებელსა (შედ. 100).

პირსა დაუქცნობს მნათობსა უთეთრეს ზამბახისასა,
ლაწვისა ფეროვნებასა ვარდულებრ გაშლილისასა,
წახრის და მოსდრეკს ლერწამსა ტან-სარო ალვის ხისასა,
დაადუხჭირებს ჟავარსა სანდომად უსულისასა (შედ. 101).

ბაგეთა მოჰშლის ეგეთსა—უეკდაეებასა ღიმობდეს,
კბილთა წაახდენს—მასთანა ვერც მარგალიტი ღირობდეს,
თმას ამბრის ფერთა კოქამდი, რომ გიშრის ტეერად ხშირობდეს,
გაუსკეტაკებს თოვლურებრ, იგ ვეღარ ამბრად ძვირობდეს! (შედ. 102)-

ეს გრძელი ექსკურსი იმისათვის მოვიტანეთ, რომ თვალნათლივ
გვეჩვენებინა თუ რა შესანიშნავი პოეტური სტრიქონებით დაგვიხა-
ტა თეიმურაზმა მთელი ის საშინელება, რომელიც სიკვდილს გაუმ-
ზადებია ადამიანისათვის. მაგრამ ყველაფერი ეს არის მაინც უკეთე-
ნი, რასაც ადამიანი სოფლისაგან მოელის, თუმცა ესეც გარდუვალი
სიკვდილით ბოლოვდება, აქ თეიმურაზი აყენებს სიკვდილ-სისციოტე-
ლის პრობლემას:

ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან მოსალოდები,
აწ ამაშიგან ვითმც იქნას გული არ დასაკოდები?
ერთ ღღეს ვიციინით, მით უნდა მრავალ-ეამ ვიყოთ მგოდები,
ბოლოჯამს ისევ სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები (103).

თეიმურაზი წუთისოფლის მუხთლობის ზოგად დახასიათებაზე
არ ჩერდება. „სოფლის სამღურავის“ სტრიქონს „კაცს არ მიინ-
დობს ბოლოს ეამს, ამისთვის გამიქიქია“ (15,4) — მოსდევს სოფ-
ლისადმი მღურვა საკუთარ უბედურებათა გამო.

სოფელმან თვისი სიმუხთლე ჩეშხედა არა დალია,
მაკვდინებელი წამალი მე მასვა მან არ დალია.
ჭურღმულსა შიგან შთამაგდო, შიგან დამიხვდა და ლია,
ტყავისა ნაცულად სუღარი მომცა, არ მიკლავს დალია (16).

საკუთარი ბედისადმი მღურვისა და პირადი უბედურების გამო
მწუხარებით აღსავსე სტრიქონებით სავსეა თეიმურაზის გოდება.

რად, სოფელო, სხვა არ დასწეი ჩემებრ, მე შეენ დასადაგე?!
გლახ, ლახვარი სასიკვდილნი ყველა მე მკარ, დასად აგე!
დამიყარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე? (შედ. 85).

სრულ დაგლიჯე ვარდი ჩემი, იგ არცა თუ მოაწივე
ვინცა შეგქმნა, მან შენ გიყოს, რაცა ჩემზე მოაწივე,
მოკვდე—მიწაც აღარ მინდა, ჩემზე მხეცნი მოაწივე,
მაშინ აგრეც შეგებრაღლე, იტირე და მო, აწი, ვე (შედ. 86).

მე წამართვი სიციცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა,
რად გინდოდი სასიკვდილნი? შენ მაღირსე არ დარჩენა!
არ გამართებდა ეგზომ მეტად მტერობისა გამოჩენა,
თავიდაღმე სრულ ბოლომდი ჩემთვის ესრეთ შეგეჩენა (შედ. 87).

ამ სტრიქონში გაისმის მწუხარება იმის გამო, რომ პირადად მას
შეზედა ყველაზე მეტი ტკივილი. წუთისოფელმა შემოაცალა უახლო-
ესი ადამიანები: ძე. ასული, და. ძმა; მშვენიერება და თვალის ჩინი
დაუყარგა, მტრად ექცა და განაწამები პოეტი, რომელიც სხვაგან სი-
კვდილს უხმობს: „ნეტამც ვინმე საკვდილს მიმცაო“,—საწუთროს სი-
ბრაალული რომ განოიწვიოს, უცხადებს: „მოკვდე — მიწაც აღარ
მინდა ჩემზედ მხეცი მოაწივეო“.

რაც შეეხება თეიმურაზის „მაჯამას“, იგი სატრფიალო-სამიჯნუ-
რო ლექსების კრებულია და მისი ძირითადი მოტივი სიყვარულია;
მაგრამ მთელს ამ ნაწარმოებს გასდევს ჩივილი საწუთროს სიმუხთ-
ლის გამო. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა აღგვენიშნა, რომ თეიმუ-
რაზის მიერ დახატული ცალმხრივი, უიღბლო, ტრაგიკული სიყვარუ-
ლი პოეტს საშუალებას აძლევს გამოხატოს წიუთისოფლის მუხთლო-
ბის საშინელება.

გრძლად მატირა საწუთრომან, ცრემლთა ღვარი დამელია,
მიჯობდა თუ სიკვდილისა, გლახ, სასმელი დამელია;
მომამულა თვისთა ტომთა, ძმა არ მაძმო, და მელია;
აწ სოფელო, ვარდთა ზრობად მოვალ, რადგან დამე ლია (II, 6).

მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,
ჩემკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყოფა,
რა ვამეყარა მოყვარე, ხედაეთ, რომ სულიც მეყოფა!
გული სავსე მაქვს ლახვრითა, სხვა კიდევ... აღარ მეყოფა?! (III, 4).

აწ გულსა კრულსა, ხელქმნილსა სევდა უპირებს მორევად,
რადღა სულდგმულობს ლახვარი, ეითა მუღამა მორევად?

გლახ, ერემლთა ჩემთა ნაქადთა, რასდენი დაღვა მორევად,
აჲ, რადგან მაკლო ნიშატმან, მიმიშვით, მივსყუე მორევად (VII, 5).

სოფელმან და ეამმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარვა,
ათასი და უმეტესი ქირი ჩემი განაქა რვა?

რა ბრალია, მინა-ვარდი ოდეს იქნას განა ქარვა!

ამას ვჭურვარ, მით რომ ერთლდე აღარ მომხედეს განაქარ, ვა! (VII, 6).

აქვე ამკარადაა გამოთქმული სიკვდილის სურვილი:

ნეტამც ვინმე სიყვდილს მიმცა და არ დამაზარაა

ლხინის სანაცვლოდ სოფელმან სულ მატირა და მაზარა.

უყუავილომ და უვარდომ ლეინომ რაც ქნა, დამაზარა,

აგრე რამ მოჩანს: სოფელი ბოლოდ მომცა და მაზარა (VII, 16).

ამრიგად, სიყვარულის თემის გაშუქებისასაც თეიმურაზმა გა-
ატარა თავისი პოეზიის ძირითადი ხაზი, გამოხატა თავისი ძირითადი
განწყობილება. ამ თემის დამუშავებით მეტი სიმძაფრე მიანი-
ჭა ბედისწერის მუხბლოების საშინელებს გამობატვას.

სპარსულიდან მომდინარე პოემებზე დართულ შესავალსა და ბო-
ლოსიტყვაობაშიც, ლირიკულ წიაღსვლებში ამკარადაა გამოთქმული
სამღურავი მისი საკუთარი ბედის ჩარხის უკულმა ტრიალის გამო.

სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ეამნი და დღენია,

სხვას ვისმე ჩემნი პატყენი არც ვის კი ამბად სმენია,

თვალთაგან კრემლი უწყვეტი ნილოსის მსგავსად მდენია,

ცუდად უსაქმოდ ყოფითა ცნობანი გარდამელა (შ. ფ. 12).

მე გასაძლებად დაიწერე ხან ისი, ხან ეს რამეო,

გული ამაზედ დავაყარ, ბევრი დღე დაუღამეო,

სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევიღამეო,

ჩარხი უკულმა დაბრუნდა, ბედი დამტერდა, ვა მეო (შ. ფ. 13).

პიროვნული ტრაგიზმი მძაფრად ისმის „ვარდბულბულიანშიც“:

სცანით, სიბრძნისა ტრფილნო, ძალნ, სიტყვათა თქმულისა,

უცებთა არად სანდომი, ცნობითა—წამლად გულისა;

მე გამიმწარდა საწუთრო, აბეზარ ვიქმენ სულისა,

სოფლისა ავად ბრუნეამან მე ერთობ გამაგულისა (3).

„ქეთევანიანშიც“ ბუნებრივად მოსალოდნელი იყო, და არის კი-
დეც სოფლის უარისმყოფელი სტრიქონები:

ფათერაკია სოფლისა სიციცხლე, თვალის წამება,

ფერობა, ბრუნვა, ჩვენება, წესად სჭირს ცილის წამება,

ფრფინვა ვისცა აქვს შვებითა, ბოლო მისთვისცა წამება,

ფრთხილად ეიყავ და გასინჯეთ, ამაღ არ მექმნას წამება (2).

თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროს ა,
უფროსად ღმერთი აღიღოს, სხვა არცინ შეიწყნაროსა,
უხეებით მისცეს გლახაკთა, საუნჯე შეიწყნაროსა,
უკმოერიდოს სოფელსა, არად არ შეიწყნაროსა (3).

აქ ისმის სოფლისაგან განშორების მოთხოვნა: „უკმოერიდოს
სოფელსა...“.

წინრიგად, სოფლის მღვრვის თემას, ბედისწერით უკმაყოფილე-
ბას დაუკავშირდა პირადული ტკივილების გამო წუხილი. ეს არის
სწორედ საინტერესო ამ თემის დამუშავებისას თეიმურაზთან. თე-
იმურაზმა მწერლობის ცენტრში დააყენა პიროვნება თავისი სატკი-
ვართ, მთელს მის შემოქმედებაში ჩვენ ვხედავთ პოეტს ადამიანუ-
რი წუხილით სავსეს, საკუთარ ტანჯვაზე მოლაპარაკეს, რომელიც თა-
მამად გამოთქვამს თავის ადამიანურ მწუხარებას, ბედისწერით უკმა-
ყოფილებას, რაც საბოლოოდ რელიგიურ სინანულში გადადის და
ღვთაებრივ სამართლიანობას, ქრისტიანულ-მორწმუნეობრივ იმედს
ჩაექვლება: „მოველი შენგან ხსნასა და შენსავე იმედებაა“ (შ. ფ.
68,4).

მე აჲლ ვოთხოვ ღეთისაგან—არ წამიწყვილოს სულა,
მუნ გამოიხსნას ტანჯვისგან, აღარ დამაჩნდეს წყლულია (სამღ. 21),—

ამბობს თეიმურაზი და იღვწის იმისათვის. რომ „მუნ არ დაგვეხმას
კარებიო“. პოეტს აქვს ღვთაიური სამართლიანობის იმედი. ბოლოს და
ბოლოს სოფელი ხომ ღმერთმა შექმნა — „ყოვლთა არსთა მბადე-
მან“ ადამიანთათვის და ღვთაიური სამართლიანობის შედეგია. რომ
სოფელმა

სრულ ვერ გვიშოვნოს წარწყმედად ბოროტთა მოსაწადემან,
ვერ შეგვიმწყვიდოს უხსნელად სრულად ცოდვისა ბადე მან.
(შ.ღ. 104, 3—4).

თეიმურაზი ხანდახან სძლევს სასოწარკვეთილებას და ნაწი-
ლობრივ მისაღებად ზიჩნევს ამქვეყნიურ ნივთიერ სიკეთეს, აყენებს
სოფლის მიღების, მისი სიკეთით სარგებლობის იდეას: „მაგას არ ვი-
ტყვი არ გვიჩნდეს სოფლისა ნივთიარები“ (შედ. 105,4), მაგრამ
აფრთხილებს თავის თანამედროვე საზოგადოებას: „არ ვიტყვი:
სრულად გაუშვით. ნუ გიყვარსთ სულ წასულითა“ (შედ. 91,4). თეი-
მონ სევდამწარებული პოეტი, უიღბლო მეფე და უპირველესი რაინ-
დი თავის თავს მოუწოდებს:

თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა,
უფროსად ღმერთი აღიღოს, სხვა არცინ შეიწყნაროსა (ქეთ. 3, 1—2).

თავის ცოდვილ სულს მიმართავს:

განაგდე შეება სოფლისა, თავი ღვთისათვის აწამე!
უფალსა შენსა კმსახურე, გულითა მასცა აწ ამე (სამღ. 10).

პოეტი გულწრფელია რელიგიური გრძობების გამოხატვაში. ის მოსთქვამდა: „მიჯობდა თუ სულისათვის სინანული დამეწესაო“, ან მიმართავს სულს:

გიჯობდა ეკლესიისა კარი ნიადაგ მოგეცა,
ცრემლთა მოლი მოგარწაო, ჭანს მუღამ ძაძა მოგეცა (სამღ 7).

აქ უნდა იგულისხმებოდეს სჯობდა სულიერი ცხოვრებისათვის გამზადებულიყავი, ეკლესიის კარზე გემოლევარო. შემდეგ კიდევ მოუწოდებს თავის ცოდვილ სულს „თავი ღვთისათვის აწამეო“.

ამრიგად, პოეტი წუთისოფლის ამაოების, პირადი ტყვილებს ღრმა განცდას რელიგიური განწყობილებებით ანელებს და რგი ღმერთსა და საიქიო ცხოვრებაში ეძებს გამოსავალს.

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გვირგვინოსანი პოეტი, რომელიც თავის პიროვნულ ტყვილებს გვამცნობს თავის საკუთარ უბედურებას აზოგადებს და გვეუბნება:

გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია?
ვის ჰქონდა მუღამ სრა-ტახტი, მოშლია მას თავებია (სამღ. 12).

ზოგან თეიმურაზი კონკრეტულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიზეზებსაც გვამცნობს:

მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა (მაჯამა, III, 4, 1).

თავისი ხალხის მტრის ხელში ჩაცვენამ ლხინი ჭირად შეუცვალა პოეტს და შეღონებული მოსთქვამდა:

მე ვხედავდი ლხინსა ჩემსა სრულად ჭირად გარდაცვლითა,
იგ ერთობით სპათა ჩემთა მტერთა ხელში ჩანაცვინთა (შედ. 88, 1—2).

თეიმურაზმა დიდი პოეტური უშუალობით აღწერა ჩვენი ქვეყნის აოხრება შაჰ-აბასის მიერ, როცა მათ ქვეყანა „დაარბივეს, ამოწყვიტეს, შექნეს ვითა განაქარი“ (ქეთ. 11,4), მარად ნეტარი დედის ქეთევანის უმაგალითო წამება, სამშობლო ქვეყნის გაპარტახება და აოხრება. მართლაც, თეიმურაზის სევდა-ნალევლში მარხია ღრმა სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები, „უღლეური გამოდგა პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ზრახვები. უშედეგო — მრავალმხრივი

ზრუნვა, კატასტროფით დასრულდა მისი საკმაოდ ხანგრძლივი მოღვაწეობა. და აი, იმედგადაწყვეტილი მეფე და პოეტი მხატვრულ-სიტყვაში აქანდაკებს თავის მწუხარე განცდებს. ამდენადვე თეიმურაზის ლირიკა უაღრესობამდე უშუალოა, გულწრფელი და დამაჯერებელი“⁴.

სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებდა ანტონ ფურცელაძე, რომელმაც ფორმითაც და შინაარსითაც უშნოდ და უაზროდ მიიჩნია თეიმურაზის პოეზია⁵. უარყოფითი შეხედულების ყოფილა თეიმურაზზე აკაკი წერეთელიც⁶. მსგავსი შეხედულება გამოითქვა უკანასკნელ ხანს ტარიელ ჭანტურიაშ⁷ მიერ. ჩვენ არ შევუდგებით ამ შეხედულებების განხილვას, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ, როგორც ჩვენ უკვე ვაჩვენეთ, თეიმურაზის პოეზიაში აშკარად კპოვა ასახვა ქვეყნის ჭირ-ვარამმა, ქვეყნის ცრემლმა და მწუხარებაში. თეიმურაზის სევდა-ნაღველი ღრმა სოციალურ-პოლიტიკურმა მიზეზებმა განაპირობეს. თეიმურაზმა იმღერა თავისი მწუხარე სიმღერა, მოგვითხრო თავისი პირადული და ადამიანური განცდების შესახებ და გვაგონობინა, რომ მისი მწუხარების გამომწვევი უპირველესად სამშობლო ქვეყნის სავალალო ხვედრი იყო, ეპოქის ტრაგედიაში განსაზღვრა თეიმურაზის როგორც მეფისა და როგორც პოეტის ბედი და ამიტომ მართოდენ პირადი ცხოვრების მოვლენებით ვერ აიხსნება მისი პესიმიზმი და უმაგალითო ურვა. პირადი ტრაგედიაც კი თეიმურაზისა საზოგადოებრივ-პოლიტიკურია. პოეტი შესტკეოდა თავის ქვეყანას მტრის ხელში მყოფს, მოსთქვამდა „დააზპიუეს, ამოსწყვიტესო“. თეიმურაზმა შეძლო ერის ტკივილები ჩაეჭსოვა თავის პირადული წუტილის გადმოცემისას. მის შემოქმედებაში გამოკვეთილია პოეტის პიროვნება, მაგრამ მისი პიროვნული განცდები ამაღლებულია და განზოგადებული საზოგადოების ტკივილებამდე. მართალია, მისი შემოქმედების მთავარი გმირი არის თვით მწერლის პიროვნება — სოფლის მომღურავე ბედ-

⁴ ალ. ბარამიძე, ნარკვევები..., II, გვ. 143.

⁵ ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი ღრო, ტფ., 1892, გვ. 355—356.

⁶ „ბაში-აჩუკი“, აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული: თხუტმეტ ტომად, VII, თბ., 1958, გვ. 146; „სიყვილი“, ჩქვი. ტ. VIII, თბ., 1958, გვ. 97.

⁷ ტრაგიკული ონომასტიკონი, გაზ. ლიტერატურულ საქართველო 6 VII — 1979, № 27. ამ წერილის პასუხად დაიბეჭდა გ. ციციშვილისა და ნ. ნაკაშიძის სტატია: გაუფრთხილდეთ კლასიკურ მეჭვიდარეობას, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 27 VII — 1979, № 30.

დამწარებული პოეტი, რომელიც წინა პლანზე წამოწევს თავის „მე“-ს, საკუთარ ტკივილებს და შეიძლება ეს ინდივიდუალიზმი პოეტისა, პირადი მწუხარებისათვის გამოსატქმელი ფორმის მინიჭება, გადაიზარდოს შემდეგ თვისობრივად ახალ საწყაროში რომანტიზმის სახით⁸, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მთელი ამ პიროვნული ტკივილების გამოხატვა, თეიმურაზის მეფისა და პოეტის ბედი დიდ ეპოქალურ ძვრებთანაა დაკავშირებული და პოეტის მე — პოეტის პიროვნება, რომელიც იქცევა მისი პოეზიის მთავარ გმირად ეპოქის წუხილის, იმ ეპოქის ადამიანის სულიერი ტკივილების გამომხატველია უპირველესად. აი ეს იყო ის მკვიდრი საფუძველი, რის ნიადაგზედაც თანამედროვეობამ თეიმურაზი აღიარა მაღალი რანგის პოეტად და რუსთველსაც კი აღარებდა მას.

ქართული ხალხი ხომ ოდითგანვე ვეფხისტყაოსანში ჰპოვებდა სულიერად გამამხნეველ ძალას, თავისი სულიერი ტკივილების ნუგეშსა და იმედს. თუ ვინმე ამოუღებოდა აღორძინების ხანაში რუსთველს ამ თვალსაზრისით გვერდით სწორედ ისეთი პოეტი, ვინც ეპოქის ტკივილებს ისეთი ძალით გამოხატავდა, რომ „ცილობისათვის“ საფუძველს შექმნიდა თუ რომელი სჯობსო რუსთველი თუ თეიმურაზი. აკი ადასტურებს კიდევ არჩილი: „ბევრჯერ მასმია ცილება, ამბობენ სჯობსო ეს მასო“. ეს ცილობა თეიმურაზსა და დღე რუსთველის გარშემო, თანამედროვეთაგან თეიმურაზის რუსთველთან შედარება სწორედ იმ დიდების ნიშანი იყო, რაც თეიმურაზმა თავისი მწუხარე სიმღერით მოიპოვა თანამედროვეთა შორის, ისტორიამ თვითონ მოუხანაბა თეიმურაზს ადგილი.

⁸ შტრ. შ ა ნ ა ნ ა კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული რომანტიზმის საკითხები და აღორძინების პერიოდის მწერლობა, კრ. ნარკვევები XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, თბ., 1977, გვ. 3—24.

რუსთველის გავლენა თეიმურაზის პოეზიაზე

აღორძინების/ზნანის პოეზიამ რუსთველის დიდი გავლენა განიცადა. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი პირველთაგანია თეიმურაზ პირველი. პირველ ყოვლისა იგი საინტერესო ცნობებს იძლევა შოთა რუსთველის შესახებ. პოეტის სახელი შოთა პირველად მის მიერ არის მოხსენიებული („ესენი შოთამ რუსთველმა შეამკო არსთა მკობითა“ და სხვა). თეიმურაზის აზრით, რუსთველი თამარის თანამედროვეა, თამარას მიჯნურია და თამარისავე ბრძანებით დაუწერია ვეფხისტყაოსანი („იოსებზილიხანიანის“ შესავალი), იგი იძლევა ცნობებს ვეფხისტყაოსნის მოცულობა-შედგენილობაზე (ი. ზ. 16), „იოსებზილიხანიანის“ შესავალში გვიამბობს ვეფხისტყაოსნის შინაარსს, ხშირად მიმართავს რუსთველის ავტორიტეტს (შედ. 39,2; 7,3; ვ. ბ. 73,3), ახსენებს ვეფხისტყაოსნის გმირებს (მაჯამა IV, 1; VI, 6,4). რუსთველის გმირები შესადარებლად გამოყენებულია სპარსულიდან მომდინარე პოემებშიც. დედამ შეუტყო ლეილს მათხოვრად კარს მომდგარ მაჯნუნთან შეხვედრა. თეიმურაზი ამბობს: „ვით დავარ ნესტან-დარეჯან, მან დაალურჯა ცემითა“ (ლ. მ. 72,2). მსგავსი სტრიქონი გვხვდება „იოსებზილიხანიანშიც“: „სცემს უწყალოდ, ურიდებლად, ვით ინდოს ქალს დავარ დების“ (ი. ზ. 226, 1).

თავის პოემებს, მათ შორის ნათარგმნსაც, თეიმურაზი ურთავს შესავალს ანუ პროლოგს და ბოლოსიტყვაობას ანუ ეპილოგს. ოთხივე ნათარგმნი პოემის („ლეილმაჯნუნიანი“, „იოსებზილიხანიანი“, „ვარდბულბულიანი“ „შაჰინფარვანიანი“) შესავალი რუსთველური პროლოგის პრინციპზეა აგებული. ავტორი მიმართავს ღმერთს „არსისა შემოქმედს“. „სამეზით ერთფელებულს“. შესავლის ლეთისადმი მიმართული სტროფები აშკარად არის დავალებული რუსთველის პოემის პროლოგის სტროფებისაგან: „რონელმან შექმნა სამყარო“... და „ჰე ღმერთო ერთო“... სანიმუშოდ იკმარებს „ვარდბულბულიანის“ პირველი სტროფი:

ჰე, არსისა შემოქმედო! შენგან არი ყოვლიფერი:
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონაფერი.
ვერეის ძალუც ხორციელსა ქება შენი შესაფერი,
შენმცა მრისხავ, მოწყალეო, თუ ტუილად მოგაფერი!

თავის პოემების შესავალში ავტორი იძლევა ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობებს, კერძოდ პოემების სადაურობაზე. „ვარდ-ბულბულიანში“ ნათქვამია:

გაუბნა ერთმანერთსა მოლა აჟამ ბრძენთა-ბრძენმან
ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული სიტყვა ტკბილი, ენა გრძელმან,
სალხინო და სალალობოდ, სხვად არასმე შესაძემან;
მიჭნურათთვის გულსა ლახვრად კირსა ლხინზე დასაძემან (6).

„ლეილნაჯუნეიანში“ იკითხება „ლეილ-მაჯუნის ამბავსა შიზშიდის დავეცილები“ (5,1); „შამიფარავანიანის“ შესავალი ისპაჰანელ პოეტზე მიუთითებს (19).

თეიმურაზი თავის პოემებს ეპილოგებსაც ურთავს. სპარსულიდან გადმოღებული პოემების ეპილოგები ჩვენ ზემოთ განვიხილეთ და აქ აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ. რომ პოეტი ხშირად იძლევა ცნობას ნაწარმოების წარმომავლობის შესახებ. რუსთველის გავლენა შეინიშნება თეიმურაზის ორიგინალური ნაწარმოებების პროლოგ-ეპილოგებზე. „გაზაფხულშემოდგომიანის“ შესავალშიც მიმართავს ღმერთს, იძლევა ზოგიერთ საინტერესო ცნობას („არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა“ — 5,1), ბოლოსიტყვაობაში უჩივის სოფლის სიმუხტლეს. „მაჯამის“ შესავალში განმარტავს მაჯამას, ასევე ბოლოსიტყვაობაშიც და ეჯიბრება რუსთველს. ღვთისადმი მიმართვით იწყება „სოფლის სამღურავიც“ და ეს მიმართვა რუსთველის სიტყვებითაა გამოთქმული („შენ ხარ სავსება ყოველთა“... 1,2). „ქეთევანიანი“ განსხვავდება თეიმურაზის ყველა პოემისაგან თავისი შინაარსით, მაგრამ ფორმით ის ისევეა აგებული, როგორც სხვა პოემები. შესავალში აქაც ღვთისადმი მიმართვა და შეწვევის თხოვნაა. თავისებურ ბოლოსიტყვაობას წარმოადგენს 85-ე და 86-ე სტროფები.

თეიმურაზი რუსთველის გავლენას განიცდის სოფლის მღურვის თემის დამუშავებაშიც. ამ მიმართულებით გამოთქმული სტრიქონები როგორც „სოფლის სამღურავიდან“, ისე სხვა ნაწარმოებებიდან რუსთველის გავლენის გარკვეულ ბეჭედს ატარებს, თუმცაღა, სოფლის მღურვის თემა რუსთველთაჲ და თეიმურაზთან სხვადასხვა ასპექტშია წარმოდგენილი.

თეიმურაზის სიტყვები:

ფუ მას, რომელი მიენდოს, ან გულია დაეზავების,
ტახტუდან მკდომი ანაზღად მოკლები. ჯაღყავების,
მარცხნით წაეა, თუ მარჯვით, თიჯანი თუ კრავების,
ოხრად დარჩების დიდება, სახლი, სამყოფი სრავჯესი (ლ. 2. 213).

მას არც უნდა მიენდოს — ეს ნათქვამი ძველია (სამდ. 18, 4).

მე მას ვკვობ, ვინცა მიენდოს ანუ ვინმე დაუზავლებს (სამდ. 11, 4). —

აშკარად რუსთველის სტრიქონების („იგი მიენდოს სოფელსა ვინცა თავისა მტერია“, „ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა“) გამოძახილად გაისმის. გარდა ამისა თეიმურაზს სოფლის მღურვის გამოსახატავად გამოუყენებია რუსთველური ფრაზეოლოგიური ერთეულები: „სოფლის მღურვა“ (ლ. მ. 65,4; 139,1), „საწუთროს მღურვა“ (ლ. მ. 140,3), „მუხთალი სოფელი“ (ლ. მ. 230,3; ი. ზ. 285, 3—4; სამდ. 13,2), „კრული სოფელი“ (სამდ. 20,1; ი. ზ. 235,3; მაჯამა VIII, 23,2).

რუსთველის სტრიქონის: „ჰხედავ, ჩემო, ვით გაგვყარან სოფელმან და ქაჰმან კრულმან“ — სიტყვები „სოფელმან და ქაჰმან კრულმან“ გამეორებულია თეიმურაზის „მაჯამაში“:

სოფელმან და ქაჰმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარვა (VII, 6,1).

წიგნში „პოლემიკა რუსთველის გარშემო“ ჩვენ ვწერდით „ვეფხისტყაოსანში ერთმანეთს უპირისპირდება სოფელი და ღმერთი. აქ საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ თუ სოფელმა უმუხთლა ადამიანს, მას მხსნელად მოევიწიება ღმერთი (მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირას; კაცსა ღმერთი არ გასწირავს...). რუსთველის ამ შეხედულებას თავი უჩენია აღორძინების ხანის მწერლობაში. თეიმურაზ პირველი, რომელიც მწარედ უჩივის სოფლის სიმუხთლეს და გაუტანლობას, გვეუბნება: „წამდაუწუმ ღმერთი ვადიღო — ეს დამისნის ცეცხლთა დებასაო“¹. აქ შეიძლება დაემატოს ღვთის მისამართით გამოთქმული სხვა სტრიქონებიც:

იგი გვზრდის, გეფარავს ყოველთა მის მიერ ქმნილთა კრებულად (ი. ზ. 1,4),
ცოდვასა ზედან სულგრძელებ, შერისხვა იცი გვიანი (ე. ბ. 95, 3).

ყურადღებას იქცევს ვეფხისტყაოსნის მიჯნურობის მოტივის გამოძახილი თეიმურაზთან. რუსთველი ვეფხისტყაოსნის პროლოგში ნამდვილი მიჯნურისაგან მოითხოვს მიჯნურული ტკივილების არ დაჩენასა და ჭირთა მალვას: „არს პირველი მიჯნურობა არ-დაჩენა ჭირთა, მალვა“ ეს სტრიქონი თითქმის გამეორებულია „იოსებზილიხანთანში“:

უთხრა: არა სჯობს დაჩენა აწ მიჯნურობა წამალე (94,3).

¹ მერი გუგუშვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966, გვ. 113.

„ლეილმაჯუნეიანის“ სტრაქონები:

ქალი ეტყოდა ტირილთ, ცუდად ნუ ჰკედები ხელობით,
სხვანიც ყოფილან მიჯნური, არ შენებრ მოუთმენლობით (81,1-2).

მოგვაგონებს რუსთაველის სიტყვებს:

ქალი ეტყოდა ტირილთ, სარჩელი უგავს ბრკობასა (231, 1).
ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახშილნი სდებია (867,1).

რუსთაველის „შორით ბნედას“ გამოძახილია „ვარდბულბულია-
ნის“ სტრაქონები.

რუსთაველმანც მაქო, შენც იყო, ეკლიანად და ძირადო,
შორს წადი, იყავ მიჯნური, აქ ჩემთან დაიწვი რადო? (73,3-4).

რაც შეეხება მიჯნურის ველად გაქრის მომენტს, მართალია, და-
მხასიათებელია აღმოსავლური სატრფიალო ნაწარმოებებთანავე, და
ჩვეულებრივია იგი „ლეილმაჯუნეიანისათვისაც“, მაგრამ ეგებოს
საგულისხმო აქოს ის გარემოება, რომ თეიმურაზისეულ „ლეილმაჯ-
უნეიანშიც“ მაჯუნის ველად გაქრის მიზეზი სატრფოსთან განშორე-
ბა ხდება.

მან ლილი ველარ ნახა, თვალი ვერსად მოკიდულა
გლახ, მოუნდა ველად გაქრა, მხეტთა მოყვასად მოკიდულა (35,3-4).

1 ეფებისტყაოსანმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა აღორ-
ძინების ხანის მწერლობის მხატვრულ ენასა და ფრაზეოლოგიაზე. ამ
მხრივ გამონაკლისი არც თეიმურაზ პირველია. რუსთაველის მხატვ-
რული სახეებით, რითმებით, აფორიზმებით და საერთოდ ფრაზეო-
ლოგიით დავალებულია როგორც თეიმურაზის ორიგინალური, ისე
მისი სპარსულიდან მომდინარე ნაწარმოებები. ამ თვალსაზრისით
უპირველესად ყურადღებას აივსაქცევთ რუსთაველის მხატვრული ენი-
სათვის ძალზე დამხასიათებელ პოეტურ ხერხს მეტაფორას/უმშვე-
ნიერესა რუსთაველური მეტაფორა „მელნის ტბა“ თვალის გამომხა-
ტველად თეიმურაზს უფრო ხშირად გამოუყენებია, ვიდრე რუსთ-
ველს. თეიმურაზთან მთელ რიგ მაგალითებში თვალი („მელნის
ტბა“) შემოზღუდულია „გაშრის სარებით“, „გიშერიც“ როგორც
წამწამების მეტაფორა აღებულია რუსთაველიდან (შდრ. „გიშრის
ქერი“).

ბაგე ვარდი, მელნის ტბანი გიშრის სრითა შემოსრული (ი. ზ. 164,4).
შემოვზღუდათ მელნის ტბა გარე გიშრისა სარეთა (ლ. მ. 265,3).
მელნისა ტბამან გიშერი ტვერად გარ ივლო, ისარა (მაჯამა, 1,1-3)

და სხვა.

საუკეთესო რუსთველური მეტაფორული სტრიქონია „მელნისა ტბათა იღვრების სავეს სათისა რუბები“ (1134,3), რომელიც ნესტანის შავი თვალბიდან („მელნის ტბა“ ცრემლის ღვრას („სათისა რუბები“) გვაუწყებს. ამ სტრიქონის გავლენით შექმნილად უნდა მივიჩნიოთ თეიმურაზთან:

იგ ატირდა, მელნის ტბითა ცრემლს გაუხდა ვარღვე ჩქერა (ი. ზ. 129,3).

მელნისა ტბათა სდიოდა ბროლზედა ცრემლთა ნამანი (ი. ზ. 58,4).

ლეილის მუდამ ტირილი, მელნის ტბით ვარდის სველობა (ლ. მ. 152,3).

ერთგან თეიმურაზს ერთმანეთთან გაუერთიანებია რუსთველური „მელნის ტბა“ და „მელნის მორევი“ და მიუღია „მელნის ტბის მორევი“.

მელნისა ტბისა მორევეს უშვენის მოქრა წაძისი (მაჟამა, VIII, 3,2),

თეიმურაზი წამწამების გამოსახატავად რამდენიმე რუსთველურ მეტაფორას იყენებს. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ რუსთველის „ინდოთა რაზმი“.

ვარდას ასეულებს, ინდოთა რაზმი ჩანს უნდომილები (მაჟამა, VII, 17,3).

იგ უჭკრეტდის მელნის ტბათა, ვარ ინდოთა რაზმ-წყობლთა (ლ. მ. 25,3).

თეთრსა ბროლისა ფიქალსა ინდოთა რაზმი უშენდა (მაჟამა, VIII, 28,1).

აქვე გვხვდება „ინდოთა რაზმის“ გავლენით აღორძინების ხანაში შექმნილი მეტაფორები „ჰინდი ლაშქარი“ და „ზანგთა რაზმი“.

წამწამან ჰინდი ლაშქარი ჩემად კელად, რისხვად ასერა (მაჟამა, III, 3, 3).

ვარ უცევედა ზანგთა რაზმი, მელნის ტბები თვალთა მორვად (ლ. მ. 61,1).

ზანგთა რაზმი ისარს ისერის, აღმასი ხამს გულსა ფარად

მთვარე მცხრალი გასავსებლად მთა მზისა შესაყარად (ი. ზ. 67,3-4).

ამ მაგალითთან დაკავშირებით ს. ცაიშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ გარდა „ზანგთა რაზმისა“ „მცხრალი მთვარის ავსებაც ისევე რუსთველის მიერ დაშვებული პოეტური სახეა, ისევე როგორც მთვარისა და მზის ერთგან შეყრა“².

თეიმურაზთან გვხვდება აგრეთვე წამწამების საუკეთესო რუსთველური მეტაფორები: „გიშრის სარი“ (ი. ზ. 51,2), „გიშრის ღარი“ (ი. ზ. 78,3), „გიშრის ტევრი“ (ი. ზ. 100,3), „ყორნის ბოლო“ (ი. ზ. 76,3).

ვეფხისტყაოსანში აეთანდღის სიტყვებში: „მეც ვიცი, ჩემსა ხელმკმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია“ (954,3), „ყორნის ბო-

² ლიტერატურული წერილები, თბ., 1966, გვ. 51.

ლო“ თმის მეტაფორადაა გამოყენებული. „ყორნის ბოლო“ თმის მეტაფორად გვხვდება თეიმურაზის „იოსებზილიხანიანში“:

ყელსა ბროლსა ყორნის ბოლო მრავალკეცად გაეშალა (ი. ზ. 122,3).

„ქეთევანიანის“ სტრიქონში: „სხვა ღონე ვერ ქნა, მოივლო მან გარეშემო გველია“ (58,2) — გველი არის თმის მეტაფორა. შღრ. ვეფხისტყაოსნიდან:

გველი მოშლით მოეკენეს, ბალი შეღმა შე-რა-შენდა (1146,3).

თვალების გამოსახატავად გამოყენებულია რუსთველური „ნარგისი“:

ნარგიზთაგან გულსა წყულუსა აწ ლახვარი დარეულა (ი. ზ. 176,4).

აწ ნარგისნა მოცინარ ჰყავ, ცრემლით ნუ იქ ვარდთა სველად (ლ. მ. 141,4).

რუსთველის საყვარელი მეტაფორაა ვარდი. გ. ნადირაძის მართებული თქმით „რუსთველის ფაქიზმა ესთეტიკურმა გემოვნებამ შეიწოვა ვარდის პოეზიის მთელი სურნელება და მიანაჟა მას პოეტური გამოთქმის მომხიბლავი კრიტიკული ფორმები... ვეფხისტყაოსანში ვარდის სიმბოლოებს დავალებული აქვს გამოხატოს ხან სატრფოს მთლიანი მომხიბლავი სახე, ხან მისი ქალწულებრივი სილამაზე, პირისახის, ბაგეების და ღაწვების სიტურფე, ხან ესა თუ ის სულიერი განცდა, ძლიერი ვნებათაღელვა ან მარადიული იდეა. მთელი ეს მასალა რუსთველს პოემას აქცევს მსოფლიო პოეზიის მიერ მოპოვებული ვარდის სიმბოლოების რეზერვუარად“³. საგვარაუდოა, რუსთველის გველენით ვარდის სიმბოლიკას დიდი ადგილი უჭირავს თეიმურაზ პირველის პოეზიაში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მისი „ვარდბულბულიანი“, არამედ სხვა ნაწარმოებები, რომლებშიც უხვად არის გამოყენებული რუსთველის ვარდის სიმბოლოები. ვეფხისტყაოსანში ავთანდილის შესახებ ნათქვამია „უხარის ნახვა ვარდისა (თინათინისა), არ ერთგან შეუყრელისა“ (120,3). აქ ვარდი სატრფოს სიმბოლოა. თეიმურაზთან მსგავსი მაგალითებია:

არად შესწონდა ზახილი ვარდსა ბულბულთა ყვეფსა (ი. ზ. 19,4).

იკითხვენ ვითა ბულბული სურის, თუ ვარდსა ნახედე (ლ. მ. 18,3).

ქვესაგებელში ვერ პოვა მისის ვარდისა შლილობა (ი. ზ. 219,2).

„ღვილმაჯუნნიანში“ ქალწულებრივი სილამაზის სიმბოლოა „გაუშლელი ვარდი“, რომელიც ეხმაურება რუსთველის მიერ ქალ-

³ რუსთველის ესთეტიკა, თბ., 1958, გვ. 352—353.

წულებრივი სილამაზის სიმბოლოდ გამოყენებულ „დაუმქნარ ვარდს“ („კოკობი და უფუტკვენელი ვარდი დაგზვდე „დაუმქნარი“ — 131,4).

ერთ ღამეს იშენეს ორნივე, ჯერ ვარდი გაუშლილები (ლ. მ. 5,3).
რწყვედიან გასაფერჩნავად ვარდ-კოკობ გაუშლილებსა (ლ. მ. 15,2).

რუსთველისავე გავლენით ვარდი ხშირად პირსახის თუ ღაწვე-ბის მეტაფორაა.

ლეილის მუდამ ტირილი, მელნის ტბით ვარდის სველობა (ლ. მ. 152,3).
იგ ატირდა, მელნის ტბითა ცერმლს გაუხდა ვარდზე ჩქერა (ი. ზ. 129,3).
ვარდთა ასველებს, ინდოთა რაზმი ჩანს უნდომილები (მაჭამა, VII, 17,3).

პირისახის მთელი კომპლექსის გამომხატველი რუსთველისეული გართულებული სახე-ცნება „ვარდის ბალი“ ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება თეიმურაზთანაც:

ვარდისა ბალსა ეღვა ერთის, ზედან ციალი წარბისა (მაჭამა, VIII, 5,2).
მუნთ ვტირ, ბალი ვარდისა ცრემლისა ღვარამა მონამა (ი. ზ. 91,2).
ღედა ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა დანამიანდეს (ლ. მ. 13,3).

გარდა იმისა, რომ ამ მაგალითებში „ვარდის ბალია“ დადასტურებული, უკანასკნელი ორი სტრიქონის წყარო აშკარად რუსთველის მიერ თინათინის შესახებ ნათქვამი ფრაზაა: „ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა“ (47,2).

რუსთველთან ხშირად ვარდი ბაგეების სიმბოლოა. ასევეა თეიმურაზთანაც:

ბროლ-ბალახშთა მარგალიტი ვარდსა ქვეშე დანატანსა (მაჭამა, VII, 15,2).
პირად მზე და ბაგე ვარდი, ჩვენთვის ღხინად ეს გვეყოფის (ლ. მ. 30,2) და სხვ.

გ. ნადირაძე ყურადღებას ამახვილებს ვეფხისტყაოსანში ვარდზე, როგორც სულიერი განცდების სიმბოლოზე⁴, როდესაც ვარდი ასურათებს აღამიანის შინაგან განცდებს, მწუხარებასა და სიხარულს. ესენია „ვარდის დაზრობა“, „ვარდის დაჰნობა“, „ვარდის დანასვა“ და სხვა. თეიმურაზთან, ვეარაუდობთ რუსთველის გავლენით, ძალიან ხშირად არის გამოყენებული ვარდი სულიერ განცდების სიმბოლოდ.

ვარდსა დაზრულსა მოასწარ მზის შუქი დასათბობელი (ი. ზ. 93,4).
ვარდსა უფრჩენელსა, უდროოდ დამქენარსა, დანაზაროსა და (ლ. მ. 242,4).
შუბი მზისა დამძეირდა, ვარდი მით ვარ დანასული (ი. ზ. 179,3).
ღარჩა ვარდი დასაზრობლად ზამთრისაგან დასაბუქად (ლ. მ. 150,4).

და მრავალი სხვა.

⁴ რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958, გვ 354.

გ. ნადირაძემ მიუთითა, რომ ვეფხისტყაოსანში ზოგჯერ ერთმანეთთანაა შიხამებული ვარდის სიმბოლო და ასტრალური სიმბოლო, ეს არის „უშხეი ვარდი“. რომელიც ვეფხისტყაოსანში გამოყენებულია როგორც სატრფოსთან განშორების სიმბოლო⁵ (სტროფები: 708,4; 734,2; 821,3).

„უშხეო ვარდის“ პოეტური სიმბოლო თეიმურაზსაც სატრფოს მიმორჩებით გამოწვეული სევდის გამოსახატავად გამოუყენებია:

ვარდს უშხეობა დააკნობს, სანთელს დაავსებს ბუქია.

საბრალოს მათსა მიჯნურსა კირი სკირს არ სუბუქია (შ. თ. 56,3).

ეტყოდეს; თუ: მზე არ მიხედეს ყმასა, ვარდი დაეზრო და (ლ. მ. 53,3).

მზე არ მომხვდა, ვარდი ჩემი დაკვნა, დაზრა, დამიყინდა (ი. ზ. 178,3).

პერსონაჟის დასახასიათებლად გამოუყენებია თეიმურაზს რუს-თველური მეტაფორა „ვარდი უფრკვენელი“.

ვარდას დაგვიკნობს, უფრკვენელსა, შეგვიქმს ბედისა მწყევარსა (შედ. 96,2).

ვარდას უფრჩენელსა, უდროოდ დამკვნარსა, დანაზროსა და (ლ. მ. 242,4).

გვხვდება რუსთველის მიერ პერსონაჟის დასახასიათებლად გამოყენებული მეტაფორა: „პირი ელვათა მკრთომელი“.

წაიღა, ნახა, გაკვირდა — პირი ელვათა მკრთომელი (ი. ზ. 45,4).

პერსონაჟის პირისახის გამოსახატავად რუსთველს გამოუყენებულ აქვს მეტაფორა „ბროლ-ბადახში“, რომელშიც ბადახში მეტრონიმური მნიშვნელობისაა. ეს მეტაფორა გვხვდება თეიმურაზთანაც.

⁵ რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958, გვ. 375-6.

⁶ უკანასკნელი მაგალითის „უფრჩენელი“ გ. ჭაკობიას განმარტებული აქვს როგორც გაუშლელი (თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, გვ. 312). „უფრჩენელი“ არ არის სწორი წაკითხვა. იგი მიღებულია ფორმიდან „უფრკვენელი“, რომელიც დადასტურებულია ზემოთხსენებულ სტრიქონში („ვარდას დაგვიკნობს უფრკვენელსა...“). აქ, როგორც ჩანს, ბგერათმშენაელებათა კარ-ი შეიცვალა ჩინ-ით. ასეთი ფონეტიკური შენაცვლება რომ შესაძლებელია, ამას ადასტურებს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. 140-ე სტროფის „უფრკვენელსა“-ს ნაცვლად ხელნაწერ A 363-ში იკითხება „უფრჩენელსა“. ამრიგად, „უფრჩენელი“ მიღებულია ფორმიდან „უფრკვენელი“. რომელიც კიდევ დასტურდება „ლეილმაცუნეანის“ ერთ ხელნაწერში (A 790). „უფრკვენელი“, ისევე როგორც ვეფხისტყაოსანში, ნიშნავს უკნობს, დაუკნობელს და არა გაუშლელს (შდრ. მ. გუგუშვილი, ლ. კოჭენიძე, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკა და პოემის ლექსიკის ზოგიერთი საკითხი, „მთა რუსთველი“, საიუბ. კრ., 1966, გვ. 143—148).

თქვა: აუღ ვახდა ლეილი, იგ ბროლ-ბადახში, მინება (ლ. მ. 46,2).
ეთ მოვსცე ხელსა მთიები, იგ ბროლ-ბადახში, მინები (ლ. მ. 123,2).

„იოსებზილიხანიანში“ ზილიხას მიმართ ნათქვამია: „ძოწთა შუა მარგალიტი ტურფად რადმე გამოსჭვირდეს“ (126,3). ამ სტრიქონში რუსთველური მეტაფორებია: ძოწი — ბაგე, მარგალიტი — კბილები (შედრ. „ვეფხისტყაოსნიდან: „ვნახე, ძოწსა მარგალიტი გარე ტურფად მოემზრა“ — 529,3). მსგავსი მაგალითებია:

ბაგე და კბილი მოშლოდეს, ძოწ-მარგალიტთა ნათელი (ქეთ. 28,3).
ბურაეს ლალი მარგალიტსა, ზედან ტურფა ძოწეულა (ლ. მ. 59,4).

არის მარგალიტის კბილების მეტაფორად გამოყენების სხვა შემთხვევებიც:

ბაგისა ტურფა ღიმილი, შიგ მარგალიტთა კრებანი (ლ. მ. 192,3).
მარგალიტს ჭფარვენ ორნივე იაგუნდს ქვეშე ლალები (ი. ზ. 51,3).

დაბოლოს, უნდა შევჩერდეთ რუსთველის საუკეთესო მეტაფორულ სტრიქონზე: „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“ (140ბ,2), რომელშიც მზე მეტაფორულად ტარიელია, მთვარე — ნესტანი, გველი კი ქაჭეთის ციხე. ამ სტრიქონის გავლენით შექმნილი ჩანს თეიმურაზის „მთვარე მცხრალი გასაგებლად ღივა მზისა შესაყარად“ (ი. ზ. 67,4), რომელშიც მზე იოსებია, მთვარე ზილიხა. აქაც მზისა და მთვარის შეყრახეა ლაპარაკი, ოღონდ თეიმურაზთან მეტაფორული სტრიქონი შედარებით გამარტივებულია. არ არის მესამე მეტაფორა (გველი), თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მთვარის ავსების ეპოქაშიც, რომელიც თეიმურაზს ამ სტრიქონში აქვს შემოტანილი, რუსთველის მიერ დამკვიდრებული პოეტური სახეა.

თეიმურაზ პირველს გამოუყენებია რუსთველური მულმივი ეპითეტები: „ცეცხლი ცხელი“ (შედრ. 88,4; ი. ზ. — 49,4; 235,2) და „სისხლის ცრემლი“ (ლ. მ. — 216,2; 222—3; 238,2; 252,3; ი. ზ. — 150,3 181,1; შ. ფ. 43,2; ე. ბ. 60,3 და სხვ.).

გვხვდება როსტევიანის დასახასიათებლად გამოყენებული რუსთველური ეპითეტები: „მდაბალი“ (ქეთ. 23,2), „მოწყალე“ (ქეთ. 32,2), „უხვი“ (ი. ზ. 48,2), „მოსამართლე“ (ი. ზ. 43,2).

რუსთველური შედარებების გამოყენების მხრივ თეიმურაზთან საგულისხმოა გმირების მზესთან შედარება. მაგრამ ამ მიმართულებით შექმნილ ყველა სტრიქონს, რუსთველის გავლენით შეთხზულად ვერ ჩავთვლით, რადგან გმირების მზესთან შედარება გავრცელებუ-

ლი მოვლენაა ლიტერატურაში. მიუხედავად ამისა თეიმურაზის სტრიქონები:

ვაეი ჰგავს ლომის ნაკვეთსა, ქალმან ისწორა მზე არა (ლ. მ. 8,1).
იგ იტყვის: ჩემსა ხელმქნელსა, ხედავთო, სჯობსო მზე ვითა (შ. ფ. 27,2).
ვთქვა: მისი შუქი მზეს მატობს წითლითა ათათ მისანი (მაჯამა, VIII, 1,4).
თქვა: არ მენახე, მთვარეთ, გიტყოდენ მზისა ცალობით (ლ. მ. 234,2).—

აშკარად შექმნილია რუსთველის სიტყვების: „მზესა მე ვსჯობ-
დი შევენებით, ვით ბინდსა ეამი დილისა“ (315,2) — გავლენით. ზე-
მთ მოტანილ მაგალითში „ვაეი ჰგავს ლომის ნაკვეთსა“, ეს შედა-
რებაც რუსთველისეულია. შდრ. „მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვა-
ლად ლომსა ნაკეთად“ (314,4). ლეილის შესახებ ნათქვამი სტრიქონი
„ფიცვენ: — მზისა უნათლეა, მგონი კმარა რძლად და ქალად“
(60,4) — აშკარად დავალებულია რუსთველის სიტყვებისაგან: „ვინ
მზესაცა უნათლეა...“ (1417,4).

თეიმურაზს გამოუყენებია ვეფხისტყაოსნის ჰიპერბოლური ხა-
სიათის შედარება, როდესაც გმირებს ცრემლი სდით ზღვათაცა შე-
სართავისად (182,1; 222,3...).

• მინდოდა ცრემლი ზღვათათვის ჩემი ნიღაგ წამერთო (მაჯამა, VIII, 23,4).

რუსთველის გავლენით თეიმურაზმა თავის პოეზიაში დანერგა
ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის მნიშვნელოვანი თავისებურება—
სინონიმურ სიტყვათა განმეორების ხერხი. თეიმურაზი ზოგჯერ ზუს-
ტად იმეორებს რუსთველურ სინონიმურ ერთეულებს.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

ჩემად ნახვად არ მოვიდა,
გავგულისდბ, წავეკიდე.
(108,4)

ხამს სიყვარული მოყვრისა
უხვისა, უშურველისა.
(724,4)

მუზარადი მოიხადა,
გაიღიმნა, გაიციანა.
(1366,2)

ემას დაუმუნდა ტარიელ
დამწვარი, დააელებული.
(300,1)

ჩემთან ჯდომა მოინდომა,
გავგულისდბ, წავეკიდე.
(ი. ზ. ! 223,4)

უხვისა, უშურველისა
შენ მეფე თავ-საჩინისა.
(ლ. მ. 167,2)

თაყვანი სცეს და შეიტკბეს,
გაიღმდეს, გაიციენსა.
(ვ. ბ. 22,4)

შენთა შუქთა და სხითაგან
დამწვარი, დააელებული.
(შ. ფ. 54,4)

მას არგეთ რამე საწყალსა,
დამწვარსა, დააელებულსა.
(შ. ფ. 25,1)

გვერც მოუწინეს იგ მისგან
დამწვარი, დანაველები (ლ. მ. 228,2).

თეიმურაზთან მრავლადაა სინონიმურ სიტყვათა გამეორების ისეთი შემთხვევები, რომლებიც შექმნილია თვით თეიმურაზის მიერ შერჩეული სინონიმური ერთეულებით.

მაშინლა შეერთა, რა ესმა მ ც ხ რ ა ლ ს ა, მ ი ხ დ ი ლ ს ა მ თ ვ ა რ ე ს ა (ქეთ. 36,1).

ს ე ვ დ ა ს ა, შ ე ქ ი რ ვ ე ბ ა ს ა არ დაეფანტა მცნებანი (შედ. 76,4).
ალარ გაჰყეების, ბოლოს ჟამ უ მ უ ხ თ ლ ე ბ ს გა უ ა ე დ ე ბ ი ს (სამღ. 11,3).
ლხინის სანაცვლოდ სოფელმანსულ მ ა ტ ი რ ა და მ ა ზ ა რ ა (მაჯამა, VII, 16,2).
ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვ ა ქ ო თ, გ ა ნ ვ ა დ ი დ ო თ (გრ. სასახ. 1,1)
თვალთ არას დაეინახავ, შევიქნები უ ტ ყ ვ ი, მ უ ნ ჯ ი (ე. ბ. 89,1).
მათ მნათობთა სიტურფემან დააშვენა ბ ა ლ ი, ბ ა ლ ჩ ა (ი. ზ. 123,1).
მისგან ისწავეთ ყოველთა ხ ე ლ ო ბ ა, მ ი ჯ ნ უ რ ო ბ ა ნ ი (შ. ფ. 24,1).
ყმა გაავდო ესრე ეთხრა: გამეცალე უ ქ კ ვ ო, ხ ე ლ ი (ლ. მ. 27,1).

და მრავალი სხვა.

რიგ შემთხვევაში რუსთველი სინონიმად ქართული სიტყვის გვერდით ქართულ ენაში დამკვიდრებულ უცხოური წარმოშობის სიტყვას იყენებს. მაგ. „მუხთლად — ლადრად“ და მისთანანი. თეიმურაზს, გამეორების მაგალითებში ქართული შესატყვისის გვერდით ხშირად გამოუყენებია უცხო სიტყვა.

გავცოცხლდები ერთ-წელ მკვლარი, რა დ რ ო მოვა შენი . ფ ა ს ლ ო (ე. ბ. 86,1).
ჩემი დ რ ო-ფ ა ს ლ ი ჰაერი, სეედათა მიქარებანი (შედ. 22,2).

ფასლი — فاسل წლის დრო, სეზონი.

არ ვიცი ვის ჰყავს, სით მოვა. ვისი გვარი და სილაო (ე. ბ. 18,2).

სილა — سِلا ტომი, გვარი, მოდგმა.

ერთისა უებრობა და მეორის ხ ე ლ ქ მ ნ ა, დ ე ლ ო ბ ა (შედ. 35,3).
ფარეანას ხედვენ მასთანა ხ ე ლ ს ა, შ ე მ ც დ ა რ ს ა, დ ე ლ ო ს ა (შ. ფ. 27,4).
მას მნათობთა ხელმწიფესა, მაგრა ახლა მ ო ნ ა-ყ უ ლ ს ა (ი. ზ. 138,2).
სხვა მბრძანე სამსახური — ე უ ლ ი ვ ა რ და : რ თ ი მ ო ნ ა (ი. ზ. 104,1).

და ახვც.

ყული — قوღ მონა.

დელი — دلا გივი, ხელი

გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როდესაც სინონიმებად ორივე უცხო სიტყვაა გამოყენებული.

თხოვნა მის შიშა, ვერ შეიქმნა, მისთვის დივანად ელობა (ლ. მ. 152,2).

დივანა — *ديوان* ხელობა, გიჟობა.

რუსთველი ხშირად გარკვეული წინაარსობლივ-აზრობლივი შთაბეჭდილების გასაძლიერებლად ერთსა და იმავე სიტყვას სტრიქონში რამდენჯერმე იმეორებს.

რუსთველის ამ ხერხის გავლენას უნდა მიეწეროს თეიმურაზის შემდეგი სტრიქონები:

რ ა ს მოქარაე, რ ა ს მოქარაე, ხელი ხარ თუ, ანუ მთერალი.

(შედ. 46,4)

რ ა გიმაჰინძლო, რ ა გიძღვნა, გული მოგვე თუ სულები.

(ლ. მ. 71,2)

ც ე ც ხ ლ ი გწეაეს, ც ე ც ხ ლ ი უშრეტი, ლახერითა გაიგმირეო.

(შ. ფ. 59,4)

და სხვ.

შეინიშნება რუსთველისათვის დამახასიათებელი ლექსიკური განმეორებანი, რომელსაც ანაფორა ეწოდება (იხ. ქეთ. 26).

გვხვდება ლექსიკური განმეორების ისეთი მაგალითები, როდესაც ერთი სიტყვა რამდენჯერმეა განმეორებული სხვადასხვა ფორმით.

ი გ ს ა ხ ლ ი ს ა ხ ლ ა დ არ ვარგა, უშენოდ—ბ ა ნ ი ბ ა ნ ა დ ო
(შ.ფ. 41, 4).

ს წ ო რ ი გყავს და რ ი ს წ ო რ ე ბ, იგამთამიუხედარობ (შედ. 17, 4)

გულსა გაქრა და ხელობა უ შ ა ლ ე, ა რ დ ა ი შ ა ლ ა (მაჯამა, IV, 12, 2).

უ ნ ი ე თ ო ნ ი ე თ ს ა შეეხო ნ ი ე თ ი ს ა კრდე ყოფითა (ქეთ. 13, 2).

შდრ. ვეფხისტყაოსანი: ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახვისა (84,4).

ბალსა შიგან ბანოვანნი: ე ა რ დ ს ა თანა გ ა ე ა რ დ დ ე ბ ი ს (ი.ზ. 117, 4).

თასს მოუხდები საესესა ჭ ი ქ ა ს ა მ ე ვ ა ქ ი ქ ე ბ ო (ე. ბ. 45, 3).

მითხარ, თუ შემოდგომისა, ბ ა ღ ი რ ა დ ა რ ბ ა ლ ე ბ უ ლ ა (შედ. 26, 1).

მისგან შვენის მთა და ბარი, დ ა რ ი დ ა რ ო ბ ს, დ ა რ ა ნ ი ც ა.

(მაჯამა, VIII, 20, 2).

უკანასკნელი სტრიქონი რუსთველისეულ „დარი არ დარობს დარულად“-ს იმეორებს, რომელსაც პ. ინგოროყვამ უწოდა ვერბალური ალიტერაცია ანუ ალიტერაცია სახეებისა⁸. ზემოთ მოყვანილი

⁷ იხ. ე. ჭ ი კ ი ნ ა ძ ე. ალიტერაცია ქართულ შაირში და ვეფხისტყაოსანის პრობლემა, 1925, გვ. 33—39;

⁸ ვეფხისტყაოსნის 1937 წ. საუბრე გამოცემის შესავალი წერილი, გვ. XIII.

მაგალითებიდან რამდენიმე ვერბალურ ალიტერაციას განეკუთვნება. ჩანს, რუსთველის პოეტური მეტყველების ეს თავისებურება აუთვისებია თეიმურაზ პირველს და სათანადო სტრიქონები მოუცია როგორც სპარსულიდან მომდინარე, ისე ორიგინალურ ნაწარმოებებში.

თეიმურაზის ნაწარმოებებში გვხვდება ვეფხისტყაოსნისათვის დამახასიათებელი ბგერული ალიტერაციაც. თეიმურაზის სტრიქონი: „რა გაშეყარა მოყვარე, ხედავთ, რომ სულიც ნეყოფა“ (მაჯამა, III, 4,3) — აშკარად შექმნილია ვეფხისტყაოსნის სტრიქონის „მოყმე ამაყად ყოდა“-ს გავლენით, რომელშიც რუსთველმა ყ-ს გაბედული ალიტერაცია მოგვცა. დაეასახელებთ კიდევ რამდენიმე მაგალითს:

მისგან გახდეს სულ ციერნი, არ იცნობის დანაყარად (მაჯამა IV, 2, 1).
დამწეი და წყალი არ მასვი, დამწეარსა გულსა მამე რა (მაჯამა, IV, 11, 4).
ვერ მოუერჩებით სოფელსა, სრასა, სამუოფსა, დაბასა (სამდ. 14, 1)
სიმელნე შავთა წამწამთა, სისხო, სიხშირე თმისანი (მაჯამა VIII, 1, 3).

თეიმურაზთან დასტურდება რუსთველისეული მხატვრული ჩამოთვლის ხერხი, რომელიც სტრიქონს აზრობრივ სიმკვეთრეს და მხატვრულ განომსახველობით ძალას მატებს. ამ მხრივ რუსთველისიული სტრიქონის „გული ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდიან“ (838.2)—გამეორებაა თეიმურაზის სიტყვები: „გული, ცნობა და გონება წამართვი ჩემო მზეო და“, აგრეთვე რუსთველის სტრიქონის „ადრე მივიდეს მეფისა სახლად, საყოფად, არებად“ (1538,4) — ჩამოსათვლელ ცნებებს იმეორებს თეიმურაზი სტრიქონში: „ოხრად დარჩების დიდება, სახლი, სამყოფი, სრავების“ (ლ. მ. 213,4). საკუთარ მაგალითებში კი თეიმურაზს ჩამოთვლისათვის რუსთველის მსგავსად გამოყენებული აქვს არსებითი სახელები და ზმნები. ოღონდ რუსთველისაგან განსხვავებით თეიმურაზთან ჩამოსათვლელი ცნებები თავისუფალნი არიან და ჩამოსათვლელ საგანთა შინაარსობრივი მოცულობა თანმიმდევრობის მხრივ ნეიტრალურია.

უღი ეგე, უსარგებლო: კ ი რ ი, კ ე ნ ე ს ა, ს ე ე დ ა, უ რ ე ვ ა.
(ლ. მ. 139, 3)

გათაედა მათი ც ი ლ ო ბ ა, შ უ ლ ლ ი, ყ ა რ ყ ა შ ი, დაეება.
(შედ. 78, 1)

ფ ე რ ო ბ ა, ბ რ უ ნ ე ა, ჩ ე ე ნ ე ბ ა. წესად სკირს ცილის წამება.
(ქეთ. 2,2)

⁹ ჩვენ მძიმეს ესევეთ „სახლად“ სიტყვის შემდეგ, რადგან ამ მაგალითში საქმე გვაქვს მხატვრული ჩამოთვლის ხერხთან და ჩამოსათვლელი ცნებები ერთმანეთისაგან მძიმეებით უნდა გამოიყოს (იხ. მ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ტექსტოლოგიური შენიშვნები, მაინე, 1980, № 1, გვ. 97).

ავრე კ მ უ ნ ვ ა, ს ე ვ ლ ა, უ რ ე ა, შეუსვენლად მას არ ესეა.

(მაჯამა, VII, 4, 2)

მ კ ე დ ა რ ი, უ ს უ ლ ო, დ ა მ წ ე ა რ ი გაივლია, აღარ თებობდა-

(შ. ფ. 64, 2).

გიაჟ, ჩემს უკან ვინც დარჩეთ: პ ა ტ რ ო ნ ს ა, ყ მ ა ს ა, ა ლ ა ს ა.

(გრ. სასახ. 4, 3)

ვერ მოვერჩებით ს ო ფ ე ლ ს ა, ს რ ა ს ა, ს ა მ ყ ო ფ ს ა, დ ა ბ ა ს ა.

(სამდ. 14, 1).

და მრავალი სხვა.

კონტრასტული პარალელიზმის რუსთველისეული ნიმუშის („მერ-
მე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია. არ ნაქორად“ — 129,3) გავლენით
არის შექმნილი თეიმურაზის სტრიქონი: „შემოდგომა ამას იტყვის:
ეგ ავრეა, არ თუ ქორად“ (შედ. 38,1). თეიმურაზთან კონტრასტუ-
ლი პარალელიზმის ბევრი შემთხვევა დასტურდება.

ქალმან უთხრა მას პასუხი ტ უ რ ფ ა რ ა მ ე, ა რ ა ც უ ლ ი.

(ლ. მ. 31, 1).

შენც იცი—ჩემი ამბავი არ ახალია. ძ ვ ე ლ ი ა (ე. ბ. 57, 1).

აწ ბულბულსა სიტყვა უთხრა მ ქ ი ს ე რ ა მ ე, ა რ თ ე ტ კ ბ ი ლ ი.

(ე. ბ. 34, 1)

ეგ ლმერთმან იცის თქვენთვის ეწერ ს ა კ ე თ ო დ, ა რ თ ე ზ ი ა ნ ა დ.

(შედ. 106, 1)

შენ მომიტევენ სიტყვანი უ ქ მ ნ ი, ა რ ნ ა ყ ო ფ ი ა ნ ი (ე. ბ. 95, 1).

თეიმურაზ პირველის პოეზიაში გვაქვს რუსთველისეული სა-
ხელთა გაზმნავენის შემთხვევები რუსთველის „სდედებია სდებიას“
გავლენით არის შექმნილი სტრიქონი. „მეფე იოსებს ზილხანს
გაუდღებდა, უდებდა“ (ი. ზ. 85,1). „გული მდედრი აქვითკირას“
გავლენით „იოსებზილხანნიანი“ იკითხება: „მიწას მიმეტ, მხეცთ ნუ
მიმცემ, გული წყლული აქვიტკირე (190,4).

არის სახელთა გაზმნავენის სხვა შემთხვევებიც:

ლხინის სანაცლოდ სოფელმან სულ მ ა ტ ი რ ა დ ა მ ა ზ ა რ ა

(მაჯამა, VIII, 16, 2).

სხვამ, შენგან კიდე, სამყარო ვინ გა ი ს ა ხ ლ ა, ი ს ა რ ა?

(მაჯამა, 1, 1, 2).

უნდათ, რომ იყვნენ ჩემთანა, მ ი თ ვ ი ს ტ ო მ ე ბ ე ნ, მ ი დ ე ბ ე ნ (ე. ბ. 48, 2).

თასს მოუხდები საესესა, კ ი ქ ა ს ა მ ე ვ ა კ ი ქ ე ბ ო (ე. ბ. 45, 3).

ოთხ ყურეს კილით-კიდეშდის იგ უ ნ ა თ ლ ე ბ დ ა, უ ღ ა რ დ ა (ლ. მ. 225, 2).

ვითა ტურფა ახალ-რძალი საწუთროსა დ ა ნ ა ზ რ ო ბ დ ა (ე. ბ. 12, 1).

თეიმურაზ პირველს გამოუყენებია რუსთველის მზამზარეული
რითმები. თეიმურაზს უცვლელად გაუმეორებია ვეფხისტყაოსნის
ორი ან სამი სარითმო სიტყვა. გამეორებულია ვეფხისტყაოსნის
მე-19, 129-ე, 305-ე, 825-ე 827-ე და სხვა სტროფების რითმები.

თეიმურაზზე გავლენა მოუხდენია ვეფხისტყაოსნის ღია დაქტილურ რითმებს. „ლეილაქანუნის“ 63-ე სტროფი გაწყობილია სხვათა სიტყვის ო-ს შემცველი ღია დაქტილური რითმით და გამეორებულია ვეფხისტყაოსნის 103-ე სტროფის სარიჟმო სიტყვა (ქალიო).

დიდი გავლენა მოუხდენია ვეფხისტყაოსანს თეიმურაზ პირველის ნაწარმოებთა ფრაზეოლოგიაზე. თეიმურაზს გაუმეორებია რუსთველის ფრაზეოლოგიური ერთეულები, სტრიქონთა ნახევარი და ზოგჯერ მთელი სტრიქონიც კი. აქ მხოლოდ მრავლად თეიმურაზის იმ სტრიქონებზე. რომლებიც ფრაზეოლოგიურად ემთხვევა ვეფხისტყაოსანს: ი. ზ. — 27.3: 34.1: 43.3: 51.4; 51.2: 62.1; 98,2; 109,1; 149,3; 179,2; 181,2; 197.1; 259.1: 261.1; ლ. მ. — 6.1; 11,2; 21,2; 31,4; 34,1; 41,2; 46.4. 54.4; 80.4: 81.1; 86.1; 91.3, 96,3; 99,3; 139,2; 140.3; 163.3; 181,1; 181.2; 230.4: 258.4; ● ვ. ბ. — 1,3; 43,3; 60,2; შ. ფ. — 12,2; 22,2; 39,1; 52,4; 60,4: ქეთ. — 15,1; 19,3; 48,1; 62,2; შედ. — 90,1; სამდ. — 1,2; მაჯამა — VIII, 2,4 და სხვ.

თეიმურაზ პირველი დასესხებია რუსთველისეულ გულთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც პოეტურ სასეთა შექმნის თვალსაზრისით გარკვეულ როლს ასრულებენ,¹⁰ ასეთებია: „გულის დადაგვა“, (ი. ზ. 66,2), „გულის დაქრა“ (მაჯამა, III, 3,1; ლ. მ. 243,1), „გულს ლახვრის ცემა“ (ლ. მ. 24,3; 54,3), „გულს ლახვრის დასობა“ (ლ. მ. 21,2; მაჯამა VI, 3, 1; 6, 3), „გულს ლახვრის ხება“ (შედ. 45,4), „გულს ცეცხლის მოდება“ (ლ. მ.—48,1; 84,2; 220,2) „გული წყლული“ (ლ. მ. 35,2; ი. ზ.—190,4; 304,3). „გულს დანის დაცემა“ (ვ. ბ. 39,1; ი. ზ. 99,2; ლ. მ.—197,2; 204,2), „გულს დანის დასობა“ (ლ. მ. 186,2). გარდა ამისა, თეიმურაზთან გვაქვს გულთან დაკავშირებული ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ზუსტად არ ემთხვევა რუსთველურ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, მაგრამ მათი გავლენით შექმნილად უნდა ვივარაუდოთ, მაგ. „გულს ლახვრის დაშენა“ (ლ. მ. 14,4), „გულსა ცეცხლი მონაკიდე“ (მაჯამა, VI, 2,3), „გულს ლახვრის მორევა“ (ვ. ბ. 75,3) და სხვა.

ამრიგად, თეიმურაზის მთელი შემოქმედება დაეაღებულია რუსთველის მხატვრული სახეებითა და ფრაზეოლოგიით. მაგრამ იმ დიდი გავლენის მიუხედავად, რომელიც თეიმურაზის პოეზიაზე მოა-

¹⁰ შდრ. შ. ლ ლ ო ნ ტ ი, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხეში, 1961, გვ. 56—72.

ხდინა რუსთველმა. თეატრალმა პირველმა შემოიტანა ლიტერატურაში მცირე ლექსი. რომელიც გვერდში ამოუყენა ეპიკურ ტილოებს და რომელშიც ქართულ ლიტერატურაში პირველმა ასახა თავისი პირადული და ადამიანური განცდები. ლირიკულ ლექსებში, რომელთაც ახასიათებთ უშუალობა და დიდი პოეტური მგრძნობელობა, თეატრალმა გამოხატავს საწუთროსადმი სამღურავსა და თავის ნაღვლიან განწყობილებებს.

შემოკლებანი

შ. ფ. — „შამიფარჯნიანი“

ლ. მ. — „ლეილაჯენიანი“

ვ. ბ. — „ვარდბუბუნიანი“

ი. ზ. — „იოსებზილიბანიანი“

ქეთ. — „წამება ქეთევან დედოფლისა“

შედ. — „შედარება ვახაფხულია და შემოდგომისა“

გრ. სასახ. — „გრემის სასახლეზედ“

სამდ. — „სოფლის სამღურავი“

ვისრ. — „ვისრამიანი“

ТЕЙМУРАЗ I

Резюме

Теймураз I (1690—1663) является выдающимся представителем грузинской литературы эпохи так называемого грузинского «возрождения». Его творчество представляет собой новый этап в развитии грузинской литературы. Активно участвуя в большой политике своего времени, неустанно борясь против иностранной агрессии, Теймураз I находил время и силы и для поэтического выражения как личных переживаний, так и острых злободневных национальных проблем. Теймураз обогатил содержание и тематику грузинской поэзии, внес в нее новые жанры. Он был первым грузинским лириком эпохи «возрождения», обратившимся к малым стихотворным формам.

Теймураз заложил основы историко-национального эпоса. Его поэма «Мученичество царицы Кетеван» знаменует собою утверждение историко-национальной темы в грузинской литературе. Правда, создание этой поэмы имело определенный интимный импульс, однако этим произведением не исчерпывается историко-национальная тематика в творчестве поэта; этой же тематике посвящен ряд лирических стихотворений.

В исследовании детально проанализирована поэма «Мученичество царицы Кетеван» на фоне тогдашней исторической действительности, с учетом существующих вокруг царицы Кетеван историко-литературных источников.

В книге много места уделяется изучению новых стихотворных жанров, привнесенных Теймуразом в грузинскую литературу (Прення, Маджама). Прослежены истоки этих жанров. Рассмотрены произведения этих жанров, определены их назначение и значимость.

Созданные по персидским сюжетам поэмы Теймураза («Лейлмаджунниани», «Носебэлиханниани», «Вардбулбулиани», «Шамипарваниани»), прототипы которых до сих пор не обнаружены, анализируются в сопоставлении с оригинальным творчеством поэта. Показано, что в упомянутых поэмах прослеживаются мотивы и концепции оригинальных произведений Теймураза. Следовательно, заимствуя сюжетные мотивы, Теймураз создавал оригинальные, отмеченные национальным духом произведения.

В творчестве Теймураза особое место занимает тема ковар-

ства к изменчивости бренного мира. В общих чертах этой теме касались и другие писатели эпохи возрождения». Но у Теймураза она разрабатывается преимущественно в аспекте личных переживаний и невзгод, обусловленных трагической судьбой родного народа. Боли и страдание народа выражены Теймуразом настолько сильно и глубоко, что современники считали возможным приравнять поэта с самим Руставели.

საძიებლები*

1. პირთა სახელები

აბასი ნ. შაჰ-აბასი
 აბატ სოფრონი 39, 53
 აბაშიძე ლევან (იმერეთის ელჩი, XVII ს.) 17
 აბრამ (ბიბლ.) 21
 აბულაძე ილია 129
 ადამი ((ბიბლ.) 135
 ადამ ოლეარიუსი (გერმანელი სწავლუ-
 ლი, XVII ს.)
 ავალიშვილი ზურაბ 23, 24, 29, 30, 33,
 35, 43, 49, 55, 56
 ავალიშვილი იოანე (ქუთათხევის წინამ-
 ძღვარი, XVII ს.) 26
 ავთანდილი (ვეფხისტყაოსანი) 159, 160
 აინი ქეშალ 93
 ალავერდი ხანი (უნდღლაძე, ირანის
 პირველი ყულარაღასი) 18, 20, 31
 ალექსანდრე (ალექსანდრე II, კახეთის
 მეფე, თეიმურაზ I-ის პაპა) 7, 8, 9,
 10, 11, 12
 ალექსანდრე, ალექსანდრე ბატონიშვი-
 ლი (ალექსანდრე III, იმერთა მეფე,
 თეიმურაზ I-ის სიძე) 5, 32, 76, 77,
 78, 85, 86
 ალექსანდრე (თეიმურაზ I-ის ძე) 7, 14,
 15, 16, 18, 19, 20, 25, 36
 ალი-ყული-ხანი 18
 ალფენიძე ვლადიმერ 53
 ამარტოლი ნ. გიორგი ამარტოლი
 ამბროზიო დოს ანეოსი, პატრი ამბრო-
 ზიო, მამა ამბროზიო, მამა ამბროსი
 (კათოლიკე მისიონერი, XVII) 43,
 49—55, 59

ამბროსი ნ. ამბროზიო დოს ანეოსი
 ანა (თეიმურაზის პირველი მეუღლე,
 ასული მამია II გურიელისა) 14, 145-
 ანა (ბიბლ.) 44
 ანტონ I, ანტონ კათალიკოსი, ანტონი
 (ქართლის მეფის იესეს ძე, 1720 —
 1788) 57, 58, 131
 ანტონიო დე გუევა (ფილიპე III-ის
 ელჩი, XVI—XVII სს.) 49
 არაქელ დაერძიეცი 9, 29, 36, 39, 40,
 51, 52
 არეოპაგელი ნ. დიონისე არეოპაგელი
 არისტოტელე (384—322 წ. ჩვენს ერამ-
 დე) 132
 არჩილი (არჩილ მეფე, ვახტანგ V-ის ძე,
 1647—1713) 14, 57, 72, 74, 77, 82,
 92, 101, 103, 106, 112, 116, 124,
 154
 ასათიანი ლევან 7, 60
 ასმათი („ქეთევანიანი“) 37
 აშოთან მუხრანბატონი, აშოთან (ქეთე-
 ვან დედოფლის მამა) 6, 7
 აჟა ნ. შოლა აჟა
 ბაგრატ მუხრანბატონი (ქართლის მეფის
 კონსტანტინე II-ის ძე, XVI საუკ.) 6
 ბაგრატი (თეიმურაზის მამა) 7, 8
 ბაგრატო, ბაგრატ ხანი (დაუთ-ხანის —
 დავით XI-ის ძე) 17, 18
 ბაგრატიონი დიმიტრი (პოეტი, 1746—
 1826) 58
 ბაგრატიონი თეიმურაზ, თეიმურაზ ბა-
 ტონიშვილი (გიორგი XII-ის ძე,
 1782—1846) 15, 16, 28, 34, 45, 47, 58

* შეადგინა მ ა რ ი ნ ე დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ მ ა .

- ბაგრატიონი იოანე, იოვანე ბატონიშვილი (ვიორგი XII-ის ძე, 1768—1830) 59, 131
- ბაზიკა („იოსებზილიხანანი“) 104, 105, 107
- ბალაი (ბიბლ.) 134
- ბალაში (ბიბლ.) 134
- ბალთაზარი (აღმოსავლეთელი მოგვი) 135
- ბარამიძე ალექსანდრე 14, 59—61, 80, 81, 86, 91—93, 94, 96, 97, 123, 124, 153
- ბაქრაძე დიმიტრი 131
- ბეგიაშვილი თედო 76
- ბედა (ინგლისელი ღვთისმეტყველი, VII—VIII სს.) 135
- ბელოუროვი ს., С. Белоухров 9
- ბერთელსი ე., E. Э. Бертельс 80, 81
- ბერნარდე (პატრი, XVII ს.) 116
- ბერსაბე (ბიბლ.) 131
- ბერძენიშვილი ნიკო 10, 14, 124
- ბესარიონ ორბელი (ბესარიონ ბარათაშვილი—ორბელიშვილი, XVII—XVIII სს.) 57, 58
- ბუზიკი (ბესარიონ გაბაშვილი, 1750—1791) 87
- ბიბიჩაძე არსენ 52, 59
- ბურკულაძე როლანდ 59
- გაბრიელ (ბიბლ.) 21
- გასპარ (აღმოსავლეთელი მოგვი) 135
- გელოვანი აკაკი 43, 59
- გვარჯასიშვილი („ქეთევანიანი“) 37
- გვახარია ალექსანდრე 61, 80, 102, 104, 105
- გივი („ქეთევანიანი“) 20, 36
- გილჰერმი (წმინდა მამა) 52
- გიორგაძე ბეჟან 6
- გიორგი (წმინდა გიორგი) 53
- გიორგი (ქართლის მეფე გიორგი X, სვიმონ I-ის ძე) 12
- გიორგი ამარტოლი 133
- გიორგი, გიორგი ბატონიშვილი (კახთა მეფის ალექსანდრე II-ს ძე) 8, 9, 10, 11, 17, 18
- გიორგი, ხუცესი გიორგი (შირაზის ტყეობაში ქეთევანის მზღებელი მღვდელი გიორგი) 20, 34, 35, 36, 37
- გოგობერიძე მოსე 136
- გორგჯანიძე ფარსადან 12, 14, 16
- გორელაშვილი თ. 93
- გრეგორი (ბერძენი ბერი) 39, 53, 54 55
- გრიგოლ ხუცესმონაზონი — დოდორქელი, გრ. ხუცესმონაზონი, გრ. დოდორქელი (დოდორქის მოღვაწე, XVII—XVIII სს.) 6, 7, 11, 14, 26, 34, 35, 38, 39, 40, 46, 47, 57
- გრიგოლ დოდორქელი ნ. გრიგოლ ხუცესმონაზონი — დოდორქელი გრიფიუსი ანდრეას 43, 58, 59
- გუგუშვილი მერი 33, 97, 113, 116, 118, 141, 144, 157, 162, 167
- გულბეკიანი რობერტო 18, 50, 51, 52
- გურამიშვილი დავით (1705—1792) 123
- გურიელი (მამია II გურიელი) 14
- დავარი (ვეფხისტყაოსანი) 155
- დავით, დავით ბატონიშვილი, დაუდხანი (კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ძე, გარდ. 1602 წ.) 8, 9, 10, 11, 12
- დავითი, დავით წინასწარმეტყველი (ბიბლ.) 131, 132
- დავრიყევი ნ. არაქელ დავრიყევი დაუდხან უნდილაძე, დაუდხანი (განჯის ბეგლარბეგი, ალავერდი-ხანის შვილი) 31, 32, 33, 38
- დაუთ-ხანი (მეფე დავით XI) 18
- დადიანი ლევან (სამეგრელოს მთავარი, XVII ს.) 32
- დიონისე არეოპაგელი, დიონოს ბრძენი 130
- დონინი ა. 133
- დონ ქრისტეფორე დე კასტელი, ქრ. კასტელი, კასტელი 6, 42, 43, 50
- ენატაშვილი ბერი 6, 9, 10, 11, 15, 27, 28, 35
- ეკატერინე ნ. ქეთევან დედოფალი ელენე (თეიმურაზ I-ის და) 7, 9, 16 ელია (ბიბლ.) 21, 137, 138

- უნა დაზნელი (ფილოსოფოსი, V ს.) 132
ენოსი 132
ენტუქაშვილი სამსონ 131
ეროდია (ბიბლ.) 27
ესაია (ბიბლ.) 130
ეთუვიმე („იოანესა და ეთუვიმეს ცხოვრება“) 136
- ვახუშტი (ვახუშტი ბატონიშვილი, ვახტანგ VI-ის ძე) 6, 7, 8, 9, 11, 15, 27, 57
ვასილი 34
ვიბი („ვისარამიანი“) 84
- ზილიხანი, ზილიხა („იოსებზილიხანიანი“) 101, 102, 103, 105, 107, 138, 139, 146, 163, 168
- თამარაშვილი მიქელ 42, 43, 50, 51, 54, 55, 101, 116
თამარი (თამარ მეფე) 5, 124, 155
თეიმურაზ ბატონიშვილი ნ. ბაგრატიონი თეიმურაზ
თეიმურაზ I, თეიმურაზ ბატონიშვილი, თეიმურაზი, 3, 10, 12—26, 28—45, 47—64, 67—69, 71—74, 76—99, 101—125, 126, 128—145, 147—172
თეიმურაზ II (ერეკლე I-ის ძე, 1700—1762) 62
თინათინ დი ზიბა ნ. თინათინ წიბა
თინათინი (ვეფხისტყაოსანი) 84, 160, 161
თინათინი („ქეთევანიანი“) 20, 36
თინათინ წიბა, თინათინ დი ზიბა 36, 37
თომა (ბიბლ.) 44
თრეზის ხანი ნ. თეიმურაზ I
თუმანიშვილი ზაალ 91, 92
- იაკობ (ბიბლ.) 21, 30, 130, 134, 137
იესო ნ. იესო ქრისტე
იესო ქრისტე, იესო, ქრისტე, ისა 15, 21, 25, 27, 28, 29, 33, 35, 37—41, 45, 46, 50, 53, 114, 126—128, 135, 137, 138
იმამყული-ხანი, იმამყული-ხან უნდილაძე (შირაზის ხანი, ალავერდი-ხანის შვილი) 18, 27—33, 36, 39, 40, 56
იმედოშვილი გაიოზ 41, 45, 123
ინგოროყვა პაელე 126, 166
- იოანე (ბიბლ.) 125, 126, 127, 137.
იოანე („იოანესა და ეთუვიმეს ცხოვრება“) 136.
იოანე მინჩხი 126
იოანე ოკროპირი 136
იოანე პეტრიწი 58, 136
იოსები („იოსებზილიხანიანი“) 101, 102, 104—107, 138, 146, 147, 163, 168
იოსელიანი პლატონ 131
ისა ნ. იესო ქრისტე
ისაკ (ბიბლ.) 21
ისა-ხანი (გიორგი ბატონიშვილის ძე) 18
ისკანდერ მუნში 7, 12, 13, 14, 17
იუდა (ბიბლ.) 127, 128
- კათარინა ნ. ქეთევანი
კაკაბაძე მანანა 154
კაკაბაძე სარგის 12, 14, 16
კასტელი ნ. დონ ქრ. დე კასტელი
კეკელიძე კორნელი 3, 56, 64, 73, 80, 91, 92, 93, 95, 102—105, 109, 112, 114—116, 122, 123, 133
კლოდ მალენგარი, მალენგარი 55, 56
კობიძე დავით 93, 95
კოზმანი (მლდეელ-მონაზონი) 58
კონსტანტინე, კონსტანტინე ხანი, კონსტანტინე შირვა, კონსტანტინე მეფე (ჯახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ძე) 10, 11, 12
კუშია კარლო 9, 29
- ლევანი (თეიმურაზ I-ის ძე) 15, 16, 18, 19, 20, 25, 36
ლელი („ლეილმაქუნნიანი“) 83, 92, 94, 98, 99, 100, 135, 137—139, 143—145, 155, 156, 158, 159, 161, 163, 164
ლოლაშვილი ივანე 129
ლუარსაბი (ლუარსაბ II, ქართლის მეფე, გიორგი X-ის ძე) 12, 14, 17
ლუკა (ბიბლ.) 128, 138
- მათე (ბიბლ.) 127, 135, 137, 138.
მალენგარი ნ. კლოდ მალენგარი
მამაცაშვილი შაია 95, 96, 97
მარიამი (ლეთისმშობელი) 21
მარინე 37

მარიუჩა ნ. თინათინ წიბა
მარკოზი (ბიბლ.) 127, 138
მაქსიმე აღმსარებელი 129
მაქნუნი („ლეილმაქნუნიანი“ 83, 84, 92
98—100, 143, 145, 155, 156, 158
მაჰმადი 27, 28, 29, 35, 38, 39, 40, 45,
139
მელქიორი (აღმოსავლეთელი მოგვი) 135
მეტეხები შირაზელი 93
მზიანდარი 37
მოახლა 53, 54
მოლა აჯა 108, 109, 114, 156
მოლა ჯამი ნ. ჯამი
მოაე (ბიბლ.) 33, 34, 129, 130, 134, 137,
128
მოსე (შირაზის ტყვეობაში კეთევანის
მხლებელი მღვდელი) 33
მუტატა I (ოსმალეთის სულთანი, XVII
ს.) 19, 24
მუნში ნ. ისკანდერ მუნში
ნადირაძე გიორგი 160, 161, 162
ნაკაშიძე ნოდარ, Н Накашидзе, 18, 153
ნაკაშიძე რარა 58
ნატროშვილი თამაზ 22, 30, 33, 36, 37
ნესტან-დარეჯანი, ნესტანი (ვეფხისტყაო-
სანი) 84, 155, 159, 163
ნესტან-დარეჯანი (თეიმურაზ I-ის ასუ-
ლი) 5, 76, 77, 78, 85—87
ნიზამი განჯელი, ნიზამი, Низами Ганд-
жеви (1148—1203) 92, 93
ნიკოლოზ თბილელი (სულხან-საბა ორ-
ბელიანის ძმა, 1672—1732) 58
ნინო (წმინდა ნინო) 48
ონიანი შერმაღინ 59, 124
ორბელიანი სულხან-საბა (1658—1725)
58, 131
ოდიშელი ჭუმბერ 7
პავლე (ბიბლ.) 135
პიედრო დოს სანტოსი ნ. პიეტრო დოს
სანტოსი
პიეტრო ავიტაბილე 42
პიეტრო დელა-ვალე 26, 31, 34—37, 49,
58, 59

პიეტრო დოს სანტოსი, პიედრო დოს
სანტოსი (კათოლიკე მისიონერი,
XVII ს.) 51, 53, 54
პითაგორე, პითალორა (დაახ. 580—500
წ. ჩვ. ერამდე) 132
პითალორა ნ. პითაგორე
პეტრე, პეტრე მოიციქული (ბიბლ.) 44,
126, 127, 128, 137
პეტრე იბერელი 131
პეტრიწი ნ. იოანე პეტრიწი
პუშკინი ა. ს. 60
ჟან ბატისტ ტავერნიე 31
ჟორდანია თედო 8, 26, 91, 92
რაპაი ხაფელი ნ. შეიხ საად ელ-დინ
რაპაი ხაფელი
რევიშვილი შოთა 59
როსტომი, როსტომ ხანი (ქართლის
მეფე, დავით XI-ის ძე) 32, 23
როშნევეან („იოსებზილიხანიანის“ ანო-
ნიმური ვერსია) 107
რუსან-ბეგი (ირანის ელჩი რუსეთში,
XVII ს.) 19, 23
რუსთველი შოთა, რუსთველი, რუსთა-
ველი, შოთა, Руставели, 4, 35, 45,
70, 76, 80, 82, 93, 97, 104, 106, 112,
113, 118, 120, 136, 141, 142, 154—
170, 172
რუხაძე ტრიფონ 6, 58
საკაძე გიორგი 30, 56, 153
საბა სეინგელოზი 126
საბინინი მ. 57, 58
სკვანელი ალ. 6, 34
სალია ნინო 52
სვანიძე მიხეილ 19
სიბილა 132, 133
სოლომონი, სოლომონ ბრძენი (ბიბლ.)
131, 132, 135
ტაბალუა ილია 18, 49, 51, 52
ტარკვინიოსი (რომის მეფე) 133
ტარიელი (ვეფხისტყაოსანი), 84, 163
ტივაძე თამარ, Т Тивадзе 19, 23, 24
ურბან VIII (რომის პაპი, XVII ს.) 43,
50

უსუფ ნ. იოსები („იოსებზილიხანიანი“)

ფატმანი (ვეფხისტყაოსანი) 103
ფიგეროა (ესპანეთის ელჩი, XVII ს.) 33
ფილიპე III (ესპანეთის მეფე, XVI—XVIII სს.) 49
ფირდოუსი (აბულ-ყასიმ ფირდოუსი, 934—1020) 102
ფრიდრიხ იერონიმო დე კრუზა (წმინდა მამა) 52
ფუტურძე ელადიმერ 7, 12
ფურცელაძე ანტონ 11, 153

ქავთარია მიხეილ 57

ქეთევანი, ქეთევან დედოფალი, დედოფალი კათარინა, ეკატერინე, Кетеван, Kelevan 3, 5—30, 33—45, 47—59, 137, 152, 171
ქიქოძე ბიძინა 60, 61, 67, 68, 75
ქობულაშვილი ონანა (ონანა შდივანი — ქობულაშვილი, გარდ. 1728 წ.) 116
ქრისტე ნ. იესო ქრისტე
ქურციკიძე ცილა 125

ღლონტი შალვა 169

ყუხჩიშვილი სიმონ 6

შანიძე აკაკი 131

შაჰ-აბასი (შაჰ-აბას I) 9, 10, 12, 13, 14, 17—20, 23—33, 40—43, 48, 49, 51, 54, 55, 56, 58

შაჰ-სეფი (შაჰ-აბაზ I-ის შვილიშვილი) 32

შევარდნაძე ედუარდ ამბროსის ძე 53
შეის საად ედ-დინ რაჰაი ხაფელი, რაჰაი ხაფელი. (XVI ს.) 94, 95

შიხ სადი 94, 95, 98

შიხ შეიდი 94, 95, 98, 156

ჩიქოვანი მიხეილ 60

ჩოლოყაშვილი შერმაზან (XVII ს.) 9, 139

ციციშვილი სარგის 97, 103, 142, 159

ციციშვილი გიორგი 153

ციციშვილი ნოდარ (პოეტი, XVII ს.) 92

12. მ. გუგუშვილი

ძოწენიძე ლალი 162

წერეთელი აკაკი 153

წულუკიძე ა. 59

ქანტურია ტარიელ 153

ქიქინაძე ზაქარია 12, 73, 91, 92

ქიქინაძე კონსტანტინე 166

ხარიტონი, ილუმენი ხარიტონი 18

ხახანაშვილი ალექსანდრე 91

ხვარაშხე („ქეთევანიანი“) 37

ხორეშან დედოფალი (თეიმურაზ I-ის მეუღლე) 19

ჯავახიშვილი ივანე 7, 22

ჯაქობია გიორგი 60, 91—94, 102, 108, 109, 122, 139, 162

ჯამი, აბდურაჰმან ჯამი, მოლა ჯამი, Джамии (1414—1492) 81, 92, 93, 102, 105, 109

ჯანდიერი დავით (XVII ს.) 18

ჯორჯაძე ნოდარ (XVII ს.) 18

პათეფი (XV—XVI ს. ს.) 94

პერბერტი თომას (ინგლისის ელჩი ირანში, XVII) 31, 57

პეროლე (ბიბლ.) 135

პილალი (ტაჯიკი პოეტი, XV—XVI ს. ს.) 93

პუსეინ ბაიყარა, სულთან პუსეინ ბაიყარა, სულთან პუსეინ (1469—1506) 80, 94, 96, 97

II. თხზულებათა სამკივებელი

აბდულმესიანი (იოანე შავთელი) 129
ანბანთქებანი (თეიმურაზ I) 122, 124

ზარამიანი 116

ზევანიანი 116

ბაში-აჩუკი (ა. წერეთელი) 153

გაბაასება, თეიმურაზიანი, (არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა) 74, 91, 119

გაბაასება ლეონისა და ბაგისა (თეიმურაზ I) 60, 63, 73, 76, 77

გაზაფხულისა და შემოდგომის ქება მეფის პატრონის თეიმურაზის თქმული ნ. შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა

გაზაფხულშემოდგომიანი ნ. შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა გამოსვლათა (ბიბლ.) 130

გარემის სასახლეზედ (თეიმურაზ I) 5, 165, 168

დაბადება (ბიბლ.) 33

დაბადებისათვის ცისა და ქვეყნისა 115 დაუთნი (ბიბლ.) 33

დავით გარეჯელის ცხოვრება 129

დიმიტრიანი (დიმიტრი ბაგრატიონი) 58

ე.ღესიასტე (ბიბლ.) 131, 142

ეშულების ბაგე ვარდი (თეიმურაზ I, მაჰამა. VII), 76, 77

ვარდულბულიანი, Вардубулыани, (თეიმურაზ I) 34, 62—64, 68, 71, 72, 74, 75, 77, 90, 95, 106, 108, 109—115, 118, 119, 121, 125, 127, 136, 137, 143, 150, 155, 156

ვეფსიტუაოსანი 101, 102, 103, 105, 106, 109, 113, 136, 142, 154, 155, 157, 158, 160, 162, 163, 164, 166, 167, 168, 169

ვიტრამიანი 101, 136, 137

ზეკათ მღვდელთ მთავრობისათეს (დიონისე არეოპაგელი) 131

თამარის სახე დავით გარეჯას (თეიმურაზ I) 5, 124

თეიმურაზიანი ნ. გაბაასება

თხზულებათა სრული კრებული, I (არჩილი) 14

თხზულებათა სრული კრებული (თეიმურაზ I) 60, 91, 93, 95, 162

იგაენი (ბიბლ.) 131

იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრება (გიორგი მთაწმინდელი) 136

იოსებზილხანისი (ანიონიმური ექრსია) 104, 105, 106

იოსებზილხანისი, Иосебзильханисси, (თეიმურაზისეული) 62, 82, 83, 90,

92, 93, 95, 96, 101—107 117—120, 128, 129, 136—139, 141, 143, 146,

155, 157, 158—166,, 168, 169, 171

ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი 136

კალმასობა I (იოანე ბატონიშვილი) 58, 131

ლეილაძენიანი, Лейладжениани, (თეიმურაზ I) 34, 62, 82, 83, 90—

100, 117, 119, 125, 126, 128, 135,

136, 137—141, 143—146, 155—169, 171

ლუარსაბის მარტვილობა (ბენარიონ ორბელი) 58

მაჰამა (თეიმურაზ I) 4, 5, 63, 64, 72, 73, 76—79, 81, 83, 87, 88, 89,

143, 149, 152, 155, 156—159, 161, 164, 166, 167, 168, 169, 171

მზე უნათლე ჰქმენ (თეიმურაზ I, მაჰამა III) 76

მზე ეულ მაშვრლობს (თეიმურაზ I, მაჰამა, I) 76, 84

მზეაა შესწრფა მიღგან შუქი (თეიმურაზ I, მაჰამა VI) 76

მოციქულთა საქმე (ბიბლ.) 33

მოწმობა წმიდათა შორის ქეთევანის კახთ დედოფლია (თეიმურაზ ბაგრატიონი) 15, 16, 28, 45, 47, 58

რიცხვთა (ბიბლ.) 134

როსტომიანი 116

სამიჯნურონი (არჩილი) 77

სარკე თქმულთა (თეიმურაზ II) 60

სახარება (მთე, მარკოზი, ლუკა, იოანე) 33, 125, 127, 135, 137, 138

სიბილაიანი (XVII ს.) 133

სიბრძნე სოლომონისი (აპოკრიფი) 125
სიბრძნე (ბიბლ.) 131
სიტყვა სწავლისა, სწავლა სიტყვისა
(თეიმურაზ I, „გაზაფხულ-შემოდგომი-
ანი“ ბოლოსიტყვაობა) 64, 73
სოფლის სამღერავი (თეიმურაზ I) 3,
64, 73, 130, 142, 147, 148, 151, 152,
156, 157, 165, 167, 168, 169
სწავლა სიტყვისა ნ. სიტყვა სწავლისა
ტურფა ხარ მშენიერებით (თეიმურაზ,
I, მაჟამა IV) 76, 77
ქება და მკობა ხელმწიფის ალექსანდრე-
სი და დედოფლის ნესტან დარეჯანი-
სა (თეიმურაზ I, მაჟამა VIII) 5, 76,
77, 78
ქება სამეხისა ნ. შვილთა კრებათათვის
ქებათა ქება (ბიბლ.) 131
ქეთევან დედოფლის წამება ნ. წამება
ქეთევან დედოფლისა
ქეთევანიანი ნ. წამება ქეთევან დედოფ-
ლისა
ქეთევანის წამება ნ. მოწმობა წმიდათა
შორის ქეთევანის კახთ დედოფლისა.
ღვინისა და ბაგის დაბადება ნ. გაბა-
ღვინისა და ბაგისა
შაშიფარვანიანი, Шашифарваняни,
(თეიმურაზ I) 62, 70, 71, 72, 74, 75,
77, 99, 112—115, 119—121, 129, 130,
133, 137, 138, 141, 143, 150, 151,
155, 156, 162, 163, 164, 165—169, 171
შაჰ-ნამე 61
შედარება გაზაფხულისა და შემოდგომი-
სა, გაზაფხულ-შემოდგომიანი (თეიმუ-

რაზ I) 62, 63, 64, 67—73, 111, 115,
142, 147, 148, 149, 151, 152, 155, 156,
162, 165, 166, 168, 169
შემოდგომა და ზაფხული (ხალხური) 68
შენთვის ხელმან (თეიმურაზ I, მაჟამა,
II) 76, 77
შესხმა და მოთხრობა ლუაწლთა და ენე-
ბათა წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთე-
ვან დედოფლისა ნ. წამება ქეთევან-
დედოფლისა
შვილთა კრებათათვის (თეიმურაზ I) 72,
117, 124
შვიდი კრება ნ. შვილთა კრებათათვის
ცხოვრება და წამება ქეთევან დედო-
ფლისა, (გრ. ხუცესპონანზონი — დო-
დორქელი) 6
წამება ქეთევან დედოფლისა, ქეთევან
დედოფლის წამება, ქეთევანიანი, წა-
მება, Мученичество царицы Кетеван
(თეიმურაზ I) 3, 5, 19, 20—24, 29,
37, 33, 37, 38, 41, 45, 55, 57, 58, 59,
127, 137, 143, 150, 151, 152, 156,
160, 163, 165, 166, 167, 169, 171
წამება ყოელად დიდებულისა მოწამი-
სა დედოფლისა ქეთევანისა, რომე-
ლიც იწამა სპარსთა მეფის შაჰ-აბაზ
უსჯულომსა მიერ ქალაქსა შირაზს
ნ. წამება ქეთევან დედოფლისა
წვობისიტყვაობა (ანტონ I) 131
ხრონოლოგი (გიორგი ამარტოლი) 133

შინაარსი

	შესავალი	3
	ისტორიულ-ნაციონალური თემატიკა თეიშურაჲის შემოკმედებაჲი წამება კითხვან დედოფლისა	5
A	1. კახეთის სამეფო კარის ვითარება XVII საუკუნის დასაწყისში და ქეთევანის ბიოგრაფიის საკითხები	6
	2. „ქეთევანიანი“ და ავტორის განცდები	19
	3. ქეთევან დედოფალი შირაზის ტყუეობაში	25
	4. ქეთევანის წამება და მისი მიზეზები	38
	5. ქეთევანის ნეშტისა და გაათოლიკების საკითხი	48
	6. „ქეთევანიანის“ დათარიღების საკითხი	55
	7. ქეთევანის ღვაწლის ასახვა ლიტერატურაში	57
	გაბაასების უანრი თეიშურაჲის კოეზიჲი	60
	1. „შედარება გაზახფელისა და შემოდგომისა“	63
	2. „გაბაასება ღერისა და ბაგისა“	73
	„შ ა ჯ ა შ ა“	76
	თეიშურაჲის სპარსულიდან გადმოდებული კოეზიჲი	90
A	1. „ლეიღმაქნუნიანი“	90
	2. „იოსებზილიხანიანი“	101
	3. „ვარდბულბულიანი“	106
	4. „შამიფარანიანი“	112
	5. სასულქეჲო და საერო ტენდენციითა დაპირისპირება თეიმურაზის სპარსულიდან გადმოდებულ კოეზებში	115
	6. ზოგი იდეოლოგიური თეისებურება თეიმურაზის სპარსულიდან გა- დმოდებულ კოეზებში	121
	სოფლის სიზუსთლის თეაგ თეიშურაჲის კოეზიჲი	142
	რუსთველის გავლენა თეიშურაჲის კოეზიჲი	155
	შემოკლებანი	170
	Теймураз I (резюме)	171
	საძიებლები	173
	1. პირთა სახელები	173
	2. თხზულებათა საძიებელი	177

Мери Йльинична Гугушвили

ТЕЙМУРАЗ I

(შა გრუზინსკომ ჯაზუკე)

დაიბეჭდა საქარტველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1554

•

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები: ლ. ანდლუღაძე,
ლ. ძოწენიძე

გამომცემლობის რედაქტორი ე. კოდუა

ტექნედაქტორი ნ. თკუჭავა

მხატვარი ე. ხმალაძე

კორექტორი ე. ჭიქია

გაიბეჭდა წარმოებას 2. 1. 1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 4. 1981;
ქალაღლის ზომა 60×90/16; ქალაღდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 11. 3
საალრიცხეო-საგამომცემლო თაბახი 9. 2;

უე 17137;

ტირაჟი 5000;

შეკვეთა № 31

ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мещинереба», Тбн.лн.სი, 380060, უ.ღ. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060. კუტუზოვის ქ., 19
Типография АИГ Груз. ССР, Тбн.лн.სი, 380060, უ.ღ. Кутузова, 19